



# აგნეს გრეი

ენ ბრონტე

## თავი I - [PPT P] მღვდლის სახლი

ყველა ნამდვილი ამბიდან შეიძლება სწორი დასკვნის გავეთება, თუმცა ზოგჯერ, ეს საგანძურო ღრმად არის ჩამარხული, მიგნება საკმაოდ ჭირს და, საბოლოოდ, იგი უმნიშვნელო აღმოჩნდება ხოლმე, რომ მასზე დახარჯულ ძალისხმევას ვერ ამართლებს. შესაძლოა, კიდეც გამოადგეს ვინმეს, ზოგისთვის კი მხოლოდ თავშესაქცევი აღმოჩნდეს, თუმცა, და, საზოგადოებამ თვითონ განსაჭოს. განვლილ წლებსა და გამოგონებულ სახელებს ამოფარებულს სულ არ მეშინია, გულწრფელად ვუამბო მკითხველს ის, რასაც ყველაზე ახლო მეგობარსაც კი არ გავუმხელდი. [SEP]

მამაჩემი მღვდელმსახური გახლდათ ინგლისის ჩრდილოეთში, საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა და ახალგაზრდობაში უჭირველად ცხოვრობდა მცირე მრევლის უმცროსი მღვდლის ხელფასისა და ნამცეცა მამულიდან შემოსული მნირი შემოსავლის წყალობით. დედა, სკვაირის ქალიშვილი, მას ახლობლების ნების საწინააღმდეგოდ გაჰყვა ცოლად, რადგან ყოველთვის შეეძლო, თავისი გაეტანა. ამაოდ არწმუნებდნენ, რომ თუ საკუთარ ბედს უქონელ მღვდელს დაუკავშირებდა, უარის თქმა მოუწევდა ეტლზე, მოახლებე, ფუფუნებასა და სინატიფეზე, ანუ სიმდიდრის მიერ მოტანილ ყველა სიამეზე, რასაც ბავშვობიდანვე შესჩვეოდა. „ეტლი და მოახლე ცხოვრებას ალამაზებს, - პასუხობდა იგი, - მაგრამ, მადლობა ღმერთს, ხელ-ფეხი მაქვს, გადაადგილებაც შემიძლია და ყველაფრის კეთება, რაც დამჭირდება. ლამაზი სახლი და დიდი ბაღი საკმაო ცდუნებაა, თუმცა მირჩევნია, უბადრუკ ქოხმახში ვიცხოვრო რიჩარდ გრეიისთან ერთად, კიდრე სასახლეში სხვის გვერდით“ [SEP]

როდესაც დარწმუნდა, რომ თავისას ვერ გაიტანდა, მამამისმა შეყვარებულებს ქორწინებაზე თანხმობა განუცხადა, თუმცა გააფრთხილა, ამ ნაბიჯის გადადგმით ჩემს ქალიშვილს მემკვიდრეობიდან წილი აღარ შეხვდებაო. მისი აზრით, მსგავს მუქარას მათი მგზნებარება უნდა დაეცხო, მაგრამ შეცდა. მამაჩემი დედაჩემის სულიერ ღირსებებს დაეტყვევებინა, ხვდებოდა, რა განძს გადაჰყროდა და ნებისმიერი პირობა გააბეჭნიერებდა, ოღონდაც მას მისი მოკრძალებული კერია დაემშვენებინა. ქალი მზად იყო,

## აგნეს გრეი



მუხლისაუხერელად ეშრომა, ოღონდ შეყვარებულს არ დაშორებოდა, ადამიანს, რომლის გვერდითაც ცხოვრებაზე ოცნებობდა, რომელსაც სულითა და გულით შერწყმოდა. მამისეული ქონებიდან მისი წილი უფრო გონიერ დას ერგო, რაკიდა მდიდარ კაცს გაპყვა ცოლად, თვითონ კი, ნაცნობ-ახლობლების გასაოცრად და საწყენად, სოფელ ...-ში, ეკლესიასთან მდებარე პატარა მოკრძალებულ სახლში ამჯობინა ცხოვრება. მიუხედავად ამისა, მიუხედავად დედაჩემის ფიცხი ხასიათისა და მამაჩემის ახირებულობისა, დარწმუნებული ვარ, მათგე ბედნიერ ცოლ-ქმარს მთელ ინგლისში ვერ მოძებნიდით.<sup>[5]</sup>

ღმერთმა მათ ექვსი შვილი უბოძა, მავრამ მხოლოდ მერიმ, ჩემმა დამ, და მე გავუძელით ბალღობისა და ადრეული ბავშვობის ყველა ხიფათს. მერიზე ექვსი წლით უმცროსი და მთელი ოჯახისთვის საყვარელი ბავშვი ვიყავი - მამა, დედა და და მანებივრებდნენ, ოღონდ არა სულელური შემწყნარებლობით, რაც ჭირვეულ, ურჩ გოგონად მაქცევდა, არამედ ალერსიანი მზრუნველობით, რამაც მათგე მიმაჯაჭვა, უმწეო, სხვაზე დამოკიდებული გამხადა და მრავალი ცხოვრებისეული სიძნელის, ბედის უკუღმართობისა და გაჭირვებისთვის ვერ შემამზადა.<sup>[6]</sup>

მე და მერის განმარტოებით გვიხდებოდა ცხოვრება. დედა განათლებული და ენერგიული ქალი იყო. მან თვითონ მოჰკიდა ხელი ჩვენს აღზრდას და ყველაფერს გვასწავლიდა, ლათინურის გამოკლებით, რაც მამამ ითავა. ამიტომ პანსიონში არ მიგვაბარეს. შესაფერისი მეგობრები არ გვყავდა და სამყაროსთან ჩვენი ნაცნობობა იმით შემოიფარგლებოდა, რომ ჩაის ვსვამდით ადგილობრივ შეძლებულ ფერმერებსა და მედუქნებთან ერთად (მათ მხოლოდ იმიტომ იწვევდნენ, რომ კუდაბზიკობა არ დაებრალებინათ) და ყოველწლიურად მივემგზავრებოდით ბაბუასთან, მამის მამასთან, რომლის სახლშიც, მის გარდა, ჩვენი საოცრად კეთილი ბებია, გაუთხოვარი მამიდა და კიდევ ორი-სამი ხანდაგმული ქალი ცხოვრობდა. სხვა იქ არასდროს არავინ გვინახავს. ზოგჯერ დედა თავის სიყმაწვილეზე თავშესაქცევ ამბებს გვიყვებოდა. მათი მოსმენა ძალიან გვიყვარდა. ისინი ხშირად აღმიძრავდა სურვილს, თავად გამეცნო ქვეყნიერება.<sup>[7]</sup>

„როგორი ბედნიერი ყოფილა დედა ახალგაზრდობაში“, - ვფიქრობდი

## ენ ბრონტე

ზოგჯერ, მაგრამ იგი თითქოს არაფერს ნანობდა. მამას, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, უდარდელობა არასდროს ახასიათებდა, ამიტომ ხშირად უმიზებოდ იტანჯავდა თავს იმ მსხვერპლზე ფიქრით, რომელიც, მისი აზრით, საყვარელმა მეუღლემ მისთვის გაიღო, და გამუდმებით იმტვრევდა თავს, როგორ გაეჩარდა მწირი შემოსავალი მისთვის, ჩემთვისა და მერისთვის. ამაოდ არწმუნებდა დედა, ყველაფრით კმაყოფილი ვარ, ისიც საკმარისი იქნება, თუ გოგონების მომავლისთვის ცოტაოდენის გადადებას მოახერხებ, არც ახლა და არც მომავალში არაფერი გაგვიჭირდება. მაგრამ მამაჩემი ეკონომიკისა და შავი დღისთვის ფულის გადადების უნარით არ გამოირჩეოდა, მართალია, ვალს არ იღებდა (დედა ყურადღებით ადევნებდა თვალს, რომ ეს არ მომხდარიყო), მიაჩნდა, თუკი ფული არის, კიდეც უნდა დაიხარჯოს. მოსწონდა, როცა სახლში ვარგი ავეჭი იდგა, ლამაზად გამოწყობილ ცოლ-შვილს კი შავი სამუშაოს შესრულება არ უწევდა. გარდა ამისა, სიკეთის თესვაც უყვარდა და უქონლებს, რითაც შეეძლო, უშურველად ეხმარებოდა - ზოგიერთის აზრით, არაგონივრულად უხვადაც კი.<sup>SEP</sup>

ერთხელაც ნაცნობმა ქონების გაორმაგების, შემდგომში კი მისი განუხრელი ზრდის გზა გაანდო. ეს ნაცნობი ფხიანი და შორსმჯვრეტელი კაცი იყო, თუმცაჩანაფიქრის განსახორციელებლად საბრუნავი კაპიტალი არ ჰყოფნიდა. მან მამაჩემს გულუხვად შესთავაზა სამართლიანი წილი შემოსავლიდან, თუკი ის საკუთარი ქონების უდიდეს ნაწილს მიანდობდა. თანხის მიუხედავად, პირობას აძლევდა, რომ მას, სულ ცოტა, გაუორმაგებდა. მამამ უძრავი ქონება დაუყოვნებლივ ფულად აქცია და ვაჭარს მთლიანად გადასცა, ის კი მაშინვე შეუდგა გემის დატვირთვასა და შორეული ნაოსნობისთვის მზადებას.<sup>SEP</sup>

მამაც და ჩვენც აღფრთოვანებით ვფიქრობდით საოცნებო მომავალზე, ოღონდ ახლა მხოლოდ მღვდელმსახურის მცირე ხელფასი უნდა გვეკმარა, მაგრამ მამას მიაჩნდა, რომ ხარჯების ამგვარი შემცირება აუცილებელი სულაც არ იყო. ნისიად ვიღებდით საქონელს მისტერ ჯონსონისგან, მისტერ სმიტისა და მისტერ ჰობსონისგან, უნინდელზე უკეთაც კი დავიწყეთ ცხოვრება, თუმცა დედა ამბობდა, რომ ზომიერება უნდა დაგვეცვა, რადგან გამდიდრების პერსპექტივა ჯერაც ბურუსს მოეცვა - თუკი მამა მას მიანდობდა მეურნეობის

## აგნეს გრეი



გაძლოლას, უარის თქმა არაფერზე მოუწევდა, მაგრამ, ჩვეულების საწინააღმდეგოდ, მამას არაფრის გაგონება არ სურდა.<sup>[P]</sup>

ოჟ, რამდენი ბედნიერი საათი გაგვიტარებია მე და მერის ბუხართან, ხელსაქმით ვირთობდით თავს, მანანით დაფარულ ბორცვებზე ვსეირნობდით ან ჩვენს ბაღში ერთადერთი ჩრდილიანი ხის, არყის ქვეშ ვისვენებდით! ჩვენი და ჩვენი მშობლების მოახლოებულ ბედნიერებაზე ვსაუბრობდით, იმაზე, თუ რას გავაკეთებდით, რას ვნახავდით, რას შევიძენდით. ოცნების კოშკებს ვი საფუძვლად პატივცემული ვაჭრის წარმატებით განხორციელებული საქმიანი გარიგებები ედო. მამაც ჩვენსავით ოცნებობდა, ოღონდ ისეთ სახეს იღებდა, თითქოს დაგვცინოდა, და თავის ოცნებებსა და სურვილებს ხუმრობის სახით ფუთავდა, რაც უჩვეულოდ მახვილგონივრულად და საუცხოოდ მეჩვენებოდა. დედა მხიარულად იცინოდა, მეუღლის სიხარულით ტკბებოდა, თუმცა წუხდა კიდეც, რომ ქმარი ამ წამოწყებიდან ძალზე ბევრს ელოდა. ერთხელ გავიგონე, როგორ ჩაილაპარაკა ოთახიდან გასვლისას.<sup>[P]</sup>

- ღმერთმა ქნას, რომ იმედგაცრუება არ ეწვიოს. არ ვიცი, ამას როგორ გაუძლებს!<sup>[P]</sup>

მაგრამ მამას იმედგაცრუება მაინც ეწვია. თანაც სასტიკი. მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით გავრცელდა ამბავი, რომ გემი, რომლის იმედიც გვქონდა, თავის ტვირთთან, რამდენიმე მეზღვაურთან და ჩვენს ნაცნობ ვაჭართან ერთად ზღვაში ჩაიძირა.<sup>[P]</sup>

ვდარდობდი მის დაღუპვაზე, ჩვენს გაცამტვერებულ ოცნების კოშკებზე, თუმცა ახალგაზრდობა ყველაფერს მაღე ივიწყებს და მეც ასე გადავიტანე დარტყმა.<sup>[P]</sup>

მართალია, სიმდიდრეს თავისი მომხიბლაობა ჰქონდა, უმწიფარსა და ცხოვრების უნახავს არც სიღარიბე მაშინებდა. პირიქით, რომ არ დაგიმალოთ, იმ გაჭირვებაზე ფიქრი, რომელსაც უნდა შევბრძოლებოდით, ჩემთვის ერთგვარ შთაგონების წყაროდაც ვი იქცა. მხოლოდ ის მაღარდებდა, რომ მშობლები და მერი ჩემს თვალსაზრისს არ იზიარებდნენ: ასეთ შემთხვევაში, წუწუნისა და ცრემლის ღვრის ნაცვლად, ერთად მოვკიდებდით ხელს საქმეს, რათა ყველაფერი გამოვესწორებინა - და რაც უფრო მეტი სირთულე გველოდა, რაც უფრო გაგვიჭირდებოდა, მით მეტი მხნეობისა და

## ენ ბრონტე

თავდადების გამოჩენა გვმართებდა მის დასაძლევად.<sup>[SEP]</sup>

მერი ხმამაღლა არ წუწუნებდა, მაგრამ განუწყვეტლივ მომხდარზე ფიქრობდა და ბოლოს, ჩუმ სევდაში ჩაიძირა, რომელსაც ვერაფერს მოვუხერხებდი. ვერ შევძელი მისი დარწმუნება, როგორც საკუთარი თავი დავარწმუნე, რომ ამ ყველაფერს თავისი ნათელი მხარეც ჰქონდა. თანაც მეშინოდა, ბავშვური ქარაფშუტობა ან უგრძნობლობა არ დაებრალებინათ და საგულდაგულოდ ვმალავდი ჭკვიანურ დასკვნებსა და გამამხნევებელ აზრებს - ვგრძნობდი, რომ მათ არავინ მოიწონებდა.<sup>[SEP]</sup>

დედა მხოლოდ მამის ნუგეშისცემაზე, ვალების გადახდასა და ხარჯების შეძლებისდაგვარად შემცირებაზე ფიქრობდა, მამა კი თავს დამტყდარმა უბედურებამ წელში გატეხა - მისმა ჭანმრთელობამ, ძალ-ღონემ და სულის სიმტკიცემ ასეთ დარტყმას ვერ გაუძლო და უწინდელ მდგომარეობას ვეღარასდროს დაუბრუნდა. ამაოდ ცდილობდა დედა მის გამხნევებას, ღვთისმოსაობას, სიმამაცესა და ჩვენთვის გამოჩენილ სიყვარულს ახსენებდა. მაგრამ ეს სიყვარული მისთვის სატანჯველად იქცა: ასე მგზნებარედ სიმდიდრეზე ხომ მხოლოდ ჩვენი გულისთვის ფიქრობდა, მხოლოდ ჩვენზე ფიქრი ანათებდა მის ოცნებას, იმედგაცრუებამ კი ყველაფერს ხაზი გადაუსვა. იტანჯებოდა, საკუთარ თავს საყვედურობდა, რომ დედის რჩევებს არ დაუკერა, ეს ხომ დამატებითი ვალებისგან მაინც დაიცავდა ოჯახს. დანაშაულად მიაჩნდა, რომ დედას ფუფუნებასა და კეთილდღეობაზე უარი ათქმევინა - რისი გულისთვის? რათა ახლა მასთან ერთად გაეყო გაჭირვება და საზრუნავი? თრგუნავდა აზრი, რომ მრავალი ნიჭით დაჭილდოებული ქალიშვილი, რომლის მიმართაც სიყმაწვილეში მხოლოდ აღფრთოვანებასა და თაყვანისცემას გამოხატავდნენ, ახლა მოსამსახურედ გადაქცეულიყო, გამუდმებით მუშაობდა და მხოლოდ ეკონომიაზე ფიქრობდა. ის მზადყოფნა, რომლითაც ამ მოვალეობებს ასრულებდა, სიმხნევე, რომლითაც გასაჭირს უძლებდა, გულვეთილობა და საყვედურის უთქმელობა მამას თვითგვემის სურვილს მხოლოდ უძლიერებდა. სული ხორცს ტანჯავდა, ნერვებს წინცნიდა, რაც, თავის მხრივ, შფოთვას აძლიერებდა. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ მისი ჭანმრთელობა სერიოზულად არ შეირყა. ვერავინ დავარწმუნეთ, რომ არც ისე სავალალო და უიმედო იყო ჩვენი მდგომარეობა, როგორც ამას მისი



ავადმყოფური წარმოდგენა ხატავდა.<sup>[5]</sup>

მოსახერხებელი ეტლი ჩვენს საყვარელ არსებასთან, ფეხმაგარ და გამაძღარ ცხენთან ერთად გავყიდეთ - არადა, როგორ გვჭეროდა, რომ სხვას არასდროს მივცემდით და მშვიდად აღესრულებოდა ჩვენ გვერდით, როდესაც ამის დრო მოუწევდა. ეტლების პატარა ფარდული თავლასთან ერთად გავაქირავეთ, ლაქია და უფრო გამოცდილი (შესაბამისად, უფრო ძვირად ღირებული) მოახლე დავითხოვეთ. გვიწევდა კაბების გადაბრუნება და იმდენი კემსვა, რომ ჩაცმაც კი გვეუხერხულებოდა. ისედაც უბრალო საჭმელი კიდევ უფრო გაუბრალოვდა, მამის საყვარელი ორი-სამი კერძის გარდა. ნახშირსა და სანთელს განსაკუთრებით ვუფრთხილდებოდით. ორი სანთლის ნაცვლად, ერთს ვხმარობდით და მასაც თითქმის არასდროს ვანთებდით. ნახშირსაც ვზოგავდით, მით უმეტეს, თუ მამა თავისი სამწყოს საქმეზე იყო წასული ან, შეუძლოდ მყოფი, საძინებელში იწვა - ასეთ შემთხვევაში ფეხებს ბუხრის ცხაურზე ვაწყობდით, მინავლებულ ნაკვერჩხალს ვაქუჩებდით და როცა ჩაქრობას დააპირებდა, ნახევარ აქანდაზ ნახშირის მტვერსა და ნამცეცებს მივაყრიდით. ხალიჩები პირწმინდად გაიცვითა და ჩვენს ტანსაცმელზე უფრო მეტად დაიბებვა და დაიკემსა. მებაღე მე და მერიმ ჩავანაცვლეთ, საჭმლის მომზადებასა და სახლის დალაგებას, რასაც ერთი მოსამსახურე ვერ აუდიოდა, დედამ და მერიმ მოჰკიდეს ხელი. მეც ვეხმარებოდი, ოღონდ ძალზე იშვიათად, ვინაიდან, მართალია, თავი უკვე მოზრდილად მიმაჩნდა, ისინი ჩემში კვლავაც პატარა გოგონას ხედავდნენ. ამასთან, დედამ, როგორც თითქმის ყოველთვის ემართებათ ოჯახის ქალებს, დიასახლისობა ქალიშვილებს არ ასწავლა - სრულიად უბრალო მიზეზის გამო: თვითონ მარჯვე და კარგ დიასახლისს არ უყვარდა საქმის სხვისთვის დავალება. პირიქით, ერჩივნა, მათ მაგივრად ეფიქრა და ეკეთებინა, მნიშვნელობა არ პქონდა, რა. ეგონა, რომ ამას მასზე უკეთ ვერავინ მოახერხებდა. ჩვეულებრივ, როცა დახმარებას ვთავაზობდი, პასუხად მესმოდა: „არა, ჩემო ვარგო, ეს საშენო არაა, ვერ შეძლებ. აჯობებს, დას დაეხმარო ან მასთან ერთად გაისეირნო - უთხარი, რომ არ შეიძლება სულ სახლში ჭდომა, თორემ გახდება და ჩამოჭვნება“<sup>[6]</sup>.

„მერი, დედამ მითხრა, რომ უნდა დაგეხმარო ან შენთან ერთად

## ენ ბრონტე

გავისეირნო. თუ სულ შინ იჯდება, გახდება და ჩამოჭკნებაო".<sup>[SEP]</sup>

„ჩემს დახმარებას ვერ შეძლებ, აგნეს, შენთან ერთად სეირნობის დრო ვი არა მაქვს. უამრავი საქმე მეღოდება".<sup>[SEP]</sup>

„შენც ადექი და რამე დამავალე!"<sup>[SEP]</sup>

„ეს საშენო არაა, ჩემო პატარავ. აჯობებს, გამები გაიმეორო და ფისოს ეთამაშო".<sup>[SEP]</sup>

მართალია, საკერავი არასდროს გვაკლდა, მაგრამ ქარგვა არ მასწავლეს. მხოლოდ შემოკეცვა და ოროიდე მარტივი ნაკერის გავეთება ვიცოდი, ამიტომ წესიერად ამაშიც ვერ დავეხმარებოდი. დედა და მერი ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ ერჩივნათ, თვითონ გაევეთებინათ, ვიდრე ჩემთვის რამე დაეტოვებინათ, თანაც გაცილებით სიამოვნებდათ იმის ყურება, თუ როგორ ვსრულყოფდი ჩემს ცოდნას ან ვერთობოდი - მათი აზრით, მუშაობა მერეც მეყოფოდა, დედაბერივით, როდესაც ჩემი საყვარელი ფისო დინქ, ხანდაზმულ კატად გადაიქცეოდა. ასე რომ, კნუტზე ოდნავ მეტი სარგებლობა მომქონდა, თუმცა ჩემს უსაქმურობას რაღაც გამართლება მაინც ჰქონდა.<sup>[SEP]</sup>

გაჭირვებაში ყოფნისას მხოლოდ ერთხელ გავიგონე, როგორ დაიწუწუნა დედამ უფლებობის გამო. ერთხელ, გაზაფხულზე, მან მე და მერის გვითხრა.<sup>[SEP]</sup>

- რა კარგი იქნებოდა, მამას რამდენიმე კვირა კურორტზე რომ გაეტარებინა! ზღვის პაერი და გარემოს შეცვლა ძალიან მოუხდებოდა. მაგრამ ხომ იცით, რომ ამის საშუალება არა გვაქვს, - დაასრულა და ამოიოხრა.<sup>[SEP]</sup>

ამ აზრმა ორივენი გაგვიტაცა. გული დაგვწყდა, რომ მას განხორციელება არ ეწერა.<sup>[SEP]</sup>

- საკმარისია, - თქვა დედამ, - წუწუნით საქმეს არაფერი ეშველება. აი, რამის მოფიქრება კი ნამდვილად შეგვიძლია. მერი, შენ ხომ მშვენივრად ხატავ! იქნებ რამდენიმე სურათი დაგეხატა აკვარელით, როგორც გეხერხება, ნახატები ჩარჩოში ჩაგესვა და შეგეთავაზებინა ვინმე პატივსაცემი გალერისტისთვის, რომელსაც ჭკუა ეყოფოდა მათ ღირსეულად შესაფასებლად.<sup>[SEP]</sup>

- დედა, მე მხოლოდ გამიხარდება, თუ მათ იყიდიან, ოღონდ, ცხადია, არა

## აგნეს გრეი



### მუქთად [SEP]

- ცდას წინ რა უდგას, ჩემო კარგო? შენ დახატე, მე კი მყიდველს მოვძებნი [SEP]
- როგორ მინდა, მეც დაგეხმაროთ! - ვთქვი მე [SEP]
- მართლა, აგნეს? თუმცა, ვინ იცის! ცუდად არც შენ ხატავ. თუ რამე მარტივ სიუჟეტს მოიფიქრებ, ურიგო ნამდვილად არ გამოვივა [SEP]
- მე კი სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი, დედა, თანაც უკვე დიდი ხანია, მაგრამ ლაპარაკი არ მინდოდა [SEP]
- აქ, რას ამბობ! მაინც რაზე? [SEP]
- გუვერნანტობა მინდა [SEP]

სახტად დარჩენილ დედას გაეცინა, გაოცებულმა მერიმ კი სავერავი დადო და შესძახა [SEP]

- შენ და გუვერნანტობა, აგნეს? ეს რამ გაფიქრებინა? [SEP]
- რა მოხდა? ცხადია, დიდი გოგოების მასწავლებლად არ გამოვდგები, მაგრამ პატარების სწავლას, ალბათ, უპრობლემოდ მოვახერხებ. თანაც ძალიან მინდა! რომ იცოდეთ, როგორ მიყვარს ბავშვები! დედა, გთხოვთ, ნება დამრთოთ. [SEP]

- ჩემო კარგო, შენ ხომ ჭერ სავუთარ თავზე ზრუნვა არ გისწავლია. პატარა ბავშვებთან მუშაობას კი, დიდებთან შედარებით, მეტი ცოდნა და გამოცდილება სჭირდება. [SEP]

- დედა, უკვე მეცხრამეტე წელში გადავდექი და სავუთარ თავზე ზრუნვასაც შევძლებ და სხვებზეც. თქვენ არ იცით, როგორი კეთილგონიერი და წინდახედული ვარ, ვინაიდან ამის დამტკიცების შესაძლებლობა არ მომცემია. [SEP]

- წარმოიდგინე, - თქვა მერიმ, - რა დღეში ჩავარდები სხვის სახლში, სადაც არც მე გეყოლები, არც დედა, და ყველაფრის კეთება და ყველაფერზე პასუხის გაცემა თვითონ მოგიწევს! ამას ბავშვების მოვლა დაუმატე. რჩევასაც კი ვერავის ჰქითხავ. ისიც არ გეცოდინება, როგორ ჩაიცვა! [SEP]

- ასე იმიტომ ფიქრობ, რომ ყველაფერს ისე ვაკეთებ, როგორც მეუბნები, სავუთარი ნებით ვერაფერს ვწყვეტ. აბა, გამომცადე, სხვას არაფერს გთხოვ, და ნახავ, როგორ გავუმკლავდები! [SEP]

## ენ ბრონტე

ამ დროს მამა შემოვიდა. მასაც აუხსნეს, რაზე საუბრობდნენ.<sup>[5]</sup>

- როგორ! ჩემი პატარა აგნესი - გუვერნანტად? - შესძახა მან, გაიცინა და ჩვეული დარდი წამით დაივიწყა.<sup>[6]</sup>

- დიახ, მამა, გთხოვთ, თქვენ მაინც ნუ შემეტინააღმდეგებით! ძალიან მინდა და მჯერა კიდეც, რომ ყველაფერს მშვენივრად გავართმევ თავს.<sup>[7]</sup>

- მაგრამ, ჩემო ვარგო, შენ სახლში გვჭირდები! - თქვა მან და თვალებანყლიანებულმა დაამატა: - არა, არა! როგორც უნდა გვიჭირდეს, ასე ჰქონდებოდი.

- რასაკვირველია, - დაეთანხმა დედა, - ამის საჭიროება არც არსებობს. ეს, უბრალოდ, სულელური ახირებაა. ამიტომ ენას კბილი დააჭირე, საძაგელო გოგონავ. თუ მზად ხარ, რომ მიგვატოვო, ჩვენ ვერაფრით დაგშორდებით, და ეს მშვენივრად იცი.<sup>[8]</sup>

სხვა რა გზა მქონდა - გავჩემდი. მრავალი დღით. მაგრამ ჩემს სანუკვარ გეგმაზე უარს ვერ ვიტყოდი. მერი გულმოდგინედ ხატავდა აკვარელით. მეც ვიჟექი, წინ ფუნქები და საღებავები მეწყო და დახატვას ვცდილობდი, მაგრამ გონებით სხვაგან ვიყავი. რა ვარგია გუვერნანტობა! ქვეყნის ნახვა! ახალი ცხოვრების დაწყება, ყველაფრის თვითონ გადაწყვეტა, ნიჭის გამოვლენა, ძალის მოსინჯვა, საკუთარი თავის შენახვა, მამისთვის, დედისთვის და დისთვის ცოტაოდენი ფულის გადადება და ჩემი გამოკვებისა და ჩაცმისგან მათი გათავისუფლება. მამა დაინახავდა, რა შეეძლო პატარა აგნესს; დედა და მერი დარწმუნდებოდნენ, რომ სულაც არ ვიყავი ისეთი უმწეო და თავქარიანი, როგორიც მათ ეგონათ. ბავშვებზე ზრუნვას, მათ სწავლასა და აღზრდას მომანდობდნენ - ამას რა ჭობდა. ყველა საწინააღმდეგო აზრის მიუხედავად, ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ამ დავალების შესრულება არ გამიჭირდებოდა: საკუთარი ბავშვური აზრებისა და გრძნობების გახსენება გაცილებით მეტად დამეხმარებოდა, ვიდრე უფროსი ადამიანის რჩევა-დარიგება. როგორც კი საკუთარ თავს ჩემი პატარა მოწაფეების ადგილას წარმოვიდგენდი, მაშინვე მივხვდებოდი, როგორ მომეპოვებინა მათი ნდობა და სიყვარული, როგორ გამეღვიძებინა მათში სინანული, მორცხვი გამემსნევებინა, ნაწყენი მენუგეშებინა, კეთილზნეობა ჩვევად მექცია, სწავლა - საინტერესო საქმიანობად, რელიგია კი - მიმზიდველად და გასაგებად.<sup>[9]</sup>

## აგნეს გრეი



...საუცხოო მოვალეობაა, ასწავლო ახალგაზრდა იდეას, როგორ გაიფურჩქნოს! მოეფერო ნორჩ ნერგებს და ყოველდღე დააკვირდე, როგორ ჩნდება და იშლება მათი კვირტები! [1]

გადავწყვიტე, არ გადამეხვია ჩემი მომხიბლავი გეგმისთვის, თუმცა დედის გაბრაზებისა და მამის წყენინების შიშის გამო საკმაოდ დიდხანს ვდუმდი. ბოლოს გავტედე, დედას პირისპირ დაველაპარაკე და ჩემს განზრახვაზე დახმარება გამოვტყუ. შემდეგ მამაც დამეთანხმა, თუმცა უხალისოდ. მართალია, მერი კვლავაც უკმაყოფილოდ ოხრავდა, ჩემი საყვარელი კეთილი დედა გუვერნანტის ადგილის პოვნას შეუდგა. მან ქმრის ნათესავებსაც მისწერა და გაჩეთებში გამოქვეყნებული განცხადებების კითხვაც დაიწყო. თავის ახლობლებთან კი დიდი ხანია აღარ ურთიერთობდა. გათხოვების შემდეგ ისინი იშვიათად თუ გაცვლიდნენ თავაზიან მოკითხვებს, მათთვის ამ საქმეში დახმარების თხოვნა თავისთავად გამოირიცხებოდა. მაგრამ ჩემი მშობლები ისე დიდხანს ცხოვრობდნენ აქტიური სამყაროსგან შორს, რომ შესაფერისი ადგილი მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ გამოჩნდა. როგორც იქნა, ჩემდა სასიხარულოდ, ვინმე მისის ბლუმფილდის ბარტყებზე ზრუნვა შემომთავაზეს. ამ ქალს ჩემი კეთილი და ზედმეტად თავდაჭერილი მამიდა გრეი ჰერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას იცნობდა. მან იგი ძალიან კარგად დაგვიხასიათა. თუმცა მისი ქმარი, ყოფილი ვაჭარი, რომელსაც გვარიანი ქონება დაეგროვებინა და საქმეებს ჩამოშორებოდა, საკუთარი ბავშვების აღმზრდელისთვის ოცდახუთ გირვანქაზე მეტს არ იმეტებდა. სიხარულით დავეთანხმე, მიუხედავად იმისა, რომ, ჩემი მშობლების აზრით, ჰობდა, უარი მეთქვა. [2]

რამდენიმე კვირა მზადებას დავუთმე. მიუხედავად იმისა, რომ ეს დრო ჩემთვის ძალიან გაიწელა და მოწყენილობაც მკლავდა, იმედითა და მგზნებარე მოლოდინით შეპყრობილი, თავს მაინც ბედნიერად ვგრძნობდი. უდიდესი სიამოვნებით ვეხმარებოდი ჩემებს ახალი გარდერობის შექმნასა და სკივრებში ჩალაგებაში. ამ საქმიანობას ნაღველიც ახლდა. როდესაც დილას ყველაფერი გამზადდა და გამგზავრების დრომაც მოაღწია, საშინლად დავმწერდი. ახლობლები ისე სევდიანად შემომცეკეროდნენ და ისე აღერსიანად მესაუბრებოდნენ, რომ ყელში მობჯენილ ტირილს ძლივს

## ენ ბრონტე

ვიკავებდი და ვცდილობდი, მხიარული სახე მიმეღო. უკანასკნელად გავისეირნე მერისთან ერთად მანანებით დაფარულ ბორცვებზე, უკანასკნელად შემოვუარე ბაღსა და სახლს. ერთად ვაჭამეთ მტრედებს -ისე მოშინაურებულებს, რომ ხელისგულებზე გვასხდებოდნენ - და როდესაც ისინი მუხლებზე შემაფრინდნენ, დამშვიდობების ნიშნად, აბრეშუმივით ნაჩ თავებზე მოვეფერე, ჩემს საყვარელ, თოვლივით ქათქათა წყვილს ვი ვეამბორე ვიდეც. უკანასკნელად დავუკარი მელოდია ძველ ფორტეპიანოზე, მამას ვი უკანასკნელად ვუმღერე რომანსი - ვიმედოვნებდი, რომ ეს უკანასკნელი შემთხვევა არ იქნებოდა, მაგრამ მომდევნო შეხვედრამდე ჯერ ისე შორს იყო! „ვინ იცის, იქნებ ეს ყველაფერი მომავალში სულ სხვა გრძნობით გავაკეთო: ვითარება, შესაძლოა, შეიცვალოს და ეს სახლი ჩემთვის ყოველთვის დროებით თავშესაფრად დარჩეს. ჩემი საყვარელი მეგობარი ფისოც, ცხადია, სხვანაირი გახდება. ის თითქმის მოზრდილია, შობისთვის ვი, როდესაც შინ სტუმრად ჩამოვალ, თავისი თამაშებიც დავიწყებული ექნება და სასაცილო ქცევაც“. უკანასკნელად გავერთე მასთან ერთად, შემდეგ ვი დავჭექი და მანამ ვუსვი ხელი ფაფუკ ბეწვზე, სანამ კრუტუნ-კრუტუნით ჩემს მუხლებზე არ ჩაეძინა - აქაც გამიჭირდა სევდის დამალვა. აი, დაწოლის დროც მოვიდა და მერისთან ერთად ჩვენს პატარა საძინებელში წავედი, სადაც წიგნების კარადაში, ჩემს უკრებსა და თაროებზე აღარაფერი ეწყო, და სადაც მერის, როგორც თვითონ თქვა, ამიერიდან მარტოვას, მოწყენილობაში მოუწევდა ძილი. გული ვიდევ უფრო დამიმძიმდა. მომეჩვენა, რადგან დას ვტოვებდი, ეგოისტურად და ცუდად ვიქცეოდი. როდესაც ჩვენი საწოლის სიახლოვეს მუხლებზე დავეშვი, მისთვისაც და მშობლებისთვისაც უჩვეულოდ მხურვალედ ვიღოცე. საკუთარი გრძნობების დასაფარავად სახეზე ხელები ავითარე, ისინი მაშინვე ცრემლებმა დამისველა. წამოდგომისას დავინახე, რომ მერიც ტიროდა. არაფერი გვითქვამს, მხოლოდ ერთმანეთს ჩავეკონეთ, როცა დავწექით, რადგან მალე განშორება გველოდა. [5]

დილამ კვლავ იმედით აღგვავსო და სულის სიმხნევე შეგვმატა. გამგზავრება ადრიანად მიწევდა, რათა ეტლს (ორთვალას, რომელიც მისტერ სმიტისგან - ჩვენს სოფელში მანუფაქტურით, ჩაითა და ვების პროდუქტებით მოვაჭრისგან ვიქირავეთ) იმავე დღეს მოესწრო უკან დაბრუნება. ავდექი,

## აგნეს გრეი



ხელ-პირი დავიბანე, ჩავიცვი, ნაჩქარევად ვისაუზმე, მამას, დედასა და დას გადავეხვიე, კატას ვაკოცე, - რამაც საღი, ჩვენი მსახური, საშინლად აღამფოთა, - ხელი ჩამოვართვი, ეტლში ავედი და სახეზე პირბადე ჩამოვითარე. შემდეგ კი, მხოლოდ შემდეგ, ავტირდი. ორთვალა გზას გაუდგა. უკან მივიხედე. საყვარელი დედა და და კვლავაც კართან იდგნენ და ხელს მიქნევდნენ. მეც დავუქნიე და ღმერთს მათი დალოცვა შევთხოვე. მალე დაღმართი დაიწყო და ყველანი თვალს მიეთარნენ.<sup>[SEP]</sup>

- თქვენთვის საკმაოდ ციფი დილაა, მის აგნეს, - მითხრა მისტერ სმიტმა, - ცაც იქუფრება. მაგრამ არაფერია, მანამ მიგიყვანთ, სანამ წვიმა დასცხებდეს.<sup>[SEP]</sup>

- დიახ, ვიმედოვნებ, - მივუგე, შეძლებისდაგვარად, მშვიდად.<sup>[SEP]</sup>

- ღამით ძლიერად წვიმდა.<sup>[SEP]</sup>

- დიახ.<sup>[SEP]</sup>

- ციფი ქარი ქრის, მაგრამ წვიმა ჩააცხრობს.<sup>[SEP]</sup>

- ალბათ.<sup>[SEP]</sup>

ამით ჩვენი საუბარი დასრულდა. ხეობა უკან დარჩა და მოპირდაპირე ფერდობზე შევუდექით ასვლას. კვლავ უკან მივიხედე და სამრეკლო, იმას იქით კი ჩვენი ძველი ნაცრისფერი სახლი დავინახე, რომელსაც სწორედ ამ დროს დაეცა მზის სხივი. ერთადერთი სხივი - სოფელსა და მის გარშემო მდებარე ბორცვებს ჩრდილი გადაჰფენოდა. ეს სასიკეთოდ მენიშნა და გამიხარდა. ხელისგულები შევაერთე, ღმერთს სახლის ბინადართათვის შეწევნა ვთხოვე და მაშინვე წინ გავიხედე, რადგან სხივი გაქრა, პირქუშ ბინდუნდში ჩაძირული სახლის ნახვა კი არ მსურდა.<sup>[SEP]</sup>

## თავი II -<sup>[P][T][P]</sup> აღზრდის ხელოვნების

### პირველი გაკვეთილები

ორთვალა წინ მიექანებოდა. კვლავ გამოვცოცხლდი და სიამოვნებით გადავეშვი ჩემს ახალ ცხოვრებასთან დაკავშირებულ ფიქრებში. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ სექტემბრის მეორე ნახევარი იწყებოდა,

## ენ ბრონტე

მოქუფრული ცისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის ძლიერი ქარის გამო, ძალიან ციოდა. მომეჩვენა, რომ მგზავრობა გაიწელა. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ, როგორც სმიტმა განაცხადა, „ძალიან მძიმე“ გზები იყო. მისი ცხენი ძლივს მიბობღავდა ფერდობზე, დაღმართხე მოკლე-მოკლე ნაბიჯებით ჩადიოდა, ჩორთხე კი მხოლოდ ლარივით სწორ ან ოდნავ დახრილ გზაზე გადადიოდა, რაც გორაკებიან მხარეში იშვიათობას წარმოადგენდა. ამიტომ დანიშნულების პუნქტს მხოლოდ დღის პირველ საათზე მივაღწიეთ. როგორც კი რვინის მაღალი ჭიშვარი გავიარეთ, მდოვრედ შევსრიალდით გლუვ, კარგად დატვეპნილ მწვანე მდელოებს შორის მოქცეულ ხეივანში, რომლის ორივე მხარეს ახალგაზრდა ხეები ჩამწკრივებულიყო, და უელვუდის ახალი, მაგრამ დიდებული სასახლე დავინახეთ. კვლავ შიშმა შემიპყრო, გული დამწყდა, რომ რამდენიმე მიღით შორს არ მდებარეობდა. ცხოვრებაში პირველად დავრჩი სრულიად მარტო, მაგრამ უკან ვეღარ დავიხევდი. ამ სახლში უნდა შევსულიყავი და ამიერიდან ჩემთვის უცხო მობინადრეთა გვერდით მეცხოვრა. მაგრამ როგორ? მართალია, მაღე ცხრამეტი წელი შემისრულდებოდა, ჩვენმა განმარტოებულმა ცხოვრებამ, დედისა და დის ალერსით აღსავსე მზრუნველობამ ამისთვის ცუდად შემამზადა. ვხვდებოდი, რომ თხუთმეტი წლის ან თუნდაც უფრო ახალგაზრდა ბევრ გოგონას ჩემზე გაცილებით მეტი ქალურობა, ბუნებრიობა და თავდაჭერებულობა გააჩნდა. თუმცა, თუ მისის ბლუმფილდი გულვეთილი და გულდია იქნებოდა, ალბათ, მეც ყველაფერს გავუმკლავდებოდი. ბავშვებთან, რასაკვირველია, სრულიად თავისუფლად ვიგრძნობდი თავს, რაც შეეხება მისტერ ბლუმფილდს... ვიმედოვნებდი, რომ მას იშვიათად შევხვდებოდი.<sup>[5]</sup>

„მშვიდად იყავი, რაც უნდა მოხდეს, მშვიდად იყავი“, - ვუმეორებდი საკუთარ თავს და ისე ბეჭითად ვასრულებდი ამ რჩევას, ისე მონდომებით ვცდილობდი ნერვების დაწყნარებასა და გულის ბაგაბუგის შესუსტებას, რომ შემაგვიანდა კიდეც მისის ბლუმფილდის თავაზიან მოსალმებაზე პასუხის გაცემა, როდესაც ლაქიამ კარი გამიღო და მასთან შემიძღვა. ცოცხალ-მკვდარივით თუ ძილ-ღვიძილში მყოფივით ჩავიბურტყუნე რამდენიმე სიტყვა. დიასახლისიც ცივად გამომელაპარაკა, რაც მხოლოდ მოგვიანებით გავაცნობიერე. იგი მაღალი, გამხდარი, თავდაჭერილი ქალი იყო ხშირი შავი

## აგნეს გრეი



თმით, ყინულივით ციფი, ნაცრისფერი თვალებითა და ავადმყოფური სახით.<sup>[SEP]</sup>

მისის ბლუმფილდი, საკმაოდ თავაზიანად, თვითონ ამომყვა კიბეზე ჩემს ოთახამდე და იქ დამტოვა, რათა თავი მომენესრიგებინა. სარკეში ჩავიხედე და შევძრწუნდი: სიცივისგან ხელები გამნითლებოდა და შემშუპებოდა, ქარს თმა გაეწენა და სახე გაეიისფრებინა. ამასთან, საყელო საშინლად დამჭმუჭნოდა, კაბა ტალასს მოეთხვარა, ისევე, როგორც სქელძირიანი ყელიანი ფეხსაცმელი. ჩემი სკივრები ჭერ არ მოეტანათ. ამიტომ მხოლოდ თმა დავივარცხნე ხელით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, გაჭიუტებული საყელო ნაწილობრივ გავისწორე, ხმამაღალი ბაკუნით ჩავიარე კიბე, თავი ფილოსოფიური აზრებით ვინუგეშე და გაჭირვებით მოვძებნე ოთახი, სადაც მისის ბლუმფილდი მელოდებოდა.<sup>[SEP]</sup>

იგი სასადილოში შემიძღვა. ოჯახური ლანჩის შემდეგ მაგიდა ჭერ არ აელაგებინათ. თეფშე ბიფტექსის ნაჭერი და გრილი კარტოფილი დამიდეს. სანამ მოვღონიერდებოდი, ჩემ ჰირდაპირ მჯდომი მისის ბლუმფილდი მაკვირდებოდა (როგორც მომეჩვენა) და შიგადამიგ ცივად წარმოთქვამდა საყოველთაოდ მიღებულ ფრაზებს. შესაძლოა, ამაში ბრალი მე მიმიძღოდა, ვინაიდან ლაპარაკის თავი არ მქონდა და, რომ არ დაგიმალოთ, მთელი ყურადღება ბიფტექსისთვის მიმეპყრო. არა იმიტომ, რომ შიმშილი მტანჭავდა - უბრალოდ, ის ძალიან მაგარი აღმოჩნდა, ხუთი საათის განმავლობაში ცივ ქარში ყოფნის შემდეგ კი ხელები თითქმის არ მემორილებოდა. სიამოვნებით დავკმაყოფილდებოდი მხოლოდ კარტოფილით, მაგრამ უბრდელობაში ჩამეთვლებოდა, ბიფტექსისთვის ხელი რომ არ მეხსლო. მრისხანე ქალბატონის მზერის ქვეშ მრავალჭერ ამაოდ ვცადე დანით, ჩანგლით ან ორივეთი ერთად მისი გაჭრა, ბოლოს კი, სასოწარკვეთილმა, ორი წლის ბავშვივით, დანა და ჩანგალი ჩავბდუჭე და უკანასკნელი ძალ-ღონე მოვიკრიბე. ვგრძნობდი, რომ თავი უნდა მემართლებინა, ამიტომ ოდნავ ჩავიცინე და ვთქვი:<sup>[SEP]</sup>

- სიცივისგან ხელები ისე გამიშეშდა, დანა-ჩანგლის დაჭერაც კი მიჭირს.<sup>[SEP]</sup>
- დიახ, დღეს საკმაოდ ციფა, - მიპასუხა ქალმა ცივად და აღუშფოთებლად, რამაც ოდნავაც ვერ გამამხნევა.<sup>[SEP]</sup>

ცერემონიის დასრულების შემდეგ, მისის ბლუმფილმა სასტუმრო ოთახში

## ენ ბრონტე

შემიყვანა და ბავშვების მოყვანა ბრძანა.<sup>[SEP]</sup>

- შესაძლოა, მათ ცოდნა აკლიათ კიდეც, - თქვა მან, - მაგრამ მე დრო თითქმის არა მაქვს, გუვერნანტისთვის კი, ჩვენი აზრით, ჯერ პატარები იყვნენ. თუმცა, ვფიქრობ, ჭვიანები და საზრიანები არიან. ეს, განსაკუთრებით, ბიჭს ეხება. უნდა გითხრათ, რომ ნამდვილი მშვენებაა თავისი კეთილშობილი და ამაღლებული სულით. მას ხელმძღვანელობა სჭირდება და არა მბრძანებლობა. არა, საოცრებაა პირდაპირ! ყოველთვის სიმართლეს ამბობს, ტყუილი ებიზღება („შესანიშნავია“, - გავიფიქრე). მისი და, მერი ენი, მეტ ყურადღებას მოითხოვს, თუმცა ისიც ძალიან ვარგი გოგოა. ოღონდ მინდა, რომ საბავშვო ოთახში იშვიათად იყოს. იგი თითქმის ექვსი წლისაა და შესაძლოა, ძიძისგან ცუდითვისებები გადმოიღოს. ვბრძანე, მისი საწოლი თქვენს ოთახში დაედგათ. თუ იმდენ თავაზიანობას გამოიჩენთ, რომ თვითონ მიხედავთ მის დაბანას, ჩაცმასა და სამოსს, უძიძოდაც მშვენივრად გავა ფონს.<sup>[P]</sup>

მივუგე, რომ ამ ყველაფერს სიამოვნებით ავიღებდი საკუთარ თავზე. ამ დროს ოთახში ჩემი მოწაფეები შემოვიდნენ უმცროსი დების თანხლებით. მისტერ ტომ ბლუმფილდი შვიდი წლის მაღალი, ჭირვივით ბიჭი აღმოჩნდა ჩალისფერი თმით, ცისფერი თვალებით, პაჭუა ცხვირითა და ვარდისფერი ლოყებით. სიმაღლით, თავის ასაკთან შედარებით, მერი ენიც გამოირჩეოდა. დედისგან მუქი თმა დაჰყოლოდა, მაგრამ მრგვალი და ვარდისფერი სახე ჰქონდა. ფანი, მისი უმცროსი დაიკო, ძალიან ლამაზი მომეჩვენა. მისის ბლუმფილდმა ამისსნა, რომ თვინიერი ბავშვი იყო და გამხნევება სჭირდებოდა. ჯერ არაფერი ესწავლა. მაგრამ დღე დღეზე ოთხი წლის გახდებოდა და ანბანის ხელში აღება და საკლასო ოთახში მეცადინეობა მოუწევდა. ყველაზე პატარამ, ორი წლის პარიეტმა, მსუქანმა, მხიარულმა და ალერსიანმა გოგონამ, ყველაზე მეტად მომხიბლა, თუმცა იგი ჯერ ძიძის განვარგულებაში რჩებოდა.<sup>[SEP]</sup>

ჩემს პატარა მოწაფეებს, შეძლებისდაგვარად, გულთბილად გამოველაპარაკე და მათთვის თავის მოწონება ვცადე - ვშიშობ, წარუმატებლად, ვინაიდან მათი დედის იქ ყოფნა ძალიან მბოჭავდა. ბავშვები კი, პირიქით, ჩემდა გასაოცრად, სულაც არ მორცხვობდნენ და

## აგნეს გრეი



სიმკვირცხლითა და ხალისით გამოირჩეოდნენ. გულით მჯეროდა, რომ მალე დავიმსახურებდი მათ სიმპათიას - განსაკუთრებით ბიჭისას, რომელიც დედამისმა ასე მიმზიდველად დამიხასიათა. მერი ენში სინანულით აღმოვაჩინე უსიამოვნო კეკლუცობა და ყურადღების მიყრობის სურვილი, მაგრამ ახლა მთლიანად მის ძმაზე გადავერთე. იგი ჩემსა და ბუხარს შორის იდგა და ზურგს უკან ხელებდაწყობილი ნამდვილი ორატორივით ლაპარაკობდა, თუმცა ზოგჯერ თემას გადაუხვევდა, რათა დებისთვის შეეძახა, როცა ისინი სიტყვის ჩართვას ცდილობდნენ.<sup>[SEP]</sup>

- აჰ, ტომ, ძვირფასო! - შესძახა მისის ბლუმფილდმა, - მოდი, დედიკოს აკოცე, შემდეგ ვი, თუ გინდა, მის გრეის შენი საკლასო ოთახი და მშვენიერი ახალი წიგნები აჩვენენ.<sup>[SEP]</sup>

- კოცნა არ მინდა, დედა, მაგრამ მის გრეის ჩემს საკლასო ოთახსა და ახალ წიგნებს ვაჩვენებ.<sup>[SEP]</sup>

- და ჩემს საკლასო ოთახს და ჩემს ახალ წიგნებს, ტომ, - განაცხადა მერი ენმა, - ისინი ჩემიცაა, ჩემიც.<sup>[SEP]</sup>

- არა, ჩემია, - გადაჭრით მიუგო ბიჭმა, - წამოდით, მის გრეი, გაგაცილებთ.<sup>[SEP]</sup>

როდესაც ოთახი და წიგნები მიჩვენეს, რასაც თან და-ძმას შორის ატეხილი აყალმაყალი ახლდა, რომლის აღკვეთასაც უშედეგოდ ვცდილობდი, მერი ენმა თავისი თოჭინა მომიტანა და დაწვრილებით შეუდგა მოყოლას მისი ლამაზი ვაბების, საწოლის, ვამოდისა და სხვა ნივთების შესახებ. მაგრამ მალე ტომმა უბრძანა, ენა ჩაეგდო, რადგან მის გრეის მისი ცხენი უნდა ენახა, რომელიც გაბლენძილი სახით გამოათრია კუთხიდან და ხმამაღლა მოითხოვა ჩემი ყურადღება. შემდეგ დას სადაცე შეაჩეჩა, ცხენზე ამხედრდა და მაიძულა, ათი წუთის განმავლობაში მეცქირა, როგორ ქანაობდა მასზე, თან, თავზე ხელაღებული ვავალერისტივით დაუზოგავად სცემდა მათრახსა და დეზებს. თუმცა მოვახერხე და, იმავდროულად, მერი ენის თოჭინა და მისი ვაბებიც შევათვალიერე. მასტერ ტომს ვი ცხენზე ჭდომა შევუქე და ვუთხარი, ვიმედოვნებ, ცოცხალ პონის მათრახითა და დეზებით ასე სასტიკად არ მოეპყრობი-მეთქი.<sup>[SEP]</sup>

- არა, აუცილებლად ასე მოვექცევი! - მიპასუხა მან და ძალისხმევა

## ენ ბრონტე

გააორმავა, - რომ იცოდეთ, რა დღეს დავაყრი! ოფლში გავწურავ, სიტყვას გაძლევთ! [SEP]

მისმა პასუხმა უსიამოვნოდ გამაოცა, მაგრამ იმედიანად გავითიქრე, რომ დროთა განმავლობაში მასში კეთილი თვისებების გაღვიძებას შევძლებდი. [SEP]

- ახლა კი შლაპა დაიხურეთ და შალი მოისხით! - ბრძანა ნორჩმა ვმირმა,  
- ჩემს ბალს გიჩვენებთ. [SEP]

- ჩემსასაც! - შესძახა მერი ენმა. [SEP]

ტომმა მას მუშტი მოუღერა. გოგონამ ხმამაღლა შევკიფლა, ოთახის მეორე კუთხისკენ გაიქცა და ძმას ენა გამოუყო. [SEP]

- ტომ, ცხადია, დაიკოს არ დაარტყამ! ვიმედოვნებ, მსგავსი სცენის ნახვა არ მომიწევს. [SEP]

- არა, მოგიწევთ. ზოგჯერ. თვალი უნდა მივადევნო, რომ კარგად მოიქცეს. [SEP]

- ეს ხომ შენი საქმე არაა... [SEP]

- შლაპა დაიხურეთ! [SEP]

- უნდა გითხრა... ციფი და ღრუბლიანი დღეა. საცაა, გაწვიმდება... თანაც დიდხანს ვმგზავრობდი... [SEP]

- მერე რა, მაინც უნდა წამოხვიდეთ: ბოდიშს არ მივიღებ, - მიპასუხა ქედმაღალმა პატარა ჰენტლმენმა. [SEP]

გადავწყვიტე, ჩვენი გაცნობის პირველ დღეს მის ახირებას დაყყოლოდი. მერი ენი ასეთ სიცივეში გარეთ ვერ გავიდოდა და იგი თავის მოსიყვარულე დედასთან ერთად დარჩა, რამაც უდიდესი სიამოვნება მოჰვარა მის ძმას, რომელსაც არ უნდოდა, ყურადღება სხვისთვისაც მეწილადებინა. [SEP]

ვრცელი ბალი გემოვნებით მოეწყოთ. ჰერაც ჰყვაოდა გეორგინები და ზოგიერთი ნაგვიანევი ყვავილი, მაგრამ ჩემმა პატარა თანამგზავრმა დატვირთების შესაძლებლობა არ მომცა: სველი ბალახის გავლით შორეულ შემოღობილ კუთხეში, საუკეთესო ადგილას წამიყვანა - იქ ხომ მისი საკუთარი ბალი მდებარეობდა. სხვადასხვა მცენარისგან შემდგარი ორი მრგვალი ყვავილნარი დავინახე - ერთის შუაგულში მშვენიერი ვარდისფერი ხე ამოზრდილიყო - და საუცხოო ვარდების დასათვალიერებლად შევჩერდი. [SEP]

## აგნეს გრეი



- წამოდით! - ენით აუწერელი ზიზღით თქვა მასტერ ტომმა, - ეს ხომ მერი ენის ბალია. აი, ჩემი! [SEP]

მას შემდეგ, რაც თითოეული ყვავილი დავათვალიერე და ყოველი მათგანის შესახებ ლექცია მოვისმინე, წასვლის ნებართვა მივიღე. ოღონდ მანამდე მედიდური სახით მოწყვიტა ასტრა და ისე გამომინოდა, თითქოს დიდი პატივი დამღვრო. უეცრად ბალახში ჭოხებისა და ზონრებისგან გავეთებულ რაღაც მოწყობილობას მოვკარი თვალი და ვკითხე, ეს რა არის-მეთქი. [SEP]

- ვაკანათია ჩიტებისთვის. [SEP]

- რატომ იქნერ მათ? [SEP]

- მამა ამბობს, მავნებლები არიანო. [SEP]

- დაჭერის შემდეგ რას უშვრები? [SEP]

- ხან რას, ხან რას. ზოგჯერ ვატას ვაჭმევ, ზოგჯერ ჩემი ჭაყვით ვანაწევრებ. მომდევნოს ვი ცოცხლად შევწვავ. [SEP]

- ასეთი საშინელება რამ მოგაფიქრებინა? [SEP]

- მაინტერესებს, რამდენ ხანს გაძლებს. შემდეგ ვი გემოს გავუსინჯავ. [SEP]

- ნუთუ არ იცი, რომ ეს ცუდი საქციელია? გაიხსენე, ჩიტები ხომ ისევე გრძნობენ ტვიცილს, როგორც შენ. განა მათ ადგილას ყოფნა მოგეწონებოდა? [SEP]

- დიდი ამბავი! მე ხომ ჩიტი არა ვარ. თანაც, რაც უნდა გავუკეთო, თვითონ ვერაფერს ვვრძნობ. [SEP]

- ოდესმე შენც იგრძნობ ამას, ტომ! ხომ იცი, სად ხვდებიან ცუდი ადამიანები სიკვდილის შემდეგ. თუ ამ საბრალო, უდანაშაულო ჩიტების წვალებას არ შეწყვეტ, იქ მოხვდები და ისევე დაიტანჯები, როგორც მათ ტანჯავდი. [SEP]

- არა, არა! არსადაც არ მოვხვდები. მამამ იცის, რასაც ვაკეთებ, მაგრამ არასდროს მიბრაზდება. მითხრა, შენხელა რომ ვიყავი, მეც ასე ვიქცეოდიო. ზაფხულში ბუდეში ჩასმული ბეღურები მომიყვანა და უყურებდა, როგორ ვაძრობდი მათ ფეხებს, ფრთებსა და თავს. მხოლოდ გამაფრთხილა, საზიზღარი არსებები არიან და შარვალი არ დაისვაროთ. ბიძია რობსონიც მიყურებდა და იცინოდა. შემაქო კიდეც. [SEP]

- დედამ რა გითხრა? [SEP]

- მისთვის სულერთია! ამბობს, ლამაზი მომღერალი ჩიტები მოსაკლავად ცოდვაა, საძაგელ ბეღურებს, თავვებსა და ვირთხებს ისე მოექეცი, როგორც მოისურვებო. ხომ ხედავთ, მის გრეი, ამაში ცუდი არაფერია. [SEP]

- ჩემი აზრით კი, ცუდია, ტომ. ვფიქრობ, ამაში შენი მშობლებიც დამეთანხმებიან, თუ კარგად დაფიქრდებიან. [SEP]

გუნებაში კი დავამატე: „რაც უნდათ, ის თქვან, მაგრამ სანამ ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ ხარ, მსგავსს არაფერს დაფუშვებ!“ [SEP]

შემდეგ მან მდელოს გავლით თხუნელებისთვის, იქიდან კი, უკანა ეზოში, სინდიოფალებისთვის დაგებული ხაფანგების სანახავად წამიყვანა. ერთ-ერთ მათგანში მკვდარი ცხოველი აღმოჩნდა, რამაც აღაფრთოვანა. ბოლოს საჯინიბოსკენ გამიძღვა, რათა საფერხე ცხენები კი არა, პატარა ბანჯგვლიანი კვიცი ეჩვენებინა. მითხრა, რომ ეს მისი ცხენი იყო, რომელზეც მაშინ შექდებოდა, როდესაც უნაგირს დაადგამდნენ. ვცდილობდი, ბიჭისთვის მესიამოვნებინა და მის ლაქლაქს მოთმინებით ვუსმენდი, რადგან მისი სიყვარულის მოპოვება გადავწყვიტე, ცხადია, თუ მას რამის სიყვარული შეეძლო. ასეთ შემთხვევაში, თანდათანობით გამოსწორებაში დავეხმარებოდი. მაგრამ ამაოდ ვცდილობდი მასში იმ კეთილშობილი და ამაღლებული სულის ჰოვნას, რომლის შესახებაც დედამისი მიამბობდა. ვერც იმას უარვყოფ, რომ საკმაოდ სხარტი გონებითა და გამჭრიახობით გამოირჩეოდა, როდესაც ტრაბახის ხასიათზე დგებოდა. [SEP]

სახლში ჩაის სმის წინ დავბრუნდით. მასტერ ტომმა მამცნო, რომ მამამისი შინ არ იყო, ამიტომ ის და მერი ჩაის დედასთან ერთად დალევდნენ. იგი მათ ყოველთვის უწყობდა ასეთ ზეიმს და, ლანჩის ნაცვლად, მათთან ერთად სადილობდა. ჩაის შემდეგ მერი ენი მალევე წავიდა დასაძინებლად, ტომი კი თავისი საზოგადოებითა და საუბრით რვა საათამდე მართობდა. როდესაც, როგორც იქნა, ისიც დამემშვიდობა, მისის ბლუმფილდმა კვლავ განაგრძო ჩემი გათვითცნობიერება, დაწვრილებით აღმინერა შვილების განსაკუთრებული ხასიათი და იშვიათი ნიჭიერება. ამისსნა, რა უნდა მესწავლებინა მათვის, როგორ უნდა მოვქცეოდი, ბოლოს კი გამაფრთხილა, რომ თუ რამეს დააშავებდნენ, მის გარდა, არავისთვის

## აგნეს გრეი



გამემხილა. დედაბექის რჩევა გამახსენდა, - თუ ასეთი რამ მოხდა, სწორედ მას შეატყობინე ყველაზე იშვიათადო. აღამიანებს არ უყვართ, როდესაც მათი შვილების ცუდ თვისებებსა და საქციელზე მიუთითებენ. გადავწყვიტე, რომ მსგავს შემთხვევებში არავის არაფერს ვეტყოდი.<sup>[SEP]</sup>

დაახლოებით ცხრის ნახევარზე მისის ბლუმფილდმა მოკრძალებულ ვახშამზე მიმიწვია (ცივი ხორცი და პური), რის შემდეგაც სანთელი აიღო და თავისი საძინებლისკენ გაემართა. გამიხარდა, რადგან, ძალისხმევის მიუხედავად, მისი საზოგადოება უაღრესად მთრგუნავდა. ბოლოს დავასკვენი, რომ იგი ცივი, მკაცრი და ამპარტავანი ქალი იყო - ანუ სრულიად განსხვავებული იმ კეთილი, ალერსიანი და შემწყნარებლური დიასახლისისგან, რომელსაც ასე იმედიანად ვხატავდი ჩემს გონიერაში.<sup>[P]</sup>

## თავი III - [P T P] კიდევ რამდენიმე გაკვეთილი

მეორე დღეს, განცდილი იმედგაცრუების მიუხედავად, იმედით აღვსილმა გავიღვიძე, თუმცა მაშინვე დავრწმუნდი, რომ მერი ენის მოწესრიგება არცთუ ადვილი საქმე იყო: მისი ხშირი თმა უნდა დამევარცხნა, პომადა წამესვა, სამი გრძელი ნაზნავი დამეწნა და ბაფთები შემება. მიუჩვეველი თითებით ამის შესრულება ძალიან გამიჭირდა. მან მითხრა, რომ ძირა ორჯერ უფრო სწრაფად დავარცხნიდა, თან მოუთმენლობისგან ისე წრიალებდა და ცქმუტავდა, რომ არაფერი გამომდიოდა. მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და ჩვენც ბოლოს საკლასო ოთახში ჩავედით, სადაც უკვე ტომი მელოდებოდა. მე მათ გავესაუბრე, სანამ სასადილო ოთახში საუზმობის დრო არ დადგა. საუზმის დასრულებისა და მისის ბლუმფილდთან რამდენიმე თავაზიანი ფრაზის გაცვლის შემდეგ, ბავშვები ჩემოთ წავიყვანე სამეცადინოდ. ისინი ძალიან განუვითარებელნი აღმოჩნდნენ. ტომს ნიჭიერება არ აკლდა, თუმცა გონების დაძაბვა აშვარად არ უყვარდა. მერი უმარტივეს სიტყვებსაც კი ვერ კითხულობდა და ისეთი დაბნეული და უყურადღებო იყო, რომ თავში არაფერი შესდიოდა. უდიდესი ძალისხმევისა და მოთმინების ფასად, გაკვეთილის ბოლოს რაღაც წარმატებას მაინც მივაღწიეთ და ჩემს აღსაზრდელებთან ერთად ბაღში გავედი სადილის წინ

## ენ ბრონტე

გასასეირნებლად. ერთმანეთს საკმაოდ კარგად შევეწყვეთ, თუმცა მაშინვე გაირკვა, რომ მე კი არ მიმყავდა ისინი იქ, სადაც საჭიროდ მიმაჩნდა, არამედ ისინი მიმათრევდნენ, სადაც მოეპრიანებოდათ. უნდა ვმდგარიყავი, მევლო, მერბინა - გააჩნია, რას მოისურვებდნენ. ცხადია, ჩემი აზრით, ყველაფერი პირიქით უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ მათ, ძირითადად, ყველაზე ბინძური ადგილები და სულელური გასართობები იზიდავდათ. პირველ დღეს განსაკუთრებული სატყუარას როლი მდელოს ბოლოში მდებარე წყარომ შეასრულა - ნახევარი საათის განმავლობაში მასში ქვებს ისროდნენ და წყალს ჭოხებს ურტყამდნენ. მეშინოდა, ვაითუ ბავშვების დედამ ფანჯარაში გამოიხედოს და განრისხდეს, ხელი რომ არ შევუშალე ტალახში მათ ამოთხვრას, ფეხებისა და სახელოების დასველებას და დინჯად არ ვასერინე ბილიკებზე. მაგრამ ვერც არგუმენტებით, ვერც ბრძანებით და ვერც თხოვნით იქაურობას ვერ მოვაცილე. ისინი მისის ბლუმფილდს არ დაუნახავს, სამაგიეროდ, ცხენზე ამხედრებულმა ჰენტლმენმა დაინახა, რომელიც ჭიშკარში შემოვიდა და სახლისკენ გაემართა. როდესაც მოგვიახლოვდა, ცხენი შეაყენა და გაბრაზებულმა უბრძანა ბავშვებს, წყლისგან თავი შორს დაეჭირათ.<sup>SEP</sup>

- მის გრეი! თქვენ ხომ მის გრეი ხართ, არა? მიკვირს, როგორ დაუშვით, ასე დასვრილიყვნენ! ნუთუ ვერ ხედავთ, რა დღეშია მის ბლუმფილდის კაბა? ან როგორი სველია მასტერ ბლუმფილდის წინდები? ხელთათმანებიც რომ არ უკეთიათ? ჰმ! ჰმ! იქნებ კეთილინებოთ და ამიერიდან თვალი მიადევნოთ, რომ რიგიანად მაინც გამოიყურებოდნენ.<sup>SEP</sup>

შეტრიალდა და ჩაქჩაქით გაუყვა გზას. ეს მისტერ ბლუმფილდი იყო. გამიკვირდა, საკუთარ შვილებს „მის ბლუმფილდსა“ და „მასტერ ბლუმფილდს“ რომ უწოდებდა, უფრო მეტად კი იმან გამაოცა, რომ ასე უხეშად მესაუბრა - მათ გუვერნანტს, რომელსაც ცხოვრებაში პირველად ხედავდა. მალე სადილობის მაუწყებელმა ზარმა სახლში გვიხმო. დღის პირველ საათზე ბავშვებთან ერთად ვისადილე, მისტერ ბლუმფილდმა და მისმა მეუღლემ კი იმავე მაგიდასთან ლანჩი მიირთვეს. სახლის პატრონის საქციელმა ჩემს თვალში მას ბევრი ვერაფერი შემატა. ოცდათხუთმეტი წლის იქნებოდა, ოდნავ მეტის ან ნაკლების, საშუალო სიმაღლის, საშუალოზე

## აგნეს გრეი



დაბალიც კი. უფრო გამხდარი ეთქმოდა, ვიდრე მოსული. პქონდა გამორჩეულად ფართო პირი, ფერმკრთალი, მიწისფერი სახე, წყლიანი ცისფერი თვალები და ძენძისფერი თმა. მის წინ ცხვრის შემწვარი ფეხი იდო, საიდანაც თითო ნაჭერი მოგვიწრა მე, მისის ბლუმფილდსა და ბავშვებს და მოისურვა, რომ მასტერ ბლუმფილდისა და მის ბლუმფილდის ულუფები დამექუცმაცებინა. შემდეგ შემწვარი ხორცი ყოველი მხრიდან შეათვალიერა, განაცხადა, ამის ჭამა შეუძლებელიაო, და ცივი საქონლის ხორცი მოითხოვა.<sup>[SEP]</sup>

- ცხვრის ხორცი რატომ არ მოგეწონათ, ძვირფასო? - პკითხა მეუღლემ.<sup>[SEP]</sup>  
- ზედმეტად შემწვარია. ნუთუ ვერ შეამჩნიეთ, რომ წვენის ნასახიც აღარ შერჩა? იმასაც ვერ ხედავთ, რომ სოუსიც სულ დამშრალა?<sup>[SEP]</sup>

- ვფიქრობ, საქონლის ხორცი მოგეწონებათ.<sup>[SEP]</sup>  
ოჯახის უფროსს საქონლის ხორცი დაუდეს. იგი მოჭრას შეუდგა, მაგრამ ამას აშვარად უკმაყოფილო სახით აკეთებდა.<sup>[SEP]</sup>  
- საქონლის ხორცს რაღა დაემართა, მისტერ ბლუმფილდ? მომეჩვენა, რომ მშვენიერი იყო.<sup>[SEP]</sup>  
- ის მართლაც მშვენიერი იყო. ამაზე უკეთეს ნაჭრებს კაცი ვერ ინატრებს, მაგრამ დასახიჩრებულია, - მწუხარედ განაცხადა მან.<sup>[SEP]</sup>

- როგორ?<sup>[SEP]</sup>  
- როგორ! ნუთუ ვერ ხედავთ, როგორაა დანაკუნებული? ძვირფასო... ძვირფასო! ეს აღმაშოთებელია!<sup>[SEP]</sup>  
- მაშასადამე, სამზარეულოში არასწორად დაუჭრიათ. გუშინ წესისამებრ დავჭერი.<sup>[SEP]</sup>  
- დიახ, რა თქმა უნდა, სამზარეულოში დაანაკუნეს... ველურები! ოჟ... ოჟ! ოდესმე თუ გინახავთ, ხორცის საუკეთესო ნაჭერი ასე გაეუბედურებინოთ? თუ შეიძლება, იზრუნეთ, რომ მაგიდიდან აღებულ საჭმელს სამზარეულოში ხელი აღარ ახლონ. დაიმახსოვრეთ, მისის ბლუმფილდ!<sup>[SEP]</sup>

ჭენტლმენმა იმ, მისი თქმით, გაუბედურებული ხორცისგანაც მოახერხა რამდენიმე მადის აღმძვრელი ნაჭრის ჩამოთლა და ნაწილი უსიტყვოდ გადასანსლა. შემდეგ ბუზღუნით დაინტერესდა, სადილად რა იქნებაო.<sup>[SEP]</sup>

- ინდაურის ხორცი და ჟრუნი, - გაისმა ამომწურავი პასუხი.<sup>[SEP]</sup>

## ენ ბრონტე

- კიდევ? [SEP]

- თევზი. [SEP]

- რომელი თევზი? [SEP]

- არ ვიცი. [SEP]

- არ იცით? - შესძახა ვაცმა დიდი ამბით, თავი ასწია და გაოცებულმა დანა-ჩანგლიანი ხელები ვეღარ გაატოვა. [SEP]

- არა. მზარეულს თევზის მომზადება ვუბრძანე, მაგრამ არ დამიკონკრეტებია. [SEP]

- წარმოგიდგენიათ? დიასახლისმა არ იცის, რომელი თევზი იქნება სადილად! თევზს უკვეთს და სახელს არ ეუბნება! [SEP]

ამით საუბარი დასრულდა და გახარებულმა ჩემი მოწაფეები სასადილო ოთახიდან წავიყვანე. ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი სირცხვილი და უხერხულობა არა საკუთარი თავის, არამედ სხვების გამო. [SEP]

დღისით მეცადინეობა განვაგრძეთ, შემდეგ კვლავ სასეირნოდ გავედით, ამას ჩაის სმა მოჰყვა საკლასო ოთახში, ბოლოს მერი ენს ტანსაცმელი გამოვუცვალე და როდესაც ის და მისი ძმა სასადილო ოთახში დესერტის საჭმელად ჩავიდნენ, შემთხვევით ვისარგებლე და სახლში გასაგზავნი წერილის წერა დავიწყე. მაგრამ ნახევარიც არ ჩამეთავებინა, რომ ბავშვები დაბრუნდნენ. შვიდ საათზე მერი ენი ჩავაწვინე ლოგინში, რვამდე ტომს ვეთამაშე. შემდეგ ბიჭი დასაძინებლად წავიდა, მე კი წერა დავამთავრე და ჩემი სკივრები დავცალე, რომლებისთვისაც მანამდე ვერ მოვიცალე, და თვითონაც დავწექი. [SEP]

მაგრამ ეს კიდევ იღბლიანი დღე აღმოჩნდა. [SEP]

როგორც მევალებოდა, ბავშვებს ვასწავლიდი და მათ ყოფაქცევას თვალყურს ვადევნებდი. როდესაც მე და ჩემი აღსაზრდელები ერთმანეთს შევეჩვიეთ, ამის კეთება, გაადვილების ნაცვლად, გამირთულდა კიდეც. ვინაიდან მათ თავიანთი ნამდვილი ხასიათი გამოამჟღავნეს. მალე დავრწმუნდი, რომ გუვერნანტი მხოლოდ მერქვა: ჩემი მოწაფეები ისევე მიქერებდნენ, როგორც ველური, გაუხედნავი კვიცები. მამის სიანჩხლისა და სასჯელის შიშით, რომელსაც ის უხვად არიგებდა გაბრაზების დროს, ბავშვები მისი თანდასწრებით თავშევავებულად იქცეოდნენ. გოგონებს დედის

## აგნეს გრეი



ეშინოდათ. მისის ბლუმფილდი ზოგჯერ ახერხებდა ტომთან საერთო ენის გამონახვას დაპირებების ხარჯზე. მე კი ვერაფერს დავპირდებოდი. რაც შეეხება სასჭელს, მშობლებმა მკაფიოდ მიმანიშნეს, რომ ამის უფლება მხოლოდ მათ ჰქონდათ. და კიდევ ელოდნენ, რომ მათ ბავშვებს წესიერ მოქცევას ვასწავლიდი! ზოგიერთ ბავშვს არ უყვარს, როდესაც უბრაზდებიან და ცდილობს, მოწონება დაიმსახურონ, მაგრამ ნორჩ ბლუმფილდებს არც გავიცხვა ადარდებდათ და არც - შექება.<sup>[SEP]</sup>

მასტერ ტომს მხოლოდ ურჩობა როდი ახასიათებდა. იგი მოითხოვდა, რომ მის ჭკუაზე ევლოთ და ყველანაირად ცდილობდა არა მხოლოდ დების, არამედ გუვერნანტის მოთოვასაც, რისთვისაც ხელ-ფეხის გამოყენებასაც არ ერიდებოდა. არადა, თავის ასაკთან შედარებით, მაღალიც იყო და ღონიერიც, რაც საკმაო თავსატეხს მიჩენდა. ორიოდე სილის გაწვნა ყველაფერს სასიკეთოდ დაასრულებდა, მაგრამ ასე რომ მოვქცეულიყავი, იგი დედასთან გაიქცეოდა და ვინ იცის, რას მოუყვებოდა. ის კი ყველაფერს დაუჭერებდა, რადგან ვაჟის სიმართლეში ეჭვი არასდროს ეპარებოდა - თანაც სრულიად უსაფუძვლოდ, რაშიც არაერთხელ დავრწმუნდი. ამიტომ მტკიცედ გადავწყვიტე, მასზე ხელი არ აღმემართა, თავდაცვის მიზნითაც კი, და როდესაც ძალზე აიშვებდა ხოლმე, მხოლოდ ერთი გამოსავალი მრჩებოდა - ზურგზე დამეწვინა და ხელ-ფეხი გამევავებინა, სანამ ცოტათი მაინც არ დამშვიდდებოდა. ერთ სირთულეს, არ დამეშვა, ეკეთებინა ის, რაც არ შეიძლებოდა, მეორე ემატებოდა - იმის გავეთება მეიძულებინა, რაც აუცილებელი იყო. ხშირად იგი უარს აცხადებდა, მოესმინა, გაკვეთილი გაემეორებინა ან თუნდაც ფურცელში ჩაეხედა. ამ დროს წკეპლა გვარიან სარგებლობას მოიტანდა. მაგრამ მე იძულების ის ხერხი უნდა მომეფიქრებინა, რაც არ მეკრძალებოდა.<sup>[SEP]</sup>

მეცადინეობისა და თამაშისთვის ზუსტი დრო არ დაუნიშნავთ, ამიტომ გადავწყვიტე, ჩემი მოწაფეებისთვის პატარ-პატარა დავალებები მიმეცა, რომელთა შესრულებაც, საკმარისი სიბეჭითის შემთხვევაში, საკმაოდ სწრაფად შეიძლებოდა, მაგრამ სანამ არ შეასრულებდნენ, საკლასო ოთახიდან არ გამეშვა, თუნდაც ძალიან დაღლილი ვყოფილიყავი, თუნდაც გაჭიუტებულიყვნენ, თუნდაც კართან სკამის მიღვმა დამჭირვებოდა. ამ

## ენ ბრონტე

წესიდან გადახვევას მხოლოდ მშობლების უშუალო ჩარევა თუ მაიძულებდა. ერთადერთი იარაღი მქონდა: მოთმინება, სიმტკიცე და დაჟინებულობა, და ისინი სრულად უნდა გამომეყენებინა. ყოველი მუქარა თუ დაპირება განუხრელად უნდა განმეხორციელებინა, ამიტომ ისეთი მუქარა და დაპირება უნდა შემერჩია, რომელთა შესრულებაც არ გამიჭირდებოდა. გაღიზიანებულს ან ცუდ ხასიათზე მყოფს საკუთარი თავისთვის მათზე ჭავრის ამოყრის უფლება არ უნდა მიმეცა. თუ რომელიმე დღეს არ იჯირვეულებდნენ და არ გაჯიუტდებოდნენ, მათთან გამორჩეულად კეთილი და ალერსიანი ვიქებოდი, რათა კარგ და ცუდ საქციელს შორის განსხვავება ეგრძნოთ. მათ დაყოლიებას ყველაზე მარტივი და გასაგები სიტყვებით შევეცდებოდი. ცუდი მოქცევისთვის საყვედურს ან მათ სურვილზე უარს სევდიანად ვეტყოდი და არა მვაცრად. საგულდაგულოდ ავუხსნიდი ლოცვებსა და ბავშვების შესაფერის სასულიერო ჰიმნებს. როდესაც ძილის წინ ილოცებდნენ და ღმერთს პატიებას შესთხოვდნენ, დღის განმავლობაში ჩადენილ ცოდვებს შევახსენებდი. დამნაშავე ჰიმნს სინანულის სიტყვებით იმღერებდა, დამკერეს კი საჩუქრად მხიარული ჰიმნიშევცდებოდა. სწავლებას ცოცხალი საუბრით ვცდიდი, რათა ამ პროცესისთვის გართობის სახე მიმეცა.<sup>[1]</sup>

აი, ასე ვაპირებდი დროთა განმავლობაში ბავშვებისთვის სარგებლობის მოტანას და მათი მშობლებისგან მოწონების დამსახურებას, ასევე ჩემი ახლობლების დარწმუნებას, რომ არც ისეთი თავქარიანი და მოუხერხებელი ვიყავი, როგორიც მათ ვეგონე. ვხვდებოდი, რომ წინ ბევრი სირთულე მელოდა, მაგრამ ვიცოდი (უფრო სწორად, მჭეროდა), რომ მოთმინებითა და დაჟინებულობით მიზანს მივაღწევდი, რაზეც ყოველ დილა-საღამოს ვლოცულობდი. მაგრამ ან ბავშვები იყვნენ გამოუსწორებელნი, მათი მშობლები კი უგუნურნი, ან მე ვერ ვახერხებდი ჩანაფიქრების განხორციელებას. ასე იყო თუ ისე, ჩემი ყველა საუკეთესო განზრახვა და ძალისხმევა უშედეგოდ მთავრდებოდა: ბავშვები ყველაფერს უკუღმა აკეთებდნენ, მშობლები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, მე კი საშინლად ვიტანჯებოდი.<sup>[2]</sup>

სწავლების პროცესი მომქანცველი იყო როგორც სულის, ისე სხეულისთვის. მოწაფეებს დავსდევდი, ვიჭერდი, ხელში აყვანილი მიმყავდა

## აგნეს გრეი



მაგიდასთან, ზოგჯერ ძალითაც კი ვაჩერებდი იქ, სანამ მიცემულ გაკვეთილს არ ისწავლიდნენ. ტომს ხშირად კუთხეში ვაყენებდი და გამოსასვლელს სკამით ვუღობავდი, რომელზეც თვითონ ვიჭექი, მის წინ კი გადაშლილი წიგნი მექირა პატარა გაკვეთილით, რომელიც უნდა წაეკითხა ან ესწავლა, რათა გზა გამეთავისუფლებინა. ბიჭს იმდენი ძალა არ ჰქონდა, რომ სკამიანად გავეწიე განჩე, ამიტომ მთელი ტანით იკლავნებოდა, საშინლად იჯყანებოდა, - გარეშე დამკვირვებელს შესაძლოა, სასაცილოდაც კი მოსჩვენებოდა. ოღონდ მე არ მეცინებოდა, - ხმამაღლა ყვიროდა და საწყალობლად სლუკუნებოდა, ვითომ ტიროდა, ოღონდ უცრემლოდ. ვხვდებოდი, რომ ჩემს მოთმინებას სცდიდა. შინაგანი ბრაზი და მოუთმენლობა მახრჩობდა, მაგრამ თავს არ ვზოგავდი და გარეგნულ სიმშვიდეს ვინარჩუნებდი, ველოდებოდი, როდის მოპებზრდებოდა ასე ყოფნა, რამდენიმე სიტყვას, წიგნში ერთ სტრიქონზე მეტი რომ არ ევავა, თუ წაიკითხავდა ან გაიმეორებდა, ბაღში გაქცევას დაიმსახურებდა. ზოგჯერ იგი განჩრას ცუდად წერდა და ძალით, ჩემი ხელით ვაწერინებდი, რათა მელანი არ დაეღვენთა და ქაღალდი არ დაეხია. ხშირად ვემუქრებოდი, რომ კიდევ დავუმატებდი ერთ სტრიქონს, თუ დავალებას წესიერად არ შეასრულებდა. მაშინ ტომი წერაზე საერთოდ უარს აცხადებდა და სიტყვის შესასრულებლად თითებს კალამზე შემოვაჭრობინებდი და ქაღალდზე სტრიქონის დამთავრებამდე ვატარებინებდი.<sup>[5]</sup>

ზოგჯერ მაინც, ჩემდა სასიხარულოდ, ტომი გადაწყვეტდა, რომ მისთვისვე იქნებოდა უკეთესი, თუ სწრაფად დაამთავრებდა გაკვეთილს და ბაღში ითამაშებდა, სანამ მერი ენს მივხედავდი. თუმცა ეს ხშირად არ ხდებოდა, რადგან მერი ენი იმვიათად იმეორებდა ძმის კარგ მაგალითს. გოგონას ყველაზე მეტად, როგორც ჩანს, იატავზე წოლა მოსწონდა, ამიტომ სკამიდან ტყვიისგან ჩამოსხმული გირივით ჩამოცურდებოდა ხოლმე. როდესაც გაჭირვებით კვლავ უკან ვაბრუნებდი, ერთი ხელით მაგრად მექირა, მეორით კი მის სახესთან წიგნი მიმქონდა. ექვსი წლის მსუქანი, მოდუნებული გოგოს სიმძიმისგან მაღე ვიღლებოდი და ან ხელს ვინაცვლებდი, ან მერი ენს კუთხეში ვაყენებდი და ვეუბნებოდი, რომ მაშინ შეძლებდა იქიდან გამოსვლას, როცა სიარულს და ფეხზე დგომას კვლავ ისწავლიდა. ხშირად

## ენ ბრონტე

იგი სადილობამდე ან ჩაის სმამდე მორივით წოლას ამჯობინებდა და იძულებული ვხვდებოდი, აკრძალვა გამეუქმებინა, ვინაიდან უსადილოდ ვერ დავტოვებდი. ისიც კუთხიდან დაოთხილი გამოდიოდა, ლოყანითელ სახეზე ნიშნის მოგება აღბეჭდოდა. ორივე ჩვენგანისთვის უკეთესი იქნებოდა, თუ თავს ისე მომაჩვენებდა, თითქოს ეს უმნიშვნელო წვრილმანი იყო და ყოვლად უნაყოფოდ თავისას არ დაიჩემებდა. ვალდებული ვიყავი, ეს მავნე მიდრევილება ჩანასახშივე მომესპო. ასეც უნდა გამევეთებინა, ამის ძალა რომ მქონოდა. ალბათ, დავიმორჩილებდი კიდეც, შესაძლებლობა რომ მქონოდა, მაგრამ არსებულ ვითარებაში ორივენი უბრალოდ ველოდით, პირველი რომელი დანებდებოდა, და უფრო ხშირად გამარჯვება მას რჩებოდა, რაც ახალ-ახალი წარმატების სურვილს განუმტკიცებდა. ამაოდ ვცდილობდი მის დაყოლიებას, მოთაფვლას. ვთხოვდი, ვსაყვედურობდი, ვემუქრებოდი, თამაშს ვუკრძალავდი. სეირნობისას, არ ვეთამაშებოდი, ალერსიანად არ ველაპარაკებოდი, არ ვპასუხობდი. ამაოდ ვცდილობდი მეჩვენებინა, რომ დამჯერე გოგოებს სიყვარულსა და ალერსს არ აკლებენ, სულელურ სიჭიუტეს კი მისთვის მხოლოდ უსიამოვნება მოჰქონდა.<sup>[SEP]</sup>

ზოგჯერ, როდესაც რამეს მთხოვდა, ვპასუხობდი<sup>[SEP]</sup>

- კარგი, მერი ენ, ოღონდ ეს სიტყვა უნდა თქვა. აბა, მიდი, თქვი და ყველაფერი კარგად იქნება.<sup>[SEP]</sup>

- არ ვიტყვი.<sup>[P]</sup>

- მაშინ, არც მე გავაკეთებ ამას შენთვის.<sup>[SEP]</sup>

ჩემთვის მის ასაკში, და უფრო ადრეც, ყველაზე საშინელი სასჯელი ის იყო, როცა არ მელაპარაკებოდნენ ან ცუდ გოგოს მიწოდებდნენ, მერი ენს კი ეს სულ არ ადარდებდა. ზოგჯერ მოთმინებიდან გამოვდიოდი, მხრებში ხელებს წავავლებდი და ვაჯანჯლარებდი, ნაწნავზე ვქაჩავდი ან კუთხეში ვაყენებდი, ის კი ხმამაღალი, გამყინავი, ყურნამღები ყვირილით მიხდიდა სამაგიეროს. იცოდა, რომ ამას ვერ ვიტანდი და როცა ვივილით გულს იჯერებდა, შურისმაძიებლის კმაყოფილებით შემომხედავდა, შესძახებდა, - ესეც თქვენო! და კვლავ ყვირილს იწყებდა, სანამ მოთმინება არ მიღალატებდა და ყურებზე ხელებს არ ავითარებდი. ხშირად, მის საშინელ ხმაურზე მისისბლუმფილდი მოდიოდა, რათა გაეგო, რა მოხდა.<sup>[SEP]</sup>

## აგნეს გრეი



- მერი ენი ცუდად იქცევა, ქალბატონო.<sup>[P]</sup>
- ეს საშინელი ყვირილი რას ნიშნავს?<sup>[P]</sup>
- ჭირვეულობს.<sup>[P]</sup>
- ცხოვრებაში მსგავსი არაფერი მსმენია. არა, ალბათ, მოკვლას უპირებდით! ბაღში რატომ არ არის ძმასთან ერთად?<sup>[P]</sup>
- გავვეთილის მოყოლა არ სურს.<sup>[P]</sup>
- მერი ენი კარგი გოგო უნდა იყოს და გავვეთილს მოჰყვეს, - ალერსიანად იტყოდა დედა, - ვიმედოვნებ, ასეთ საზარელ ყვირილს აღარასოდეს გავიგონებ.<sup>[P]</sup>

ცივად შემომხედავდა, რასაც მხოლოდ ერთი ახსნა ჰქონდა. წავიდოდა და კარს გაიხურავდა.<sup>[P]</sup>

ზოგჯერ ვცდილობდი, საძაგელი, ჭიუტი გოგო გამომეჭირა და აგდებულად ვეკითხებოდი საბედისწერო სიტყვას, როდესაც სრულიად სხვა რამებე ფიქრობდა. იგი ლაპარაკს იწყებდა, მაგრამ სწრაფადვე მოეგებოდა გონს და ეშმაკურად შემომხედავდა, რაც შემდეგს ნიშნავდა: „ამა, ვერ გამომიჩერ! არ გეტყვი!<sup>[P]</sup>“

ერთხელ თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს ყველაფერი დამავიწყდა, ჩვეულებრივად ველაპარაკებოდი და ვეთამაშებოდი, საღამოს კი, როდესაც ლოგინში ჩავაწვინე, მისი მოღიმარი და კმაყოფილი სახისკენ დავიხარე და მხიარულად და ალერსიანად ვუთხარი.<sup>[P]</sup>

- აბა, მერი ენ, მითხარი ის სიტყვა და წასვლის წინ გაკოცებ. ახლა ძალიან კარგი გოგო ხარ და, რა თქმა უნდა, იტყვი.<sup>[P]</sup>

- არ ვიტყვი.<sup>[P]</sup>
- მაშინ, არ გაკოცებ.<sup>[P]</sup>
- ჩემთვის სულერთია.<sup>[P]</sup>

ამაოდ გამოვხატავდი წყენას ხმამაღლა, ამაოდ ველოდებოდი სინანულის მცირეოდენ გამოვლენას მაინც. ბოლოს წავედი და მარტო დავტოვე სიბნელეში, მაგრამ ეს უაზრო სიჭიუტე კვლავაც მტანჭავდა. რა უნდა ყოფილიყო ბავშვობაში იმაზე საშინელი სასჭელი, თუ დედა ძილის წინ კოცნაზე უარს მეტყოდა. ამაზე ფიქრიც კი მზარავდა. თუმცა წარმოსახვის იქით საქმე არასტროს წასულა. საბედნიეროდ, მსგავსი სიმძიმის დანაშაული

## ენ ბრონტე

არასდროს ჩამიღენია. მაგრამ მახსოვდა, რომ ჩემი დის რაღაც შეცოდების გამო დედამ მას არ აკოცა. არ ვიცი, რას განიცდიდა მერი, მაგრამ ჩემი თანაგრძნობის გამომხატველი ცრემლები და სიბრალული ჭერაც არ დამვიწყებოდა.<sup>[P]</sup>

ძალიან გამანვალა მერი ენის გამოუსწორებელმა ჩვევამ, კერძოდ, საბავშვო ოთახში გაქცევამ და უმცროს დებთან და ძიძასთან თამაშმა, რაც სრულიად გასაგები იყო. მაგრამ მისის ბლუმფილდის მვაფიოდ გამოთქმულ სურვილს ვემორჩილებოდი, გოგონას ამის გაკეთებას ვუკრძალავდი და ვცდილობდი, მუდმივად ჩემ გვერდით მყოლოდა, რითაც ცეცხლზე მხოლოდ ნავთს ვასხამდი. რაც მეტი დაჟინებით ჩავჩიჩინებდი, იქ არ შეხვიდე-მეთქი, მით უფრო ხშირად იპარებოდა იმ ოთახში და დიდხანს რჩებოდა. ეს კი მისის ბლუმფილდის საშინელ უკმაყოფილებას იწვევდა. ყველაფერს მე მაბრალებდა - ამას მშვენივრად ვხვდებოდი. დილის ჩაცმის პროცედურაც სატანჯველად მექცა. მერი ენს ხან დაბანა არ სურდა, ხან ვაბას იატაკზე აგდებდა და სხვას ითხოვდა - იმას, რომელიც, ვარგად ვიცოდი, დედამისს არ მოსწონდა, ან ყვირილით გარბოდა, როგორც კი მის თმას შევეხებოდი. ხშირად, როდესაც დიდი ძალისხმევის შედეგად, ბოლოს და ბოლოს, სასადილოში შემყავდა, საუზმობა დასასრულს უახლოვდებოდა და იძულებული ვიყავი, მისის ბლუმფილდის აღმფოთებული გამოხედვისთვის გამეძლო, რასაც მისტერ ბლუმფილდის მიერ ჩემი მისამართით ირიბად გამოთქმული გულმოსული შენიშვნებიც ემატებოდა - იგი პუნქტუალობის დარღვევას ვერ იტანდა. მისის ბლუმფილდს ისიც აბრაზებდა, რომ, მისი თქმით, გოგონას ვერ ვაცმევდი, მის თმას კი კაცი ვერ შეხედავდა. ზოგჯერ, ჩემდამი უკმაყოფილების გამოსახატავად, შინამოსამსახურის როლის შესრულებას კისრულობდა, შემდეგ კი დიდხანს წუნქტებდა, რომ ასეთი შრომა უწევდა.<sup>[P]</sup>

როდესაც საკლასო ოთახს პატარა ფანი შემოემატა, გამიხარდა - ვიფიქრე, ის მაინც იქნება დამჯერე და გამგონე მოწაფე-მეთქი, მაგრამ ორი-სამი დღე კი არა, ორი-სამი საათიც საკმარისი აღმოჩნდა იღუზიების გასაფანტავად. იგი გამოუსწორებელი და ვერავი მატყუარა აღმოჩნდა, უკვე ეხერხებოდა ეშმაკობა და ტყუილის თქმა, გარდა ამისა, როგორც კი

## აგნეს გრეი



შესაძლებლობა მიეცემოდა, თავდაცვისა და შეტევის ორ საყვარელ ხერხს იყენებდა - სახეში აფურთხებდა მას, ვინც მის რისხვას იმსახურებდა, და თუ რამეზე უარს ეუბნებოდნენ, თუნდაც ეს სისულელე ყოფილიყო, მთელი ხმით ღრიალებდა. აი, მშობლების გარემოცვაში კი წყნარად იქცეოდა, მათ ის საყვარელ გოგოდ მიაჩნდათ და მისი ტყუილებისაც სჭეროდათ, ყვირილსა და ღრიალს კი ჩემი მკაცრი და უსამართლო მოპყრობით ხსნიდნენ. როდესაც გოგონას ცედი ჩვევები მათი მიკერძოებული მზერისთვისაც აშვარა გახდა, თქვეს, რომ იმედი მე გავუცრუ.<sup>[SEP]</sup>

- როგორი გაუგონარი გახდა ფანი! - ეუბნებოდა მისის ბლუმფილდი მეუღლეს, - თუ შეამჩნიე, ძვირფასო, როგორ შეიცვალა მას შემდეგ, რაც სწავლა დაიწყო? მალე უფროსებს დაემსგავსება, ისინი კი, მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ სულ წავიდნენ ხელიდან.<sup>[SEP]</sup>

- მართალს ამბობ, - კვერს უკრავდა მისტერ ბლუმფილდი, - სრულიად გეთანხმები. ვფიქრობდი, თუ გუვერნანტს ავიყვანთ, გამოსწორდებიან-მეთქი, მათ კი მსგავსი არაფერი ეტყობათ. პირიქით, სულ უფრო უხეშები და ბინძურები ხდებიან.<sup>[SEP]</sup>

ვხვდებოდი, რომ ამას ჩემს გასაგონად ამბობდა. მსგავსი მინიშნებები ნებისმიერ პირდაპირ საყვედურზე მეტად მტკენდა გულს, რადგან თავდაცვის შესაძლებლობას მისპობდა. ისღა მრჩებოდა, შეპასუხების სურვილი მომეთოვა, წყენა გადამეყლაპა და ძალისხმევა გამეორმაგებინა - ყველაფრის მიუხედავად, სამუშაოს დაკარგვა არ მსურდა. თუ სიმტკიცესა და მეტ დაჟინებას გამოვიჩენდი, დროთა განმავლობაში ბავშვები, ცხადია, გამოსწორდებოდნენ. ყოველ თვე რამე ახალს ისწავლიდნენ, მაშასადამე, მათი მართვაც გაადვილდებოდა. აბა, ათი წლის ასაკში მხოლოდ სულელი თუ იქნებოდა ექვსი-შვიდი წლის ბავშვივით თავშეუკავებელი და თავნება.<sup>[SEP]</sup>

თავს იმით ვინუგეშებდი, რომ აქ ყოფნით საკუთარ მშობლებსა და დას ვეხმარებოდი. მართალია, პატარა ხელფასს ვიღებდი, მაგრამ რაღაცას ხომ მაინც გამოვიმუშავებდი, ხელმომჯირნედ ვცხოვრობდი და შემეძლო მათთვისაც მეწილადებინა - ოღონდ კი აღებას დასთანხმებოდნენ. გარდა ამისა, გუვერნანტი საკუთარი ნებით გავხდი და ყველა ეს გამოცდა თვითონ ავიკიდე, ამიტომაც მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, გამეძლო. არაფერს

## ენ ბრონტე

ვნანობდი: ჰერაც მსურდა, ჩემიანებისთვის დამემტკიცებინა, რომ აღებულ ვალდებულებებს გავუმკლავდებოდი და ღირსეულად გავართმევდი თავს. თუკი ამდენ დამცირებასა და თავდაუზოგავ შრომას უსიტყვოდ ვეღარ ავიტანდი, მშობლიური სახლისკენ გავიხედავდი და საკუთარ თავს ვეტყოდი.<sup>[SEP]</sup>

„რომც შემმუსრონ, მაინც შენთან დავრჩები<sup>[SEP]</sup>

სულით, გულით, ფიქრებით და აზრებით“<sup>[SEP]</sup>

საშობაოდ შინ წასვლის ნება დამრთეს, ოღონდ - მხოლოდ ორი კვირით<sup>[SEP]</sup>

- თქვენი ახლობლები ხომ ამას წინათ ნახეთ, - მითხრა მისის ბლუმფილდმა, - ამიტომ ვითიქრე, მეტი ხნით დარჩენა არც მოუნდება-მეთქი<sup>[SEP]</sup>

მისი გადარწმუნება არ მიცდია, მაგრამ რა იცოდა, როგორ ხანგრძლივად და მტანჯველად მომეჩვენა განშორების ეს სამ-ნახევარი თვე. მოუთმენლად ველოდი შვებულებას და მისმა ასე შემცირებამ გული მატვინა. თუმცა რა მისი ბრალი იყო? მისთვის გრძნობები არ გამიმხელია და როგორ მიხვდებოდა? მათთან არასრული სამი თვე გავატარე და ჩემი შვებულების შეკვეცის უფლება ჰქონდა<sup>[SEP]</sup>

## თავი IV - [P T P] [SEP][SEP]ბებია

მკითხველს თავს აღარ შევაწყენ მამისეულ სახლში დაბრუნებით, იქ ბეჭნიერად ყოფნით, ნაცნობ გარემოში საყვარელ აღამიანებს შორის ხანძღვლე დასვენებით, თავისუფლებით ტკბობითა და იმ აღფრთოვანებისა და იმ მწეხარების აღწერით, რაც ვიგრძენი, როდესაც კვლავ მომიწია მათთან ხანგრძლივად განშორებამ<sup>[SEP]</sup>

მაგრამ საკუთარ მოვალეობებს დაუმცხრალი მგზნებარებით შევეგებე - ამის გაგებას მხოლოდ ისინი მოახერხებთ, რომლებმაც თავის თავზე გამოსცადეთ, რას ნიშნავს აღმრდა-განათლების მიცემა შმაგი, ვერაგი ბავშვებისთვის, რომლებიც, თქვენი ძალისხმევის მიუხედავად, იმას არ აკეთებენ, რაც ევალებათ, არადა, მათ საქციელზე პასუხს აგებთ უმაღლესი

## აგნეს გრეი



ხელისუფლების წინაშე, ის კი არც გეხმარებათ და მისივე მოთხოვნების შესასრულებლად აუცილებელ საშუალებებს გართმევთ - სიზარმაცისა თუ ზემოთ ხსენებული ურჩების თქვენ წინააღმდეგ ამხედრების შიშით. უფრო მტანქველი ვითარების მოფიქრებაც კი ძნელია: როგორც უნდა ისწრაფოდეთ წარმატებისკენ, როგორც უნდა ეცადოთ თქვენი მოვალეობის შესრულებას, ყველაფერი წყალში გეყრებათ მათ გამო, ვინც, წესით, უნდა გემორჩილებოდეთ, და უსამართლო კრიტიკისა და განხილვის ობიექტი ხდებით მათვის, ვისაც ემორჩილებით.<sup>[5]</sup>

არადა, ჩემი მოწაფეების მავნე მიდრევილებებისა და მრავალრიცხოვანი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული უსიამოვნებების ნახევარიც არ ჩამომითვლია იმის შიშით, რომ მკითხველს ისედაც შევაწყინე თავი. მაგრამ ეს ბოლო გვერდები გასართობად და თავშესაქცევად კი არ დაწერილა, არამედ სარგებლობის მოსატანად მათვის, ვისაც ეს ყველაფერი, შესაძლოა, გულწრფელად აინტერესებს. დანარჩენებმა, ალბათ, თვალი გადაავლეს და ავტორს სიტყვამრავლობა დაუწუნეს. თუმცა, თუკი რომელიმე ოჯახის მამამ ან დედამ რაიმე მაინც გაითვალისწინა აქედან, ან გვერნანტმა რაიმე სასარგებლოს მიაგნო, მაშასადამე, ტყუილად არ მიშრომია.<sup>[5]</sup>

ზედმეტი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, აქამდე ჩემს მოწაფეებსა და მათი ხასიათის განსაკუთრებულ თვისებებს ცალ-ცალკე და რიგრიგობით აღვწერდი, რაც ოდნავაც არ გიქმნით წარმოდგენას, რას ნიშნავდა სამივეს ერთად დაშოშმინება განსაკუთრებით მაშინ, როცა მოილაპარაკებდნენ „ცუდად მოქცეულიყვნენ და მის გრეისთვის არ დაეჭერებინათ, რათა ის გაბრაზებულიყო“. <sup>[5]</sup>

ასეთ დროს ზოგჯერ ვფიქრობდი: „ახლა ჩემი დანახვა რომ შეეძლოთ“. ცხადია, საკუთარ ახლობლებს ვგულისხმობდი და როდესაც მათ სიბრალულს წარმოვიდგენდი, თავი ისე მეცოდებოდა, რომ ცრემლებს ძლივს ვივავებდი. ვმალავდი, სანამ ჩემი პატარა მტანქველები სასადილოში დესერტის მისართმევად ჩავიდოდნენ ან დასაძინებლად არ დაწვებოდნენ - მხოლოდ მაშინ ვიყავი თავისუფალი და, ნეტარ მარტოობაში მყოფი, თავშეუკავებლად ვტიროდი. მაგრამ ამგვარ სისუსტეს იშვიათად ვიჩენდი - ძალიან ბევრი საქმე

## ენ ბრონტე

მქონდა და იშვიათი დასვენების ყოველ წუთს ისე ვუფრთხილდებოდი, რომ ამაო წუწუნზე ვერ დავხარჯავდი.<sup>[5]</sup>

განსაკუთრებით დამამასსოვრდა იანვრის ერთი ღრუბლიანი და თოვლიანი დღე, რომელიც ჩემი დაბრუნებიდან მოკლე ხანში დადგა. სადილის შემდეგ ბავშვები საკლასო ოთახში ავიდნენ, თან ხმამაღლა გამოხატავდნენ თავიანთ განზრახვას, „ცუდი ბავშვებივით მოქცეულიყვნენ”, რაც შეასრულეს კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ ხმის ჩახლეჩამდე ვცდილობდი მათ დაყოლიებასა და დარწმუნებას, რომ ვარგად მოქცევა ჭობდა. ტომი კუთხეში დავაყენე, სკამი მივუდგი და ვუთხარი, მანამ ვერ გამოვიდოდა, სანამ გაკვეთილს არ ისწავლიდა. ამასობაში ფანიმ ჩემი სამუშაო ვალათა მოიხელთა, შიგ იქექებოდა და აფურთხებდა. ვუბრძანე, ვალათს მოსცილებოდა და უმსგავსობა შეეწყვიტა, თუმცა, ცხადია, ჩემს სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია.<sup>[6]</sup>

- დაწვი, ფანი! - ურჩია ტომმა და გოგონამაც სასწრაფოდ სცადა რჩევის გათვალისწინება.<sup>[7]</sup>

კალათის გადასარჩენად ბუხარს ვეცი, ტომმა კი დრო იხელთა, სკამი გადააყირავა, ვართან მიირბინა და დაიძახა.<sup>[8]</sup>

- მერი ენ, ყუთი ფანჯრიდან გადააგდე!<sup>[9]</sup>

ჩემი ძვირფასი ზარდახშა, რომელშიც წერილები, ქაღალდები, მცირე რაოდენობის ფული და მოკრძალებული სამშვენისები მეწყო, კინაღამ მესამე სართულიდან გადაფრინდა. ამის თავიდან ასაცილებლად იქით გავვარდი, ტომი კი უკვე კიბეზე ჩარბოდა ფანისთან ერთად. ზარდახშა მაღლა შემოვდე და უკან დავედევნე. მერი ენიც გამომყვა. მათი დაჭერა ვერ შევძელი, სამივენი გარეთ, ბაღში გაცვიდნენ და ხმამაღლი შეძახილებით თოვლში კოტრიალი დაიწყეს.<sup>[10]</sup>

რა უნდა მექნა? დავწეოდი? ისინი, რასაკვირველია, ხელიდან დამისხლტებოდნენ და სახლიდან კიდევ უფრო შორს გაიქცეოდნენ. როგორ დამებრუნებინა უკან? რას იფიქრებდნენ მათი მშობლები, როდესაც დაინახავდნენ ან გაიგონებდნენ, რომ მათი შვილები უქუდოდ, უხელთათმნოდ, ყელიანი ფეხსაცმლის გარეშე ღრმა და ფაფუკ თოვლში თამაშობდნენ? ჩღურბლზე ვიდექი და მკაცრი მჩერითა და გულმოსული

## აგნეს გრეი



კილოთი ვცდილობდი მათ დამორჩილებას. უეცრად უკნიდან გესლიანი ხმა შემომესმა! [P]

- მის გრეი! რა ხდება აქ? დალახვროს ეშმაკმა, ნეტავ რაზე ფიქრობთ? [P]

- სახლში შემოსვლა არ სურთ, - ვთქვი მე, შემოვტრიალდი და მისტერ ბლუმფილდი დავინახე. წყლიანი ცისფერი თვალები გადმოევარკლა, თმა ყალყბე ედგა! [P]

- მოვითხოვ, დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ! - შესძახა მან და კარს მრისხანე სახით მოუახლოვდა! [P]

- თუ ასეა, სერ, ხომ არ ინებებთ, თვითონ დაუძახოთ, ვინაიდან ჩემი არ ესმით, - ვუთხარი მას და გზა დაფუთმე! [P]

- ახლავე შინ შემოდით, საძაგლებო, თორემ გაგროჩგავთ! - იღრიალა ბავშვების მამამ და ისინიც მაშინვე დამორჩილდნენ, - აპა, ხომ ხედავთ! ერთი სიტყვაც საკმარისი აღმოჩნდა! [P]

- დიახ, თქვენი სიტყვა! [P]

- უცნაურია, მათთან საერთო ენის გამონახვა რომ ვერ შეძელით, ეს ხომ თქვენი მოვალეობაა. სად წავიდნენ? ზევით გაიქცნენ, თოვლიც კი არ ჩამოუფერთხავთ! რაღას უდგახართ? წადით, ღვთის გულისთვის, და ნორმალურ ბავშვებს მაინც დაამსგავსეთ! [P]

მაშინ მათ მისტერ ბლუმფილდის დედა სტუმრობდა. როდესაც ვიძებჲ ასვლისას სასტუმრო ოთახს ჩავუარე, გავიგონე, როგორ ჩასჩიჩინებდა მოხუცი თავის რძალს (ჩემამდე მხოლოდ ცალკეული ფრაზების ნაწყვეტები აღწევდა)! [P]

- ღმერთო დიდებულო!.. არასფროს!.. საშინლად გაცივდნენ!.. ჩემო კარგო, დარწმუნებული ხართ, რომ ეს ქალიშვილი?.. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა... [P]

მეტი ვერაფერი გავიგონე, თუმცა ესეც კმაროდა. [P]

უფროსი მისის ბლუმფილდი ყოველთვის ყურადღებით, თავაზიანად მექცეოდა. მან გულდია და გულკეთილი, თუმცა ლაპარაკის მოყვარული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. იგი ხშირად მეწვეოდა ხოლმე საკლასო ოთახში და ნდობით აღსავს კილოთი მესაუბრებოდა, თან გამუდმებით თავს აქნევდა, ხელებს შლიდა, თვალებს მაღლა აღაპყრობდა და ახამხამებდა,

## ენ ბრონტე

როგორც ეს განსაზღვრული წოდების ხანდაზმულ ქალებს ახასიათებთ, თუმცა უტრიორების ასეთი მანერა აქამდე არასდროს მენახა. იგი კიდევ თანამიგრძნობდა ბავშვებზე ზრუნვაში, ზოგჯერ არ ამბობდა, მაგრამ მრავალმნიშვნელოვნად მიენევდა თავს და მიმანიშნებდა, რომ რძლის საქციელს არ იწონებდა - ბავშვებზე ზემოქმედების საშუალებებს მიზღუდავდა, თვითონ კი დახმარებას არც კი ცდილობდა! საყვედურის გამოხატვის ასეთი ფორმა ჩემს გემოვნებას არ ეთანხმებოდა, ამიტომ, როგორც შემეძლო, თავს ვარიდებდი და მხოლოდ პირდაპირ ნათქვამს ვპასუხობდი. საკუთარ თავს მხოლოდ იმაში ვეთანხმებოდი, რომ სხვა ვითარებაში მოვალეობების შესრულება გამიადვილდებოდა და ბავშვების სწავლისა და აღზრდის საქმეშიც გაცილებით მეტ წარმატებას მივაღწევდი. ახლა კი ორმაგად უნდა მეფრთხილა. პატივცემულ მოხუცებულს მანამდეც შევამჩნიე სისუსტეები (მაგალითად, საკუთარ ზნეობაზე ლაქლაქი), მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი მათთვის გამართლება მომექებნა, მჯეროდა, რომ სიმართლეს ამბობდა და გუნებაში ისეთ თვისებებსაც მივაწერდი, რომელთა შესახებ თვითონ ჭერ არაფერი ეთქვა. ძალიან მენატრებოდა ალერსიანი კეთილმოსურნეობა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ არ მავლდა, და აუხსნელი მადლიერებით ვიღებდი მის ნებისმიერ გამოვლინებას. რა გასაკვირია, რომ გულთბილად, თანაგრძნობით განვიმსჭვალე მოხუცებულის მიმართ - ყოველთვის მიხაროდა მისი მოსვლა, წასვლა კი მწყინდა.<sup>P</sup>

მაგრამ საბედნიეროდ (თუ საუბედუროდ), შემთხვევით გავონილმა რამდენიმე სიტყვამ სრულიად შემიცვალა მასზე წარმოდგენა. ახლა მასში პირფერ და მატყუარა ადამიანს ვხედავდი, რომელიც ჩემს ყოველ საქციელსა თუ სიტყვას ჩასაფრებოდა. რასაკვირველია, თვითონვე ვიყავი დაინტერესებული, კვლავაც მხიარული ღიმილით შევგებებოდი და უნინდელი პატივისცემისა და სიმპათიის კილო შემენარჩუნებინა, მაგრამ რომც მნდომოდა, ამას მაინც ვერ შევძლებდი. მის მიმართ დამოკიდებულების შეცვლა გარეგნულადაც დამეტყო: ისეთი თავშევავებული და გულჩათხრობილი გავხდი, შეუძლებელი იყო, არ შეემჩნია. თვითონაც წამში გადასხვაფერდა - უკვე არა მეგობრული თავის დაქნევით, არამედ ძლივს შესამჩნევი თავის დაკვრით მესალმებოდა, ალერსიანი ღიმილის ნაცვლად,

## აგნეს გრეი



გორგონას გამანადგურებელი მჩერით მასაჩუქრებდა, სიტყვამრავლობას კი ჩემ ნაცვლად „საყვარელ ბავშვებზე“ მიმართავდა და სულელური ქებითა და განებივრებით მათ დედასაც კი აჭარბებდა.<sup>[SEP]</sup>

უნდა ვაღიარო, რომ ასეთმა ცვლილებამ შემაშფოთა, მისი ათვალწუნების შესაძლო შედეგმა შემაშინა და ვცადე კიდეც, დაკარგული პოზიციის აღდგენა. მოულოდნელად, ეს ძალიან იოლად მოვახერხე - ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც. ერთხელ თავაზიანად დავინტერესდი მისი ხველებით. გამვაცრებულ სახეზე მაშინვე ღიმილი გადაეფინა, პატივი დამდო და ვრცლად მიამბო როგორც ამ, ისე სხვა პრობლემებზე, შემდეგ კი ჩვეული სადეკლამაციო მანერით, რომლის ქაღალდზე გადმოცემა შეუძლებელია, საკუთარ ღვთისმოსაც მორჩილებაზე მსჯელობით დამაჯილდოვა.<sup>[SEP]</sup>

- ჩემო კარგო, არსებობს ერთი მხსნელი საშუალება. ეს - მორჩილებაა (თავის ენერგიულად დაქნევა), მორჩილება უზენაესის ნების წინაშე (ხელების გაშლა და თვალების ცისვენ აღპყრობა). ის მეხმარებოდა განსაცდელის უამს. მას ვსასოებ (თავის მრავალჯერადი დაქნევა). ყველას როდი შეუძლია საკუთარ თავზე ამის თქმა (თავის გამკიცხავად დაქნევა). მაგრამ მე, მის ვრეი, გულში ღვთისმოსაობას ვინახავ (თავის მრავალმნიშვნელოვნად დაქნევა). და მადლობა უფალს, მას ყოველთვის ვინახავდი (თავის დაქნევა), და ეს არის ჩემი სიხარული (ხელისგულების შეერთება, თავის მორჩილად დახრა).<sup>[SEP]</sup>

მისის ბლუმფილდმა უხვად, თუმცა არასწორად და უადგილოდ, მოიყვანა ციტატები საღვთო წერილიდან, ღვთისმოსავი შეძახილებიც დააყოლა, რომლებსაც აქ არ მოვიყვან, ვინაიდან მათი გადმოცემის მანერა ადამიანს სიცილს მოჰკვრის, ბოლოს კი დიდრონი თავი მოწყალედ დამიკრა და უაღრესად კმაყოფილმა - ყოველ შემთხვევაში, საკუთარი თავით - დამტოვა, მე კი იმედი ჩამისახა, რომ მას სისუსტეები ამოძრავებდა და არა ბრაზი და ღვარძლი.<sup>[SEP]</sup>

როდესაც იგი კვლავ ჩამოვიდა უელვუდშაუსში, თავს უფლება მივეცი და ვუთხარი, მიხარია, ასე ჭანმრთელად რომ ბრძანდებით-მეთქი, რამაც სასწაულებრივი შედეგი გამოიღო - ეს უბრალო თავაზიანი ფრაზა მოხუცმა საუკეთესო პირფერულ ქათინაურად მიიღო, სახე გაუნათდა და იმ წუთიდან

## ენ ბრონტე

მოყოლებული, უჩვეულოდ შემწყნარებლური და ალერსიანი გახდა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთან თავი ასე ეჭირა. ამან, ისევე, როგორც ბავშვების ლაქლაქმა, დამარტმუნა, რომ ადვილად დავიმეგობრებდი მას, თუ ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში ვაამებდი. მაგრამ ეს ჩემს პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა, ამიტომ ჭირვეულმა ქალმაც აღარ დაახანა და კვლავ ამითვალწუნა. საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ჩუმჩუმად ცდას არ აკლებდა, ჩემთვის როგორმე ევნო.<sup>[SEP]</sup>

ჩემ წინააღმდეგ მისის ბლუმფილდის ამხედრების ძალა მას არ შესწევდა, ვინაიდან ურთიერთსიძულვილი ამოძრავებდათ: დედამთილი შემთხვევას არ უშვებდა, ზურგს უკან რძალჩე აუგი ეთქვა, ეს უკანასკნელი კი ცივი თავაზიანობით პასუხობდა, ამასთან, კარგ მანერებს არასდროს ივიწყებდა, ამიტომ უფროსის პირფერობა უმცროსის მიერ აღმართულ ყინულის კედელს ვერაფერს აკლებდა. სამაგიეროდ, ვაჟიშვილი იყო მზად მის მოსასმენად, იმ პირობით, თუ ქალი მისი გაღიზიანების განელებას მოახერხებდა და რაიმე სისულელით არ გააბრაზებდა. ვთიქერობ, დედაბერმა მოახერხა და შვილს ჩემზე ცუდი წარმოდგენა შეუქმნა. იგი დაუღალავად იმეორებდა, რომ აღმაშტოთებლად ვიქცეოდი, ბავშვებს უგულებელვყოფდი, და რომ სათანადო დედობრივ მზრუნველობას მისი ცოლიც ვერ იჩენდა, ამიტომაც ვალდებული იყო, მათვის თვალყური მიედევნებინა, თორემ ღმერთმა იცის, მათგან რა გამოვიდოდა.<sup>[SEP]</sup>

ასეთი დაჟინებული რჩევების შემდეგ, მისტერ ბლუმფილდი ხშირად აკვირდებოდა შვილების თამაშს ფანჯრიდან, ზოგჯერ კი მათ მოსაძებნად გაემართებოდა და, სამწეხაროდ, სწორედ მაშინ გამოჩნდებოდა ხოლმე მოულოდნელად, როდესაც ისინი აკრძალულ წყაროსთან ფუსფუსებდნენ, ან თავლაში მექინიზესთან ლაქლაქებდნენ, ან საქონლის ეზოში ტალახში ნებივრობდნენ, მე კი ნაღვლიანად ვიდექი შორიახლო, იქიდან მათი წამოყვანის ამაო მცდელობით გაწამებული. ხშირად საკლასო ოთახშიც შემოიხედავდა საუზმობისას ან სადილობისას და ხედავდა, როგორ ღვრიდნენ რძეს მაგიდაზე ან საკუთარ სამოსზე, თითებს ფინჯნებში ყოფდნენ - თავისაში ან სხვისაში - და გემრიელი ნაჭრებისთვის ბოკვრებივით იბრძოდნენ. თუ ამ დროს მათ საქციელზე არ ვრეაგირებდი, მაშასადამე,



უზრდელობისკენ ვაქეზებდი, და თუ ხმას ვუწევდი (როგორც ხშირად ხდებოდა) და წესრიგის დამყარებას ვცდილობდი, მაშასადამე, დაუშვებელ უხეშობას ვიჩენდი და გოგონებს თავშეუკავებელ ლაპარაკსა და საქციელს ვაჩვევდი.<sup>[SEP]</sup>

დამამახსოვრდა ზაფხულის დღე, როდესაც წვიმდა და ბავშვები სასეირნოდ ვერ წავიდნენ. მაგრამ - აი, სასწაული - მათ დამჯერედ მოამზადეს გაკვეთილები და არც მშობლებთან გაქცეულან თავის მოსაბეზრებლად, რისიც ყოველთვის მეშინოდა, მაგრამ წვიმიან ამინდში ხელს ვერაფრით ვუშლიდი. იქ ხომ ყოველთვის ელოდებოდათ ახალი და საინტერესო, განსაკუთრებით სტუმრიანობისას, დედა კი, მართალია, მოითხოვდა, რომ ისინი საკლასო ოთახიდან არ გამომეშვა, ამისთვის არ საყვედურობდა და უკან არ აძრუნებდა.<sup>[SEP]</sup>

ამჯერად გული არსად მიუწევდათ და - ჰოი, საკვირველებავ! - მშვიდობიანად ეთამაშებოდნენ ერთმანეთს, არ ჩხუბობდნენ და არც ჩემგან მოითხოვდნენ, გამერთო. თუმცა გაუგებარი გასართობი აერჩიათ: ფანჯარასთან იატავჩე დამსხდარიყვნენ დამტვრეული სათამაშოების გროვასა და ჩიტების კვერცხებს შორის. კვერცხებს ნაჭუჭები უფრო ეთქმოდა, რადგან შიგთავსი, საბედნიეროდ, დიდი ხნის წინათ ამოედოთ. ბავშვებმა ჭერ გაჭყლიტეს ისინი, ახლა კი ნატეხები ფხვნილად აქციეს. არ ვიცოდი, ეს რისთვის დასჭირდათ, არც მაინტერესებდა, ოღონდაც წყნარად ყოფილიყვნენ და რამე სისაძაგლე არ მოეფიქრებინათ. უჩვეულოდ მშვიდად ვიჰექი ბუხართან და მერი ენის თოჭინისთვის ვაბის შეკერვას ვასრულებდი, შემდეგ კი დედისთვის წერილის მიწერას ვაპირებდი. უცრად კარი გაიღო და მისტერ ბლუმფილდის შეუხედავი სახე გამოჩნდა.<sup>[SEP]</sup>

- რა სიჩუმეა! რას აკეთებთ?<sup>[SEP]</sup>

„კიდევ კარგი, დღეს მაინც არ ხდება რამე ცუდი!“ - გავივლე გულში, მაგრამ მისტერ ბლუმფილდი სხვაგვარად ფიქრობდა. იგი ფანჯარასთან მივიდა და გაღიზიანებულმა შესძახა.<sup>[SEP]</sup>

- ეს რა გიქნიათ?<sup>[SEP]</sup>

- კვერცხის ნაჭუჭს ვნაყავთ, მამა! - მხიარულად მიუგო ტომმა.<sup>[SEP]</sup>

- როგორ გაბედეთ აქაურობის ასე დაბინძურება, თქვე საძაგლებო?

## ენ ბრონტე

შეხედეთ, რა დღეში ჩაგივდიათ ხალიჩა! (ხალიჩა მხოლოდ და მხოლოდ ყავისფერი ფეხსანმენდი იყო.) მის გრეი, იცოდით, რას საქმიანობდნენ? [SEP]

- დიახ, სერ [SEP]

- მაშასადამე, იცოდით? [SEP]

- დიახ. [SEP]

- იცოდით?! და მშვიდად იქექით ბუხართან და ეს არ აუკრძალეთ? [SEP]

- მომეჩვენა, რომ ცუდს არაფერს აკეთებდნენ. [SEP]

- ცუდს არაფერსო! წარმოვიდგენიათ? აბა, ხალიჩას შეხედეთ და თქვით, წესიერ სახლში მსგავსი რამ თუ გინახავთ? რა გასაკვირია, რომ თქვენი ოთახი გომურზე უარეს დღეშია, რომ თქვენი მოწაფეები გოჭებზე უარესად გამოიყერებიან! დიახ, სულაც არაა გასაკვირი. ამას ჩემი მოთმინება ვერ გაუძლებს, - თქვა მან, გავიდა და კარი საშინელი ხმაურით გაიჯახუნა. ბავშვებმა მხიარულად გაიცინეს. [SEP]

- ვერც ჩემი მოთმინება გაუძლებს! - ჩავიბურტყუნე მე, ქარცახს ხელი ვტაცე და მუგუზლებს დავცხე, რათა ამ საპატიო მიზეზით ორთქლი გამომეშვა. [SEP]

ამის შემდეგ მისტერ ბლუმფილდმა ჩვეულებად შემოიღო შეემოწმებინა, დალაგებული იყო თუ არა საკლასო ოთახი. ვინაიდან ბავშვები გამუდმებით ყრიდნენ იატავზე სათამაშოებისნამტვრევებს, ჭოხებს, კენჭებს, ფოთლებსა და სხვა ათასგვარ ნაგავს, რომელთა მოტანას ბაღიდან სახლში ვერ ვუკრძალავდი და ვერც აკრეფას ვაიძულებდი, მოახლეები ვი ვატეგორიულად აცხადებდნენ უარს მათ მილაგებაზე, ჩემთვის განკუთვნილი ისედაც ხანმოკლე დასვენების მნიშვნელოვან ნაწილს მუხლებზე დგომასა და ოთახის მოწესრიგებას ვანდომებდი. ერთხელ ბავშვებს განვუცხადე, სანამ ხალიჩიდან ყველაფერს არ აალაგებთ, ვახშამს არ მიიღებთ-მეთქი: ფანის „ამდენი“ უნდა აეღო, მერი ენს - ორჯერ მეტი, ტომს ვი - რაც დარჩებოდა. საოცარია, მაგრამ გოგონებმა დამიჭერეს, ტომი ვი ისე გამძვინვარდა, რომ მაგიდასთან მიირბინა, სარძევე და პური იატავზე გადმოყარა, დებს დაარტყა, ნახშირიან აქანდაზს ფეხი ჰკრა, მაგიდისა და სკამების გადაყირავებაც მოინდომა, გეგონებოდათ, ყველაფრის გაცამტვერება სურსო, მაგრამ ხელი ვტაცე, მერი ენი მისის ბლუმფილდთან გავგზავნე, ბიჭი ვი მაგრად მეჭირა,

## აგნეს გრეი



მიუხედავად იმისა, რომ ხელ-ფეხს იქნევდა, ყვიროდა და ილანძღებოდა, სანამ მისი მოსიყვარულე დედა არ შემოვიდა.<sup>[SEP]</sup>

- აბა, რა დაემართა ჩემს ბიჭს? - იკითხა მან, ახსნა-განმარტება მოისმინა, ძიძას დაუძახა და უბრძანა, ოთახი მიელაგებინა და მასტერ ტომისთვის მისი ვახშამი მოეტანა.<sup>[SEP]</sup>

- ესეც თქვენ! - საზეიმო ხმით შესძახა ბიჭმა საჭმლით გამოტენილი პირით, - ესეც თქვენ, მის გრეი! ხომ მემუქრებოდით, მე კი ვახშამიც მომცეს და არც ხალიჩიდან ამიღია რამე.<sup>[SEP]</sup>

მთელ სახლში მხოლოდ ძიძა თანამიგრძნობდა. ისიც იტანჯებოდა, ოღონდ ნაკლებად, რადგან ვალდებული არ იყო, ბავშვებისთვის რამე ესწავლებინა და მათ ქცევაზეც ნაკლებად აგებდა პასუხს.<sup>[P]</sup>

- ოჟ, მის გრეი! - ამბობდა ის, - როგორ წვალობთ ამ ეშმაკუნებთან!<sup>[SEP]</sup>

- მართალს ამბობთ, ბეტი. თქვენ ეს კარგად მოგეხსენებათ.<sup>[SEP]</sup>

- როგორ არ ვიცი! ოღონდ მე მათ თავს არ ვაკლავ თქვენსავით. რომ არ დაგიმალოთ, ზოგჯერ წამოვარტყამ კიდეც. პატარებს კი წვეპლას შემოვკრავ, თუ დამჭირდა. მათ ხომ სხვა ენა არ ესმით. მაგრამ ამის გამო თითქმის დამითხვეს.<sup>[P]</sup>

- მართლა, ბეტი? ამას წინათ მითხარით, მივდივარო.<sup>[SEP]</sup>

- მივდივარ, ღმერთმა სიკეთე მოგცეთ. დიასახლისმა მითხრა, სამი კვირის შემდეგ აქ აღარ გნახოო. შობის წინ გამაფრთხილა, რომ გამაგდებდა, თუ ბავშვებს თითს მაინც დავაკარებდი. მაგრამ განა ასე ადვილია მათთან თავის შეკავება? ვერ ვხვდები, თქვენ როგორ ართმევთ თავს. მერი ენი ხომ თავის დებზე საძაგელი ბავშვია.<sup>[SEP]</sup>

## თავი V -<sup>[P T P]</sup> <sup>[SEP:SEP]</sup> ბიძა

მოხუცი ქალბატონის გარდა, ოჭახს კიდევ ერთი ახლობელი ჰყავდა, რომლის სტუმრობაც მრავალ უსიამოვნებას მაყენებდა - ბიძია რობსონი, მისის ბლუმფილდის ძმა, მაღალი, თვითვმაყოფილი, მუქთმიანი ჰენტლმენი, დასავით, მიწისფერი სახით, ისეთი ცხვირით, თითქოს სამუდამოდ შეჰიზდებოდა მიწა, და ნაცრისფერი თვალებით, რომლებსაც ხშირად

## ენ ბრონტე

ჭუტავდა თანდაყოლილი სულელობისა და ირგვლივ არსებული საგნების მოჩვენებითი უგულებელყოფის გამო. ეს ჭმუხი კაცი მკვრივი აგებულებითა და წვრილი წელით გამოირჩეოდა, რაც მის არაბუნებრივად გამართულ ტანთან ერთად იმას მოწმობდა, რომ სახელოვანი, ამაღლებული სულის მქონე და ქალების არაფრად ჩამგდები მისტერ რობსონი, კოხტაობის ხათრით, კორსეტს ატარებდა. იგი იშვიათად თუ გადმომხედავდა მოწყალე თვალით და თუკი ჩემთვის ორ-სამ სიტყვას გაიმეტებდა, ამას ამპარტავნული თავხედობით აკეთებდა, რამაც დამარწმუნა, რომ ჰენტლმენი არ იყო, თუმცა საპირისპიროს დამტკიცებას ცდილობდა. მისი ვიზიტები, ძირითადად, იმიტომ მაღიზიანებდა, რომ ბავშვებზე ცუდ ზეგავლენას ახდენდა - ცუდ საქციელს უწონებდა და რამდენიმე წუთში ანადგურებდა იმ კეთილ თესლს, რომლის დათესვასაც ასე გაჭირვებით თვეების განმავლობაში ვახერხებდი. [SEP]

ბიძია იშვიათად აქცევდა ყურადღებას ფანისა და ჰატარა ჰარიეტს, სამაგიეროდ, მერი ენი მისი საყვარელი დისტვილი იყო. იგი გამუდმებით იწონებდა მის კევლუცობას (რასაც მთელი ძალით ვერინააღმდეგებოდი), გარეგნობას უქებდა და სილამაზის მნიშვნელობაზე თავში ათასგვარ სისულელეს უტენიდა (მე კი ვასწავლიდი, რომ გარეგნობა ვერაფრით გაუტოლდებოდა განათლებულ გონიერასა და დახვეწილ მანერებს). ძნელად თუ მოიძებნებოდა სხვა ჰატარა გოგო, რომელსაც ასე უყვარდა, როცა ეპირფერებოდნენ. მასსა და მის ძმაში მისტერ რობსონი ყოველივე ცუდს ახალისებდა - თუ აშკარა მოწონებით არა, შემწყნარებლური სიცილით მაინც. ბევრი ადამიანი ანგარიშმიუცემლად აფუჭებს ბავშვებს, როდესაც მათ დანაშაულზე იცინის ან ხუმრობს. ჭეშმარიტი მეგობრები კი ურჩევდნენ, რომ ასე არასდროს მოქცეულიყო. [SEP]

მართალია, მისტერ რობსონი სასმლის მოტრფიალე არ გახლდათ, ღვინოს ბევრს სვამდა, წყალგარეულ ბრენდზეც არ ამბობდა უარს და ტომსაც ასწავლიდა, შეძლებისდაგვარად, მისთვის მიებაძა. ეუბნებოდა, რაც უფრო მეტ ღვინოს დალევ და სმას დაეჩვევი, მით უფრო დაემსგავსები ნამდვილ მამაკაცს და უცილობლად დაამტკიცებ შენს უპირატესობას დებთან შედარებითო. მისტერ ბლუმფილდი ამის საწინააღმდეგოდ ბევრს არაფერს ამბობდა, ვინაიდან თვითონ ჭინი და წყალი უყვარდა და საკმარისი



რაოდენობით ყლურწავდა კიდეც დილიდან საღამომდე. ვფიქრობ, სწორედ ამიტომ ედო სახეზე ავადმყოფური ფერი და ღიზიანდებოდა ყოველ წვრილმანზე.<sup>[SEP]</sup>

ამას ისიც ემატებოდა, რომ მისტერ რობსონი სიტყვით და საქმით იწონებდა ტომის საქციელს, როცა ის დაუცველ არსებებს აწვალებდა. ხშირად მისი სტუმრობის მიზეზი ცოლისძმის მამულში ნადირობა იყო, რისთვისაც თან საყვარელი ძალლები მოჰყავდა, რომლებსაც ისე სასტიკად ეპყრობოდა, რომ სოვერენსაც არ დავინანებდი, ოღონდ კი რომელიმეს მისთვის ეკბინა - ცხადია, თუ ამას სასჯელი არ მოჰყვებოდა. ზოგჯერ გულარხეინად გაემართებოდა ხოლმე ბავშვებთან ერთად ჩიტის ბუდეების დასარბევად, რაც განსაკუთრებით მწყინდა და მაცოფებდა, რადგან მეგონა, რომ ჩემმა დაუინებულმა საუბრებმა ამ საკითხთან დაკავშირებით პატარებს ნაწილობრივ მაინც დაანახვა, რომ ასე გართობა არ შეიძლებოდა, და ვიმედოვნებდი, რომ მომავალში მათში სამართლიანობისა და პუმანურობის გრძნობებსაც გავაღვიძებდი. თუმცა, ბიძია რობსონის მეთაურობით ბუდეების ძებნის ათი წუთი ან მისი მხიარული სიცილიც კი, წყალში ყრიდა ყველაფერს, რისთვისაც ხანგრძლივი საუბრებისა და დარწმუნების გზით მიმეღწია. საბედნიეროდ, იმ ზაფხულს, ერთადერთი შემთხვევის გამოკლებით, მათ ბუდეები ან ცარიელი ხვდებოდათ, ან კვერცხებიანი, ტომი და მისტერ რობსონი კი ბარტყების გამოჩევას ვერ დაელოდებოდნენ - მოთმინება არ ეყოფოდათ. ერთხელ ბიძამისთან ერთად მეზობლად მდებარე ტყეში მოსეირნე ტომი აღფრთოვანებული დაბრუნდა შინ. ხელებში ნახევრად ტიტველი ბარტყებით სავსე ბუდე ეჭირა. მერი ენმა და ფანიმ, რომლებიც სწორედ მაშინ გავიყვანე სასეირნოდ, ძმასთან მიირბინეს ნადავლისთვის თვალის შესავლებად და სთხოვეს, რომ თითო-თითო მათთვისაც მიეცა.<sup>[SEP]</sup>

- ერთსაც არ მოგცემთ! - შესძახა ტომმა, - ყველა ჩემია. ბიძია რობსონმა მაჩუქა. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი. ერთსაც ვერ მიიღებთ. ესეც თქვენ! - თქვა მან ნიშნის მოგებით, ბუდე მინაზე დადო და ფეხები ფართოდ გადგა, დაიხარა, ხელები ჭიბეებში ჩაიწყო და მოსალოდნელი სიამოვნებისგან სახის მანქვას შეუდგა, - შეგიძლიათ უყუროთ, როგორ გავუსწორდები. სიტყვას გაძლევთ, შავ დღეს დავაყრი. ეშმაკმა ნამიღოს, თუ კარგად არ გავერთოთ!<sup>[SEP]</sup>

## ენ ბრონტე

- ტომ! - მივმართე მე, - ამ ჩიტების წვალების უფლებას არ მოვცემ, - ისინი ან ერთბაშად უნდა მოკლა, ან ძველ ადგილას წაიყვანო, რათა მშობლებმა მათი გამოკვება შეძლონ.<sup>[SEP]</sup>

- მაგრამ თქვენ არ იცით, სად არის მათი ძველი ადგილი, მადამ! მხოლოდ მე და ბიძია რობსონმა ვიცით.<sup>[SEP]</sup>

- თუ არ მეტყვი, როგორც უნდა მიმძიმდეს, თვითონ მოვკლავ მათ.<sup>[SEP]</sup>

- ამას ვერ გაძედავთ! ვერასდროს შეეხებით, რადგანიცით, რომ მამა, დედა და ბიძია რობსონი გაგიბრაზდებიან. ჰა-ჰა! გამოგიჭირეთ, მის?<sup>[SEP]</sup>

- ისე მოვიქცევი, როგორც საჭიროდ მივიჩნევ. თუ შენს მშობლებს ეს არ მოეწონებათ, გული დამწყდება, მაგრამ შენი ბიძია რობსონის აზრი, ცხადია, სულ არ მაინტერესებს.<sup>[SEP]</sup>

მოვალეობის გრძნობით წაქებებულმა, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ცუდადაც გავმხდარიყავი და ჩემი დამქირავებლების რისხვაც დამემსახურებინა, დიდი ქვა ავიღე, რომელიც მებაღეს სათაგურისთვის დაედო, ერთხელაც ვცადე დამერწმუნებინა პატარა ტირანი, რომ ბუდე ადგილზე დაებრუნებინა და ვკითხე, ბარტყებს რას უპირებდა. იგი ვერაგული აღტაცებით შეუდგა წამების სხვადასხვა მეთოდის ჩამოთვლას. მაშინ ქვას ხელი გავუშვი და ბუდე ბარტყებიანად გავჭყლიტე. ჩემმა თავხედურმა საქციელმა საშინელი ყვირილი და ლანძღვა გამოიწვია. ხეივანში მხარე თოფგადავიდებული ბიძია რობსონი გამოჩნდა. იგი შეჩერდა, რათა ძალისთვის წიხლი ეთავაზებინა. ტომი მისკენ გაიქცა და ღრიალით სთხოვა, იუნონას ნაცვლად, მის გრეი გალახეთო. მისტერ რობსონი თოფს დაეყრდნო და გაცოფებული დისმვილის მიერ ჩემი მისამართით გამოთქმული წყევლა-კრულვის გაგონებაზე, ხმამაღალ სიცილს მოჰყვა.<sup>[SEP]</sup>

- აი, ყოჩაღ! - შესძახა ბოლოს, თოფი ასწია და სახლისკენ დაიძრა, - დალახვროს ეშმაკმა, ამ ბიჭს თავხედობა ნამდვილად არ აკლია! მიწამ ჩამიტანოს, თუ რომელიმე პატარა ირამზადას ასეთი კეთილშობილი სული ჰქონდეს. ქალების ჭკუაზე კი არ დადის! ღმერთო ჩემო! არც დედას უჭერებს, არც ბებიას, არც გუვერნანტს! ჰა-ჰა-ჰა! არაფერია, ტომ, ხვალ შენთვის სხვა ბუდეს ვიპოვი.<sup>[SEP]</sup>

- თუ ასე მოიქცევით, მისტერ რობსონ, მათაც მოვკლავ.<sup>[SEP]</sup>

## აგნეს გრეი



- ჰმ! - მომიგო მან და თავხედური მზერა მესროლა, რომელსაც, მისი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, თვალდაუხამხამებლად გავუძელი, შემდეგ ზიზღით შეტრიალდა და სახლში შევიდა. ტომი დედასთან გაიქცა საჩივლელად. მისის ბლუმფილდს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, მაგრამ იმ დღეს ჩვეულებრივზე გაცილებით ქედმაღლურად და ცივად ეჭირა თავი. თავდაპირველად ამინდზე ჩამოაგდო სიტყვა, შემდეგ კი დაამატა.<sup>[SEP]</sup>

- ძალიან ვწუხვარ, მის გრეი, რომ მასტერ ბლუმფილდს გართობაში ხელი შეუშალეთ. თქვენ მისი ჩიტები მოვალით, რამაც იგი ძალზე გააბრაზა.<sup>[SEP]</sup>

- როდესაც მასტერ ბლუმფილდი გართობის მიზნით ცოცხალ არსებებს აწვალებს, - მივუგე მე, - ვთიქრობ, ჩარევა ჩემი მოვალეობაა.<sup>[SEP]</sup>

- ალბათ, დაგავიწყდათ, - მშვიდად შემეპასუხა იგი, - რომ ყველა ქმნილება სწორედ იმისთვისაა შექმნილი, რომ მათ ჩვენი სურვილისამებრ მოვექცეთ.<sup>[SEP]</sup>

ასეთმა დოქტრინამ ერთგვარი ეჭვი აღმიძრა, მაგრამ მხოლოდ შემდეგი სიტყვები ვიკმარე.<sup>[SEP]</sup>

- ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათი წვალებით უნდა გავერთოთ.<sup>[SEP]</sup>

- ჩემი აზრით, - თქვა მან, - ბავშვის გართობა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, თუ რა შეემთხვევათ უსულო ქმნილებებს.<sup>[SEP]</sup>

- მაგრამ ამგვარი გართობის წახალისება ბავშვისთვისვე მავნეა, - განვუცხადე, შეძლებისდაგვარად, მორიდებულად, რათა ამგვარი სიჭიუტე რაღაცით მაინც გამომესყიდა, - ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულნი იქნებიან (მათე, 5:7).<sup>[SEP]</sup>

- ოჟ, რასაკვირველია! მაგრამ ეს მხოლოდ ადამიანებს შორის ურთიერთობას ეხება.<sup>[SEP]</sup>

- გულმოწყალე ადამიანი თავისი საქონლის მიმართაც გულმოწყალეა, - გავბედე შეპასუხება.<sup>[SEP]</sup>

- არ ვიტყოდი, რომ თვითონ ასეთი გულმოწყალე ხართ! - მომიგო მოკლე ღვარძლიანი სიცილით, - რა სისასტივეა - ერთი დარტყმით საბრალო ბარტყების მოკვლა და საყვარელი ბიჭის ასე დამწუხრება ბავშვური ახირებისთვის, დასჭის მიზნით.<sup>[SEP]</sup>

გაჩუმება ვამჯობინე. ეს შევამათების მსგავსი ერთადერთი შემთხვევა იყო

## ენ ბრონტე

ჩემსა და მისის ბლუმფილდს შორის და ერთადერთი საუბრის მსგავსი, ჩემი ჩამოსვლის დღის გამოკლებით.<sup>[SEP]</sup>

სხვათა შორის, არა მხოლოდ უფროს მისის ბლუმფილდსა და მისტერ რობსონს მოჰქონდათ ჩემთვის ამდენი უსიამოვნება, არამედ უელვუდჰაუსში ჩამოსულ სხვა სტუმრებსაც. არა იმიტომ, რომ ისინი ვერ მამჩნევდნენ (თუმცა ამგვარმა უზრდელობამ გვარიანად გამაკვირვა) - უბრალოდ, ვერ ვახერხებდი, რომ მათთან ჩემი მოწაფეები არ მიმეშვა, როგორც ამას ჩემგან მკაცრად მოითხოვდნენ. ტომი მათთან სასაუბროდ მიინევდა, მერი ენი მათგან შექებას ელოდა. და-ძმას არც სიმორცხვე ახასიათებდა, არც ჩვეულებრივი ბავშვური მორიდებულობა. ისინი კადნიერად ერეოდნენ უფროსების საუბარში, თავს აპეზრებდნენ მოურიდებელი შეკითხვებით, ჯენტლმენებს სახელოებზე ექაჩებოდნენ, მუხლებზე დაუპატიჟებლად აცოცდებოდნენ, მხრებზე ეკიდებოდნენ ან მათ ჭიბეებში ხელებს აფათურებდნენ, ქალებს თმას უწენავდნენ, საყელოებს უჭმუჭნიდნენ და საჩუქრად ნაირგვარ სამშვენისს სთხოვდნენ.<sup>[SEP]</sup>

მისის ბლუმფილდს კეთილგონიერება ჰყოფნიდა, მათი ამგვარი საქციელი არ მოეწონებინა და რცხვენოდა კიდეც, მაგრამ ვერ მოეფიქრებინა, ეს როგორ აღეკვეთა - ამას ჩემგან მოითხოვდა.<sup>[P]</sup>

განა შემეძლო მე, უბრალოდ ჩაცმულ, მათვის მწარე სიმართლის მთქმელ ქალიშვილს ბავშვების წამოყვანა სასტუმრო ოთახიდან, სადაც ლამაზად გამოწყობილი ქალბატონები და ბატონები მასპინძლის პატივსაცემად, ბავშვებს აქებდნენ და შემწყნარებლურად ხუჭავდნენ თვალს მათ უსაქციელობაზე? ძალისხმევას არ ვაკლებდი: ვცდილობდი, მათი ყურადღება სხვა რამებე გადამეტანა, ახალ-ახალ თამაშებს ვიგონებდი, მთელ ჩემს ძალაუფლებასა და სიმკაცრეს ვიყენებდი, რისი გაბედულებაც მყოფნიდა, ოღონდვი სტუმრებთან მათი ურთიერთობისთვის ხელი შემეშალა, ვარცხვენდი, ვუხსნიდი, როგორ ცუდად იქცეოდნენ, იმის იმედით, რომ მომავალში ეს შეაჩერებდათ, მაგრამ მათ არ იცოდნენ, რა იყო სირცხვილი, სიმკაცრეს არ უშინდებოდნენ, გულკეთილობა და ალერსი კი... მათ გული არ ჰქონდათ, ან იმდენად ვარგად მალავდნენ, რომ, ჩემი მცდელობის მიუხედავად, მისკენ მიმავალ გზას ვერ ვპოულობდი.<sup>[SEP]</sup>



მალე ჩემი გასაჭირი დასრულდა, თანაც იმაზე ადრე, ვიდრე ველოდი ან მინდოდა. გაზაფხულზე, მაისის ერთ მშვენიერ საღამოს, როდესაც ზაფხულის დასვენების მოახლოებაზე სიხარულით ვფიქრობდი და საკუთარ თავს ვულოცავდი, რომ, როგორც იქნა, რაღაცას მივაღწიე - ჩემი მოწაფეების თავში არა მხოლოდ რაღაცის ჩატენვა მოვახერხე, გარკვეულწილად, (სამწუხაროდ, მხოლოდ მცირედით!) გავაგებინე კიდეც, რომ ჭობდა მაშინვე ჩაებარებინათ გავვეთილები და სათამაშოდ წასულიყვნენ, - მოულოდნელად მისის ბლუმფილდმა თავისთან მიხმო და სრულიად მშვიდად გამომიცხადა, რომ ივლისიდან ჩემი სამსახური აღარ დასჭირდებოდა. მითხრა, რომ სულაც არ მსაყვედურობდა ჩემი ხასიათის ან საქციელის გამო, მაგრამ იმ ხნის განმავლობაში, რაც მათთან გავატარე, ბავშვებმა ძალზე მცირედით წაიწიეს წინ. ამიტომ მას და მისტერ ბლუმფილდს მიაჩნდათ, რომ მათ, როგორც მშობლებს, შვილების აღსაზრდელად სხვა საშუალება უნდა გამოეძებნათ. მათი აზრით, ნიჭიერებით ისინი ბევრ თანატოლს აღემატებოდნენ, მაგრამ მანერებით ძალიან ჩამორჩებოდნენ - არც მოქცევა იცოდნენ და არც თავშევავება. ამის მიზეზი კი, მისის ბლუმფილდის თქმით, ის იყო, რომ არასაკმარის სიმტკიცეს, დაჟინებულობასა და მზრუნველობას ვიჩენდი.<sup>[5]</sup>

გულის სიღრმეში ყოველთვის ვამაყობდი საკუთარი სიმტკიცით, მოთმინებითა და დაუღალავი მზრუნველობით. ამის დახმარებით მომავალში ყველა სირთულის გადაღახვასა და, საბოლოოდ, წარმატების მიღწევას ვგეგმავდი. მინდოდა, საკუთარი თავის დასაცავად რამე მაინც მეთქვა, მაგრამ ხმა ამიკანკალდა და ვინაიდან გრძნობების გამომზეურება და, მით უმეტეს, თვალებზე მომდგარი ცრემლების გადმოფრქვევა არ მსურდა, გაჩუმება ვამჯობინე და ამით თითქოს უდრტვინველად ვაღიარე საკუთარი დანაშაული.<sup>[5]</sup>

მაშასადამე, გამაგდეს! აი, რით ვპრუნდებოდი შინ. ნეტავ, რას იფიქრებდნენ მშობლები და და? ჩემი ბაქიაობის შემდეგ ერთი წელიც ვერ შევძელი სამი პატარა ბავშვის გუვერნანტად მუშაობა, რომელთა დედასაც ჩემმა ღვიძლმა მამიდამ „ძალზე სასიამოვნო ქალი“ უწოდა! ბედმა გამოცდა მომიწყო და ეს გამოცდა წარმატებით ვერ ჩავაბარე. მოინდომებდნენ კი ისინი, რომ ერთხელაც მეცადა? ყველაზე მეტად ეს მაწუხებდა. დაღლილიც

## ენ ბრონტე

ვიყავი, ნატანჯიც, იმედგაცრუებულიც, მშობლიური სახლიც მენატრებოდა, რომელიც ახლა უფრო მეტად მიყვარდა და რომელსაც უფრო მეტად ვაფასებდი, მაგრამ საკუთარი ძალების მოსინჯვისა და ქვეყნიერების ნახვის სურვილი კვლავაც არ გამნელებოდა. ყველა მშობელი მისტერ და მისის ბლუმფილდის, ყველა ბავშვი კი ჩემი ყოფილი მოწაფეების მსგავსი ხომ არ იქნებოდა? სხვა ოჯახი სხვანაირ ოჯახს ნიშნავდა, უფრო ცუდი ვერც კი წარმომედგინა. გამოცდილება შევიძინე, წარუმატებლობამ გამომაწრთო. აუცილებლად უნდა აღმედგინა ღირსება მათ თვალში, ვის აზრსაც იმქვეყნად ყველაზე მეტად ვაფასებდი. [P]

## თავი VI - [P P P] [SEP SEP] კვლავ მღვდლის სახლი

რამდენიმე თვე შინ გავატარე. თავისუფლებით, სიმშვიდით, ახლობლების მზრუნველობით ვტკბებოდი - ყველაფრით, რაც ასე დიდხანს მაკლდა. ბეჭითად ვმეცადინეობდი იმის გასახსენებლად, რისი დავიწყებაც უელვუდჰაუსში მოვასწარი და სამომავლოდ ცოდნას ვიღრმავებდი. ჩემს არყოფნაში მამას ჭანმრთელობა არც გაუმჯობესებია, არც გაუარესებია, მაგრამ მსიამოვნებდა იმის გაცნობიერება, რომ ჩემმა დაბრუნებამ გაამხიარულა, თანაც კმაყოფილებით უსმენდა, როგორ ვმღეროდი მის საყვარელ სიმღერებს. [P]

არავინ მსაყვედურობდა განცდილი წარუმატებლობის გამო, არავინ ამბობდა, ხომ გეუბნებოდი, ჭობდა შინ დარჩენილიყავიო. უხაროდათ, რომ დავბრუნდი, ყურადღებასა და აღერსს არ მაკლებდნენ, რათა გადატანილი ტანჯვა როგორმე შეემსუბუქებინათ. არც მამამ, არც დედამ და არც მერიმ ერთი შილინგიც კი არ აიღეს იმ თანხიდან, სიამაყით რომ გამოვიმუშავე და საგულდაგულოდ შევაგროვე მათთვის გასანაწილებლად. დედას ხარჯი, შეძლებისდაგვარად, შეემცირებინა და ოჯახის ვალი თითქმის მთლიანად გაესტუმრებინა. ჩემი დის აკვარელის ნახატებმა თურმე წარმატება მოიპოვა, მაგრამ მამამ დაიჟინა, რომ გამომუშავებული ფული თავისთვის შეენახა. ყველაფრი, რაც ჩვენი მოკრძალებული გარდერობის შევსებისა და სხვა აუცილებელი ნივთების შეძენის შემდეგ დარჩა, მისი დაჟინებული

## აგნეს გრეი



მოთხოვნით, ბანკში შეგვექონდა - იგი გრძნობდა, რომ ჩვენთან ერთად დიდხანს ყოფნა არ ეწერა და, ალბათ, ფიქრობდა, ვინ იცის, რა დღეში ჩავარდებიან, როცა მე აღარ ვეყოლებიო.<sup>[P]</sup>

ძვირფასი მამა! ნაკლებად რომ დაეტანქა თავი იმ გასაჭირებელი ფიქრით, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გველოდა, ეს საშინელი უბედურება, რა თქმა უნდა, გაცილებით გვიან გვეწვეოდა. დედა ყველანაირად ცდილობდა, საუბარი სხვა თემაზე გადაეტანა.<sup>[P]</sup>

- ოჟ, რიჩარდ! - შესძახა მან ერთხელ, - პირქუში აჩრები თავიდან ამოიგდე და ყველაზე დიდხანს იცოცხელებ. ყოველ შემთხვევაში, გოგონების გათხოვებას მოასწრებ და დარჩენილი წლები ბედნიერი ბაბუა იქნები, გვერდით კი ჭირვეული დედაბერი გეყოლება.<sup>[P]</sup>

დედას გაეცინა, მამაც აპევა, მაგრამ სიცილი მაშინვე მწარე ამოოხვრად გადაექცა.<sup>[P]</sup>

- გათხოვებას? საბრალო გოგოები! - თქვა მან, - ვინ წაიყვანს უმზითვოდ?<sup>[P]</sup>

- ის, ვინც მიხვდება, რა განძს ჩაიგდებს ხელში. განა მეც უმზითვო არ ვიყავი, როცა ჩემზე დაქორწინდი? ყოველთვის ისეთი სახე გქონდა, თითქოს სულ არ ნანობდი მსგავსი ნაბიჯის გადადგმას. თანაც, არც იმას აქვს დიდი მნიშვნელობა, გათხოვდებიან თუ არა - ათასგვარ გზას გამოვნახავთ, როგორ შეიძლება პატიოსანი შრომით თავის რჩენა. მიკვირს, რიჩარდ, ასე რომ იტანქავ თავს შენი სიკვდილის შემდეგ ჩვენი სიღარიბის გამო. ჩვენთვის ამ დანაკარგზე საშინელი არაფერი იქნება. პოდა, მოინდომე და ეს მწუხარება აგვარიდე. ისიც გაითვალისწინე, რომ სულის სიმხნევე საუკეთესო წამალია სხეულის ჭანმრთელობისთვის.<sup>[P]</sup>

- ვიცი, ელის, რომ დაღვრემილობა ცუდია, მაგრამ თავს ვერაფერს ვუხერხებ. სხვა გზა არა გაქვს - უნდა ამიტანო, როგორიც ვარ.<sup>[P]</sup>

- არა, ბატონო! მე შენ შეგველი, - მიუგო დედამ. მკაცრ სიტყვებს დაყვავება და მოსიყვარულე ღიმილი აწონასწორებდა, რაც მამასაც ჰგვრიდა ღიმილს - თანაც არც ნაღვლიანსა და არც მწარეს, როგორიც ჩვეულებრივ ჰქონდა.<sup>[P]</sup>

- დედა, - ვთქვი მე, როგორც კი მასთან მარტო დავრჩი, - ფული ძალიან

## ენ ბრონტე

ცოტა მაქვს, დიდხანს არ გვეყოფა. მე რომ ამ თანხის გაზრდა შემეძლოს, მამას ნაკლები საწუხარი დარჩებოდა. მერივით ხატვა არ შემიძლია, ამიტომ ახალი სამუშაო ადგილი უნდა მოვძებნო.<sup>[P]</sup>

- შენ ეს მართლა გინდა, აგნეს?<sup>[P]</sup>
- დიახ, დედა.<sup>[P]</sup>
- მე კი მეგონა, ჩემო ვარგო, რომ საკმაოდ გაწვალდი.<sup>[P]</sup>
- მაგრამ ყველა მისტერ და მისის ბლუმფილდისნაირი ხომ არაა... - დავიწყე მე.<sup>[P]</sup>
  - გაცილებით უარესებიც არსებობენ! - გამაწყვეტინა დედამ.<sup>[P]</sup>
  - ასეთები, ალბათ, ძალიან ცოტანი არიან, - მივუგე მე, - და, ცხადია, არც ყველა ბავშვი ჰგავს ჩემს ყოფილ მონაფეებს. მე და მერი ხომ სხვანაირები ვიყავით და ყოველთვის გიჩერებდით, არა?<sup>[P]</sup>
  - ჩვეულებრივ, კი. მე ხომ არ განებივრებდით. სხვათა შორის, ანგელოზებს მაინცდამაინც არ ჰგავდით. მერი ზოგჯერ გაჭიუტდებოდა ხოლმე, შენ კი დენთივით აფეთქება იცოდი. თუმცა უფრო ხშირად ძალიან ვარგი გოგონები იყავით.<sup>[P]</sup>
  - ვიცი, რომ ზოგჯერ ვიბუტებოდი, მაგრამ მხოლოდ გამიხარდებოდა, თუ ბლუმფილდების ბავშვები ჩემზე გაიბუტებოდნენ. მაშინ მათ გაგებას შევძლებდი. არათერი სწყინდათ, ვინაიდან დარცხვენა, განაწყენება, დამწუხრება არ შეეძლოთ. მხოლოდ გაბრაზება და ყვირილი იცოდნენ.<sup>[P]</sup>
  - რახან არ შეეძლოთ, მაშასადამე, მათი ბრალი არ იყო. ქვა თიხასავით მოქნილი არაა.<sup>[P]</sup>
  - დიახ, მაგრამ ამის გამო ასეთი უგრძნობელი და არაბუნებრივი არსებების გვერდით ცხოვრება იოლი სულაც არაა. მათი შეყვარება შეუძლებელია. არც სჭირდებათ სიყვარული, ვინაიდან მასზე არ რეაგირებენ - საერთოდ ვერ ხვდებიან, რა არის ეს. მაგრამ თუ ბედი კვლავ ასეთ ოჯახს შემახვედრებს, რაც ნაკლებად სავარაუდოა, გამოცდილება მექნება და ამდენ შეცდომას აღარდავუშვებ. მოკლედ, ნება მომეცი, ერთხელაც ვცადო.<sup>[P]</sup>
  - რა გაეწყობა, ჩემო ვარგო. როგორც ვხედავ, შენი წელში გატეხა არც ისე ადვილია. ეს მხოლოდ მიხარია. მაგრამ მომისმინე, ძალზე გახდი და გაფერმკრთალდი, ჩვენ კი ფულის დაგროვების სანაცვლოდ ჭანმრთელობის

## აგნეს გრეი



გაუარესების უფლებას ვერ მოგცემთ, თუნდაც ამას მხოლოდ შენთვის აკეთებდეთ.<sup>[P]</sup>

- მერიც მეუბნება, რომ შევიცვალე. სულაც არ მიკვირს: დილიდან საღამომდე არც ჩემს სულს პქონდა მოსვენება, არც - სხეულს. შემდგომში ყველაფერს უფრო მშვიდად შევხვდებით.<sup>[P]</sup>

ბოლოს დედა შემპირდა, რომ ამჯერადაც დამეხმარებოდა იმ პირობით, თუ მოთმინებით დაველოდებოდი. იგი თვითონ აუხსნიდა მამას ყველაფერს, როცა საჭიროდ მიიჩნევდა. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მის თანხმობას მოიპოვებდა. ჰერქერობით კი ხარბაც ვათვალიერებდი გაზეთებში გამოქვეყნებულ განცხადებებს და სადაც გუვერნანტი ესაჭიროებოდათ, თუკი ასე თუ ისე მისაღებ პირობებს წავაწყდებოდი, წერილს ვწერდი და მიღებულ პასუხს - როცა ასეთი რამ ხდებოდა - დედას აუცილებლად ვაკითხებდი, ის კი, ჩემდა სამწუხაროდ, ყოველთვის უარის თქმას მირჩევდა: ესენი ძალგე უბრალო ხალხი ჩანს, ესენი - უაღრესად მომთხოვნი, ესენი - ძალიან პატარა ხელფასს გთავაზობენოთ.<sup>[P]</sup>

- ღარიბი პასტორის ყველა ქალიშვილი როდი ფლობს შენნაირ ღირსებებს, აგნეს, - მიმეორებდა იგი, - ამიტომ არ უნდა აჩქარდე. გაიხსენე, დამპირდი, რომ მოთმინებით აღიჭურვებოდი. საჩქარო არაფერია, ბევრი დრო და დიდი არჩევანი გაქვს.<sup>[P]</sup>

ბოლოს მირჩია, თვითონ გამომექვეყნებინა განცხადება გაზეთში და ჩამომეთვალა, რა შემეძლო.<sup>[P]</sup>

- მუსიკა, სიმღერა, ხატვა, ფრანგული, ლათინური და გერმანული - საკმაოდ შთამბეჭდავი სიაა, - თქვა მან, - ბევრს გაუხარდება ასეთი მასწავლებლის ხელში ჩაგდება და ამჯერად ბედს უფრო კეთილშობილ ოქახში ცდი. იქ უფრო თავაზიანად და ყურადღებით მოგექცევიან, ვიდრე ფულისგან გაბლენძილი ვაჭრები და ქედმაღალი მეტიჩრები. ბევრი წარჩინებული გვარი მსმენია, სადაც გუვერნანტს ოქახის წევრად მიიჩნევდნენ. თუმცა, ვაღიარებ, რომ არისტოკრატებშიც არიან ამპარტავნები და ძუნები - ყველა ფენაში მოიძებნება კარგიც და ცუდიც.<sup>[P]</sup>

განცხადება მაშინვე შევადგინე და გავგზავნე. ორი პასუხი მივიღე. მაგრამ მხოლოდ ერთში თანხმდებოდნენ ორმოცდაათი გირვანქის გადახდას -

## ენ ბრონტე

თანხას, რომელიც დედაჩემის რჩევით მივუთითე. არ ვიცოდი, დავთანხმებოდი თუ არა, ვინაიდან ჩემი მომავალი მონაფეები იმაზე უფროსები იყვნენ, ვიდრე მე მინდოდა, და გადავწყვიტე, რომ მათ შშობლებსაც, უფრო მაღალი წრიდან გამოსული, ყოველ შემთხვევაში, უფრო გამოცდილი მასწავლებელი ერჩივნათ. მაგრამ უარის მისაწერად რომ დავჭექი, დედამ გადამათქმევინა, მითხრა, რომ მხოლოდ ჩემი გაუბედაობა უნდა დამეძლია, საკუთარი თავისთვის მეტი ნდობა გამომეცხადებინა და ყველაფერი შვენივრად იქნებოდა. მირჩია, მოკლედ და გულახდილად შემეტყობინებინა, რისი სწავლება შემეძლო და როგორ, საკუთარი პირობები ჩამომეთვალა და შედეგს დავლოდებოდი. გადავწყვიტე, მხოლოდ ერთი პირობა წამეყენებინა: წელიწადში ორი ერთთვიანი შვებულება - ივლისში და საშობაოდ. საპასუხო წერილში უცნობი ქალბატონი დამთანხმდა და იმედი გამოთქვა, რომ მათ შევეფერებოდი, ოღონდ მიმანიშნა, რომ გუვერნანტისგან მრავალმხრივ ცოდნაზე მეტად, უმნიკვლო ზნეობრიობას, მოკრძალებას, სასიამოვნო ხასიათსა და თავაზიანობას მოითხოვდნენ - თვითონ ო.-სთან ახლოს ცხოვრობდნენ და, საჭიროების შემთხვევაში, ხარვეზების შესავსებად მასწავლებელს დაიქირავებდნენ.<sup>[SEP]</sup>

დედას ეს არ მოეწონა და ახლა თვითონ შეუდგა არგუმენტების მოყვანას, თუ რატომ უნდა მეთქვა უარი, მერიც მას უჭერდა მხარს, მაგრამ ლოდინი აღარ მინდოდა, მათი აზრები გავაძათილე, მამისგან თანხმობა მივიღე (მან ჩემი განზრახვის შესახებ ცოტა ხნით ადრე შეიტყო), და უცნობ კორესპონდენტს თანხმობა განვუცხადე - ისეთი სასიამოვნო ფორმით, როგორიც ხელმეწიფებოდა, და საქმეც დასრულდა.<sup>[SEP]</sup>

იანვრის ბოლო დღეს გუვერნანტად ვიწყებდი მუშაობას მისტერ მარეის, პორტონ-ლოჯის მფლობელის ოჯახში, ო.-ს სიახლოვეს, ჩვენი სოფლიდან დაახლოებით სამოცდაათი მილის დაშორებით. ეს უშველებელ მანძილად მეჩვენებოდა, ვინაიდან იმ ოცი წლის განმავლობაში, რაც ქვეყანას მოვევლინე, მშობლიურ სახლს ოც მილზე მეტით არ დავშორებივარ, თანაც, მისტერ მარეის ოჯახის წევრებსა და მის მეზობლებს არც მე ვიცნობდი და არც ჩემი რომელიმე ახლობელი. ეს წარმოსახვას მიძლიერებდა. ამასთან, თითქმის აღარ მაწუხებდა *mauvaise honte* (ცრუ სირცხვილი (ფრ)), რაც

## აგნეს გრეი



წარსულში ასე მტანქავდა. იმის გაფიქრება, რომ უცნობ მხარეში, იდუმალებით მოცულ ადამიანებს შორის ვიცხოვრებდი, რაღაცით მიზიდავდა და მაღლვებდა კიდეც. გულში იმედი მქონდა, რომ ახლა მაინც ვნახავდი ქვეყანას: მისტერ მარეი დიდ ქალაქთან ახლოს ცხოვრობდა და არა სამრეწველო რაიონში, სადაც ადამიანები მხოლოდ ფულზე ფიქრობენ. ჩემი აზრით, იგი საზოგადოების უფრო მაღალი წრეს მიეკუთვნებოდა, ვიდრე მისტერ ბლუმფილდი და, ცხადია, იმ ჭეშმარიტ არისტოკრატთა რიცხვში შედიოდა, რომლებიც, როგორც დედამ მითხრა, გუვერნანტში მოსამსახურეს კი არა, თავიანთი შვილების დამრიგებელსა და აღმზრდელს ხედავდნენ და მას სათანადო პატივს მიაგებდნენ. ჩემი მოწაფეები უწინდელებზე უფროსები და, შესაბამისად, გონიერები და დამჯერნი იქნებოდნენ, რაც ჩემგან ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვდა. აღარ დამჭირდებოდა საკლასო ოთახში მათი გამოკეტვა, ზედამხედველობა და მათ ნაცვლად რამის კეთება. დაბოლოს, ჩემს იმედს ნათელი სურათებიც ერთოდა, ბავშვების აღმზრდელისა და გუვერნანტის მოვალეობებისგან სრულიად განსხვავებული. ამგვარად, მკითხველს შეუძლია დარწმუნდეს, რომ სულაც არ ვიყავი მოვალეობის მონა, რომელიც, საკუთარ თავისუფლებასა და სიმშვიდეს ერთადერთ მიზანს სწირავს - საკმარისი თანხა გამოიმუშაოს იმისთვის, რომ მშობლებს საყრდენად და მანუგეშებლად გამოადგეს. არა, ცხადია, ჩემს ფიქრებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მამისთვის მეტი კომფორტის შექმნასა და დედის დახმარებას. ორმოცდაათი გირვანქა მნიშვნელოვან თანხად მიმაჩნდა. რიგიანად, ჩემი მდგომარეობის შესაფერისად ჩაცმა მომიწევდა. დამემატებოდა სარეცხისა და ჰორტონ-ლოქიდან სახლამდე და ჰირიქით მგზავრობის ხარჯები. თუ მკაცრ ეკონომიას გავწევდი, ამ ყველაფერში დაახლოებით ოცი გირვანქა დამჭირდებოდა და ბანკში კი ოცდაათ-ოცდაათის ან ცოტა ნაკლების შეტანას შევძლებდი. ეს დიდი დანამატი იქნებოდა ჩვენთვის! არა, რაც უნდა მომხდარიყო, ახლობლების თვალში საკუთარი ღირსების შესანარჩუნებლად და ასევე, ჩემიანებისთვის დახმარების გასაწევად, ვალდებული ვიყავი, ყველაფერი მეღონა, რათა ის ადგილი არ დამეკარგა! [5]

## თავი VII -<sup>[P.T.P.]</sup><sub>[SEP:SEP]</sub> პორტონ-ლოჭი

ოცდათერთმეტი იანვარი შმაგი დღე აღმოჩნდა. ჩრდილოეთის ძლიერი ქარი თოვლის ფანტელებს ერევებოდა და ციბრუტივით ატრიალებდა. მშობლები გამგზავრების გადადებას მირჩევდნენ, მაგრამ იმის შიშით, რომ ასეთი არაპუნქტუალობა ჩემი მომავალი დამქირავებლების უკმაყოფილებას გამოიწვევდა, არ დავეთანხმე.<sup>[SEP]</sup>

თავს აღარ შეგაწყენთ იმის აღწერით, როგორ დავტოვე სახლი ჩაბნელებულ, ქარბუქიან დილას, რასაც თან ნაზი დამშვიდობება ახლდა, არც ო.-მდე ხანგრძლივ, ძალიან ხანგრძლივ მგზავრობაზე გაფამახვილებ ყურადღებას, არც მარტოობაში ეტლებისა და მატარებლების დაუსრულებელ ლოდინზე და არც ო.-ში მისტერ მარეის მეეტლესთან შეხვედრაზე, რომელიც ჩემს დასახვედრად ფაეტონთან ერთად გამოგზავნეს. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ხშირი თოვა ცხენებისა და მატარებლების მოძრაობას აფერხებდა, ასე რომ, როდესაც ო.-ში ჩავედი, უკვე ბნელოდა, მალე კი ისეთი ქარბუქი ამოვარდა, რომ პორტონ-ლოჭამდე გაჭირვებით მივაღწიეთ, მოკუნტული ვიჟექი, ყინულის წვრილი კრისტალები ვუალში აღწევდა, მუხლებზე მეყრებოდა, ვერაფერს ვხედავდი და მიკვირდა, როგორ აგნებდნენ გზას საბრალო ცხენი და მეეტლე. კუს ნაბიჯებით მივიწვევდით წინ. ბოლოს, როგორც იქნა, ცხენი გაჩერდა, მეეტლემ ვიღაცას ხმამაღლა გასძახა და დაუანგულ ანჭამებზე ჩამოვიდებული რომელიღაც, ალბათ, ბაღის ჭიშვარი ჭრიალით გაიღო. ხეივნის ორივე მხარეს დიდრონ სილუეტებს ვხედავდი და ვხდებოდი, რომ ეს ხეები იყო. კიდევ საკმაო დრო გავიდა, სანამ ვეებერთელა სახლის დიდებულ შესასვლელთან გავჩერდებოდით. მაღალი ფანჯრები იატავს სწვდებოდა.<sup>[SEP]</sup>

თოვლი ჩამოვიფერთხე და ჩამოვხტი. მეგონა, გულთბილად მიმიღებდნენ, რაც იმ დღეს გადატანილ ყველა სიძნელესა და გასაჭირს გადამავიწყებდა. შავებში ჩაცმულმა მედიდურმა მსახურმა კარი გააღო და ჭერზე ჩამოვიდებული ქარვისფერი ლამპით განათებულ, ვრცელ წინვარში აღმოვჩნდი. კაცი დერეფანში გამიძღვა, მის სიღრმეში ერთი კარი შეაღო და მითხრა, რომ ეს საკლასო ოთახი იყო. ორ ქალიშვილსა და ორ ნორჩ

## აგნეს გრეი



ჰენტლმენს მოვკარი თვალი - როგორც ჩანს, ჩემს ახალ მოწაფეებს. ერთმანეთს ეტიკეტის სრული დაცვით მივესალმეთ. უფროსი ქალიშვილი, რომელსაც უდარდელად დაეხარა თავი ბერლინური შალის გორგლებს შორის მოთავსებულ ქარგაზე, დაინტერესდა, ჩემს ოთახში ასვლა ხომ არ მსურდა. ცხადია, დადებითად ვუპასუხე. [SEP]

- მატილდა! სანთელი აიღე და ოთახამდე მიაცილე, - ბრძანა ქალიშვილმა. [SEP]

მის მატილდამ, გარეგნობით თოთხმეტი წლის, მოკლე კაბასა და პანტალონებში გამოწყობილმა ნამდვილმა ყაჩაღანამ, მხრები აიჩეჩა და ცხვირი შეიტმუხნა, მაგრამ სანთელი აიღო და წავიდა. უკან გავყევი. შავ კიბეზე (ორი გრძელი, დაქანებული მარში) ავედით, ვიწრო, გრძელი დერეფანი გავიარეთ და მომცრო, მაგრამ საკმაოდ მყუდრო ოთახში შევედით. გოგონამ მკითხა, ჩაი ან ყავა თუ მინდოდა. „არას“ თქმა დავაპირე, მაგრამ გამახსენდა, რომ დილის შვიდი საათის შემდეგ პირში ლუკმა არ ჩამედო და ჩაი ვითხოვე. მის მატილდამ, - ბრაუნს ვეტყვიო, თქვა და ოთახიდან გავიდა, იმ დროისთვის კი, როდესაც მძიმე, დასველებული ლაბადისგან, შალისგან, შლაპისა და სხვა წვრილმანისგან გავთავისუფლდი, კარში გაპრანჭული მოახლე გამოჩნდა, რომელმაც მითხრა: ქალიშვილებს აინტერესებთ, ჩაის აქ ინებებთ თუ საკლასო ოთახშიო. დაღლილობა მოვიმიჩებჲ და ვთხოვე, აქ მოეტანა. იგი წავიდა, მაგრამ მალე დაბრუნდა, პატარა ლანგარი შემოიტანა და მომცრო კამოდჩე დადო, რომელიც ტუალეტის მაგიდის მოვალეობასაც ასრულებდა. თავაზიანად გადავუხადე მადლობა და ვკითხე, დილას როდის ავდგე-მეთქი. [SEP]

- ქალიშვილები და ბატონიშვილები ცხრის ნახევარზე საუზმობენ, მის, - მიპასუხა მან, - ადრე დგებიან, მაგრამ საუზმობამდე იშვიათად მეცადინეობენ, ასე რომ, ვფიქრობ, შეგიძლიათ, რვის დასაწყისზე აღვეთ. [SEP]

დავინტერესდი, ხომ არ შეეძლო, პატივი დაედო და შვიდზე გავეღვიძებინე. დამპირდა და წავიდა. შიმშილი ფინჯანი ჩაითა და თხელი, კარაქიანი პურის ნაჭრით დავიცხრე, ცეცხლთან - მინავლული ნაკვერჩლების პატარა გროვის სიახლოვეს დავჭექი და ტირილით გული ვიჟერე. შემდეგ ვიღოცე და შედარებით გულდამშვიდებულმა ძილისთვის

## ენ ბრონტე

მზადება დავიწყე. მაგრამ ჩემი სკივრები ოთახში არ აღმოჩნდა. სონეტის (ფარდასთან, თოვზე ჩამოკიდებული ზანზალავი) ძებნას შევუდექი და როდესაც ის სასარგებლო ნივთი ვერსად აღმოვაჩინე, სანთლით ხელში გრძელ დერეფანს გავუყევი და კიბით ქვემოთ ჩავედი. გზაში საუცხოოდ გამოწყობილ ქალს შევხვდი და ავუხსენი, რაც მჭირდებოდა, თუმცა ეს საკმაოდ გაუბედავად გავაკეთე, რადგან ვერ მივხვდი, ეკონომი იყო, უფროსი მოახლე თუ თვითონ მისის მარეი. იგი ამ უკანასკნელის მოსამსახურე აღმოჩნდა. ისეთი სახით, თითქოს დიდ სამსახურს მიწევდა, დამპირდა, თვალს მივადევნებ, რომ ბარგი მოგიტანონ. ჩემს ოთახში დავბრუნდი. დიდხანს ველოდი. ვიფიქრე, ალბათ, დაპირება დაავიწყდა ან შესრულება დაეზარა-მეთქი, და კვლავ ქვევით ჩასვლას ვაპირებდი, როდესაც იმედი მომეცა: დერეფნიდან ხმაური, სიცილი, ნაბიჯების ხმა მომესმა და მალე მოუხეშავმა მოახლემ და ლაქიამ ჩემი სკივრები შემომიტანეს, თუმცა განსაკუთრებული პატივისცემა არ გამოუხატავთ. ცოტა ხანში მათი ნაბიჯების ხმა მიწედა, კარი მივკეტე, რაღაც ნივთები ამოვალაგე და სიხარულით დავწექი, რადგან სულიერადაც და ფიზიკურადაც გვარიან დაღლილობას ვგრძნობდი.<sup>[5]</sup>

დილით დადარდიანებულს გამეღვიძა. დარდს სიახლის უცნაური განცდა და სევდიანი ცნობისმოყვარეობა ერწყმოდა - რა მელოდა წინ? თითქოს, რაღაც ჭადოქრობით ცხრა მთას იქით გადამიყვანეს და ღრუბლებიდან უცხო მხარეში ჩამაგდეს, ის მხარე არაფრით ჰგავდა იმას, რაც მანამდე მენახა და ვიცოდი. თითქოს იმ ბუსუსივით ჩამოვთრინდი აქ, რომელსაც ქარი უბარაქო მიწის ნაპრალში აგდებს, სადაც დიდხანს მოუწევს უნაყოფო სიცოცხლე, სანამ მისი თესლი ფესვს გაიდგამს, უცხო მიწიდან საკვებს დაეწაფება და გაიზრდება. თუმცა ასეთი შედარებები ჩემს გრძნობებს ზუსტად ვერ გადმოსცემს. მხოლოდ მას შეუძლია ამის წარმოდგენა, ვინც ჩემსავით განმარტოებულად და წყნარად ცხოვრობდა და უეცრად, ვთქვათ, ახალ ზელანდიაში აღმოჩნდა - უკიდეგანო ოკეანით დაშორებული ყველასგან, ვინც მას იცნობდა.<sup>[6]</sup>

დიდხანს ვერ დავიწყებ იმ უჩვეულო შეგრძნებას. როდესაც ფანჯრიდან უცნობ სამყაროს გავხედე, მხოლოდ დაუსრულებელი, თეთრი საბურველი



### დავინახე<sup>[SEP]</sup>

„თოვლს დაუფარავს უდაბნო<sup>[SEP]</sup>

ტყეც კი გამქრალა უკვალოდ“<sup>[SEP]</sup>

საკლასო ოთახში ჩავედი. ჩემს მოწაფეებთან შეერთების განსაკუთრებული სურვილი არ მქონდა, თუმცა მაინტერესებდა, რას შევიტყობდი მათი გაცნობის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, მტკიცე გადაწყვეტილება მივიღე, - ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, - მათვის „მისი“ და „მასტერი“ მეწოდებინა. ასეთი ცერემონიულობა ბავშვებსა და მათ აღმზრდელს შორის, განსაკუთრებით მაშინ, თუ ბავშვები უელვუდჰაუსში მცხოვრები ბლუმფილდების შვილებივით პატარები იყვნენ, აღმზრდელი კი მათთან მთელ დღეს ატარებდა, ცივ და არაბუნებრივ ურთიერთობად მეჩვენებოდა. როდესაც პატარა ბლუმფილდებს სახელით მივმართავდი, ესეც კი მოურიდებელ ქცევად მიაჩნდათ: მისტერ და მისის ბლუმფილდები ჩემთან საუბრისას ტყუილუბრალოდ როდი უნოდებდნენ მათ მასტერ ბლუმფილდსა და მის ბლუმფილდს. ეს იმდენად სულელურ საქციელად მომეჩვენა, რომ მინიშნებას ძალიან გვიან მივხვდი. მაგრამ ახლა გადავწყვიტე, მეტი გონიერება გამომეჩინა და ოჯახის ნებისმიერი წევრის მიმართ ეტიკეტი მვაცრად დამეცვა. „სხვათა შორის, - გავივლე გულში, - მოზრდილ ბავშვებთან ამის გავეთება გაცილებით გამიადვილდება“. მოკლე სიტყვები „მის“ და „მასტერ“ ყოველგვარ გულითადობასა და სიმპათიის გამოვლინებას სპობდა, რომელიც შესაძლოა, ჩვენ შორის გაჩენილიყო.<sup>[SEP]</sup>

დოგბერისგან (შექსპირის პიესის, „აურჩაური არაფრის გამო“, პერსონაჟი) განსხვავებით, მკითხველის განამებას ვერ გავბედავ, არც იმის მოყოლით გადაგდლით, რა შევიტყვე და რა ხდებოდა როგორც პირველ, ისე მომდევნო დღეებში. ეჭვი არ მეპარება, ოჯახის წევრებისა და იმ სახლში ჩემ მიერ გატარებული პირველი ორი წლის მოკლე აღწერაც საკმარისი იქნება.<sup>[SEP]</sup>

დავიწყებ ოჯახის უფროსით. მისტერ მარე, როგორც ჩანს, ბობოქარი და მხიარული პროვინციელი მემამულე იყო, მელიებზე ნადირობის მოტრფიალე, დახელოვნებული მხედარი, ცხენების მცოდნე, მუყაითი მეურნე და დიდი bon vivant-ი (გართობის მოყვარული (ფრ.)). ზოგჯერ წინკარში ან პარკში მაღალი, ბრგე, ლოყებლაჟდაჟა და მოლურჯოცხვირიანი ჭენტლმენი მხვდებოდა.

## ენ ბრონტე

როცა იგი ჩემგან საკმაოდ ახლოს აღმოჩნდებოდა ხოლმე, ფამილარულად მიკრავდა თავს და, - დილა მშვიდობისა, მის გრეიო, - მეუბნებოდა. საკმაოდ ხშირად ჩემამდე მისი რიხიანი სიცილი აღწევდა, ასევე მესმოდა, როგორ ლანძღავდა მეეტლეს ან სხვა რომელიმე მსახურს.<sup>[5]</sup>

მისის მარეი, მისი მეუღლე, ორმოციოდე წლის ლამაზი, ელეგანტური ქალი გახლდათ, რომელიც არც ფულს ჩოგავდა და არც ძალ-ღონეს თავისი მომხიბლველობის შესანარჩუნებლად. მისი მთავარი საქმიანობა წვეულებების მოწყობა ან მათზე დასწრება და მოდისთვის თვალის მიდევნება იყო. პირველად იგი მხოლოდ ჩემი ჩამოსვლის მეორე დღეს, თერთმეტ საათზე ვნახე, როდესაც მოულოდნელად მეწია საკლასო ოთახში - ასე დედა შეიხედავდა ხოლმე სამზარეულოში ახალი მსახურის გასაცნობად. მაგრამ არა! დედა ამას მეორე დღისთვის არ გადადებდა და მაშინვე დაელაპარავებოდა მას, თანაც გაცილებით ალერსიანად და მეგობრულად, და არა დაწვრილებით აუხსნიდა მის მოვალეობებს, არამედ რამდენიმე სიტყვით გაამხნევებდა კიდეც. მისის მარეი კი უბრალოდ შემოვიდა საკლასო ოთახში ეკონომთან გასაუბრების შემდეგ, რომელსაც სადილს უკვეთდა, მომესალმა, ორიოდე წუთი ბუხართან იდგა, რამდენიმე სიტყვით ამინდს შეეხო, მითხრა, ვჩა, ალბათ, მძიმე აღმოჩნდაო, თავზე ხელი გადაუსვა თავის უმცროს ცხრა წლის ბიჭს, რომელმაც სწორედ მაშინ დაასრულა პირისა და ხელების წმენდა მის კაბაზე, ეკონომის მარაგიდან ტვილეულის მირთმევის შემდეგ, მაცნობა, რომ ის საყვარელი, კარგი ბავშვი იყო და ოთახიდან თვითვმაყოფილი გავიდა - უეჭველია, მიაჩნდა, რომ საკმარისად დაიტვირთა თავი, თანაც ძალზე მომხიბლავად და ლმობიერად იქცეოდა. როგორც ჩანს, მისი შვილებიც იმავე აზრზე იდგნენ. მხოლოდ მე არ ვიზიარებდი მას.<sup>[6]</sup>

შემდგომში მან ერთხელ თუ ორჯერ კიდევ შემომიარა შვილების არყოფნისას, რათა მათ მიმართ ჩემს ვალდებულებებში გავერკვიე. გოგონებთან დაკავშირებით მხოლოდ ის სურდა, რომ საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვა და მისი ეფექტურად წარმოჩენა ესწავლათ, ოღონდ გადაჭარბებული ძალისხმევისა და დისკომფორტის გარეშე. მე კი, შესაბამისად, მომეთხოვებოდა, განმენათლებინა, გამერთო, დამევალებინა, მერჩია, გამეუმჯობესებინა, დამეხვეწა ისინი, მათი მინიმალური დატვირთვის ხარჯზე



და ძალდაუტანებლად. იგივე შეეხებოდა ბიჭებს, ოღონდ, დახვეწილობის ნაცვლად, მათგან ელოდა მეტი ლათინური სიტყვისა და ვალპის (ბერძნული და ლათინური გრამატიკის წიგნების ავტორი) „დელექტუსის“ სწავლას, რათა სკოლისთვის მომზადებულიყვნენ, თუმცა ზედმეტი დატვირთვის გარეშე. ჭონს „ხასიათის ჩვენება“ შეეძლო, ჩარლზი კი ცოტა ნერვიული და ჭიუტი იყო.<sup>[5]</sup>

- რაც უნდა მოხდეს, მის გრეი, - თქვა მან, - ვიმედოვნებ, თავშეკავებას შეძლებთ და მუდამ ლმობიერი და მომთმენი იქნებით. განსაკუთრებით პატარა ჩარლზთან, იგი ნერვიული და ემოციურია, ალერსიან მოპყრობასაა მიჩვეული. მაპატიეთ, ამის შესახებ რომ გაფრთხილებთ, მაგრამ თქვენამდე ყველა გუვერნანტს, საუკეთესოსაც კი, სწორედ ეს ნაკლი ჰქონდა. თვინიერება და სულის სიმშვიდე აკლდა, რაც, როგორც წმინდა მათე თუ რომელიღაც მათგანი გვასწავლის, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე დიდებული სამოსი... ღვთისმსახურის ქალიშვილი ხართ და გეცოდინებათ. ეჭვი არ მეპარება, რომ ამ მხრივაც და სხვაგვარადაც გამოგვადგებით. გახსოვდეთ, რომ ყოველთვის, როდესაც რომელიმე მათგანი არცთუ ღირსეულ საქმიანობას ან გასართობს აირჩევს, ხოლო დარწმუნება და რბილი სიტყვა არ გაჭრის, დარჩენილი სამიდან ერთ-ერთი ჩემთან გამოგზავნეთ. მე მათთან უფრო თამამად შემიძლია ლაპარაკი, ვიდრე თქვენთვისაა ნებადართული. შეეცადეთ, მის გრეი, რომ მხიარულნი და კმაყოფილნი იყვნენ და გამოგვადგებით.<sup>[6]</sup>

შევამჩნიე, რომ მისის მარეის, რომელიც თვალისჩინივით უფრთხილდებოდა შვილების ბედნიერებასა და სიმშვიდეს და გამუდმებით უბრუნდებოდა ამ საკითხს, ერთხელაც არ უფიქრია, რომ შესაძლოა, მეც მჯირდებოდა თუნდაც მცირედი ყურადღება. ისინი საკუთარ სახლში, ახლობლებსა და მეგობრებს შორის იყვნენ, მე კი სრულიად მარტო - უცხო ადგილას. მაგრამ ისე ცუდად ვიცნობდი ცხოვრებას, რომ ამან გამავარვა!<sup>[7]</sup>

მის მარეი, იგივე როზალი, თექვსმეტი წლის ასავში ძალიან ლამაზი ქალიშვილი იყო, ორი წლის შემდეგ კი, როდესაც გაფურჩქნის ხანაში შევიდა, უფრო დამშვენდა და ელეგანტური მანერებიც შეითვისა, ნამდვილი მჩეთუნახავი გახდა: მაღალი, მოხდენილი, მაგრამ არა გამხდარი, უზადო აღნაგობის, კანის ნაზი ფერით, თუმცა არა ლოყებღაულაჟა. მის გრძელ, ქერა,

## ენ ბრონტე

დაკულულებულ თმას ოქროსფერი დაპვრავდა. ბაცი ცისფერი თვალებიდან ისეთი მკაფიო და სუფთა მზერა გამოსჭვიოდა, რომ არავის დასწყდებოდა გული, რატომ უფრო მუქი არ აქვსო. ჰატარა, არცთუ სწორი და ნაკლებად გამორჩეული სახის ნაკვთები ჰქონდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მომხიბვლელობა არ აკლდა. სამწუხაროა, რომ მსგავს სიტყვებს მისი გონიერებისა და მიღრევილებების მიმართ ვერ გამოვიყენებ.<sup>[5]</sup>

არა, ცუდსა და საშინელს ნურაფერს ელოდებით: ცოცხალი და მსუბუქი ხასიათით გამოირჩეოდა და შეეძლო, ალერსიანი ყოფილიყო მათთან, ვინც კრიტაში არ ედგა. თავდაპირველად ჩემთან თავი ცივად და ქედმაღლურად ეჭირა, შემდეგ თავხედურ და მბრძანებლურ კილოზე გადავიდა, მაგრამ თანდათანობით ამ ყველაფერზე უარი თქვა და დროთა განმავლობაში, ძალიან მომეჩვია, რამდენადაც ამის საშუალებას ჩემი მდგომარეობისა და მისი ხასიათის თავისებურებები იძლეოდა - იშვიათად, ნახევარ საათზე დიდხანს რომ დავიწყებოდა, რომ ღარიბი, უმრევლო მღვდლის ქალიშვილი ვიყავი და მისი მშობლები ჯამაგირს მიხდიდნენ. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, იმაზე მეტ ჰატივს მცემდა, ვიდრე თვითონ ეგონა. მათ სახლში ხომ მხოლოდ მე ვიცავდი მაღალი ზნეობის პრინციპებს, მუდამ სიმართლეს ვამბობდი და ყოველთვის ვცდილობდი, მოვალეობა სურვილზე მაღლა დამეყენებიბა - ამას, ცხადია, საკუთარი თავის შესაქებად არ ვამბობ, არამედ იმის საჩვენებლად, თუ როგორი იყო, საუბედუროდ, ის ოქახი, სადაც მუშაობა მიწევდა. ამ პრინციპების უქონლობა სწორედ მის მარეისთან დაკავშირებით მაწუხებდა. და არა მხოლოდ ჩვენი ურთიერთობების გამო. იმდენად კარგი და სასიამოვნო ხასიათი ჰქონდა, რომ ჩემში გულწრფელ სიმპათიას იწვევდა, მისი ნაკლოვანებების მიუხედავად - სანამ არ გამაბრაზებდა ან მათი ზედმეტი ხაზგასმით ჩემს გულისწყრომას არ გამოიწვევდა. თუმცა ამას ცუდ აღზრდას ვაბრალებდი და არა მის ბუნებრივ მიღრევილებებს. მისთვის არასდროს უსწავლებიათ კარგისა და ცუდის გარჩევა. იგი, მისი ძმები და და ჰატარაობიდანვე ტირანებივით მბრძანებლობდნენ ძიძებზე, გუვერნანტებსა და მოსამსახურეებზე; ის არც ჩომიერებას, თავშეკავებას, ნება-სურვილის მოთოვებასა და სხვისი კეთილდღეობის გამო საკუთარ სიამოვნებაზე უარის თქმას მიუჩვევიათ.

## აგნეს გრეი



ბუნებით გულვეთილი და მხიარული უფრო ეთქმოდა, მაგრამ უსაზღვრო განებივრებამ და ჩვევამ, რომ გონების ძახილისთვის ყური არ მიეგდო, ჭირვეულად და ფხუვიანად აქცია. გონებას არასდროს ავარჯიშებდა, ინტელექტით არ გამოირჩეოდა, მიუხედავად იმისა, რომ არც სიმკვირცხლე აკლდა და არც სწრაფად აღქმის უნარი. მუსიკისა და ენების კარგად შესწავლა უდავოდ ხელეწიფებოდა, მაგრამ თხუთმეტ წლამდე მეცადინეობით თავი არ შეუწევებია. ამის შემდეგ სხვებისგან გამორჩევის სურვილმა გულმოდგინება შეჰმატა, მაგრამ მხოლოდ ჩედაპირული ეფექტის მისაღწევად. როგორც მალე დავრწმუნდი, ყველაფერს აგდებულად ეპყრობოდა, ფრანგულის, გერმანულის, მუსიკის, სიმღერის, ქარგვისა და, ალბათ, ხატვის გარდა - რაც ჩედმეტ ძალისხმევას არ მოითხოვდა, თანაც, დავალების უდიდესი ნაწილი მე უნდა დამემთავრებინა. მუსიკასა და სიმღერას საუკეთესო მასწავლებელი ასწავლიდა. ცეკვაშიც, თქმა არ უნდა, საკმაოდ დახელოვნდა. მუსიკას დამატებით დროსაც კი უთმობდა. როგორც გუვერნანტი, ხშირად ვსაყვედურობდი ამის გამო, მაგრამ დედამისს მიაჩნდა, რომ ამით არაფერი დაშავდებოდა - რავი ასე უნდოდა და თანაც, თუ სიამოვნებდა. იქ მისვლამდე ქარგვა არ ვიცოდი და ჩემს მოწაფებები დაკვირვების წყალობით ვისწავლე. მაგრამ როგორც კი ნიუანსებში გავერკვიე, ეს თავის სასარგებლოდ გამოიყენა და ამ საქმის მოსაწყენი, მაგრამ აუცილებელი ნაწილის კეთება მე გადმომაბარა: ტილოს გაჭიმვა, შალისა და აბრეშუმის დახარისხება, ნახატის გაკეთება, გვირისტების დათვლა, შეცდომების გასწორება, ქარგვის დასრულება.<sup>P</sup>

თექვსმეტი წლის მის მარეი მხიარულებითა და სიცელქით გამოირჩეოდა, ოღონდ იმაზე მეტად არა, რაც ბუნებრივი და მისი ასაკის ქალიშვილისთვის დასაშვები იყო. ერთი წლის შემდეგ ამ მიღრევილებამ, ისევე, როგორც სხვა დანარჩენმა, გზა მთავარ, ყოვლისშთანთქმელ ვნებას დაუთმო - საპირისპირო სქესის მოხიბვლასა და დატყვევებას. თუმცა გვეყოფა მასზე ლაპარაკი და მის დაზე გადავერთოთ.<sup>SEP</sup>

მის მატილდა მარეი ნამდვილი ახტაჭანა იყო და დიდხანს საუბარს არ იმსახურებს. საკმარისია ითქვას, რომ დაზე ორ-ნახევარი წლით უმცროსს, სახის უფრო მსხვილი ნაკვთები და მუქი ფერი ჰქონდა. ასაკის მატებასთან

## ენ ბრონტე

ერთად, შესაძლოა, ლამაზი ქალი დადგა, ჯერჯერობით კი აწონილსა და მოუქნელს მიმზიდველი არ ეთქმოდა, რაც სულ არ ადარდებდა. რომალიმ იცოდა თავისი ძლიერი მხარეები, მათ აზვიადებდა და ისე გადაჭაბებით აფასებდა, თითქოს სინამდვილესთან შედარებით სამჯერ უკეთესი ჰქონდა. მატილდას კი მიაჩნდა, რომ ვარგად გამოიყურებოდა, მაგრამ გარეგნობაზე არ ზრუნავდა, ისევე, როგორც გონების ვარჯიშსა და ნიჭის განვითარებაზე. გავვეთილების სწავლისა და ფორტეპიანოზე ვარჯიშის მისეული მანერა ნებისმიერ გუვერნანტს ჭვაბე შეშლიდა. თუნდაც მარტივი და მოკლე დავალება მიმეცა, თუკი შეასრულებდა, - ნაჩქარევად და აგდებულად. ამასთან, ყველაზე მოუხერხებელ დროს და მისთვის ყველაზე ნაკლებად სასარგებლო, ჩემთვის კი ყველაზე სამძიმო ხერხით. მუსიკაში ნახევარსაათიანი ვარჯიშის დროს კლავიშებზე თითებს უმოწყალოდ აბრახუნებდა და ყოველნაირად ცდილობდა უკმაყოფილების გამოხატვას იმის გამო, რომ ვუსწორებდი, რომ შეცდომის დაშვებაში ხელს არ ვუშლიდი და სხვა. ერთი-ორჯერ გავდედე და სერიოზულად ვუსაყვედურე, ასე არაგონივრულად რატომ იქცევი-მეთქი, მაგრამ დედამისმა ორივეჯერ ისეთი ლექცია წამივითხა, რომ ერთ რამეს მივხვდი: თუ ამ ადგილის დაკარგვა არ მინდოდა, მის მატილდასთვის ხელი არ უნდა შემეშალა და ისე მოქცეულიყო, როგორც მოეპრიანებოდა.

მაგრამ გავვეთილების დამთავრებისთანავე მისი ცუდი ხასიათისგან არაფერი რჩებოდა. თავის ოჩან ცხენზე ჭდომისას, ძალლებთან ან დაძმასთან, განსაკუთრებით საყვარელ ძმასთან, ჭონთან, თამაშისას ჩიტივით მხიარულობდა. მატილდა შესანიშნავი ცხოველი იქნებოდა - სიცოცხლით, ენერგიით, ძალ-ღონით აღვსილი, მაგრამ როგორც გონიერი არსება, ბარბაროსული უმეცრებით, სიჭიუტით, უდარდელობითა და უგუნურებით გამოირჩეოდა. „ნარჩევი“ თვისებების გამო უკიდურესად ართულებდა იმ ადამიანის ამოცანას, რომელსაც მის განვითარებასა და მისთვის კარგი მანერების სწავლაზე უნდა ეჩრუნა, აგრეთვე დეკორატიული ცოდნის მიღებაში დახმარებოდა, რაც, დისგან განსხვავებით, ეზიზღებოდა, ისევე, როგორც ყველა ჩემოთ ჩამოთვლილი საქმიანობა. დედამისი ხედავდა ამ ნაკლს და გამუდმებით ჩამჩიჩინებდა, მისთვის გემოვნება შემეცვალა, მასში

## აგნეს გრეი



ქალური პატივმოყვარეობა გამეღვიძებინა და ოსტატური, შეფარვითი პირთერობით მისი ყურადღება სასურველი ობიექტებისთვის მიმეპყრო, რისი გავეთებაც არ მინდოდა. მე ხომ ცოდნისკენ მიმავალი ვგაც უნდა მომერთო და გამესწორებინა, რათა სრულიად ძალდაუტანებლად ესრიალა ზედ - ამას კი ვერ შევძლებდი. შეუძლებელია, მოწაფეს რამე ასწავლო, თუ იგი არ ეცდება და არ მოინდომებს.<sup>[1]</sup>

მატილდა, ზნეობრივი კუთხით, უპასუხისმგებლო, თავნება და ფიცხი იყო, რჩევა-დარიგებას ყურს არ უგდებდა. მისი გონების სავალალო მდგომარეობაზე ის ფაქტიც მეტყველებდა, რომ მამისგან ისეთი ლანძღვა ისწავლა, მთვრალ ჭარისკაცსაც კი შემურდებოდა. ქალიშვილის ეს ჩვევა ძალგზე აწუხებდა დედას, რომელსაც ვერაფრით გაეგო, „ეს საიდან გაჩნდა“<sup>[2]</sup>.

- მაგრამ თქვენ მას მალე გადააჩვევთ ამგვარ გამოთქმებს, მის გრეი, - მითხრა მან, - ეს ხომ, უბრალოდ, ცუდი ჩვევაა, და თუ გამუდმებით, ოღონდ რბილად შეახსენებთ, რომ ასეთი სიტყვების გამოყენება არ შეიძლება, ეჭვი არ მეპარება, მათ მალე დაივიწყებს.<sup>[3]</sup>

არა მარტო „რბილად ვახსენებდი“, არამედ ვცდილობდი ჩამეგონებინა, რომ ეს ძალიან ცუდი იყო და წესიერ ადამიანებს შეურაცხყოფდა, პასუხად კი უდარდელი სიცილი მესმოდა: „ოჂ, მის გრეი, როგორ გაოცდით! ძალიან მიხარია!“ ან: „რა ჩემი ბრალია? რატომ მასწავლა მამამ? დიახ, მისგან ვისწავლე, და ცოტა - მეეტლისგან“<sup>[4]</sup>.

მისი ძმა ჭონი, იგივე მასტერ მარეი, როდესაც მათთან მივედი, თერთმეტი წლის ჭანმრთელი და მაგარი ბიჭი იყო, ბუნებით პატიოსანი და კეთილი, მაგრამ ცუდი აღზრდის გამო ახალგაზრდა დათვივით შმაგი, ურჩი, უპრინციპო და უხეში გახდა, არაფერს სწავლობდა და არც რჩევა-დარიგებას ითვალისწინებდა - ყოველ შემთხვევაში, გუვერნანტისგან. შესაძლოა, სკოლის მასწავლებლებს უკეთესი შედეგისთვის მიეღწიათ - წლის ბოლოს, ჩემდა გასახარად, იგი სკოლაში გაგზავნეს, თუმცა არაფერი გაეგებოდა არა მარტო ლათინურში, არამედ სხვა საგნებშიც, რომლებსაც საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას. ცხადია, ამაში ბრალი უბირ გუვერნანტს მიუძღვდა, რომელსაც ბიჭის განათლების საქმე ჩააბარეს - მან კი თავდაჯერებით იტვირთა ის, რაც მის ძალას აღემატებოდა. ერთი წლის შემდეგ მისი ძმაც

## ენ ბრონტე

მოვიცილე თავიდან, ისიც სკოლაში გაგზავნეს (ასევე საშინლად უცოდინარი).<sup>SEP</sup>

მასტერ ჩარლზი, დედის საყვარელი ვაჟი, ჭონბე მხოლოდ ერთი წლით უმცროსი, მაგრამ გაცილებით დაბალი, ფერმკრთალი და სუსტი იყო. მშიშარა, ღვარძლიან და ჭირვეულ პატარა ეგოისტს სისაძაგლის კეთება უყვარდა, გონებას კი მხოლოდ ტყუილის მოგონებაში ავარჯიშებდა - არა თავისი რომელიმე დანაშაულის დასაფარავად, არამედ სხვისთვის უსიამოვნების მისაყენებლად, შემდეგ კი ნიშნის მოსაგებად. რომ არ დაგიმალოთ, მასტერ ჩარლზი ჩემთვის ძალზე მძიმე ტვირთი აღმოჩნდა: მოთმინება მასთან უბრალო ურთიერთობისთვისაც კი არ მყოფნიდა: ძრმოლას მგვრიდა ის, რომ მისი ქცევისთვის თვალყური უნდა მედევნებინა. ლაპარაკიც ზედმეტი იყო, რომ მისთვის რამე მესწავლებინა ან მხოლოდ სახე მიმეღო, რომ ვასწავლიდი, ყველაზე მარტივი მოთხრობიდან ერთი წინადადების წაკითხვაც არ შეეძლო, მაგრამ, დედამისის დაუინებული მოთხოვნით, მისთვის ყოველი სიტყვა უნდა მევარნახა, სანამ ასოების წესიერად გარჩევას ან დაფიქრებას მოასწრებდა. იმის თქმა, რომ მისი თანატოლი ბიჭები უკვე დამოუკიდებლად კითხულობდნენ, მკაცრად მეკრძალებოდა, ამიტომ სულაც არ იყო გასაკვირი, რომ ჩემთან ორი წლის მეცადინეობის შემდეგ, თავი ისევ ცარიელი პქონდა. ლათინური გრამატიკისა თუ სხვა საგნების ციცქნა ულუფებს ვაწვდიდი, სანამ არ განაცხადებდა, ყველაფერი ვიციო, - თუმცა წესიერად ვერაფერს იმახსოვრებდა, თუ თითოეულ სიტყვას არ ვუკარნახებდი. როდესაც უმარტივესი არითმეტიკული მაგალითების ამოხსნისას შეცდომებს უშვებდა, მაშინვე უნდა შემესწორებინა და მაგალითი მის მაგიერ დამესრულებინა - ნაცვლად იმისა, რომ გონება ევარჯიშებინა, შეცდომები თვითონვე მოეძებნა და გამოესწორებინა. ბუნებრივია, მასტერ ჩარლზი შეცდომების დაშვებას არ უფრთხოდა და ხშირად თავში გაელვებულ პირველივე ციფრს დაუფიქრებლად წერდა.<sup>SEP</sup>

მითითებულ წესებს ყოველთვის არ ვემორჩილებოდი - ამის უფლებას სინდისი არ მაძლევდა, მაგრამ როგორც კი მათ ოდნავ მაინც გადავუხვევდი, ჩემი მოწაფის, აქედან გამომდინარე კი, დედამისის მრისხანება მატყდებოდა თავს, ვინაიდან იგი დაუყოვნებლივ ატყობინებდა მშობელს ჩემს ცოდვებს,

## აგნეს გრეი



ვერაგულად აზვიადებდა მათ და ტყუილებით ამკობდა. რამდენჯერმე მომეჩვენა, რომ საცაა ადგილს დავკარგავდი ან თვითონ ვიტყოდი მასზე უარს, მაგრამ ჩემი ახლობლების გულისთვის საკუთარ სიამაყეს ვთოვავდი, აღშფოთებას ვმალავდი და მაინც გავძელი იმ დღემდე, როდესაც პატარა მწვალებელი სკოლაში გაგზავნეს. მამამისმა განაცხადა, რომ მისი შვილის შინ აღზრდას შედევი არ მოჰქონდა, რადგან დედა საშინლად ანებივრებდა, გუვერნანტი კი მასთან ვერაფერს აწყობდა.<sup>[5]</sup>

რამდენიმე სიტყვას კიდევ მოგახსენებთ ჰორტონ-ლოკსა და იქ გამეფებულ წესებზე და ამ მშრალ აღწერას დროებით შევწყვეტ. ეს შესანიშნავი სახლი პისტერ ბლუმფილდისას სიძველითაც აღემატებოდა, ზომითაც და ელეგანტურობითაც. მართალია, ბაღის დაგეგმარება განსაკუთრებული გემოვნებით არ გამოირჩეოდა, სამაგიეროდ, გაკრეჭილი გაზონის, შემორაგული ახალგაზრდა ნერგების, ალვის ხეების კორომისა და ნაძვების ნაცვლად, ჰორტონ-ლოკში პარკი მდებარეობდა - ირმებითა და დიდებული ასაკოვანი ხეებით. თვალს ახარებდა ბარაქიანი ყანები, მწვანე კორომები, წყნარი შარაგზები მშვენიერ ცოცხალ ღობეებს შორის, რომელთა ძირში მინდვრის ყვავილები იწონებდნენ თავს, მაგრამ ეს ყველაფერი მომქანცველად ბრტყლად მოჩანდა \*\*\*-ის საგრაფოს კლდოვან ბორცვებთან შედარებით, სადაც დავიბადე და გავიზარდე.<sup>[6]</sup>

სოფლის ეკლესია ორი მილის მანძილზე მდებარეობდა, ამიტომ ყოველ კვირადღეს, ზოგჯერ უფრო ხშირადაც, პარმაღთან ოჯახის ეტლს ჩამოაყენებდნენ. მისტერ და მისის მარეის მიაჩნდათ, რომ ეკლესიაში ერთხელ მისვლაც კმაროდა, მაგრამ მათ შვილებს ისე ღლიდათ იძულებითი უსაქმურობა, რომ ამჯობინებდნენ, მეორე წირვასაც დასწრებოდნენ. თუ ვინმე იქ ჩემთან ერთად ფეხით წასვლის სურვილს გამოთქვამდა, ყოველთვის მიხაროდა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეტლის უშორეს კუთხეში უნდა ვმჯდარიყავი, თანაც ცხენებთან ზურგით, რისგანაც ცუდად ვხდებოდი. და თუ ეკლესიაში წირვის დასრულებამდე დარჩენის შესაძლებლობა მეძლეოდა, სათანადო მოწინებით ლოცვას მაინც ვერ ვახერხებდი, რადგან უსიამოვნო სისუსტესა და გულის რევას ვგრძნობდი, თან მეშინოდა, უფრო ცუდად არ გავმხდარიყავი. თავის ყრუ ტკივილი დღის ბოლომდე მტანქავდა, არადა,

## ენ ბრონტე

წესით, ეს დღე დასვენებისა და მშვიდი, ღვთისმოსავი სიხარულისთვის იყო განკუთვნილი.<sup>[SEP]</sup>

- უცნაურია, მის გრეი, რომ ეტლში ყოველთვის გული გერევათ, მე კი თავს შესანიშნავად ვგრძნობ, - თქვა ერთხელ მის მატილდამ.<sup>[SEP]</sup>

- მეც, - მხარი აუბა დამ, - თუმცა მის ადგილას რომ ვიჭდე, ასეთ დახუთულ და საძაგელ კუთხეში... მის გრეი, ვერ გამიგია, ამას როგორ უძლებთ.<sup>[SEP]</sup>

„ვუძლებ, ვინაიდან არჩევანი არა მაქვს“, - შემეძლო მეპასუხა, მაგრამ მათ გრძნობებს გაფუფრთხილდი და მხოლოდ ეს ვიკმარე.<sup>[SEP]</sup>

- იქამდე ხომ პატარაგზაა! განსაკუთრებულ ყურადღებას არც ვაქცევ. მთავარია, ეკლესიაში ყოფნისას გამიაროს.<sup>[SEP]</sup>

ვინმეს ერთი ჩვეულებრივი დღის აღწერა რომ ეთხოვა ჩემთვის, პასუხის გაცემა ძალიან გამიჭირდებოდა. საკლასო ოთახში ჩემი მოწაფეებისთვის მოსახერხებელ დროს ვსაუზმობდი, ვსადილობდი და ვვახშმობდი: ისინი კი ხან სადილს ითხოვდნენ, როცა ის ჭერ კიდევ არ იყო მზად, ხან საათზე მეტხანს არ ევარებოდნენ, შემდეგ კი ბრაზობდნენ, ვარტოფილი ცივია, სოუსში კი გამაგრებული ცხიმის თეთრი კუნძულები ცურავსო. ჩაის ზოგჯერ ოთხ საათზე სვამდნენ, ხშირად კი მოახლეს ეჩხებებოდნენ, რატომ ზუსტად ხუთზე არ მოგვიტანეო, არადა, როცა ეს განვარგულება ზედმიწევნით სრულდებოდა, მაგიდასთან შვიდზე ან სულაც რვა საათზე სხდებოდნენ.<sup>[SEP]</sup>

მათი მეცადინეობის საათებიც ასე ნაწილდებოდა. აზრს არ მეკითხებოდნენ, არ აინტერესებდათ, ჩემთვის მოსახერხებელი იყო თუ არა. ზოგჯერ მატილდა და ჭონი ჭერ კიდევ საუზმობამდე ცდილობდნენ „საშინელი მოწყენილობისგან გათავისუფლებას“ და სრულიად მოურიდებლად და უბოდიშოდ, ექვსის ნახევარზე მოახლეს მიგზავნიდნენ გასაღვიძებლად. ზოგჯერ მითვლიდნენ, რომ ზუსტად ექვსი საათისთვის ვყოფილიყავი მზად, და როდესაც სასწრაფოდ ჩავიცვამდი და საკლასო ოთახში შევდიოდი, იქ არავინ მხვდებოდა, ხანგრძლივი და უნაყოფო ლოდინის შემდეგ კი ირკვეოდა, რომ გადაეფიქრებინათ და ლოგინში ნებივრობა გაეგრძელებინათ. ზაფხულში, დარიან დილას, ბრაუნი მოდიოდა და მაფრთხილებდა, ახალგაზრდებმა დასვენება გადაწყვიტეს და სასეირნოდ წავიდნენო, და უსაუზმოდ, ლამის გულის წასვლამდე მიწევდა ლოდინი - მათ



კი გასეირნებამდე წახემსება, ცხადია, არ ავიწყდებოდათ.<sup>[၁၅]</sup>

ხშირად თავში წამოუვლიდათ, რომ გავვეთილები სუფთა ჰაერჩე ემეცადინათ. ვერაფრით შევენინააღმდეგებოდი, მაგრამ ვინ იცის, რამდენჯერ გაცივებულვარ ნოტიო ბალახზე ჭდომისგან, საღამოს ნამისგან ან ვერავი ქარისგან, მათ კი არაფერი ადარდებდათ. რა თემა უნდა, ვერ ვუსაყვედურებდი, რომ ჩინებული ჰანმრთელობა ჰქონდათ, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ცოტა იმათხეც ეფიქრათ, ვინც ამით ვერ დაიკვეხიდა. შესაძლოა, ჩემი ბრალი იყო, რადგან იქ ვპდებოდი, სადაც ისინი მოისურვებდნენ, საკუთარ აზრს არ გამოვთქვამდი და გაცივების რისკის წინაშე ყოფნას ვამჯობინებდი, ოღონდ კი მათვის რამე არ მეთხოვა. ჭირვეულობა, რომლითაც მეცადინეობისთვის დროსა და ადგილს ირჩევდნენ, სრულად შეეფერებოდა მათ შემდგომ თავგასულ ქცევას. როდესაც ჩემს ახსნა-განმარტებას ისმენდნენ ან შეკითხვებზე მპასუხობდნენ, დივანზე სანახვროდ იწვნენ, ხალიჩაზე კოტრიალებდნენ, იზმორებოდნენ, ამთქნარებდნენ, ერთმანეთს ესაუბრებოდნენ, ფანქარაში იყურებოდნენ, მაგრამ თუკი ბუხარში ნაკვერჩხლებს მოვურევდი ან ცხვირსახოცი დამივარდებოდა, მაშინვე მსაყვედურობდნენ, რომ სამუშაოს მოვწყდი, ან მეუბნებოდნენ, რომ „დედას ასეთი აგდებული დამოკიდებულება არ მოეწონებოდა“<sup>[၁၆]</sup>.

მსახურები, რომლებიც ხედავდნენ, რომ ოჯახის უფროსები და მათი შვილები გუვერნანტს პატივს თითქმის არ სცემდნენ, თვითონაც შესაბამისად იქცეოდნენ. ხშირად ერთგვარი შიშითაც კი მიცდია მათი დაცვა ბატონიშვილებისა და ქალიშვილებისგან, მაგრამ მათ სულ არ ადარდებდათ ჩემი ყოფა, თხოვნას არ მისრულებდნენ, განვარგულებებს კი უგულებელყოფდნენ. დარწმუნებული ვარ, არაერთი მსახური მსგავს ვითარებაში სხვაგვარად იქცევა, მაგრამ მოახლე გაუნათლებელია, მიჩვეული არაა მსჯელობასა და ფიქრს და ადვილად აჰყვება ხოლმე ბატონების ცუდ მაგალითს. აქ კი, თვალწინ თავიდანვე ცუდი მაგალითი ჰქონდათ.<sup>[၁၇]</sup>

ზოგჯერ თავს დამცირებულად ვგრძნობდი და მრცხვენოდა კიდეც იმის გაფიქრებისას, რომ ასეთ უპატივცემულობას ვურიგდებოდი; ზოგჯერ კი საკუთარ თავს ვსაყვედურობდი, რომ შეურაცხყოფა ასე ახლოს მიმქონდა

## ენ ბრონტე

გულთან და მავიწყდებოდა ქრისტიანული თავმდაბლობა და სიყვარული, რომელიც ითმენს, მოწყალეა, თავისას არ ეძებს, ყველაფერს ფარავს, ყველაფერს იტანს. დრომ და მოთმინებამ კეთილისმყოფელი შედეგი მაინც გამოიღო, თუმცა ნელა და თითქმის შეუმჩნევლად. ახალგაზრდა ჰენტლმენები სკოლამ ამარიდა თავიდან (დიდი შვება!), ქალიშვილებმა კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ქედმაღლობას მოუკლეს და მათ ქცევაში პატივისცემის ერთგვარი ნიშნები გაჩნდა. „მის გრეი უცნაური ადამიანი იყო - არასდროს ეპირფერებოდა მათ და თითქმის არ აქებდა, მაგრამ თუ რამეს მოუწონებდა, იცოდნენ, რომ ამას გულწრფელად ამბობდა. ჩვეულებრივ, ძალიან დამთმობი, წყნარი და ხათრიანი იყო, მაგრამ ზოგიერთ რამეს მოთმინებიდან გამოჰყავდა. ცხადია, მისი აღმფოთება მათ სულ არ ადარდებდათ, მაგრამ მაინც ამჯობინებდნენ, არ გაეღიზიანებინათ. კარგ ხასიათზე მყოფი ესაუბრებოდა ხოლმე და, თავისებურად, სასიამოვნო და საინტერესოც იყო. ისეთი არა, როგორიც დედა, თუმცა მრავალფეროვნებას ცუდი არასდროს მოაქვს. მას ყველაფერზე საკუთარი აზრი ჰქონდა, ოღონდ ზოგჯერ ძალზე მოსაწყენი - ის ხომ ყოველთვის იმაზე ფიქრობდა, რა იყო კარგი და რა - ცუდი, გაუგებარ მოწინებას გრძნობდა რელიგიური საკითხების მიმართ და ასევე გაუგებარ სიმპათიას - მაღალი ზნეობის ადამიანების მიმართ“.<sup>[SEP]</sup>

## თავი VIII პირველი გასვლა

დადგა დრო, თვრამეტი წლის მის მარეის საკლასო ოთახი დაეტოვებინა და მაღალი საზოგადოების ცხოვრების მორევში გადაშვებულიყო - ცხადია, იმ დოზით, რა დოზითაც ეს ლონდონს მიღმა შეიძლებოდა, ვინაიდან ოჭახის უფროსს რამდენიმე კვირითაც არ სურდა სოფლურ სიამეებსა და საქმიანობაზე უარის თქმა. საზოგადოებაში მისი გასვლის დებიუტი სამი იანვრისთვის დაინიშნა - დედა ბრწყინვალე მექლისის მოწყობას აპირებდა ო.-ში და მის გარშემო ოცი მიღის რადიუსში მცხოვრები არისტოკრატიისთვის. სოფლის დიდვაცობის ნაღებიც კი დაპატიჟა. ცხადია, მის მარეი მოუთმენლად და სიხარულით ელოდა მექლისს.<sup>[SEP]</sup>

## აგნეს გრეი



- მის გრეი, - მითხრა მან საღამოს, ღირსშესანიშნავ დღემდე ერთი თვით ადრე და ჩემი დის ძალზე გრძელ და საინტერესო წერილს მომწყვიტა, რომელიც დილას მხოლოდ გავხსენი, დავრწმუნდი, რომ ცუდს არაფერს იუწყებოდა და გვერდზე გადავდე, რათა შესაფერის დროს წამევითხა, - მის გრეი, თავი დაანებეთ მაგ მოსაწყენ, სულელურ წერილს და მომისმინეთ. დარწმუნებული ვარ, ეს გაცილებით დაგაინტერესებთ.<sup>[SEP]</sup>

ჩემს ფეხებთან მდგარ პუფზე ჩამოჭდა. წყენის გამომხატველი ამოოხვრისგან თავი შევიკავე და მერის გზავნილის დავეცვას შევუდექი.<sup>[SEP]</sup>

- რატომ არ გააფრთხილეთ თქვენი გულკეთილი ახლობლები, რომ ასეთი გრძელი საუბრით თავი არ მოგაბეზრონ? - თქვა მის მარეიმ, - თანაც, წესიერ ქაღალდზე მაინც დაწერონ და არა ასეთ უზარმაზარ ვულგარულ ფურცლებზე. ერთი განახათ, როგორ მომხიბლავ ბარათებს უგზავნის დედა თავის მეგობრებს!<sup>[SEP]</sup>

- ჩემმა გულკეთილმა ახლობლებმა, - მივუგე მე, - მშვენივრად იციან, რომ რაც უფრო გრძელია წერილი, მით უფრო სასიამოვნოა მისი კითხვა. გული დამწყდებოდა, მათგან მომხიბლავი ბარათები რომ მიმეღო. ვულგარულობაში მათი დადანაშაულება ვი, ვინც დიდ ფურცლებზე წერს, ცოტათი ვულგარულია, არა, მის მარეი?<sup>[SEP]</sup>

- ეს მხოლოდ თქვენს გასაღიზიანებლად ვთქვი! ახლა ვი მექლისის შესახებ ვიღლაპარაკოთ. მანამდე არსად წახვალთ. სახლში შემდეგ გაემგზავრებით.<sup>[SEP]</sup>

- რატომ? მე ხომ მექლისზე არ ვიქნები.<sup>[SEP]</sup>

- დიახ, რა თქმა უნდა. მაგრამ საჩეიმოდ მორთული ოთახებით დატვებით, მუსიკას შორიდან მოუსმენთ და, რაც მთავარია, საუცხოო ახალ კაბაში გამოწყობილსაც დამინახავთ. ისეთი მომხიბლავი ვიქნები, რომ ენა ჩაგივარდებათ. არა, დარჩით, დარჩით!<sup>[SEP]</sup>

- ცხადია, ძალიან მინდა თქვენი ნახვა, მაგრამ არაერთხელ მომეცემა ამის შესაძლებლობა სხვა მექლისებისა და წვეულებების წინ, როცა არანაკლებ მშვენიერ კაბებში იქნებით გამოწყობილი, გამგზავრების გადადება და ჩემი ახლობლების გულისტვენა ვი არ შემიძლია.<sup>[SEP]</sup>

- აჰ, დაივიწყეთ ახლობლები! მისწერეთ, რომ არ გიშვებთ.<sup>[SEP]</sup>

## ენ ბრონტე

- რომ არ დაგიმაღლოთ, თვითონაც გული დამწყდება. როგორც მათ მოვენატრე, მეც ისე მენატრებიან, შესაძლოა, მეტადაც კი.<sup>[P]</sup>
- თქვენ ხომ მხოლოდ რამდენიმე დღით შეყოვნდებით!<sup>[SEP]</sup>
- ჩემი ანგარიშით, თითქმის ორი კვირით. იმის გაფიქრებაც კი მიჭირს, რომ შობას შინ არ გავატარებ. მთავარი კი ისაა, რომ ჩემი და თხოვდება.<sup>[P]</sup>
- მართლა? როდის?<sup>[SEP]</sup>
- ერთ თვეზე ცოტა მეტი დარჩა. მინდა, მომზადებაში მივეხმარო და მასთან ვიყო, სანამ ჩვენგან არ წასულა.<sup>[P]</sup>
- რატომ ადრე არ მითხარით ეს?<sup>[SEP]</sup>
- მეც მხოლოდ ახლახან შევიტყვე. იმ წერილიდან, რომელსაც მოსაწყენი და სულელური უწოდეთ და ბოლომდე არ წამაკითხეთ.<sup>[P]</sup>
- ვისჩე ქორწინდება?<sup>[SEP]</sup>
- მისტერ რიჩარდსონზე, მეზობელი მრევლის მღვდელზე.<sup>[P]</sup>
- მდიდარია?<sup>[P]</sup>
- არა, მაგრამ უზრუნველყოფილია.<sup>[SEP]</sup>
- ლამაზია?<sup>[P]</sup>
- არა, თუმცა სასიამოვნო გარეგნობა აქვს.<sup>[SEP]</sup>
- ახალგაზრდაა?<sup>[SEP]</sup>
- არა, საშუალო ასაკისაა.<sup>[P]</sup>
- ღმერთო! ჩემო! ეს როგორი საქმრო ყოფილა! როგორი სახლი აქვს?<sup>[P]</sup>
- პატარა სახლია ეკლესიის გვერდით. სუროთი დაფარული პარმაღლით, ძველი ბაღით და...<sup>[P]</sup>
- აჲ, საკმარისია! ახლა ცუდად გავხდები. ამ ყველაფერს როგორ უნდა გაუძლოს?<sup>[SEP]</sup>
- ვფიქრობ, არა მხოლოდ გაუძლებს, არამედ ძალიან ბედნიერიც იქნება. თქვენ ხომ არ გივითხავთ, როგორი ადამიანია მისტერ რიჩარდსონი. კეთილი, ჩვიანი, ვარგი ხასიათის თუა? ყველა ამ შეკითხვაზე, დიახ-მეთქი, გიპასუხებდით. ყოველ შემთხვევაში, მერი ასე ფიქრობს და ვიმედოვნებ, არ ცდება.<sup>[P]</sup>
- მაგრამ... საბრალო! ნუთუ არ დაფიქრებულა, რომ წლების განმავლობაში საძაგელ მოხუცთან ერთად ვარჩავეტილი ცხოვრება მოუწევს



და უკეთესის იმედიც ვი არ უნდა ჰქონდეს? [P]

- სულაც არ არის მოხუცი. დაახლოებით ოცდათხუთმეტის იქნება, ჩემი და ვი ოცდარვისაა, სერიოზულობით ვი - ორმოცდაათისაც. [P]

- ოშ! თუ ასეა, მაშინ... ერთმანეთს შეეფერებიან. მაგრამ, ვიმედოვნებ, „პატივცემულ მოძღვარს“ არ ეძახის. [P]

- არ ვიცი, მაგრამ თუ ეძახის ვიდეც, ვფიქრობ, ის ამის ღირსია. [P]

- რა საშინელებაა! და თქვენმა დამ თეთრი წინსაფარი უნდა ატაროს? ღვეზელი და პუდინგი ამზადოს? [P]

- თეთრი წინსაფრის შესახებ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ღვეზელსა და პუდინგს აუცილებლად მოამზადებს. თუმცა, არა მგონია, ამან გული დასწყიტოს, მას ხომ ხშირად გამოუცხვია ისინი. [P]

- და სოფელში თავისი უბრალი შალითა და უშველებელი ჭილის ქუდით ივლის და ღარიბებს სულიერი ტრაქტატითა და ძვლისგან დამზადებული ბულიონით გაუმასპინძლდება? [P]

- ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ, ალბათ, შეეცდება, დაეხმაროს მათ, სული და სხეული განუმტკიცოს, როგორც ამას ყოველთვის აკეთებს დედაჩვენი. [P]

## თავი IX - [P T P] მეჯლისი

- აბა, მის გრეი, - მომესალმა მის მარეი, როგორც ვი ჩედა სამოსი გავიხადე და საკლასო ოთახში შევედი, პირველად, შინ გატარებული ერთი თვის შემდეგ, - ჩქარა მიხურეთ კარი და დაჭექით, მეჯლისის ამბებს გიამბობთ. [P]

- არა, დალახვროს ეშმაკმა! - შესძახა მის მატილდამ, - ენას კბილი დააჭირე, კარგი? ჯერ მე მოვუყვები ჩემი ახალი ფაშატის შესახებ. ნამდვილი საოცრებაა, მის გრეი, წმინდა სისხლის... [P]

- გაჩუმდი, მატილდა! ნუ მაწყვეტინებ. [P]

- არა, როზალი. თუ დაიწყებ, ვერასდროს დაასრულებ. ჯერ მე ვიტყვი, თუნდაც აქვე დამეცეს მეხი. [P]

- ძალიან მწყინს იმის მოსმენა, მის მატილდა, რომ ჯერაც ვერ

## ენ ბრონტე

გათავისუფლდით ამ საძაგელი ჩვეულებისგან! [P]

- ეს ხომ ჩემი ბრალი არაა. მაგრამ ერთ ცუდ სიტყვასაც არ ვიტყვი, თუ ჯერ მე მომისმენთ და როზალის უბრძანებთ, წყეული ენა გააჩეროს. [P]

როზალი შეევამათა და მეგონა, ახლა შუაზე გამგლეჭენ-მეთქი, მაგრამ მის მატილდას უფრო ძლიერი ხმა ჰქონდა და ამიტომ დამ უხალისოდ დაუთმო პირველობა. იძულებული გავხდი, დაწვრილებით მომესმინა ყველაფერი საუცხოო ფაშატის შესახებ, მისი წარმოშობის, გენეალოგიის, სვლის, ამტანობის, ხასიათისა და სხვათა ჩათვლით, შემეტყო, როგორ მარჯვედ და გაბედულად დააჭენებდა მას მატილდა - ხუთლატნიან ჭიშვარს ერთბაშად ევლებოდა თავზე. თურმე მამამისს უთქვამს, რომ მელიებზე სანადიროდ წამიყვანდა, დედას კი ხასხასა წითელი სანადირო კაბაც შეუკვეთავს! [P]

- აჲ, მატილდა, ნუ იგონებ! - შესძახა მის მარეიმ. [P]

- მერე რა? - ოდნავაც არ შეცბუნებულა მის მატილდა, - მე ხომ ვიცი, რომ თუ მოვინდომებ, ხუთლატნიან ღობეს გადავევლები, თუ ვთხოვ, მამა სანადიროდ წამიყვანს, დედა კი სანადირო კაბას შეუკვეთს. [P]

- ჰო, ასე ჭობია, - თქვა მის მარეიმ, - და შეეცადე, ძვირფასო მატილდა, უფრო ზრდილობიანად მოიქცე. მის გრეი, უთხარით, რომ ასეთი საშინელი სიტყვები აღარ წარმოთქვას. ის ხომ თავის ცხენს ძუკნას ეძახის! ეს აუტანელია! მისი აღწერისას კი გაუგონარ გამოთქმებს იყენებს. ნამდვილად მეტინიბებისგან ისრავლა. პირს გააღებს თუ არა, ლამის გული წამივიდეს. [P]

- სულელო, მე ეს მააისა და მისი მეგობრებისგან ვისწავლე, - მიუგო ახალგაზრდა ქალიშვილმა და მათრახი გაატკაცუნა, რომელსაც მუდამ თან დაატარებდა, - ცხენებში კი მათზე ცუდად არ ვერკვევი. [P]

- კარგი, საკმარისია, საძაგელო! თუ არ გაჩუმდები, მართლა გული წამივა. ახლა კი, მის გრეი, მე მომისმინეთ. მეტლისის შესახებ გიამბობთ. ვიცი, ერთი სული გაქვთ, მოისმინოთ, როგორ ჩაიარა. ოჲ, რა მეტლისი იყო! დარწმუნებული ვარ, მსგავსი არაფერი გინახავთ, არ გსმენიათ და არ წაგიკითხავთ. და არც დაგსიზმრებიათ! როგორ მორთეს ოთახები! ახლა ცეკვები, ვახშამი, მუსიკა! ამის აღწერა შეუძლებელია. სტუმრებს არ იკითხავთ? ორი გრაფი, სამი ბარონეტი და ხუთი ტიტულოვანი ლედი.

## აგნეს გრეი



უამრავი ქალბატონი და ჰენტლმენი. ცხადია, ქალები არ მაინტერესებდა, თუმცა ისინიც დამეხმარნენ საკუთარი თავის შეფასებაში - თითქმის ყველანი მახინჯები და მოუქნელები იყვნენ. დედამ მითხრა, რომ საუკეთესო, აღიარებული სილამაზის ქალიშვილებიც კი ვერ შემედრებოდნენ. მე კი, მის გრეი... ოჟ, რა სამწუხაროა, რომ ვერ მნახეთ! მომაჯადოებელი ვიყავი, არა, მატილდა?<sup>[SEP]</sup>

- ჩვეულებრივი<sup>[SEP]</sup>

- არათერიც! ყოველ შემთხვევაში, დედამ ასე თქვა. ბრაუნმაც. უილიამსონმაც. ბრაუნმა მითხრა, როგორც კი ჰენტლმენები თვალს მოგვრავენ, მაშინვე გაგიჟებამდე შეუყვარდებითო. მაშასადამე, შემიძლია, ცოტა პატივმოყვარე ვიყო. ვიცი, რომ აღმაშფოთებელი, თვითკმაყოფილი და თავქარიანი გვინივართ. მაგრამ ყველაფერს ჩემს მომხიბლაობას როდი მივაწერ. ეს პარივმახერის დამსახურებაცაა და ჩემი შესანიშნავი კაბისაც - მას ხვალ გიჩვენებთ: თეთრი გაზის ნაჭერი, ვარდისფერი ატლასით გაწყობილი, თანაც საუცხოო მოყვანილობის! კიდევ - დიდი მარგალიტებით შემკული, საოცარი ყელსაბამი და სამაჯური.<sup>[SEP]</sup>

- დარწმუნებული ვარ, მომაჯადოებლად გამოიყურებოდით. მაგრამ რა საჭიროა ამის გამო ამდენი სიხარული?<sup>[SEP]</sup>

- აჟ, არა! მხოლოდ ამიტომ არა. ჩემით ისე აღფრთოვანდნენ! იმ საღამოს იმდენი გამარჯვება მოვიპოვე! არც კი დაიჭერებთ...<sup>[SEP]</sup>

- მერედა, ეს რას გარგებთ?<sup>[SEP]</sup>

- რას მარგებს? და ამას ქალი მევითხება?<sup>[SEP]</sup>

- ვფიქრობ, ერთი გამარჯვებაც სრულიად საკმარისია. თუმცა ისიც ჩედმეტია, თუკი მარცხი ორმხრივი არაა.<sup>[SEP]</sup>

- ოჟ! ხომ იცით, ამაში ვერასდროს დაგეთანხმებით. არა, არა, მაღროვეთ და ჩემს მთავარ მაღმერთებლებს ჩამოვითვლით - მათ, ვინც ხაზგასმით გამოხატა ჩემით აღფრთოვანება მექლისზეც და შემდეგაც. ჩემთვის ხომ კიდევ ორჯერ გამართეს წვეულება. სამწუხაროდ, ორივე გრაფი, ლორდი გ. და ლორდი ფ. ცოლიანია, სხვა შემთხვევაში, ალბათ, იმაზეც წავიდოდი, რომ მათ ოდნავ გამოვარჩევდი. მაგრამ, აფსუს! სხვათა შორის, ლორდ ფ-ს სძულს თავისი ცოლი, ის ბრწყინვალედ ცეკვავს, ჩემსავით. ვერც კი წარმოიდგენთ,

## ენ ბრონტე

რა კარგად ვციკვავდი - თვითონაც ვი მიკვირდა. მიღორდმა ისეთი ქათინაურები მომიძღვნა! გადააჭარბა კიდეც, ამიტომ იძულებული გავხდი, ცოტა ქედმაღლობა და სიცივე გამომეჩინა. სამაგიეროდ, სიამოვნებით ვუყურებდი, რა დღეში ჩავარდა მისი საძაგელი და გაბრენძილი მეუღლე - კინაღამ მოკვდა ბრაზისა და შურისგან...<sup>[SEP]</sup>

- მის მარეი, არა მგონია, რომ ეს მართლა გსიამოვნებდათ! როგორი გაბრენძილიც...<sup>[SEP]</sup>

- დიახ, რასაკვირველია, ეს არც ისე კარგია. მაგრამ არა უშავს, ოდესმე აუცილებლად გავხდები კარგი, ოღონდ ახლა ქადაგება არ დაიწყოთ, ძალიან გთხოვთ. მე ხომ ჯერ ნახევარიც არ მომიყოლია. რაზე გავჩერდი?.. ჰო! ჩემი აშკარა მაღმერთებლები. პირველ რიგში, სერ თომას ეშბი... სერ ჰიუ მელთემსა და სერ ბროდლი უილსონს უკვე ობი მოედოთ და მხოლოდ დედასთან და მამასთან სასაუბროდ თუ გამოდგებიან. სერ თომასი ვი ახალგაზრდაა, მდიდარი და მხიარული, თუმცა გვარიანი მაიმახია. დედა ვი მეუბნება, ერთი-ორი თვის ნაცნობობის შემდეგ ამას ვეღარ შეამჩნევო. შემდეგ, ჰარი მელთემი, სერ ჰიუს უმცროსი ვაჟი - კარგი გარეგნობა აქვს, მასთან კევლუცობაც სასიამოვნოა, მაგრამ რადგან უმცროსი ვაჟია, სხვა რამისთვის არ გამოდგება. შემდეგ მისტერ გრინი - მდიდარია, მაგრამ რად გინდა, მხარბეჭიანი რეგვენია, ნამდვილი სოფლელი დოკულაპია. და კიდევ, ჩვენი ღირსეული მღვდელი, მისტერ ჰეთფილდი - მას ჩემს თავმდაბალ მაღმერთებლად მივიჩნევ, მაგრამ, ვშიშობ, დაავიწყდა, რომ თავისი ქრისტიანული თვისებების მარაგს თავმდაბლობაც შემატოს.<sup>[SEP]</sup>

- როგორ? მისტერ ჰეთფილდი მექლისს დაესწრო?<sup>[SEP]</sup>

- რასაკვირველია. გეგონათ, რომ ეს არ ეკადრებოდა?<sup>[SEP]</sup>

- ვფიქრობდი, ალბათ, გადაწყვეტს, სასულიერო პირს არ შეშვენის-მეთქი...<sup>[SEP]</sup>

- არა, არა! მას თავისი წოდება ცეკვით არ შეუბრალავს, მაგრამ საბრალოს თავის შეკავება ძალიან გაუჭირდა. ოჟ, როგორ უნდოდა, ერთ ცეკვაზე მაინც მივეწვიე. და... ჰო, მართლა! მას ახალი უმცროსი მღვდელი ჰყავს. იმ დაჩაჩანაკებულმა ბებერმა მისტერ ბლაიმ, როგორც იქნა, მიიღო ნანატრი სამწყსო და გაემგზავრა.<sup>[SEP]</sup>

## აგნეს გრეი



- ახალი როგორია? [SEP]

- ნამდვილი ჩერჩები! გვარად უესტონი. სამი სიტყვით აღვწერ: უგრძნობელი, სულელი, შტერი, მახინჯი. ოთხი სიტყვა გამოვიდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს - მისთვის საკმარისია. [SEP]

მან კვლავ განაგრძო მექლისის აღწერა. ჰყებოდა, როგორ ეჭირა თავი სხვა წვეულებებზეც, თან ახალ-ახალ დეტალებს ამატებდა სერ თომას ეშბის, მელთემის, გრინისა და ჰეთფილდის პორტრეტებს. ყოველ მათგანზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოეხდინა. [SEP]

- მერედა, ვინ მოგწონთ ყველაზე მეტად ამ ოთხეულიდან? - ვკითხე მე და მესამედ თუ მეოთხედ შევივავე თავი, რომ არ დამემთქნარებინა. [SEP]

- არც ერთი! - მიპასუხა მან და ზიზღნარევი სიკეპლუცით შეარხია ბრწყინვალე კულულები. [SEP]

- ვფიქრობ, ეს ნიშნავს, რომ ყველა მოგწონთ. მაგრამ ყველაზე მეტად, რომელი? [SEP]

- არა, მართლა ვერ ვიტან მათ. ჰარი მელთემი ყველაზე ლამაზია, მასთან თავს მხიარულად ვვრძნობ. მისტერ ჰეთფილდი ყველაზე ჭკვიანია, სერ თომასი - ყველაზე უზნეო, მისტერ გრინი კი - ყველაზე სულელი. მაგრამ თუ არჩევანისთვის გამნირავენ, სერ თომასს ვერსად გავექცევი. [SEP]

- ეს როგორ შეიძლება! თუკი უზნეოა და თქვენ ვერ იტანთ? [SEP]

- უზნეო რომ არის, მომწონს კიდეც. ეს მას უფრო საინტერესოს ხდის. თუ უნდა გავთხოვდე, თუ ლედი ეშბი უნდა გავხდე, ეშბი-ჰარკის მამულის მფლობელი, ამას უფრო ადვილად გადავიტან. მაგრამ არასდროს გავთხოვდებოდი, მუდამ ახალგაზრდა რომ ვიყო. მარტო ვიქნებოდი და ვიმხიარულებდი! ყველასთან ვიკეპლუცებდი და როდესაც საფრთხე გაჩნდებოდა, რომ შინაბერას დამიძახებდნენ, მოპოვებული ათი ათასი გამარტვების შემდეგ ცუდი სახელის თავიდან ასაცილებლად, ყველა მათგანს გულს გავუტეხდი - ერთის გარდა: ყველაზე დიდგვაროვან, მდიდარ და ხათრიან ქმარს შევარჩევდი, რომელზეც ორმოცდაათი ქალიშვილი მაინც იოცნებებდა. [SEP]

- რადგან ასე უყურებთ ცხოვრებას, ამიტომაც ხართ მარტო, ჰოდა, არც გათხოვდეთ, თუნდაც შინაბერად დარჩენის სირცხვილის შიშით. [SEP]

## თავი X -<sup>[P T P]</sup><sub>[SEP; SEP]</sub> ეკლესია

- აბა, მის გრეი, რას იტყვით ახალ მღვდელზე? - მკითხა მის მარეიმ დაბრუნებიდან პირველ კვირადღეს, წირვის შემდეგ.<sup>[SEP]</sup>
- რთული სათქმელია. მე ხომ არც მომისმენია, როგორ ქადაგებს.<sup>[SEP]</sup>
- მაგრამ ხომ დაინახეთ, არა?<sup>[SEP]</sup>
- დიახ, ოღონდ ადამიანზე თვალის ერთი შევლებით ვერაფერს ვიტყვი.<sup>[SEP]</sup>
- ის ხომ მახინჭია!<sup>[SEP]</sup>
- მე ასე არ მომჩვენებია. ჩემი აზრით, უსიამოვნო სახის ნაკვეთები არა აქვს. სხვათა შორის, მხოლოდ მისი კითხვის მანერას მივაქციე ყურადღება. ვფიქრობ, ამას შესანიშნავად აკეთებს. ყოველ შემთხვევაში, მისტერ ჰეთფილდზე გაცილებით უკეთ. წმინდა წერილს ისე კითხულობდა, რომ თითოეული სიტყვა სრულიად გასაგები იყო. ასე მგონია, ყველაზე გონიერაგაფანტულები უნებურად უსმენდნენ, უმეცრები კი ყველაფერს ხვდებოდნენ. ლოცვებსაც ისე წარმოთქვამდა, თითქოს წირვაში არც მონაწილეობდა - მხოლოდ მოწინებით, გულის სიღმიდან ლოცულობდა.<sup>[SEP]</sup>
- ოჟ, დიახ, მხოლოდ ამისთვის თუ ვარგა. წირვისას თავის მოვალეობას ვარგად ასრულებს. მაგრამ მეტი არაფერი შეუძლია.<sup>[SEP]</sup>
- თქვენ რა იცით?<sup>[SEP]</sup>
- როგორ არ ვიცი. ასეთ საკითხებში მშვენივრად ვერკვევი. დაინახეთ, როგორ გამოვიდა ეკლესიიდან? ისე მიაბიჭებდა, თითქოს მარტო იყო, არც მარჯვნივ იყურებოდა, არც მარცხნივ. მაშასადამე, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ იქაურობა სწრაფად დაეტოვებინა და სადილის მაგიდას მისჯდომოდა. მის დიდშუბლა სულელურ თავში სხვა აზრი ვერ იარსებებდა.<sup>[SEP]</sup>
- ალბათ, გინდოდათ, სკვაირის სკამისკენ გაეხედა! - მივუგე მე და მის გაშმაგებაზე გამეცინა.<sup>[SEP]</sup>
- რას ამბობთ! აღვშფოთდებოდი, ასეთი რამ რომ გაებედა, - მომიგო მან და თავი მედიდურად ასწია, ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ კი დაამატა, - ვარგი, ვარგი! დავუშვათ, თავის ადგილს შეეფერება, მაგრამ მიხარია, რომ უიმისოდაც არ მაკლია გასართობი. თუ შეამჩნიეთ, როგორ აჩქარებით გამოვიდა ეკლესიიდან მისტერ ჰეთფილდი, რათა ჩემგან თავის დაკვრა



მიეღო და ეტლში ჩასხდომაში დაგვხმარებოდა? [P]

- დიახ, - ვუპასუხე მე, გუნებაში კი დავამატე: „და გაიფიქრე, რომ ღვთისმსახურის ღირსება შებღალა, როცა ასე ნაჩქარევად მიატოვა კათედრა, რათა სკვაირისთვის ხელი ჩამოერთმია და მის ცოლსა და ქალიშვილებს ეტლში ასვლაში მიხმარებოდა. თანაც არათავაზიანად მოიქცა და სახლში კინაღამ ფეხით გამიშვა“. მართლაც, ზუსტად მის წინ ვიდეექი და ეტლში ასასვლელად ჩემს რიგს ველოდებოდი. მან კი კიბის აწევა და ვარის მიხურვა დააპირა. როდესაც ეტლიდან გამოსძახეს, გუვერნანტი ჭერ არ ჩამჯდარაო, იქაურობას უბოდიშოდ გასცილდა და ვარის მიხურვა ლაქიას შეატოვა. [P]

ყურადღება მიაქციეთ, რომ მისტერ ჰეთფილდს ჩემთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ისევე, როგორც სერ ჰიუს, ლედი მელთემს, მისტერ ჰარი მელთემს, მისტერ გრინსა და მათ დებს, აგრეთვე, ეკლესიაში მყოფ დანარჩენ ბატონებსა და ქალბატონებს და ჰორტონ-ლოკის მნიშვნელოვან სტუმრებს. [P]

დღისით მის მარეიმ კვლავ მოითხოვა ეტლი თავისთვის და დისთვის - ასეთ სიცივეში ბაღში სეირნობა არ სურდა, ეკლესიაში კი, ალბათ, ჰარი მელთემი იქნებოდა. [P]

- ვინაიდან, - თქვა მან და სარკეში საკუთარ მომხიბლავ ანარეკლს ეშმაკურად გაუღიმა, - ბოლო რამდენიმე კვირადღე ეკლესიაში სანაქებო გულმოდგინებით დადის. ვაცი იფიქრებს, გულმხურვალე ქრისტიანია! ჩვენთან ერთად წამოდით, მის გრეი. მინდა, შეხედოთ. ვერ წარმოიდგენთ, როგორ დაიხვეწა საზღვარგარეთ მოგზაურობის შემდეგ. გარდა ამისა, კიდევ ერთხელ ნახავთ ლამაზ მისტერ უესტონს და მის ქადაგებასაც მოისმენთ. [P]

მოვისმინე, როგორ ქადაგებდა და უაღრესად კმაყოფილი დავრჩი მისი დოქტრინის ევანგელისტური ჭეშმარიტებით, საუბრის უბრალო და დამაჯერებელი მანერით, მისი სიტყვების სიცხადით. ასეთი ქადაგება აშვარად ჭობდა ყოფილი ვიკარის (კათოლიკურ ეკლესიაში: ადრე - ეპისკოპოსის თანაშემწე, ახლა - მღვდლის თანაშემწე), მისტერ ბლაის მშრალ და მოსაწყენ მსჯელობას, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში იძულებით ვისმენდით, მღვდლის კიდევ უფრო ნაკლებად ყურადსაღებ მჭევრმეტყველებაზე რომ არაფერი ვთქვათ. მისტერ ჰეთფილდი აქეთ-იქით დადიოდა, უფრო სწორად,

## ენ ბრონტე

გრიგალივით დაქროდა, რის გამოც აბრეშუმის მდიდრული მანტია ზურგს უკან უფრიალებდა და სკამის საჩურგეებზე შრიალებდა, კათედრაზე ტრიუმფალურ საბრძოლო ეტლზე მდგარი დამპყრობელივით ადიოდა, ხავერდის ბალიშზე ეშვებოდა და ვითომ ღვთისმოსავ პოზაში რამდენიმე წუთით ირინდებოდა. შემდეგ შესავალ ლოცვას ბუტბუტებდა, „მამაო ჩვენოს“ მიაყოლებდა, დგებოდა, ღია მწვანე ხელთათმანს იძრობდა, რათა მრევლი მისი მოელვარე ბეჭდებით დამტკბარიყო, ხვეულ თმაზე ხელს მსუბუქად ისვამდა, ბატისტის ცხვირსახოცს იღებდა, მოკლე ტექსტს, შესაძლოა, წმინდა წერილის მხოლოდ ერთ სტრიქონს, სათაურივით წარმოთქვამდა, ბოლოს კი თავის ნამოღვაწარს გადმოვცემდა, რომელსაც არა უშავდა, მაგრამ მისი პათეტიკურობა და ხელოვნურობა არ მომწონდა. წანამძღვრებს სწორად აგებდა, არგუმენტებიც ლოგიკურად მოჰყავდა, მაგრამ რატომდაც თავის შეკავება მიხდებოდა, რათა უკმაყოფილება ან მოწყენილობა არ დამტყობოდა.<sup>SEP</sup>

მისი საყვარელი თემები იყო: საევლესიო დისციპლინა, რიტუალები, ცერემონია, მოციქულთა მემკვიდრეობითობა, დოგმატებიდან ნებისმიერი გადახვევის დანაშაულებრივი სისაძაგლე, საევლესიო წეს-ჩვეულებების ყველა ფორმის დაცვის აუცილებლობა, იმ ადამიანების შეუწყნარებელითავდაჭერებულობა, რომლებიც ცდილობენ, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ რწმენასთან დაკავშირებული სავითხები ან საკუთარი განმარტებებით იხელმძღვანელონ. ზოგჯერ, რათა მრევლის ყველაზე შეძლებული ნაწილისთვის ესიამოვნებინა, მდიდრების მიმართ ღარიბების მორჩილების აუცილებლობას ამტკიცებდა და ამ მოწოდებების დასადასტურებლად, ეკლესიის მამებს იმოწმებდა. მათ, როგორც ჩანს, გაცილებით უკეთ იცნობდა, ვიდრე მოციქულებსა და ევანგელისტებს, და იმ უკანასკნელთა გვერდით აყენებდა, თუ უფრო მაღლა არა. დასასრულ, მარაგში განსაკუთრებული სახის დარიგება პქონდა შემონახული, რომელიც ზოგს შესაძლოა, ბრწყინვალედ მოსჩვენებოდა, მაგრამ სინამდვილეში სასტიკი და უღიმღამო იყო და უჩენაესს მრისხანე ზედამხედველად წარმოაჩენდა და არა მოწყალე მამად. მისი მოსმენისას საკუთარ თავს იმაზე ვიჩერდი, რომ ის ძალიან გულწრფელად ლაპარაკობდა, თითქოს უწინდელი

## აგნეს გრეი



მოუსვენრობა დაევიწყებინა და უდიდესი, პირქეში და მკაცრი ღვთისმოსაობით გამსჭვალულიყო. სხვათა შორის, ეს ილუზია სწრაფად ქრებოდა, როცა ეკლესიიდან გამოსულს მესმოდა, როგორ გაცხოველებით ესაუბრებოდა რომელიმე მელთემს, გრინს ან მარეის, და ხან საკუთარ ქადაგებაზე იცინოდა და იმედოვნებდა, რომ გაიძვერებს საფიქრალი გაუჩინა, ხან ნიშნის მოგებით ამბობდა, რომ ბებერი ბეთსი ჰოლმსი სხეულის განებივრებას ვეღარ გაბედავდა და ჩიბუხს - ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში თავის ერთადერთ მანუგეშებელს - გადააგდებდა, ჭორჭ ჰიგინსი შაბათ საღამოს სეირნობას ვეღარ გაბედავდა, თომას ჯექსონის სულში კი ეჭვი დაიბუდებდა და ძველებურად მტკიცედ აღარ იქნებოდა იმის იმედად, რომ განკითხვის დღეს მკვდრეთით აღდგებოდა.<sup>[P]</sup>

აქედან გამომდინარე, უცილობლად უნდა დამესკვნა, რომ მისტერ ჰეთფილდი იმათ ჰგავდა, რომელიც „მძიმე ტვირთს ჰკრავენ და ძნელად სატვირთველს, და ხალხს მხრებზე ადებენ; თვითონ კი თითის განძრევაც არ სურთ მის დასაძრავად“ (მათე, 23, 4). შესაძლებლობა რომ მქონოდა, ვეტყოდი: „თქვენგანვე მომდინარე გადმოცემით აუქმებთ ღვთის სიტყვას და მრავალ ამნაირ რასმე სჩადიხართ“ (მარკოზი, 7,13). სიხარულით შევნიშნე, რომ მისი ახალი თანაშემწე, ჩემი აზრით, არაფრით ჰგავდა მას.<sup>[P]</sup>

- აბა, მის გრეი, ახლა რას ფიქრობთ მასზე? - მკითხა მის მარეიმ, როგორც კი წირვის დასრულების შემდეგ ეტლში ჩავსხედით.<sup>[P]</sup>

- ცუდს კვლავაც არაფერს.<sup>[P]</sup>

- ცუდს არაფერს? - გაოცებით გაიმეორა მან, - რისი თქმა გსურთ?<sup>[P]</sup>

- უნინდელზე ცუდი არაა.<sup>[P]</sup>

- ცუდი არაა! რასაკვირველია! ის ახლა გაცილებით დახვენილია.<sup>[P]</sup>

- დიახ, დიახ, გაცილებით, - მივუგე და მივხვდი, რომ მისტერ უესტონის შესახებ კი არა, ჰარი მელთემის შესახებ მელაპარაკებოდა, რომელიც წირვის შემდეგ სასწრაფოდ მივიდა ქალიშვილებთან სასაუბროდ, რასაც ვერასდროს გაბედავდა მათი დედის თანდასწრებით, შემდეგ კი მათ ეტლში ასვლაში მიეხმარა. მისტერ ჰეთფილდისგან განსხვავებით, არ უცდია, ვარი მიეხურა ჩემ ცხვირნინ, მაგრამ არც ხელი შეუთავაზებია (რაზეც, ცხადია, არ დავთანხმდებოდი). იდგა, ღიმილით თვალები უბრმყინავდა და

## ენ ბრონტე

ქალიშვილებთან საუბარს განაცრძობდა, ბოლოს შლაპა ასწია და იქაურობა დატოვა. სიმართლე გითხრათ, მისთვის ყურადღება საერთოდ არ მიმიქცევია. ქალიშვილები ჩემზე დაკვირვებულები აღმოჩნდნენ და არა მხოლოდ მისი გარეგნობის, სიტყვებისა და საქციელის, არამედ სახის ყოველი ნაკვთისა და ტანსაცმლის თითოეული დეტალის განხილვას შეუდგნენ.<sup>P</sup>SEP

- მე მას არ დაგითმობ, რომალი, - განაცხადა მის მატილდამ, - მომეწონა და ვიცი, რომ მშვენივრად ვიმხიარულებთ ჭირითის დროს.<sup>P</sup>SEP

- წაიყვანე, დამითმია, - მიუგო მის მარეიმ მოჩვენებითი უდარდელობით.<sup>P</sup>SEP

- ვხედავ, რომ ჩემით არანაკლებ აღფრთოვანდა, ვიდრე შენით, ასე არ არის, მის გრეი?<sup>P</sup>SEP

- არ ვიცი. მისი გრძნობების შესახებ ვერაფერს ვიტყვი.<sup>P</sup>SEP

- ეს მაინც ასეა.<sup>P</sup>SEP

- ძვირფასო მატილდა! შენით არასდროს არავინ აღფრთოვანდება, თუ უხეშ გამოთქმებსა და მანერებს არ გადაეჩვევი.<sup>P</sup>SEP

- სისულელეა! ჰარი მელთემს ასეთი მანერები მოსწონს. მამას მეგობრებსაც.<sup>P</sup>SEP

- ჰოდა, მოაჭადოე პატარა ბიჭები და მოხუცები, მაგრამ გარწმუნებ, მეტს არავის მოეწონები.<sup>P</sup>SEP

- მერე რა. ფულისთვის არ ვიბრძვი, როგორც შენ და დედა. თუ ჩემი ქმარი რამდენიმე კარგი ცხენისა და მნევრის შენახვას შეძლებს, მეტი არაფერი მინდა. ეშმავსაც წაუღია სხვა ყველაფერი.<sup>P</sup>SEP

- მაგრამ შენ კვლავ ისეთ გამოთქმებს იყენებ, ნამდვილი ჭენტლმენი არც ვი მოვიახლოვდება. რატომ არ ეწინააღმდეგებით, მის გრეი?<sup>P</sup>SEP

- მე რა შემიძლია, მის მარეი?<sup>P</sup>SEP

- ცდები, მატილდა, თუ გვინია, რომ ჰარი მელთემი შენით აღფრთოვანდა. დამიჭერე, ეს მხოლოდ შენი ფანტაზიაა.<sup>P</sup>SEP

მატილდა განრისხდა და შეპასუხება დააპირა, მაგრამ, საბედნიეროდ, ეტლი ჰარმაღთან გაჩერდა, ლაქიამ ვარი გააღო და კიბე დაუშვა.<sup>P</sup>SEP



## თავი XI - <sup>P T P</sup><sub>SEP SEP</sub> ღარიბები

მხოლოდ ერთი მოწაფე დამრჩა და მიუხედავად იმისა, რომ მასთან უფრო მეტი ენერგიას ვხარჭავდი, ვიდრე სამ-ოთხ ჩვეულებრივ ბავშვთან, მისი და კი ჩემთან გერმანულსა და ხატვაში ჭერ კიდევ მეცადინეობდა, პირველად მას შემდეგ, რაც გუვერნანტის უღელი დავიდგი, ბევრი თავისუფალი დრო გამიჩნდა. მას ახლობლებთან მიმოწერას, კითხვას, მუსიკას, სიმღერას ვუთმობდი, აგრეთვე პარვში და ახლომდებარე მდელოებზე სეირნობას - ჩემს მოწაფეებთან ერთად, თუკი მოისურვებდნენ, ან - მარტო.<sup>SEP</sup>

ხშირად, როდესაც უფრო სასიამოვნო გასართობს ვერ პოულობდნენ, ქალიშვილები მამის მოიკარეების ქოხმახებს სტუმრობდნენ პირფერული პატივისცემის მისაღებად, წარსულის ამბებისა და ახალთახალი ჭორების მოსასმენად, რომლებსაც გულუხვად არიგებდნენ ლაქლაქის მოყვარული დედაბრები, ან - გულწრფელი სიამოვნების მისაღებად, როცა ხედავდნენ, რამხელა სიხარულს ანიჭებდა ღარიბებს მათი გულთბილი ღიმილი და როგორ ემადლიერებოდნენ მოკრძალებული, იაფი საჩუქრების გამო. ზოგჯერ დები მათთან ერთად წასვლას მთავაზობდნენ, ზოგჯერ ეზარებოდათ და დაპირებულის შესასრულებლად მე მგზავნიდნენ - ტკბილეულის წასაღებად ან რომელიმე დაუძლურებული და ღვთისმოსავი მოხუცისთვის ბიბლიის საკითხავად. ასე გავაძი ნაცნობობა უბადრუკი ქოხმახების ბინადრებთან და ხადახან მათ საკუთარი ინიციატივითაც ვსტუმრობდი.<sup>SEP</sup>

მათთან მარტო მისვლა უფრო მსიამოვნებდა, ვიდრე ქალიშვილებთან (ერთთან ან ორივესთან) ერთად, ვინაიდან - ძირითადად, არასწორი აღმოჩენის გამო - ფსკერზე აღმოჩენილ ხალხთან ურთიერთობისას თავი ისე ეჭირათ, რომ მათ მაგიერ მრცხვენოდა. ქალიშვილებს არასდროს დაუყენებიათ საკუთარი თავი ღარიბების ადგილას, ამიტომ იმ ადამიანებს ისე უყურებდნენ, როგორც სხვა სამყაროს წარმომადგენლებს, და შეუბრალებლადაც ექცეოდნენ - აკვირდებოდნენ, როგორ მიირთმევდნენ, მათ საკვებსა და ჭამის მანერაზე ერთმანეთს შენიშვნებს უზიარებდნენ, ეცინებოდათ მათ გულუბრყვილობასა და ადგილობრივ გამოთქმებზე, რაც ღარიბებს პირის გაღების სურვილსაც უკარგავდა; დარბაისელ ხანდაზმულებს

## ენ ბრონტე

ბებერ სულელებს უწოდებდნენ, ოღონდ ამ ყველაფერს ისე აკეთებდნენ, ეტყობოდათ, რომ მათი წყენინება არ სურდათ. ვხედავდი, რომ მსგავსი საქციელი ქოხების ბინადრებს გულს სტკენდა და აბრაზებდა, დიდებულთა წინაშე შიში აღმფოთების გამოხატვაში ხელს უმლიდა. ქალიშვილები კი ვერაფერს ამჩნევდნენ. მათი აზრით, ღარიბები და გაუნათლებლები გონებაჩლუნგი და ველური არსებები იყვნენ, ხოლო ისინი, ვინც მათხე გაცილებით მაღლა იდგა და მათთან საუბარს ვადრულობდა, შილინგსა და ნახევარ კრონს ჩუქნიდნენ და უფლებას იღებდნენ, გართობის მიზნით, მასხარად აეგდოთ. ღარიბებისგან მოითხოვდნენ, სინათლისა და სიკეთის კეთილ ანგელოზებად მიეჩნიათ და გაეღმერთებინათ ისინი, აკი უბადრუკ საცხოვრებელს უნათებდნენ და მაღლს უწყალობებდნენ.<sup>[۲]</sup>

როგორ არ ვცადე, ჩემი მოწაფეებისთვის ამ შეცდომაზე მიმეთითებინა - ისე, რომ მათ სიამაყეს არ შევხებოდი (თორემ ძალზე მგრძნობიარები იყვნენ და აღმფოთებას დიდხანს ვერ დაიცხობდნენ), მაგრამ შედეგს ვერ მივაღწიე. ვერ გეტყვით, რომელი უფრო უღირსად იქცეოდა. მატილდა უხეშობას ავლენდა. ზრდილ და უფროს რობალის თითქოს მსგავსი არაფერი უნდა შემლოდა, მაგრამ ზოგჯერ ისიც ათი წლის განებივრებული ბავშვივით უტაქტო იყო.<sup>[۳]</sup>

თებერვლის მიწურულის ერთ მოწმენდილ დღეს პარკში ვსეირნობდი და სამმაგად ვტკბებოდი - მარტოობით, წიგნითა და მშვენიერი ამინდით. მის მატილდა ცხენზე ჭდომით ირთობდა თავს, რასაც არასდროს იკლებდა, მის მარეი და დედამისი კი ეტლით სტუმრად წასულიყვნენ. უეცრად თავში გამიელვა, რომ ამ ეგოისტურ სიხარულზე უარი უნდა მეთქვა, მიმეტოვებინა ფირუზისფერი ცის ქვეშ გადაშლილი პარკი, სადაც ჰერაც უფოთლო ხეების ტოტებს შორის დასავლეთის ქარი მღეროდა, ღრანტეებში, მზის სხივებქვეშ, თოვლი დნებოდა, გრაციოზული ირმები კი გაზაფხულის სიტკბოებაშეპარულ ბალახს წიწვნიდნენ - ეს ფუფუნება უნდა მიმეტოვებინა და ნენსი ბრაუნი მომენახულებინა, ქვრივი, რომლის ერთადერთი ვაჟი მთელი დღის განმავლობაში მინდორში მუშაობდა, თვითონ კი ბოლო ორი კვირაა, ქუთუთოების ანთებით იტანჯებოდა, რის გამოც მშვენიერი გონების მქონე ქალი ვეღარ კითხულობდა. როგორც ველოდი, მარტო იჭდა კვამლით

## აგნეს გრეი



გაჩერებულ და დახუთულ, მაგრამ გაკრიალებულ და მიღავებულ, ვიწრო, ჩაბნელებულ ქოხში და გულმოდგინედ ქსოვდა. კერიაში პატარა მუგუჩალი ინავლებოდა, იქვე, ნენსის ფეხებთან, ჭვალოს ბალიშზე, მისი ერთგული მეგობარი, ვატა ინვა - ხავერდოვან თათებზე ფუმფულა კუდი შემოეხვია და მთვლემარე მოჭუტული თვალებით გაღუნულ ცხაურს შეჰყურებდა.<sup>[SEP]</sup>

- გამარჯობა, ნენსი, როგორ გრძნობთ თავს?<sup>[SEP]</sup>

- არა მიშავს, მის! უკეთ ვერ ვიყურები, სამაგიეროდ, გულზე მომეშვა, - მითხვა მან, წამოდგა და თბილად გამიღიმა.<sup>[SEP]</sup>

გამიხარდა, რადგან ნენსის რელიგიური მელანქოლია სჭირდა, და ცვლილება მიფულოცე. დამეთანხმა, რომ ეს მართლა მოსალოცი იყო და ღმერთს მადლობა შესწირა.<sup>[SEP]</sup>

- თუ უფალს სურს, რომ თვალისჩინი შემინარჩუნოს, რათა კვლავ შევძლო ბიბლიის კითხვა, უბედნიერესი დედოფალივით ვიქნები, - დაამატა მან.<sup>[SEP]</sup>

- ღმერთმა წყალობა არ მოგვაკლოს, ნენსი, - ვთქვი მე, - მანამდე კი მე მოვალ და წაგივითხავ, როცა დროს გამოვნახავ.<sup>[SEP]</sup>

გახარებულმა საბრალო ქალმა მადლობა გადამიხადა და ჩემთვის სკამის მოწევა დააპირა, მაგრამ დავასწარი და ეს თვითონ გავაკეთე. მან კერია მოჩხრივა, მინავლულ ნაკვერჩხალზე რამდენიმე თხელი პური დადო, თაროდან თავისი გაცვეთილი ბიბლია ჩამოიღო, ხელი გადაუსვა და გამომიწოდა. ვკითხე, რისი მოსმენა უნდოდა.<sup>[SEP]</sup>

- თუ თქვენთვის სულერთია, მის გრეი, იმ თავს მოვისმენდი წმინდა მოციქულ იოანეს პირველი ეპისტოლიდან, სადაც ნათქვამია: „ღმერთი სიყვარულია და სიყვარულის მკვიდრი ღმერთში მკვიდრობს, ღმერთი კი - მასში“ (I იოანე, 4, 16).<sup>[SEP]</sup>

სწრაფად მივაგენი ამ სიტყვებს მეოთხე თავში, მაგრამ როდესაც მეშვიდე მუხლამდე მივედი, ნენსიმ გამაწყვეტინა, ასეთი მოურიდებლობისთვის მომიბოდიშა და მთხოვა, ხელმეორედ წამევითხა, ოღონდ უფრო ნელა, რათა ყოველი სიტყვა დაკვირვებით გაეაზრებინა.<sup>[SEP]</sup>

- მაპატიეთ, მის, მე ხომ უბრალო ქალი ვარ.<sup>[SEP]</sup>

- უდიდეს ბრძენსაც კი, - მივუგე მე, - შეუძლია, საათობით იფიქროს თითოეულ სიტყვაზე და ეს მხოლოდ სარგებლობას მოუტანს მას. ნელა,

## ენ ბრონტე

აუჩქარებლად კითხვა ჩემთვისაც უფრო სასიამოვნოა.<sup>[SEP]</sup>

თავი ნელა, მაგრამ ისეთი გამომეტყველებით წავიკითხე, როგორიც ხელმენითებოდა. ნენსი სულგანაბული მისმენდა და როდესაც დავასრულე, აღარ იცოდა, მადლობა რით გადაეხადა. ვდუმდი, რათა მისთვის მოსმენილის გააზრების შესაძლებლობა მიმეცა, მაგრამ მან უეცრად მკითხა, მისტერ უესტონი თუ მომწონდა, რამაც ცოტათი გამაოცა კიდეც.<sup>[SEP]</sup>

- არ ვიცი, - მივუგე მოულოდნელობისგან დაბნეულმა, - ვფიქრობ, ძალიან ვარგად ქადაგებს.<sup>[SEP]</sup>

- ეგრეა, ეგრე. და ვარგადაც ლაპარაკობს.<sup>[SEP]</sup>

- მართლა?<sup>[SEP]</sup>

- ძალიან ვარგად საუბრობს. ჭერ არ გაგიცნიათ? ანუ, არ დალაპარაკებიხართ?<sup>[SEP]</sup>

- არა. მოწაფე ქალიშვილების გარდა, დამლაპარაკებელი არავინ მყავს.<sup>[SEP]</sup>

- ვარგი, გულვეთილი გოგონები არიან, ოღონდ მისტერ უესტონივით ვერ მეტყველებენ.<sup>[SEP]</sup>

- მაშასადამე, ის გნახულობთ ხოლმე, ნენსი?<sup>[SEP]</sup>

- დიახ, მის. და ძალიან ვემადლიერები. მხოლოდ მე კი არა, ყველას გვნახულობს, თანაც მისტერ ბლაისა და თვით მღვდელზე გაცილებით ხშირად, რაც ძალზე გვახარებს და გვანუგეშებს. მისტერ ჰეთფილდზე იმავეს ვერ ვიტყვი: აქ ბევრს ეშინია მისი, როგორც ამბობენ. შემოვა სახლში, რაღაც არ მოეწონება და ხელზე დაიხვევს. ზღურბლიდანვე იწყებს ლანძღვას. მაგრამ იქნებ ეს მისი მოვალეობაა - აუხსნას, რომ რაღაც ისე არ არის, როგორც საჭიროა? თითქოს მხოლოდ სასაყვედუროდ მოდის - ეკლესიაში არ დადიხართ, მუხლებზე სხვებთან ერთად არ დგახართ, მეთოდისტურ სამლოცველოში სიარულს მოუხშირეთო, და ასე შემდეგ. თუმცა მე განსაკუთრებით არასდროს გავულანძღავვარ, ჭერ კიდევ მისტერ უესტონამდე, ერთი-ორჯერ მინახულა. გულზე სიმძიმეს ვგრძნობდი, თანაც ავად გავხდი, ჰოდა, გავბედე და მოვინვიე. მაშინვე მოვიდა. საშინლად ვიყავი, მის გრეი, მადლობა ღმერთს, ყველაფერმა გამიარა, ბიბლიაც კი ვერ მანუგეშებდა. აი, სწორედ ის თავი, რომელსაც ახლა მიკითხავდით, ძალიან

## აგნეს გრეი



მაშფოთებდა: „ვისაც არ უყვარს, ვერ შეუცვნია ღმერთი“ (I იოანე, 4,8). მეშინოდა, რომ სათანადოდ არც ღმერთი მიყვარდა, არც ადამიანი. და მცდელობის მიუხედავად, არც შემეძლო. წინა თავში კი წერია: „ცოდვის ჩამდენი ეშმავისგან არის, რადგანაც დასაბამიდან ეშმავი სცოდავს“ (I იოანე, 3,8). და კიდევ ის მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ „რჯულის აღსრულება სიყვარულია“ (პავლე, რომ. 13,10). ბევრია ასეთი, მის. მათი ჩამოთვლაც კი გადაგდლიდათ, მაგრამ ყოველი მათგანი თითქოს მიმითითებდა, რომ სწორი, ჭეშმარიტი გზით არ მივდიოდი. მე კი არ ვიცოდი, როგორ შევმდგარიყავი ამ გზაზე. ჰოდა, ჩემი ბილი გავგზავნე მისტერ ჰეთფილდთან, რათა ეთხოვა, რომ, თუ მოახერხებდა, შემოევლო. მოვიდა კიდეც და ყველაფერი მოვუყევი, რაც მაწუხებდა.<sup>[P]</sup>

- მერედა, რა გითხრათ, ნენსი?<sup>[SEP]</sup>

- მას, თითქოს, გაეცინა ჩემზე, მის. შესაძლოა, მხოლოდ მომეჩვენა. შემდეგ დაუსტვინა, ოდნავ გამიღიმა და მითხრა: „ეჸ, სისულელეა! თქვენ, ჩემო ვარგო, მეთოდისტებთან დადიხართ“. ვუპასუხე, მათ სამლოცველოში ფეხიც არ შემიდგამს-მეთქი, რაზეც მომიგო: „შინ ბიბლიაში კირკიტს აჭობებს, ეკლესიაში იაროთ და ტექსტის ჭეშმარიტი განმარტება მოისმინოთ“.<sup>[P]</sup>

ვუთხარი, რომ სანამ ჭანმრთელობა ხელს მიწყობდა, წირვა არ გამიცდენია მაგრამ ასეთ სიცივეში იქამდე ვერ მივიღოდი, რადგან რევმატიზმი მტანჯავდა.<sup>[P]</sup>

„როგორმე მიჩანჩალდით ეკლესიამდე და რევმატიზმიც გაგივლით, - მითხრა მან, - რევმატიზმის საუკეთესო წამალი სეირნობაა. თუ სახლში სიარული შეგიძლიათ, ეკლესიაში რატომ ვერ მიდიხართ? სიმართლე კი ისაა, რომ ნებივრობა გიყვართ. ყოველთვის პოულობთ საბაბს მოვალეობის თავიდან ასაცილებლად“<sup>[P]</sup>

- იცოდეთ, მის გრეი, რომ ასე არ იყო. მაინც დავპირდი, რომ ვცდიდი. „ოღონდ, სერ, - ვუთხარი, - ეკლესიაში სიარულისგან უკეთ ვერ გავხდები. მინდა, ცოდვებისგან გავთავისუფლდე, ვიგრძნო, რომ განვიწმინდე მათგან, რომ გული ღვთის სიყვარულით მაქვს სავსე. თუკი სახლში ბიბლიის კითხვასა და ლოცვას შედეგი არ მოაქვს, ეკლესიაში სიარული რას მარგებს?“<sup>[SEP]</sup>

„ეკლესია ის ადგილია, - მიპასუხა მან, - სადაც ღმერთს თაყვანი უნდა

## ენ ბრონტე

ვცეთ. თქვენი ვალია, რაც შეიძლება ხშირად ეწვიოთ მას. თუ ნუგეშისცემა გჭირდებათ, იგი მოვალეობისგზებზე ეძებეთ...” კიდევ ბევრი რამ მითხრა, მისი ყველა ლამაზი სიტყვა აღარ მახსოვს, მაგრამ დასკვნა ერთი იყო: ეკლესიაში შეძლებისდაგვარად ხშირად უნდა მევლო, ლოცვანი მეტარებინა, საჭირო სიტყვები მნათეს კვალდაკვალ გამემეორებინა, წესისამებრ წამოვმდგარიყავი, მუხლი მომეყარა, დავმჯდარიყავი, ზიარება მიმეღო და მისტერ ბლაის ქადაგებისთვის მომესმინა. მაშინ ყველაფერი მოგვარდებოდა. თუ ჩემს მოვალეობას შევასრულებდი, ღვთის წყალობასაც ვეღირსებოდი.<sup>[SEP]</sup>

„თუ ამის შემდგომაც ვერ პოვებთ ნუგეშს, - თქვა მან, - ყველაფერი დასრულდება“<sup>[SEP]</sup>

„ამ შემთხვევაში მოუნანიებელი დავრჩები?“ - ვკითხე მე<sup>[SEP]</sup>

„ასე გამოვა, - მიპასუხა მან, - თუ ყველაფერს აკეთებთ ჩეცაში მოსახვედრად და არ შეგიძლიათ, მაშასადამე, ერთ-ერთი იმათვანი ხართ, ვისაც ვინრო კარში სურს გასვლა და ვერ ახერხებს“. შემდეგ დაინტერესდა, დილას სკვაირის ქალიშვილები თუ ვნახე. როდესაც მივუგი, მგონი, ხავსმოდებულ გზაზე მისეირნობდნენ-მეთქი, ჩემი საბრალო ვატა ფეხის კვრით მოიცილა და ტოროლასავით მხიარული მათ დაედევნა. მე კი ძალიან დავსევდიანდი. მისმა ბოლო სიტყვებმა ტყვიასავით დამამძიმა. საშინლაც ვიტანჯებოდი.<sup>[SEP]</sup>

ისე მოვიქეცი, როგორც მირჩია. მეგონა, რომ ჩემი მდგომარეობის შემსუბუქება უნდოდა, თუმცა მკაცრად მესაუბრებოდა. ოღონდ ის ახალგაზრდა და მდიდარია, მის, ასეთები კი რას მიხვდებიან ჩემნაირი ღარიბი დედაბრის ფიქრებს. მაგრამ მაინც მისებურად გავაკეთე. თავი ხომ არ მოგაბეზრეთ ამდენი ლაქლაქით?<sup>[SEP]</sup>

- რას, ამბობთ, ნენსი! ილაპარაკეთ, ილაპარაკეთ, ყველაფერი მიამდეთ.<sup>[SEP]</sup>

- რევმატიზმა თითქოს ოდნავ გამიარა. არ ვიცი, ეკლესიაში სიარულის თუ სხვა მიზეზის გამო, მაგრამ შემდეგ თვალები გამიცივდა - ძალიან ყინავდა კვირას. ანთება დამეწყო... ნეტავ, ეს თვალები რატომ ამოვიჩემე? მე ხომ ჩემს სულიერ ტანჯვაზე ვსაუბრობ. გულწრფელად გეტყვით, მის გრეი, რომ ვერც ეკლესიაში გავხდი უკეთ, შესაძლოა, მხოლოდ ცოტათი. ჭანმრთელობა

## აგნეს გრეი



თითქოს გამიუმჯობესდა, თუმცა სული ვერ განვიკურნე. ვუსმენ მღვდლებს, ლოცვანს ვკითხულობ, მაგრამ სპილენძის მონეტისა და წინწილას წკრიალის იქით საქმე არ მიდის. ქადაგებას ვერ ვიგებ, ლოცვანი ცოცხლად მიჩვენებს, როგორი ცოდფილი ვარ. ვკითხულობ კარგ სიტყვებს, ოღონდ - უკეთესი ვერ ვხდები. ხშირად ვგრძნობ, რომ ეს მძიმე და ძნელად სატარებელი ტვირთია, და არა - უდიდესი პატივი და ხსნა. ჩემში თითქოს სიცარიელე და სიბნელეა. თანაც, რა საშინელი სიტყვებია: „მრავალი ცდილობს შესვლას და ვერ ახერხებს!“ მათ ერთიანად გამომაშრეს. ერთხელ მისტერ ჰეთფილდი ზიარების შესახებ ქადაგებდა და გავიგონე, რომ თქვა, - თუკი თქვენ შორის ისეთები არიან, რომლებმაც სინდისი ვერ დაიმშვიდეს და ნუგეში ან რჩევა სჭირდებათ, დაე, მოვიდნენ ჩემთან ან სხვა რომელიმე მორიდებულ და განსწავლულ ღვთისმსახურთან და თავისი დარდი გაუმხილონო. მომდევნო კვირას ეკლესიაში ადრიანად მივედი, საეკლესიო სამოსლისა და ჭურჭლის საცავში შევედი და კვლავ დაველაპარაკე მისტერ ჰეთფილდს, არც კი ვიცი, როგორ გავბედე. ვითიქრე, რახან ჩემს სულს დაღუპვა ემუქრება, რაღა დროს უხერხულობაა-მეთქი. მაგრამ მითხრა, რომ ჩემთან სალაპარაკოდ არ ეცალა. თანაცო, - დასძინა, - თქვენთვის სათქმელი არაფერი მაქვს, გარდა იმისა, რაც უკვე გითხარით. ეზიარეთ, მოიხადეთ თქვენი ვალი და თუ არ გიშველით, ვერც სხვა რამ დაგეხმარებათ. გთხოვთ, ამ საკითხზე აღარ შემაწუხოთო.<sup>[SEP]</sup>

ავდექი და წამოვედი. უეცრად მისტერ უესტონის ხმა მომესმა. ისიც იქ იყო, პირველ კვირას ატარებდა ჰორტონში. უკვე ჩაეცვა თავისი სამოსელი და ახლა მისტერ ჰეთფილდს ეხმარებოდა...<sup>[SEP]</sup>

- შემდეგ რა მოხდა, ნენსი?<sup>[SEP]</sup>  
- ჰოდა, გავიგონე, როგორ ჰკითხა მისტერ ჰეთფილდს ჩემზე, - ვინ არისო. მან კი მიუგო: „სულელი ბებრუხუნა და პირფერი“.<sup>[SEP]</sup>

ამან ძალიან დამამწუხრა, მის, მაგრამ წავედი, სკამზე დავჭრექი და უწინდებურად ვცადე ჩემი მოვალეობის შესრულება. ოღონდ სულის სიმშვიდეს ვერ ვგრძნობდი. ვეზიარე, არადა მეჩვენებოდა, რომ საკუთარ დაღუპვას ვჭამდი და ვსვამდი. შინ დათრგუნვილი დავბრუნდი. დილას სახლის მილაგებაც ვერ მოვასწარი... რომ არ დაგიმალოთ, მის, ოთახის გამოგვის, ქვაბების გახეხვისა და სახლის დალაგების განწყობაზე არც ვიყავი.

## ენ ბრონტე

ვიპექი სიბინძურები და უეცრად... თუ მიხვდებით, ვინ შემოვიდა? მისტერ უესტონი. მაშინვე ცოცხლა და ქვაბებს ვეცი, ვიფიქრე, სიზარმაცისა და უსაქმურობისთვის მისტერ ჰეთფილდივით შავ დღეს დამაყრის-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ. ძალგე თავაზიანად, მშვიდობის დილა მისურვა. წამსვე სკამი გადავწმინდე, დავუდგი და კერია მოვჩხილივე, თავში კი საეკლესიო შესამოსლის ოთახში მყოფი მისტერ ჰეთფილდის სიტყვები ჩამესმოდა. „რატომ შეწუხდით, სერ, - ვუთხარი მას, - და ამხელა მანძილი გამოიარეთ სულელი ბებრუხუნასა და პირფერის სანახავად?“ თითქოს დაიბნა, შემდეგ კი სცადა დავერწმუნებინე, რომ მღვდელმა იხუმრა, მაგრამ მიხვდა, რომ ამაოდ ცდილობდა და მითხრა: „ტყუილუბრალოდ მიიტანეთ გულთან ასე ახლოს, ნენსი. მისტერ ჰეთფილდი ცუდ ხასიათზე იყო. განა ვინაა ჩვენ შორის უცოდველი? ხომ იცით, თვით მოსეც კი დაუფიქრებლად ლაპარაკობდა. ახლა კი, თუ დრო გაქვთ, დაბრძანდით და მომიყევით თქვენი ეჭვისა და შიშის შესახებ, მე კი მათ გაფანტვას შევეცდები“. [SEP]

მის პირდაპირ დავკექი. ცხოვრებაში მეორედ ვხედავდი მას, მის გრეი. მისტერ ჰეთფილდები ახალგაზრდა იქნება. ლამაზი სახე არა აქვს, სიმკაცრე გადაპირავს, მაგრამ ალერსიანად მელაპარაკებოდა. უეცრად კატა მუხლებზე შეახტა - აბა, მას რა მოევითხება, მან კი მხოლოდ ხელი გადაუსვა და გაიღიმა. ვიფიქრე, ყველაფერი არც ისე ცუდად არის-მეთქი. მისტერ ჰეთფილდმა ხომ კატა ისე მოისროლა, თითქოს ეზიზლებოდა. არადა, ცხოველს რა ესმის, მის გრეი? ის ხომ ადამიანი არაა. [SEP]

- დიახ, დიახ, ნენსი, მისტერ უესტონმა რა გითხრათ? [SEP]

- არც არაფერი. მშვიდად, მოთმინებით მომისმინა. არც დაუცინია. ჰოდა, ყველაფერი მოვუყევი. აი, როგორც თქვენ, ოღონდ უფრო დაწვრილებით. მან კი მიპასუხა: „მისტერ ჰეთფილდს სწორად უთქვამს, როდესაც გირჩიათ, ბეჭითად აღგესრულებინათ თქვენი ვალი. მას, ცხადია, არ უგულისხმია, რომ ამისთვის მხოლოდ ეკლესიაში უნდა იაროთ. ჭეშმარიტი ქრისტიანებისთვის ეს საკმარისი არაა. მისტერ ჰეთფილდს მიაჩნია, რომ ეკლესიაში უფრო ადვილად გაიგებთ, რისგან შედგება ეს მოვალეობანი, და ისნავლით, როგორ იპოვოთ სიხარული იმაში, რაც ადრე მძიმე შრომად და ტვირთად გეჩვენებოდათ. თქვენ რომ მისთვის იმ სიტყვების ახსნა გეთხოვათ, ასე რომ

## აგნეს გრეი



გაწუხებთ, რა თქმა უნდა, განვიმარტავდათ, რომ მას, ვინც შესვლას ლამობს და ვერ ახერხებს, საკუთარი ცოდვები უშლის ხელს. როდესაც კაცი ზურგზე დიდ ტომარას მოიგდებს და ვიწრო კარში გავლას შეეცდება, მიხვდება, რომ ტომარა ზღურბლთან უნდა დატოვოს. მაგრამ თქვენ, ნენსი, არა მგონია, ისეთი ცოდვები გქონდეთ, რომელთა სწრაფად მოცილება არ გინდოდეთ!“<sup>ს. 10</sup>

„მართალს ბრძანებთ, სერ“, - მივუგე მე.<sup>ს. 10</sup>

„თქვენ ხომ იცით, - განაგრძო მან, - პირველი და უდიდესი მცნება, ასევე მეორე, მისი განმამტკიცებელი? ეს ორი მცნება, რომლებსაც ყველა კანონი და წინასწარმეტყველთა გამონათქვამები ეფუძნება? აი, ამბობთ, რომ ღმერთის სიყვარული არ შეგიძლიათ. მაგრამ მგონია, რომ თუ კარგად დაფიქრდებით, ვინ და რა არის ის, მიხვდებით, რომ თქვენში არის ეს სიყვარული და სხვაგვარად ვერც იქნება. ის - თქვენი მამაა, თქვენი საუკეთესო მეგობარია. ყველა სიკეთე, ყოველიც კარგი, სასიამოვნო და სასარგებლო მისგან მოდის, ყველაფერი ცუდი კი, რისი მიზეზიც გაქვთ, რომ გძულდეთ ან გეშინოდეთ, ეშმავისგანაა, რომელიც არა მხოლოდ თქვენი, არამედ მისი მტერიცაა. და ღმერთი ადამიანის სახით გამოგვეცხადა ეშმავის ხრიკების გასაუკნებელყოფად. ერთი სიტყვით, ღმერთი სიყვარულია, და რაც მეტი სიყვარულია ჩვენს გულებში, მით ახლოს ვართ მასთან, და ის მეტადაა ჩვენში!“<sup>ს. 10</sup>

„დიახ, სერ, - მივუგე მე, - ვფიქრობ, მართლა მიყვარს ღმერთი, მაგრამ როგორ შევიყვარო მოყვასი, თუკი ჩემს მეზობლებს შორის ათასგვარი ხალხია - ისინი კიდეც მაძრაზებენ, კიდევ მეურჩებიან, ცოდვებს კი - ნუდარ მკითხავთ!“<sup>ს. 10</sup>

„შესაძლოა, რთული მოგეჩვენოთ, - მითხრა მან, - სიყვარული მოყვასისა, რომელსაც ამდენი ცუდი თვისება აქვს და რომლის ნაკლოვანებებიც ჩვენში მიმაღულ ბოროტებას აღვიძებს. მაგრამ გახსოვდეთ, მოყვასიც ღმერთმა შექმნა და მას ის უყვარს. ყველას, ვისაც დამბადებელი უყვარს, მისგან დაბადებულიც უყვარს. თუ ღმერთს ისე უყვარვართ, რომ მხოლოდშობილი ძე გამოგზავნა, რათა ჩვენთვის მომკვდარიყო, ჩვენც უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი. თუკი ძალა არ შეგწევთ, თბილად განეწყოთ მათ მიმართ, ვინც უგულებელყოფთ, სცადეთ მაინც, ისე მოექცეთ, როგორც გსურთ, რომ ისინი

## ენ ბრონტე

მოგექცნენ. თქვენს ხელშია, შეიძრალოთ მათი სისუსტის გამო, მიუტევოთ მოყენებული წყენა და სიკეთე გაუკეთოთ ირგვლივ მყოფთ. თუ საკუთარ თავს ამას მიაჩვევთ, ეს მცდელობა მათდამი ერთგვარ სიყვარულს გააჩენს თქვენში, არაფერს ვამბობ მაღლიერებაზე, რომელსაც თქვენი სიკეთე გამოიწვევს. თუ ღმერთი გვიყვარს და მისი მსახურება გვსურს, ვცადოთ, მისნაირები გავხდეთ, მის მცნებებს მივყვეთ და მის სადიდებლად ვიშრომოთ, ის კი ადამიანურ სიკეთეშია, რათა სწრაფად დამკვიდრდეს დედამამაზე მისი მეუფება, ის სამყაროა, ბედნიერებაა, ადამიანთა კეთილგანწყობაა. თუნდაც უძლური გვეგონოს საკუთარი თავი, თუ მთელი ცხოვრების განმავლობაში სიკეთეს დავთესავთ, ჩვენ შორის ყველაზე თავნებებიც კი შეუწყობენ ხელს მის დამკვიდრებას. მაშ, ვიცხოვროთ სიყვარულში, რათ ის ჩვენში იყოს, ჩვენ კი მასში. რაც მეტ ბედნიერებას გავაჩუქებთ, მით მეტს მივიღებთ ამქვეყნად და მით მეტად დავჭილდოვდებით ზეცაში, სადაც ჩვენი შრომისგან დავისვენებთ". ვფიქრობ, ეს ზუსტად მისი სიტყვებია, რადგან მათზე ბევრი ვიფიქრე. შემდეგ მან ბიბლია აიღო და კითხვა დაიწყო - ცოტა აქედან, ცოტა იქიდან - და ისე კარგად ამისსნა, რომ ჩემთვის ყველაფერი თავისთავად გაცხადდა, და უცრად ჩემს სულს შუქი მოეფინა, გული კი საოცრად გამითბა! მხოლოდ იმას ვნანობდი, რომ ეს არც ბილს ესმოდა და არც ვინმე სხვას, რათა ჩემთან ერთად გახარებოდათ. მისი წასვლისთანავე ჰანა როჭერსი შემოვიდა, ჩემი მეზობელი, და მთხოვა, რეცხვაში დავხმარებოდი. ვუთხარი, არ მცალია-მეთქი. სადილისთვის ჰერ ვარტოფილიც არ გამეწმინდა, დილიდან ჭურჭელიც არ გამერეცხა. მან კი მისაყვედურა, ფეთხუმი და ზარმაცი ხარო. თავიდან მეწყინა, მაგრამ ცუდი არაფერი მითქვამს. მშვიდად აფუხსენი, ახალი მღვდელი მეწვია, საქმეს მალე მოვრჩები და დაგეხმარები-მეთქი. ცოტათი მოლბა, არც მე ჩამიდვია წყენა გულში. ერთი სიტყვით, ერთმანეთს გავუგეთ. აი ასე, მის გრეი, „მშვიდი ჰასუხი გულისწყრომას აცხრობს, საწყენი სიტყვა კი რისხვას იწვევს“ (იგავ. 15,1).<sup>[SEP]</sup>

- მართალს ამბობთ, ნენსი. სამწეხაროა, რომ ეს ყოველთვის არ გვახსოვს.<sup>[SEP]</sup>
- დიახ, ასეა.<sup>[SEP]</sup>
- კიდევ თუ გწვევიათ მისტერ უესტონი?<sup>[SEP]</sup>

## აგნეს გრეი



- დიახ, საკმაოდ ხშირად. და ვინაიდან ცუდად ვხედავდი, ნახევარი საათის განმავლობაში მიკითხავდა ხოლმე. ოღონდ, მის, მას ხომ სხვებიც ჰყავს სანახავი, უამრავი საქმე აქვს, ღმერთმა დალოცოს! რომ იცოდეთ, როგორ იქადაგა მომდევნო კვირას! ტექსტი კი იყო „მოდით ჩემთან ყოველი დამაშვრალნი და ტვირთმძიმენი, და მე განვისვენებთ თქვენ“ (მათე, 11,28). და კიდევ ორი წმინდა მუხლი. თქვენ, მის, მაშინ ზასული იყავით, მე კი როგორ გავძედნიერდი! მადლობა ღმერთს, ახლაც ბედნიერი ვარ. და ისე მსიამოვნებს, როცა მეზობლებს რამეში ვეხმარები, თუმცა უსინათლო დედაბერს ბევრი არაფერი შემიძლია. ისინი კი ალერსით მპასუხობენ, როგორც მან ამიხსნა. ხომ ხედავთ, მის, წინდებს ვქსოვ, თომას ჯექსონისთვის. ჭირვეული მოხუცია და უწინ სულ ვჩხუბობდით. ზოგჯერ ლამის თმაში ვწვდომოდით ერთმანეთს. ჰოდა, ვიფიქრე, მოდი, თბილ წინდებს მოვუქსოვ-მეთქი. რაც ამ საქმეს ხელი მოვკიდე, სულ მეცოდება ის საბრალო. ზუსტად ისე ხდება, როგორც მისტერ უესტონმა თქვა.<sup>[5]</sup>

- ძალიან მიხარია, ნენსი, რომ ბედნიერი ხართ და ასე გონივრულად მსჯელობთ. მაგრამ ახლა უნდა წავიდე, თორემ დამაგვიანდება.<sup>[6]</sup>

დავემშვიდობე და წამოვედი. შევპირდი, რომ კვლავ ვეწვეოდი, როგორც კი თავისუფალ დროს გამოვნახავდი. ვიგრძენი, რომ მეც მასავით ბედნიერი ვიყავი.<sup>[7]</sup>

ერთხელ ბიბლიის საკითხავად საბრალო მუშას ვესტუმრე, რომელსაც ჭლექის მეოთხე სტადია ჰქონდა. ადრე ჩემი მოწაფე ქალიშვილები იყვნენ მასთან და შეპირდნენ, რომ კვლავ ინახულებდნენ და რამეს წაუკითხავდნენ, მაგრამ ეს ხომ მომქანცველი საქმიანობა იყო! ამიტომ მთხოვეს, მათ წაცვლად მივსულიყავი. ხალისით დავთანხმდი და კვლავ სიამოვნებით მოვისმინე მისტერ უესტონის ქება, როგორც იმ ავადმყოფი მუშის, ისე მისი ცოლის მხრიდან. კაცმა მითხრა, რომ დიდად ანუგეშებდა ახალი მღვდლის სტუმრობა, რომელიც ხშირად ნახულობდა მას და სულ არ ჰგავდა მისტერ ჰეთფილდს. არა, რამდენჯერმე მანაც მიაკითხა, მაგრამ ყოველთვის მოითხოვდა, ქოხის კარი გაეღოთ. მას სუფთა ჰაერის სუნთქვა სურდა, იმას კი არ ფიქრობდა, რომ ავადმყოფს შესაძლოა, ზიანი მისდგომოდა. ნაჩეარევად გადაშლიდა ლოცვანს, სწრაფად წაიკითხავდა ლოცვას ავადმყოფების

## ენ ბრონტე

შესახებ და ნაჩქარევად მიდიოდა - გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭიროდ მიაჩნდა, საცოდავი დიასახლისისთვის მკაცრად ესაყვედურა ან უადგილოდ, დაუფიქრებლად, შეიძლება ითქვას, უგულოდ, რაიმე შენიშვნა მიეცა, რითაც კიდევ უფრო აუბედურებდა საბრალო ცოლ-ქმარს.<sup>[SEP]</sup>

- მისტერ უესტონი ვი, - თქვა ავადმყოფმა, - ჩემთან ერთად ლოცულობს და ალერსიანად გველაპარაკება. ზოგჯერ გვიკითხავს და ღვიძლი ძმასავით გვერდზე მიზის.<sup>[SEP]</sup>

- მართალია, მართალი! - შესძახა მისმა ცოლმა, - სამი კვირის წინ დაინახა, რომ ჭიმს აკანკალებდა, კერიაში ვი ცეცხლი არ ენთო. გვკითხა, ნახშირი გაგითავდათო? ვუპასუხე, გაგვითავდა, ყიდვის თავი ვი არ გვაქვს-მეთქი. არც მიფიქრია, მის, რომ დახმარება მეთხოვა. მან ვი დილით ერთი ტომარა ნახშირი გამოგვიგზავნა. ჰოდა, მას შემდეგ გვინთია. არადა, ზამთარში ეს აუცილებელია. უნდა გითხრათ, მის გრეი, რომ ის ყველასთან ასე იქცევა. შევა ავადმყოფის სანახავად, შეამჩნევს, რა არა აქვთ სახლში, და თუ ყიდვა არ შეუძლიათ, თვითონ უგზავნის. მის ადგილას სხვა თავს არ შეიწუხებდა და ჭიბეს არ შეიმსუბუქებდა - თვითონაც არ გადასდის თავზე. რომ იცოდეთ, იმით ცხოვრობს, რასაც მისტერ ჰეთფილდი უხდის. როგორც ამბობენ, ეს ძალიან მცირე თანხაა.<sup>[SEP]</sup>

უეცრად რატომდაც სიხარულით გავიხსენე, რომ მშვენიერი მის მარეი მას ხშირად ვულგარულ და უბრალო ადამიანს უწოდებდა, ვინაიდან ვერცხლის საათს ატარებდა და მისტერ ჰეთფილდივით უნაკლოდ არ ეცვა.<sup>[SEP]</sup>

სახლში მშვენიერ ხასიათზე დავბრუნდი. ღმერთს მადლობა შევწირე, რომ საფიქრალი მომცა. ბედნიერი ვიყავი - ახლა შემეძლო, თავი დამეღნია ჩემი ცხოვრების მომქანცველი ერთფეროვნებისა და მოსაწყენი მარტოობისთვის. დიახ, თავს მარტოსულად ვვრძნობდი. თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე, მცირე ხნით შინ ჩასვლას თუ არ ჩავთვლით, არავინ გამოჩნდა, ვისაც გულს გადავუშლიდი ან საოცნებო ფიქრებს გავანდობდი და მეცოდინებოდა, რომ თანაგრძნობით თუ არა, გაგებით მაინც მომისმენდა. ამ საქმეში საბრალო ნენსი არ გამომადგებოდა. სხვა ადამიანი მჭირდებოდა, რომელთან ურთიერთობა და საუბარი ორივეს უფრო უკეთესს, ჭკვიანსა და ბედნიერს გაგვხდიდა. მაგრამ ირგვლივ არავინ იყო! მხოლოდ განებივრებული,



გაფუჭებული ბავშვები და უმეცარი, თავნება ქალიშვილები. ფასდაუდებელ ბედნიერებას მანიჭებდა ის წუთები და საათები, რომლებსაც, მათი დაუსრულებელი ჭირვეულობის შემდეგ, საკუთარ თავთან ვატარებდი, მაგრამ ასეთი ყოფა მაინც საშინელება იყო, როგორც თავისითავად, ისე მისგან გამოწვეული შედეგების გამო: გარედან ვერც ახალ იდეას ვიღებდი, ვერც ცინცხალ აზრებს, ისინი კი, რომლებიც თავში მომდიოდა, მაშინვე ქრებოდა და უფერულდებოდა, რადგან დღის სინათლეზე ვერ გამოდიოდა.<sup>pp</sup>

ცნობილია, რომ მჭიდრო ურთიერთობა მნიშვნელოვან ურთიერთზეგავლენას ახდენს აზროვნების ხასიათსა და მანერაზე. ადამიანები, რომელთა საქციელსაც მუდმივად ვაკვირდებით, რომელთა სიტყვებიც განუწყვეტლივ ჩაგვესმის, გვაიძულებენ, თუნდაც ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ, მათნაირად მოვიქცეთ და ვიღაპარაკოთ: ნელა, თანდათანობით, შესაძლოა, შეუმჩნევლად, ასეთი ცვლილება აუცილებლად მოხდება. ვერ ვიტყვი, რამდენად ძლიერია ურთიერთობის ეს შეუმჩნეველი ძალა, მაგრამ თუ ცივილიზებული ადამიანი, გარემოებათა გამო, ათ წელიწადს ველურებს შორის გაატარებს, მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ბოლოს (თუ იგი მათ განათლებას ვერ შეძლებს), თვითონაც გაველურდება, თუნდაც ნაწილობრივ. ჩემი მოწაფეები უკეთესებად ვერ ვაქციე და მეშინოდა, მათ არ დავმსგავსებოდი, ჩემი გრძნობები, ჩვევები და უნარები არ დაქვეითებულიყო და მათი უზრუნველობა არ გადმომდებოდა.<sup>pp</sup>

უკვე მეჩვენებოდა, რომ გონება დამიჩლუნგდა, გული გამიქვავდა, სული დამიპატარავდა. ლამის ვცახცახებდი იმის გაფიქრებაზე, რომ შინაგანი ხმა დამესშობოდა და კეთილსა და ბოროტს ერთმანეთისგან ვეღარ გავარჩევდი, ყველაფერი კარგი, რაც გამაჩნდა, დამღუპველი ცხოვრების ჩემოქმედებას ვერ გაუძლებდა და, ბოლოს და ბოლოს, განადგურდებოდა. ჩემ ირგვლივ უხემი ანაორთქლი გროვდებოდა და ჩემს შინაგან ცას ნისლით ბურავდა, და როდესაც უეცრად მისტერ უესტონი გამოჩნდა, თითქოს ცისკრის ვარსკვლავი ამოვიდა ჰორიზონტზე და საშინელი წყვდიადისგან მიხსნა. მიხაროდა, რომ ახლა ჩემზე დაბალი კი არა, მაღალი არსების განჭვრება შემეძლო. აღფრთოვანება ვერ დავმალე, როდესაც გავაცნობიერე, რომ სამყარო მხოლოდ ბლუმფილდებისგან, მარეიებისგან, ჰეთფილდებისგან, ეშბებისა და

## ენ ბრონტე

მათი მსგავსებისგან არ შედგებოდა, რომ ადამიანური ბუნების სრულყოფილება ჩემი წარმოსახვის ნაყოფი არ იყო. როდესაც ადამიანზე მხოლო კარგი გვესმის და არაფერი - ცუდი, სიამოვნებით და ადვილად წარმოვიდგენთ უფრო მეტს. მოკლედ, საკუთარი აზრების ანალიზი აღარ ძირდებოდა, სამაგიეროდ, კვირა საუცხოო დღედ მეჩვენებოდა (ეტლის დახუთულ კუთხეში ჭდომას თითქმის მივეჩვიე), ვინაიდან მომწონდა მისი მოსმენა... და მისი ყურებაც მომწონდა. ცხადია, ვხედავდი, რომ არც ლამაზი იყო და არც ისეთი, რასაც საყვარელს უწოდებენ, მაგრამ მახინჯი ნამდვილად არ ეთქმოდა. სიმაღლე - საშუალოზე ოდნავ მაღალი... ნიკაპი - ზედმეტად მძიმე საიმისოდ, რომ სახე ლამაზად მიგეჩნიათ, მაგრამ მასში ხასიათის სიმტკიცეს და ძლიერებას ვხედავდი. მუქ წაბლისფერ თმას მისტერ ჰეთფილდივით ვი არ იხვევდა, უბრალოდ, გვერდზე ივარცხნიდა, რაც ფართო, თეთრ შუბლს უჩენდა. ხშირი წარბები ჰქონდა, მაგრამ მათ ქვეშ გასაოცარი ძალის თვალები ბრწყინავდა - თაფლისფერი, არც ძალიან დიდი, ოდნავ ღრმად ჩამჭდარი, თუმცა ნათელი და მეტყველი. მტკიცედ მოკუმული ტუჩებიც ძლიერ ხასიათზე, უდრევ ნებისყოფასა და ფიქრის სიყვარულზე მიანიშნებდა. როდესაც იღიმებოდა... არა, ამაზე ჰერ ვერ ვიღაპარავებ, რადგან მისი ღიმილი ერთხელაც არ მენახა. მისი იერი არ გაფიქრებინებდათ, რომ გაღიმება უყვარდა, თუმცა ქოხმახების ბინადრები მასზე სულ სხვანაიარად ლაპარაკობდნენ. მეც ერთბაშად ჩამომიყალიბდა აზრი და მის მარეის ძაგების მიუხედავად, დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი ჰკვიანი, სერიოზული, მკაცრი, ურყევი რწმენის მგზნებარე ღვთისმოსავი იყო. როდესაც შევიტყვე, რომ მის შესანიშნავ თვისებებს ჭეშმარიტი გულმოწყალეობა და გულკეთილობაც ემატებოდა, ამან უფრო აღმაფრთოვანა, რაც სრულიად მოულოდნელი იყო.<sup>[2]</sup>

## თავი XII - ცოკისპირული წვიმა

მარტის შუა რიცხვებში კვლავ ვეწვიე ნენსი ბრაუნს. მართალია, დღის განმავლობაში საკმაო თავისუფალი წუთი გამომიჩნდებოდა ხოლმე, მაგრამ იშვიათად თუ გამოვდებნიდი თუნდაც ერთ საათს ნენსი ბრაუნის

## აგნეს გრეი



მოსანახულებლად, რადგან სახლში მის მატილდასა და მისი დის ხუშტურებზე უნდა მევლო და დღის წინასწარ დაგევმვაზე ლაპარაკს აჩრი არ ჰქონდა. თუ მათთან ერთად არ ვიყავი ან მათ დავალებას არ ვასრულებდი, მაინც წელმორტყმული გახლდით, ფეხსაცმელიც მეცვა და ხელში კვერთხიც მეჭირა, რადგან ნებისმიერი შეყოვნება, უსერიოზულესი და უპატიებელი დანაშაული იყო არა მხოლოდ ქალიშვილებისა და მათი დედის, არამედ მოახლის თვალშიც. ის ქოშინით მორბოდა ხოლმე ჩემს დასაძახებლად: „საკლასო ოთახში წადით, მის, ახლავე, ქალიშვილები გელოდებიან!!“ დიდი ამბავი! გუვერნანტს თუ ელოდებიან!!<sup>[SEP]</sup>

მაგრამ ამჯერად ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ორი საათი არავინ შემაწუხებდა: მატილდა საკმაოდ დიდხანს აპირებდა ცხენით სეირნობას, რომალის უკვე ჩაეცვა და ლედი ეშბისთან წვეულებაზე მიდიოდა. მოკლედ, გულდამშვიდებული, აჩქარებით გავემართე ქვრივის უბადრუკი თავშესაფრისკენ, ის კი ძალზე შემფოთებული დამხვდა: მისი ვატა დილიდან არ ჩანდა. მის დამშვიდებას შეცუდექი, რაც კი გამახსენდა, ყველაფერი ვუამბე ცხოველებისა და ხეტიალისადმი მათი სიყვარულის შესახებ.<sup>[SEP]</sup>

- მეტყევეების მეშინია, მის, სხვების კი არა. სახლში ახალგაზრდა ბატონები რომ ყოფილიყვნენ, ვერ გადარჩებოდა, ძაღლებს მიუქსევდნენ ჩემს საბრალოს. ვინ მოთვლის, რამდენი ვატა დაუღუპავთ! ეს შიში მაინც ამაცილა თავიდან ღმერთმა.<sup>[SEP]</sup>

ნენსის თვალები ნაკლებად სტკილდა, თუმცა ანთებას ჰერ არ გაევლო. უნდოდა, შვილისთვის საკვირაო პერანგი შეეკერა, მაგრამ, როგორც მითხრა, ხშირად უხდებოდა შეჩერება, რადგან თვალებს ასვენებდა და სამუშაო ნელა მიიჩევდა წინ. არადა, მის შვილს ნორმალური ჩასაცმელი არ ჰქონდა. ვინაიდან გვიან ბინდდებოდა, საღამომდე კი თავისუფალი ვიყავი, შევთავაზე, წაკითხვის შემდეგ კერვაში დაგეხმარებით-მეთქი.<sup>[SEP]</sup>

- ჰოდა, ჩემთან იჯექით, მის, - მითხრა მან, - თორემ უკატოდ მოწყენილი ვარ.<sup>[SEP]</sup>

მაგრამ როდესაც კითხვა დავამთავრე, ნაკერების ნახევარი ამოვახვიე და სპილენძის უშველებელი სათითე ნენსის ცერზე წამოვაცვი, ქოში მოულოდნელად მისტერ უესტონი შემოვიდა, რომელსაც დაკარგული ვატა

## ენ ბრონტე

აეტატებინა. სწორედ მაშინ გავიგე, რომ ღიმილი შეეძლო, და რომ ღიმილი ძალიან უხდებოდა.<sup>[SEP]</sup>

- ნენსი, ჩემი ვალი გაქვთ... - დაიწყო მან, მერედა შემამჩნია და თავის მსუბუქი დაკვრით ჩემი იქ ყოფნა აღიარა (მისტერ ჰეთფილდისა და ნებისმიერი სხვა ჯენტლმენისთვის უჩინარი ვიქნებოდი), - თქვენი კატა მისტერ მარეის მეტყველის ხელისგან, უფრო სწორად, საფანტისგან ვიხსენი.<sup>[SEP]</sup>

- ღმერთმა დაგლოცოთ, სერ, - მადლიერებით შესძახა მოხუცმა და სიხარულისგან აცრემლებულმა საყვარელი არსება გამოართვა.<sup>[SEP]</sup>

- კარგად მიხედეთ, - უთხრა მისტერ უესტონმა, - მეტყველ დაიფიცა, რომ მოკლავს, თუ კიდევ მოჰკრავს თვალს კურდღლის ხაფანგის სიახლოვეს. დღეს ძლივს მოვასნარი მისი შეჩერება... მაპატიეთ, მის გრეი, მაგრამ წვიმა წამოვიდა, - შეცვალა საუბრის თემა, როდესაც დაინახა, რომ ჰერანგი გადავდე და დასამშვიდობებლად წამოდგომა დავაპირე, - ნუ წუხდებით, მხოლოდ ერთი წუთით შემოვიარე.<sup>[SEP]</sup>

- ორივენი დარჩებით, სანამ წვიმა არ გადაიღებს, - განაცხადა ნენსიმ, კერიაში მუგუზლები გადააადგილა და კიდევ ერთი სკამი მოსწია, - ადგილი ყველას გვეყოფა.<sup>[SEP]</sup>

- გმადლობთ, ნენსი, მაგრამ აქ უკეთ ვხედავ, - მივუგე მე და ფანჯარასთან დაკავექი, საბედნიეროდ, დიასახლისმა მშვიდად ჭდომის უფლება მომცა, სანამ ჭავრისით მისტერ უესტონის სერთუკს კატის ბენვებს აცლიდა, მის შლაპას ფერთხავდა და კატას რძეს უსხამდა, თან ენას არ აჩერებდა - თავის სულიერ მოძღვარს საბრალო ცხოველის გადარჩენისთვის მადლობას უხდიდა, უკვირდა, როგორ მოახერხა კურდღლისთვის დაგებული ხაფანგის აღმოჩენა, და ახლა ამ აღმოჩენის შესაძლო შედეგებს დასტიროდა. მისტერ უესტონი მშვიდად, გულვეთილი ღიმილით უსმენდა, ბოლოს მის თხოვნას დაეთანხმა და კერიასთან დაჭდა, თან გაიმეორა, რომ მხოლოდ ერთი წუთით შემოიარა.<sup>[SEP]</sup>

- კიდევ მყავს ვიღაც სანახავი, - თქვა მან, - თქვენ კი, როგორც ვხედავ (მან მაგიდას დახედა, სადაც ბიბლია იდო), დღეს უკვე წაგივითხეს.<sup>[SEP]</sup>

- დიახ, სერ. მის გრეიმ უკვე იშრომა, ერთი თავი წამივითხა, ახლა კი ბილის ჰერანგის კერვაში მეხმარება... ოღონდ მეშინია, იქ არ გაცივდეს.

## აგნეს გრეი



იქნებ ცეცხლთან გადმომჯდარიყავით, მის? [SEP]

- არა, გმადლობთ, ნენსი. სულ არ მცირა. წავალ, როგორც კი წვიმა გადაიღებს. [SEP]

- ეს როგორ, მის? თქვენ ხომ მითხარით, რომ დაბინდებამდე დარჩებოდით! - შესძახა მოუსვენარმა მოხუცმა. მისტერ უესტონმა შლაპას ხელი სტაცა. [SEP]

- არა, სერ, - მიმართა ნენსიმ მისტერ უესტონს, - არ წახვიდეთ, გთხოვთ, ჟერ კოკისპირულად წვიმს. [SEP]

- ჩემი აზრით, თქვენს სტუმარს ცეცხლთან ახლოს ჭდომაში ხელს ვუშლი. [SEP]

- სულაც არა, მისტერ უესტონ, - მივუგე მე იმედით, რომ უცოდველ ტყუილს ვამბობდი. [SEP]

- რა თქმა უნდა, არა, - მხარი ამიბა ნენსიმ, - ოთახში საკმარისზე მეტი ადგილია. [SEP]

- მის გრეი, - დაიწყო მისტერ უესტონმა ხუმრობანარევი კილოთი, თითქოს თემის შეცვლა სურდა და არ იცოდა, რა ეთქვა, - თუ შემთხვევა მოგეცემათ, იქნებ სკვაირთან შემარიგოთ. ნენსის ვატა მის თვალწინ გადავარჩინე და მას ჩემი გმირული საქციელი არცთუ ძალიან მოეწონა. ავუხსენი, რომ, ჩემი აზრით, იგი გაცილებით იოლად გადაიტანდა ყველა კურდღლის დავარგვას, ვიდრე ნენსი - თავისი აღზრდილისას. ასეთი თავხედური ვარაუდის გამო, მან არცთუ თავაზიანი გამოთქმები მომიძღვნა და ვშიშობ, მეც ჩედმეტად ფიცხად ვუპასუხე. [SEP]

- ღმერთო ჩემო, სერ! ნუთუ ჩემი ვატის გამო სკვაირს წაეჩხუბეთ? ის ხომ სიტყვის შებრუნებას ვერ იტანს! [SEP]

- ოჰ, არაფერია, ნენსი. ვიხუმრე. ჩედმეტი არაფერი მითქვამს, მისტერ მარეი კი, როგორც ჩანს, გაფიცხებისას გამოთქმებს არ არჩევს. [SEP]

- დიახ, სერ, ასეა. [SEP]

- ახლა კი ნამდვილად ჩემი წასვლის დროა. კიდევ ერთი მილის გავლა მომიწევს. თქვენ ხომ არ გინდათ, სიბნელეში ვიარო. თანაც, წვიმაც შენელდა. კარგად იყავით, ნენსი. კარგად ბრძანდებოდეთ, მის გრეი. [SEP]

- კარგად ბრძანდებოდეთ, მისტერ უესტონ. არა მგონია, თქვენი და

## ენ ბრონტე

მისტერ მარეის შერიგება მოვახერხო, ვინაიდან მას თითქმის ვერ ვხედავ და, მით უმეტეს, ვერ ველაპარაკები.<sup>[P]</sup>

- მართლა? რა გაეწყობა! - მომიგო მან ნაღვლიანად და ოდნავ ეშმაკურად დაამატა, - თუმცა მობოდიშება მე კი არა, მას უფრო მართებს.<sup>[SEP]</sup>  
ამ სიტყვებით ოთახიდან გავიდა.<sup>[P]</sup>

პერანგის კერვას მანამ განვაგრძობდი, სანამ რამის გარჩევა კიდევ შემეძლო, შემდეგ ნენსის დავემშვიდობე, მისი მხურვალე მაღლობის სანაცვლოდ კი მივუგე, რომ ისიც იმავეს გააკეთებდა ჩემთვის, ადგილები რომ გაგვეცვალა. ბოლოს, აჩქარებით გავეშურე ჰორტონ-ლოჭისკენ. როდესაც საკლასო ოთახში შევედი, იქ საშინელი ქაოსი დამხვდა: ჩაის მაგიდაზე თითქმის პირამდე წყლით სავსე ლანგარი იდო, მის მატილდა კი ცოფებს ყრიდა.<sup>[P]</sup>

- სად იყავით, მის გრეი? ჩაი ნახევარი საათის წინ მოვითხოვე. იძულებული გავხდი, თვითონ მომემზადებინა და მარტოს დამელია. რატომ ადრე არ მოხვედით?<sup>[P]</sup>

- ნენსი ბრაუნი ვინახულე. ვიფიქრე, რომ სეირნობიდან ასე ჩქარა არ დაბრუნდებოდით.<sup>[SEP]</sup>

- საინტერესოა, როგორ უნდა მესეირნა ცხენით ასეთ თავსხმაში? კოკისპირული წვიმა სწორედ მაშინ წამოვიდა, როდესაც ცხენი გავაჩენე. შემდეგ კი, თითქოს ეს არ მეყოფოდა, სახლში დავბრუნდი და ჩაიც მარტომ დავლიყ. ხომ იცით, რომ, როგორიც მომწონს, ისეთის დაყენება არ შემიძლია.<sup>[P]</sup>

- კოკისპირული წვიმის შესახებ არ მიფიქრია, - მივუგე მე (მართლა არ დავფიქრებულვარ, რომ ამის გამო სეირნობას შეწყვეტდა).<sup>[P]</sup>

- დიახ, დიახ! თქვენ სახლში იყავით, სხვებზე კი არასდროს ფიქრობთ.<sup>[SEP]</sup>

მის უხეშ საყვედურებს მოულოდნელი გულგრილობით გავუძელი, გავმხიარულდი კიდეც, რადგან ეჭვი არ მეპარებოდა, რომ გაცილებით მეტი სიკეთე გავაკეთე ნენსი ბრაუნისთვის, ვიდრე ბოროტება - მის მატილდასთვის. შესაძლოა, თავში სხვა აზრებიც მიტრიალებდა. მათ ცივი და გადადუღებული ჩაიც დაატვდეს, მაგიდაზე არსებული ქაოსიც გადაფარეს და - კინაღამ დავამატე - მის მატილდას გაბრაზებულ სახესაც მომხიბლველობა აჩუქეს.



მაგრამ ქალიშვილი მაშინვე საჭინიბოსკენ გაემართა, მე კი სასიამოვნო მარტოობაში ჩაის დასალევად დავრჩი.<sup>[P]</sup>

## თავი XIII –<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub> ფურისულები

ახლა მის მარეი ეკლესიაში კვირაობით აუცილებლად ორჯერ მიდიოდა: საშინლად მოსწონდა, როდესაც მის მიმართ აღფრთოვანებას გამოხატავდნენ და შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან. ეკლესიაში კი ასეთი შემთხვევა ყოველთვის ეძლეოდა - თუნდაც, რაღაც მიზეზის გამო, ჰარი მელთემი და მისტერ გრინი წირვას არ დასწრებოდნენ, ვიღაც მაინც იყო მისი მომხიბლაობის მსხვერპლი. უარეს შემთხვევაში, იქ მისტერ ჰეთლფილდი ხვდებოდა, რომელსაც წოდება აიძულებდა, ძირითადად, ეკლესიაში ყოფილიყო. ჩვეულებრივ, თუ ამინდი ხელს უწყობდა, მის მარეი და მისი და შინ ფეხით ბრუნდებოდნენ - მატილდა იმიტომ, რომ ეტლის სივიწროვეს ვერ იტანდა, რომალის კი ეტლში განმარტოებით ჭდომას სასიამოვნო საზოგადოებაში ყოფნა ერჩივნა, რომლის ნაკლებობაც არასდროს შეიმჩნეოდა ჰორტონ-ლოკის პარკზე გაფლისას. დაბრუნება საფოსტო გზითაც შეიძლებოდა. გზად, კიდევ უფრო დაშორებით, სერ ჰიუ მელთემის რეზიდენცია მდებარეობდა. სხვა სიტყვებით, ჩვენი თანამგზავრები აუცილებლად იყვნენ ჰარი მელთემი მის მელთემთან ერთად (ან უიმისოდ), მისტერ გრინი ერთ ან ორ დასთან ერთად, აგრეთვე, მათთან სტუმრად მყოფი ახალგაზრდა ჰენტლმენები.<sup>[P]</sup>

ეკლესიიდან ფეხით დაფტრუნდებოდი თუ ეტლით, ქალიშვილების მშობლებთან ერთად, ეს ახალგაზრდებზე იყო დამოკიდებული. თუკი ინებებდნენ, მათთან ერთად წავსულიყავი, ფეხით მივდიოდი; როცა, უცნობი მიზეზების გამო, ჩემი საზოგადოება არ აწყობდათ, ეტლის კუთხეში ვადებოდი. ისე, ფეხით გავლა მერჩივნა, მაგრამ არჩევანს თვითონ აკეთებდნენ. არ მინდოდა, ვინმესთვის თავი მომებებრებინა და ამიტომ არასდროს დავინტერესებულვარ მათი ჭირვეულობის მიზეზებით. ვაცმა რომ თქვას, ეს ყველაზე გონივრული საქციელი იყო: გუვერნანტს მორჩილება და მათი გულის მოვება მართებდა, მის მოწაფეებს კი - მხოლოდ საკუთარი

## ენ ბრონტე

სურვილების გათვალისწინება. იმ შემთხვევაში, როცა თან ვახლდი, ნახევარი გზა გვარიანად ვიტანქებოდი. ზემოხსენებული ახალგაზრდა ჰენტლმენებისა და ქალიშვილებისთვის თითქოს არც ვარსებობდი. ამიტომ მათ გვერდით სიარული, მათი საუბრების მოსმენა - ვითომდა მათ კომპანიას მივეკუთვნებოდი და ვერ ვამჩნევდი, რომ ერთი სიტყვაც არ იყო ჩემ საყურადღებოდ წარმოთქმული - ძალგე არ მსიამოვნებდა. ისე შემომხედავდნენ ხოლმე, როგორც ცარიელ ადგილს, თითქოს ვერ მხედავდნენ ან გულმოლგინედ აჩვენებდნენ, რომ ვერ მხედავდნენ. არც მათ უკან სიარული მეხატებოდა გულგე, თითქოს მორჩილად ვაღიარებდი მათგე დამოკიდებულებას. გამოგიტყვდებით, ვფიქრობდი, რომ მათ შორის საუკეთესოებსაც არაფერში ვუდებდი ტოლს და მინდოდა, ეს სცოდნოდათ და არ ჰგონებოდათ, რომ საკუთარ თავს იმ მოსამსახურედ აღვიქვამდი, რომელმაც თავისი ადგილი იცის და ბატონების გვერდით გავლას ვერ ბედავს, თუმცაღა ისინი თანხლების უფლებას აძლევენ, ზოგჯერ კი, როდესაც უფრო კეთილშობილი თანამოსაუბრე არ ჰყავთ, დალაპარაკებასაც კადრულობენ. მრცხვენია იმის აღიარება, რომ როცა მათ გვერდით მივდიოდი, თვითონაც ვცდილობდი, ისინი არ შემემჩნია, თითქოს საკუთარი ფიქრებით ან ლამაზი ჰეიზაჟით ვიყავი გატაცებული. და თუ ჩამოვრჩებოდი, თავს ვიკატუნებდი, თითქოს ჩიტმა, ჰეპელამ, ყვავილმა ან ხემ დამაინტერესა, შემდეგ კი აუჩქარებლად მივაბიჭებდი მხიარული კომპანიის შორიახლო, სანამ ჩემი მოწაფეები მარტონი არ დარჩებოდნენ პარკზე გამავალ გზაზე.

ერთი ასეთი შემთხვევა განსაკუთრებით დამამახსოვრდა - მშვენიერი დღე იყო მარტის მიწურულს. მისტერ გრინბა და მისმა დებმა ეტლგე უარი თქვეს, რათა კაშვაშა მზითა და სურნელოვანი ჰაერით დამტკბარიყვნენ. შინ ფეხით ბრუნდებოდნენ ვიღაც კაპიტანთან და ლეიტენანტთან (არმიის ორ ფრანტან), აგრეთვე ჩემს მოწაფეებთან ერთად, რომლებიც, ცხადია, სასწრაფოდ შეუერთდნენ მათ. კომპანია როზალის გემოვნებას სრულად აკმაყოფილებდა, ჩემსას კი - არა, ამიტომ ჩამოვრჩი და ბოტანიკისა და ენტომოლოგიის შესწავლით დავკავდი, მწვანე ბექობებსა და მწვანე ღობეებს ვაკვირდებოდი, სანამ მათი ხმა იმდენად არ მიწყდა, რომ ტოროლების საუცხოო გალობის მოსმენაში ხელს აღარ მიშლიდა. მზის ალერსიანმა

## აგნეს გრეი



სხივებმა და ნაზმა სიომ მელანქოლია გამიფანტა, მაგრამ მათი ადგილი მაშინვე დაიკავა სევდიანმა ფიქრებმა ბავშვობაზე, წარსულში განცდილ სიხარულზე და, შესაძლოა, უცნობ, მაგრამ ბედნიერ მომავალზე. როდესაც ახალგაზრდა ბალახით, ახალამოსული ღივებით დაფარულ ციცაბო ფერდობებს შევყურებდი, რომელიმე ნაცნობი ყვავილის დანახვა მსურდა, რომელიც მკაფიოდ გამახსენებდა ჩემი მშობლიური მხარის ტყიან ხეობებსა და ბორცვების ბალახოვან კალთებს. ყავისფერ, მანანებიან ვერან ადგილებს აქ, ცხადია, ვერაფერი მომაგონებდა. უეჭველია, ასეთი აღმოჩენა ცრემლების ნაკადს გააჩენდა, მაგრამ ბოლო დროს სწორედ ის იყო ჩემთვის ერთ-ერთი სიამოვნება. უეცრად ფერდობის თავზე, მუხის დაგრეხილ ფესვებს შორის, სამ მშვენიერ ფურისულას მოვკარი თვალი. ისე საყვარლად იყურებოდნენ თავიანთი დამალული ბუდიდან, რომ გული ამიჩქროლდა. ვერ მივწვდი, რომ ერთი მაინც მომეწყვიტა, თან წამეღო და მეოცნება, ფერდობზე კი ვერ ავედი, რადგან უკნიდან მოახლოებული ნაბიჯების ხმა მომესმა და შეტრიალებას ვაპირებდი, როცა მოულოდნელობისგან შევვრთი.<sup>[5]</sup>

- თუ ნებას მომცემთ, მე მოგიწყვეტ, მის გრეი, - მომესმა სერიოზული, კარგად ნაცნობი ხმა და წამის შემდეგ ხელში გაზაფხულის მახარობელი სამი ყვავილისგან შემდგარი თაიგული მეჭირა. რა თქმა უნდა, ეს მისტერ უესტონი იყო. სხვა ვინ გაიწვალებდა თავს ჩემი გულისთვის?<sup>[6]</sup>

მადლობა გადავუხადე. ვერ გეტყვით, ეს თბილად გამომივიდა თუ ცივად. ყოველ შემთხვევაში, მადლიერების ნახევარიც ვერ გამოვხატე, რასაც ვგრძნობდი. შესაძლოა, ჩედმეტი მომივიდა, მაგრამ იმდენად არ ვიყავი მიჩვეული ასეთ ყურადღებას პორტონ-ლოჭსა და ორმოცდაათი მილის რადიუსზე, მის შემოგარენში, რომ წამით ის უბრალო საქციელი გულვეთილობის საოცარ მტკიცებულებად მომეჩვენა, სიკეთედ, რომელსაც ვერაფრით გადავუხდიდი და რომელიც სამუდამოდ აღიბეჭდებოდა ჩემს სულმი. მიუხედავად ამისა, თავი უხერხეულად ვიგრძენი და ნაბიჯს ავუჩქარე, თუმცა, ალბათ, სწრაფადვე ვინანებდი ასეთ გადაწყვეტილებას, მისტერ უესტონი მინიშნებას რომ მიმხვდარიყო და დამმშვიდობებოდა. ასე არ მოხდა. ის, რაც ჩემთვის აჩქარებულ ნაბიჯს ნიშნავდა, მისთვის ჩვეულებრივი სიარული აღმოჩნდა.<sup>[7]</sup>

## ენ ბრონტე

- ქალიშვილებმა მიგატოვეს, - შენიშნა მან.<sup>[P]</sup>
- დიახ, ისინი უფრო საინტერესო საზოგადოებაში იმყოფებიან.<sup>[P]</sup>
- თუ ასეა, რატომ არ დაეწევით?<sup>[P]</sup>

ნაბიჭი შევანელე და ეს მაშინვე ვინანე. ჩემი თანამგზავრი დუმდა, მე კი არ ვიცოდი, რა მეტქვა და მეგონა, რომ ისიც ამ სირთულის წინაშე იდგა. ბოლოს, დუმილი დაარღვია და მისთვის დამახასიათებელი სიმკვეთრით მკითხა, ყვავილები თუ გიყვართო.<sup>[P]</sup>

- დიახ, ძალიან, - მივუგე, - განსაკუთრებით, მინდვრისა და ტყის.<sup>[P]</sup>

- მეც, - თქვა მან, - ბალის ყვავილებისადმი გულგრილი ვარ, ვინაიდან არაფერს მეუბნებიან, ორიოდე გამონაკლისის გარდა. გამორჩევით რომელი მოგწონთ?<sup>[P]</sup>

- ფურისულები, მაჩიტები, მანანები.<sup>[P]</sup>

- იები არა?<sup>[P]</sup>

- არა, ვინაიდან, როგორც ახლახან აღნიშნეთ, არაფერს მეუბნებიან. ჩემი მშობლიური სახლის გარშემო მდებარე ბორცვებსა და ხეობებში სურნელოვანი იები არ იზრდება.<sup>[P]</sup>

- ალბათ, რამხელა ნუგეშია თქვენთვის, მის გრეი, რომ მშობლიური სახლი გაქვთ, - ჩაილაპარაკა ჩემმა თანამგზავრმა ხანმოკლე პაუზის შემდეგ, - თუნდაც შორს იყოს, თუნდაც იშვიათად ახერხებდეთ იქ ჩასვლას, ეს ის ადგილია, სადაც გელოდებიან.<sup>[P]</sup>

- დიახ, ეს ისე მანუგეშებს, ასე მგონია, მის გარეშე ცხოვრებას ვერ შევძლებდი, - მივუგე მხურვალედ და მაშინვე ენაზე ვიკინე, რადგან მომეჩვენა, რომ ჩემმა სიტყვებმა სულელურად გაიჟღერა.<sup>[P]</sup>

- ოჟ, არა, შეძლებდით, - თქვა მან ფიქრიანად და ღიმილით, - ის, რაც ცხოვრებასთან გვაკავშირებს, გაცილებით მტკიცეა, ვიდრე გეჩვენებათ. ამის გაგება მხოლოდ მათ შეძლიათ, ვინც იგრძნო, როგორ შეიძლება მისი გაწელვა ისე, რომ არ გაწყდეს. მშობლიური სახლის დაკარგვის შემთხვევაში, შესაძლოა, გენაღვლათ, მაგრამ ცხოვრებას გააგრძელებდით, თანაც, არც ისე სევდიანად, როგორც ახლა გვინიათ. აღამიანის გული კაუჩუკს ჰგავს: კაუჩუკის ბუშტი განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე იბერება, მაგრამ ძალგე ძნელია მისი იმ მდგომარეობამდე მიყვანა, რომ გასკდეს. ნამცეცია



საჭირო, გული რომ ავაღელვოთ, უამრავი ნამცეცი - ის რომ ვინმემ გატეხოს. ისევე, როგორც ჩვენი სხეულის ყოველი ასო, ისიც ბუნებრივი ციხესიმაგრეა, რომელიც გარე დარტყმებისგან გვიცავს, ყოველი ჭრილობა მას მომდევნო შემოტევისთვის ავაჟებს - მუდმივი შრომა კანს აუხეშებს, მაგრამ კუნთებს ავითარებს, კი არ აუძლურებს. სამუშაო, რომელიც ქალის ნაზ ხელებზე სისხლიან იარებს დატოვებს, მხვნელის ხელებს კვალსაც ვერ დაამჩნევს. ეს გამოცდილებით, ნაწილობრივ, საკუთარი გამოცდილებით ვიცი. იყო დრო, როდესაც თქვენსავით ვფიქრობდი. ყოველ შემთხვევაში, მტკიცედ მჯეროდა, რომ მშობლიური სახლი და იქ თავმოყრილი საყვარელი არსებები ერთადერთია, რის გამოც ცხოვრებას ვუძლებთ, მათ გარეშე კი მხრებზე აუტანელ ტვირთად დაგვაწვებოდა. თუმცა ახლა სახლი არა მაქვს, - თუ იმ ორ ოთასს, რომელსაც პორტონში ვქირაობ, სახლს არ უწოდებთ, - თანაც ერთი წლის წინათ ყველაზე ძვირფასი ადამიანი დავკარგე, უკანასკნელი იმათვან, ვინც ახლობლად მიმაჩნდა. მიუხედავად ამისა, არა მხოლოდ ვცხოვრობ, არამედ ამქვეყნად გაბედნიერების იმედსაც არ ვვარგავ. თუმცა გამოგიტყდებით, როდესაც ყველაზე ღარიბულ ქოხში შევდივარ და ვხედავ, როგორ მხიარულად ატარებენ დროს აგიზგიზებულ კერიასთან, ლამის შემშურდეს მათი ოჭახური სიხარულის.<sup>[SEP]</sup>

- მაგრამ რა იცით, იქნებ უფრო მეტი სიხარული გელოდებათ წინ, - ვთქვი მე, - ჭერ ხომ გზის დასაწყისში დგახართ.<sup>[SEP]</sup>

- უკვე მომეცა უდიდესი სიხარული, - მიპასუხა მან, - სარგებლობის მოტანის სურვილი და შესაძლებლობა.<sup>[SEP]</sup>

ამ დროს გზაგასაყარს გაფუსწორდით. იქიდან ბილიკი ფერმისკენ მიემართებოდა, სადაც, ჩემი აზრით, მისტერ უესტონი „სარგებლის მოსატანად“ აპირებდა წასვლას. ყოველ შემთხვევაში, დამემშვიდობა და ბილიკს მტკიცედ და, იმავდროულად, მსუბუქად გაუყვა, მე კი უკან გავძრუნდი, თან მის სიტყვებზე ვფიქრობდი. უკვე მსმენოდა, რომ აქ ჩამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე დედა გარდაცვლოდა. მაშასადმე, სწორედ ის იყო მისი უძვირფასესი არსება, ახლობლებიდან ყველაზე ბოლოს ის დავარგა და ახლა მშობლიური სახლი არ ჰქონდა. გული შემეკუმშა მისი სიბრალულით, თანაგრძნობისგან კინაღამ ავტირდი. „აი, თურმე რით აიხსნება, - გავიფიქრე

## ენ ბრონტე

მე, - მისიასავისთვის შეუფერებელი სერიოზულობის ჩრდილი, ხშირად შებლს რომ უჭმუხნის და ყველას განმკითხავი მის მარეისა და მის მსგავსთა თვალში პირქუში და ცივი ადამიანის რეპუტაციას უქმნის. მაგრამ მას უფრო ადვილად შეუძლია მწუხარების გადატანა, ვიდრე მე შევძლებდი მის ადგილას. აქტიურად ცხოვრობს და ფართო ასპარეზზე იღვნის საკუთარი შესაძლებლობების გამოსაყენებლად. შეუძლია, მეგობრები შეიძინოს და თუ მოისურვებს, ოჯახი შექმნას. ცხადია, დროთა განმავლობაში ამას მოინდომებს კიდეც. ღმერთმა ქნას, რომ იმ სახლის დიასახლისი მისი არჩევანის ღირსი აღმოჩნდეს და ოჯახური კერია გაუბეჭნიეროს. ვინ იმსახურებს ამას, თუ არა ის? რა მშვენიერი იქნებოდა, რომ...“ თუმცა, მნიშვნელობა არა აქვს, რა გავითიქრე მაშინ.<sup>[SEP]</sup>

ამ წიგნის წერა იმ მტკიცე განჩრახვით დავიწყე, რომ არაფერი დამემალა, ვინც მოისურვებდა, სხვის გულში ჩაწვდომით სარგებელი მიეღო. მაგრამ ისეთი აზრებიც არსებობს, ყველა ანგელოზისთვის ხელმისაწვდომი რომ არის, ოღონდ არა ჩვენი ახლობლებისთვის, მათ შორის საუკეთესოებისა და ყველაზე გულვეტილებისთვისაც კი.<sup>[P][SEP]</sup>

ამასობაში გრინები შინისკენ გაემართნენ. ჩემმა მოწაფეებმაც პარკისკენ გადაუხვიეს, და მათ დასაწევად ნაბიჯს მოვუჩქარე. ქალიშვილები გაცხოველებით ბჭობდნენ ახალგაზრდა ოფიცრების სხვადასხვა ღირსებაზე, მაგრამ როზალიმ, როცა დამინახა, სიტყვა შუაზე გაწყვიტა და ღვარძლიანად შესძახა.<sup>[SEP]</sup>

- ოჰ, მის გრეი! როგორც იქნა, გამოჩნდით! გასაკვირი არაა, რომ ასე დიდხანს შეყოვნდით, და არც ისაა გასაოცარი, ყოველთვის ასე თავგამოფებით რომ იცავთ მისტერ უესტონს, როცა მას ვაძაგებ. აჰა! ახლა ყველაფერი გაცხადდა!<sup>[P][SEP]</sup>

- კარგი რა, მის მარეი, - მივუგე მე და მხიარულად გაცინება ვცადე, - მშვენივრად იცით, რომ მსგავსი რამ ჩემზე არ მოქმედებს.<sup>[SEP]</sup>

მაგრამ იგი კვლავ აგრძელებდა აუტანელი ვარაუდების გამოთქმას, მისმა დამაც აუბა მხარი ნაირგვარი აბდაუბდით, ამიტომ გადავწყვიტე, თავდასაცავად რამე მეთქვა.<sup>[SEP]</sup>

- რა სისულელეა! - შევძახე მე, - რა მოხდა, თუ მისტერ უესტონი დამეწია

## აგნეს გრეი



გზაზე მდებარე ფერმისკენ მიმავალი და, თავაზიანობის გამო, აუცილებლად მიიჩნია, ორიოდე ფრაზა გაგვეცვალა? სიმართლე გითხრათ, უწინ მასთან არასდროს მისაუბრია, ერთი შემთხვევის გამოკლებით.<sup>[SEP]</sup>

- ეს სად მოხდა? და როდის? - ახალი შეკითხვები მომაყარეს დებმა.<sup>[SEP]</sup>
- ნენსისთან.<sup>[SEP]</sup>

- აპა, აპა! მაშასადამე იქ შეხვდით? - საზეიმო კილოთი განაცხადა როჩალიმ, - ო-ო! ახლა კი მივხვდი, მატილდა, რატომ მოსწონს მას ასე ძალიან ნენსი ბრაუნის მონახულება, იქ იმიტომ დადის, რომ მისტერ უესტონს გაეპრანჯოს.<sup>[SEP]</sup>

- ისეთ სისულელეს ამბობთ, პასუხადაც არ ღირს. ხომ გითხარით, იქ მხოლოდ ერთხელ შევხვდი-მეთქი. თანაც, რა ვიცოდი, თუ მოვიდოდა?<sup>[SEP]</sup>

მათმა უაზრო სიცილმა და საძაგელმა მინიშნებებმა კინაღამ გამაბრაზა, მაგრამ სიცილით გული რომ იჭერეს, კვლავ დაწვრილებით შეუდგნენ კაპიტნისა და ლეიიტენანტის დახასიათებას, და წყენამ მალე გამიარა, მისი მიზეზი დამავიწყდა და ჩემი ფიქრები უფრო სასიამოვნო კალაპოტში გადავიდა. ასე გავცდით პარკს და სახლში შევედით. ჩემს ოთახში მხოლოდ ერთი აზრით, ერთი დაუძლეველი სურვილით შეპყრობილი შევედი, რომელიც გულში აღარ მეტეოდა. როგორც კი ვარი დავვეტე, მუხლებზე დავეცი და გულისნადები მხურვალე, მაგრამ თავმდაბალ ლოცვაში გავამხილე. ვცდილობდი, გამემეორებინა „იყოს ნება შენი“, მაგრამ მაშინვე ვამატებდი: „მეუფეო ჩეცათაო, შენ ხომ ყოვლისშემძლე ხარ, და იქნებ შენი ნებაც იყოს“... ეს სურვილი... ეს ლოცვა მამაკაცებისა და ქალების მრისხანებას დამატებდა თავს. „მაგრამ, მამაო. შენ ხომ არ შეგზიზღდება!“ - წარმოვთქვი ხმამაღლა და ვიგრძენი, რომ ასეც იყო. მე ხომ სხვისი ბედნიერებისთვის ვლოცულობდი, შესაძლოა, უფრო მეტი გულმოდგინებითაც, ვიდრე ჩემთვის, და... დიახ, დიახ!.. მთელი სულით და გულით მინდოდა, რომ ის ყოფილიყო ბედნიერი და არა მე. შესაძლოა, თავს ვიტყუებდი, მაგრამ სწორედ ამ აზრმა შემმატა გამბედაობა, რომ მეთხოვა, და იმედი გამიჩინა, რომ ჩემს ლოცვას ღმერთი შეისმენდა. ორი ფურისულა წყალში ჩავდე და სანამ არ დაჭვნა და მოახლეო არ გადააგდო, ვინახავდი. მესამის ფურცლები კი ჩემს ბიბლიაში გავახმე, სადაც ახლაც დევს და



სამუდამოდ იქ დარჩება.<sup>[P]</sup>

## თავი XIV -<sup>[P T P]</sup><sub>[SEP] [SEP]</sub> მღვდელი

მომდევნო დღე კიდევ უფრო მზიანი აღმოჩნდა. საუზმობიდან ცოტა ხანში მის მატილდამ სწრაფად ჩამოუარა პატარ-პატარა დავალებებს, უაზროდ ჩაეფლო მათში, ერთი საათის განმავლობაში შურისმგებლურად აბრახუნებდა თითებს კლავიშებზე, ჩემზეც ბრაზობდა და მათზეც, რადგან დედამისმა არდადეგები არ მოუწყო, ბოლოს კი იქით გაემართა, სადაც ყველაზე მეტად მიუწევდა გული - უკანა ებოსკენ, საჭინიბოსა და საძალლისკენ, მის მარეიმ გასეირნება გადაწყვიტა და თან მოდური რომანი წაიღო, მე კი საკლასო ოთახში დავრჩი აკვარელის ნახატზე სამუშაოდ, რომლის დასრულებაც, თანაც აუცილებლად დღესვე, მან მთხოვა.<sup>[P]</sup>

ჩემს ფეხებთან პატარა, უხეშბეწვიანი ტერიერი იწვა. ძაღლი მის მატილდას ეკუთვნოდა, მაგრამ მას ის შესძულდა და გაყიდვას უპირებდა, განაცხადა, - ძაღლი არაფრად ვარგაო. ეს სიმართლეს არ შეეფერებოდა, თუმცა გაიძახოდა, - არაფერი შეუძლია და ისეთი სულელია, პატრონსაც ვერ სცნობსო.<sup>[P]</sup>

სინამდვილეში კი, როდესაც იყიდა, ჰერ კიდევ ნამცეცა ლევზი იყო. თავდაპირველად ყველას უკრძალავდა მიკარებას, მაგრამ მაღლე, როდესაც მიხვდა, რომ უმნეო არსებას მუდმივი მზრუნველობა სჭირდებოდა, მოპებზრდა, ჩემს თხოვნას დაჰყვა და მოსავლელად მომაბარა. ლევზი წამოიზარდა და, ბუნებრივია, მე მომეჯაჭვა - უკეთეს ჭილდოს ვერც ვინატრებდი: მან სრულად გამოისყიდა ჩემგან მასზე გაწეული ამაგი. საბრალო სნეპი განუწყვეტლივ საყვედურსა და ჭიტლაყს იმსახურებდა თავისი მფლობელისგან იმისთვის, რომ მისდამი ერთგულებას არ ამჟღავნებდა, და ახლა მას ან გააგდებდნენ, ან ახალ, უხეშ და უგულო პატრონს მიჰყიდდნენ. როგორ დავხმარებოდი? მასთან სასტიკი მოპყრობა, რათა შევძულებოდი, არ შემეძლო, მის მატილდა კი ალერსით მის დაახლოებას არც ფიქრობდა.<sup>[P]</sup>

კვლავაც გულმოდგინედ ვმუშაობდი ფანქრითა და ფუნქით, როდესაც

## აგნეს გრეი



ოთახში მისის მარეი შემოცურდა და შემოფრინდა.<sup>[SEP]</sup>

- მის გრეი! - მომმართა მან, - ვერ გამიგია, როგორ შეგიძლიათ, რაღაც ნახატს გადააკვდეთ, როცა გარეთ ასეთი საუცხოო ამინდია? (მან დაასკვნა, რომ ეს საქმიანობა სიამოვნებისთვის ავირჩიე) რატომ შლაპას არ დაიხურავთ და ქალიშვილებთან ერთად არ გაისეირნებთ?<sup>[SEP]</sup>

- მის მარეი, კითხულობს, ქალბატონო, მის მატილდა კი თავისი ძაღლებისკენ გაემურა.<sup>[SEP]</sup>

- აი, მეტს რომ ირკებოდეთ მის მატილდას შესაქცევად, იძულებული არ გახდებოდა, გასართობად ძაღლებთან, ცხენებთან და მეჭინიბებებთან ევლო, როგორც ახლა აკეთებს. და უფრო მხიარული და საინტერესო მოსაუბრე რომ ყოფილიყავით, არც მის მარეი იხეტიალებდა მინდორ-მინდორ წიგნით ხელში. თუმცა თქვენს გავიცხვას არ ვაპირებ, - დაამატა მან, როდესაც, როგორც ჩანს, შეამჩნია, რომ წამოვწითლდი და ხელში ფუნქი შემიქანდა, - კარგი, ნუ ხართ ასეთი წყენია, თორემ თქვენთან დალაპარაკება შეუძლებელი იქნება! აჯობებს, მითხრათ, ხომ არ იცით, სად წავიდა როზალი და რატომ მოსწონს მარტო სეირნობა?<sup>[SEP]</sup>

- როგორც ამბობს, უყვარს, როცა ახალ რომანს განმარტოებით კითხულობს.<sup>[SEP]</sup>

- თუ ასეა, რატომ პარკში ან ყვავილნარში არ დაჭდება? რატომ მიღის მინდორში და სოფლის შარაგზაზე? და რატომ ხვდება მას იქ ასე ხშირად მისტერ ჰეთფილდი? გასულ კვირას მითხრა, რომ იმ კაცმა სადაცით ჩაატარა ცხენი მოსლეიინის ერთი ბოლოდან მეორემდე. დარწმუნებული ვარ, ახლაც მას მოვკარი თვალი გარდერობის ფანჯრიდან: სწრაფად ჩაუარა ჭიშკარს და მინდვრისკენ წავიდა, სადაც, ჩვეულებრივ, ჩემი შვილი დასეირნობს ხოლმე. მინდა, რომ წახვიდეთ და ნახოთ, იქ არის თუ არა, და ტაქტიანად შეახსენოთ, რომ მისი მდგომარეობისა და ბრწყინვალე მომავლის მქონე ქალიშვილს არ შეეფერება მარტო სეირნობა ისეთ ადგილას, სადაც ნებისმიერს შეუძლია თავხედობა გამოიჩინოს და გამოელაპარაკოს, როგორც საბრალო ობოლს, რომელსაც სასეირნოდ საკუთარი პარკი არა აქვს და არც ახლობლები ჰყავს, ვინც მასზე იზრუნებს. ისიც გადაეცით, რომ მამამისი ძალიან გაბრაზდება, თუ გაიგებს, რომ იგი, ვშიშობ, მისტერ ჰეთფილდს ერთგვარი ფამილარობის

## ენ ბრონტე

უფლებას აძლევს. და... ოჰ, თქვენ რომ... გუვერნანტები ოდნავ მაინც რომ ხვდებოდნენ, რას ნიშნავს დედის წუხილი და დედის წინათგრძნობა, ასე აღარ ვინერვიულებდი, მაშინვე მიხვდებოდით, რა აუცილებელია, რომ თვალი არ მოაცილოთ და თქვენთან ურთიერთობა მისთვის საინტერესო გახადოთ... თუმცა წადით, წადით! წუთის დაკარგვაც არ შეიძლება! - შესძახა მან, როცა შეამჩნია, რომ არა მხოლოდ ნახატი და საღებავები ავიღე, არამედ კარგა ხანია, ზღურბლზე ვიდექი და ველოდებოდი, როდის დაამთავრებდა ჭკუის სწავლებას.<sup>[SEP]</sup>

მის მარეი, როგორც დედამისმა იწინასწარმეტყველა, მის საყვარელ მდელოზე, ღობის მიღმა იყო, თანაც, საუბედუროდ, მარტო არა: მას გვერდით აუჩქარებლად მიშვებოდა მაღალი დიდებული ფიგურა. მისტერ ჰეთფილდი!<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

რთული ამოცანის წინაშე აღმოვჩნდი. ვალდებული ვიყავი, ეს პირისპირ შეხვედრა შემეწყვიტა, მაგრამ როგორ? ჩემნაირი უმნიშვნელო პიროვნების გამოჩენა მისტერ ჰეთფილდს წასვლას ვერ აიძულებდა. დაუპატიჟებლად რომ მივსულიყავი მის მარეისთან, თითქოს მისი თანამგზავრი ვერ შევამჩნიე, სავარაუდო თავხედური საქციელი იქნებოდა და ასე ვერ მოვიქცეოდი. არც იმის გამბედაობამეყო, რომ პარკის შესასვლელიდანვე დამეძახა ქალიშვილისთვის, რომ სახლში ელოდებოდნენ. ამიტომ შუალედური გადაწყვეტილება ავირჩიე და მათვენ ნელა, მაგრამ მტკიცედ გავემართე იმ განზრახვით, რომ თუ ჩემი გამოჩენა კავალერს არ დააფრთხობდა, მის მარეისთვის მეთქვა, რომ დედამისი უხმობდა.<sup>[SEP]</sup>

რომალი აუჩქარებლად სეირნობდა ღობის გასწვრივ, რომლის თავზეც ცხენისწაბლას დაბერილკვირტებიანი ტოტები გადაეწვდინა. ქალიშვილი მომხიბლავად გამოიყურებოდა: ცალ ხელში წიგნი ეჭირა, მეორეში - მურტის მშვენიერი ტოტი, რომელსაც მოხდენილად აქნევდა. მსუბუქი ნიავი შლაპის ქვეშ მის ქერა კულულებს ეთამაშებოდა. კოხტა ლოყები ავარდისფრებოდა, რაც მის კმაყოფილებაზე მეტყველებდა, ალერსიან ცისფერ თვალებს ეშმაკურად ხან თავყვანისმცემელს მიაპყრობდა, ხანაც მურტის ტოტს. უეცრად სნეპი წინ გავარდა, ხუმრობანარევი კეკლუცი გააწყვეტინა, კაბაში პირი ჩაავლო და თავისკენ მოქაჩა. მისტერ ჰეთფილდმა სტვენით დაუშვა ხელჭოხი

## აგნეს გრეი



მის თავზე და ძალლი აღშფოთებული წკმუტუნით დაბრუნდა ჩემთან, რითაც, როგორც ჩანს, ძალზე გაახალისა ღირსი ჰენტლმენი. ამ უკანასკნელმა დაინახა, რომ მათვენ მივემართებოდი, და გადაწყვიტა, დამშვიდობების დრო დადგაო. დავიხარე, რათა ხაზგასმული საყვედურით მოვთერებოდი მის საბრალო მსხვერპლს, და გავიგონე, როგორ იკითხა:<sup>[P]</sup>

- კიდევ როდის გნახავთ, მის მარეი?<sup>[P]</sup>

- ალბათ, ეკლესიაში, - მიუგო ქალიშვილმა, - თუ საქმე კვლავაც არ მოგიყვანთ აქ სწორედ იმ დროს, როდესაც სასეირნოდ გამოვალ.<sup>[P]</sup>

- ოჟ, საქმე ყოველთვის გამოიძებნება, თუ მეცოდინება, სად და როდის შეგხვდებით.<sup>[P]</sup>

- რომც მინდოდეს, თქვენს შეკითხვას მაინც ვერ ვუპასუხებ: წინასწარ დაგეგმვა არ მიყვარს და არასდროს ვიცი, ხვალ რას გავაკეთებ.<sup>[P]</sup>

- რახან ასეა, ამ საჩუქრით მაინც მანუგეშეთ, - თქვა მისტერ ჰეთფილდმა და ხელი ხუმრობით მურტის ტოტისკენ გაიშვირა.<sup>[P]</sup>

- არაფრის დიდებით!<sup>[P]</sup>

- გთხოვთ! გევედრებით! თუ უარს მეტყვით, მოკვდავთაგან ყველაზე უბედური ვიქნები. ნუთუ ასე შეუბრალებლად მეტყვით უარს მოწყალებაზე, რაც თქვენ არაფრად გიღირთ, ჩემთვის ვი ფასდაუდებელია! - ისე მგზნებარედ წარმოთქვა კაცმა, თითქოს საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს ეხებოდა.<sup>[P]</sup>

ამ დროს მათგან მხოლოდ რამდენიმე ნაბიჭილა მაშორებდა და მოუთმენლად ველოდებოდი მისტერ ჰეთფილდის წასვლას.<sup>[P]</sup>

- კარგი, კარგი, აიღეთ და წადით! - თქვა როზალიმ.<sup>[P]</sup>

მისტერ ჰეთფილდმა მოწინებით გამოართვა საჩუქარი და რაღაც წარმოთქვა, რამაც ქალიშვილს ლოყები შეუფავლა და თავი ააწევინა, შემდეგ ოდნავ ჩაიცინა, რითაც მიანიშნა, რომ მისი უკმაყოფილება მხოლოდ მოჩვენებითი იყო, თავი თავაზიანად დაუკრა და გზას გაუდგა.<sup>[P]</sup>

- გინახავთ ოდესმე ასეთი ადამიანი, მის გრეი? - მკითხა მის მარეიმ, როდესაც ჩემკენ შემობრუნდა, - ძალიან მიხარია, რომ მოხვედით. მეშინოდა, რომ თავიდან ვერ მოვიცილებდი და მამა ერთად დაგვინახავდა.<sup>[P]</sup>

- აქ დიდხანს იყო?<sup>[P]</sup>

## ენ ბრონტე

- არა, არა, მაგრამ ძალზე თამამია და ყოველთვის ისეთ სახეს იღებს, თითქოს აქ საქმემ მოიყვანა ან მღვდლის მოვალეობამ, თვითონ კი კვალში მიღვას მე საბრალოს - მიხედვას ვერ ვასწრებ, რომ მაშინვე ჩემ გვერდით ჩნდება.<sup>[5]</sup>

- დედათქვენს მიაჩნია, რომ პარვს ან ყვავილნარს არ უნდა გასცდეთ, თუ ჩემნაირი წინდახედული და დარბაისლური შესახედაობის ქალი არ მოგყვებათ. მან შენიშნა, როგორ ჩაუარა მისტერ ჰეთფილდმა ჭიშკარს და მაშინვე გამომგზავნა, რათა მომექებნეთ, თქვენზე მეზრუნა და გამეფრთხილებინეთ...<sup>[6]</sup>

- ოჟ, დედა ისეთი დამღლელია! თითქოს ვინმეს მეურვეობა მჯირდებოდეს. უკვე მელაპარაკა მისტერ ჰეთფილდთან დავავშირებით და ვუთხარი, რომ შეუძლია, მენდოს: არ დამავიწყდება ჩემი წოდება და მდგომარეობა, თუნდაც ჩემ წინ ამქვეყნად ყველაზე მიმზიდველი მამაკაცი იდგეს. ოჟ, ნეტავ, ხვალ მუხლებზე დაეცეს და ხელი მთხოვოს, რათა დავუმტკიცო დედას, რომ ცდება, როცა ჰეთფილდი, თითქოს მე... ოჟ, ლამის გავცოფდე! სულელი გოგონა ვგონივარ, რომელსაც შეუძლია შეუყვარდეს! ეს ხომ ქალური ღირსების დამცირებაა. სიყვარული! ვერ ვიტან ამ სიტყვას. შეურაცხვეყოფენ, როცა სივარულს ჩვენს სქესთან აკავშირებენ. შემიძლია, მოწყალება გამოვიჩინო, მაგრამ არა საბრალო მისტერ ჰეთფილდის მიმართ, რომლის წლიური შემოსავალი შვიდას გირვანქასაც ვერ აღწევს. მომწონს მასთან ლაპარაკი, რადგან ძალზე საზრიანი და გონებამახვილია. რა სამწუხაროა, რომ სერ თომას ეშბი ამაში ვერ შეედრება. ჩემთვის აუცილებელია, ვინმეს ვეკევლუცო, მაგრამ არავის ჰყოფნის ჭკუა, აქ მოვიდეს. როდესაც სადმე მივდივართ, დედა მიკრძალავს, ვინმეს ვეკევლუცო, სერ თომასის გარდა - თუკი ის იქ არის. და თუ არ არის, ხელ-ფეხი შეკრული მაქვს: ვაითუ ვინმემ სულელური ჭორი გაავრცელოს და მან იფიქროს, რომ დანიშნული ვარ ან დანიშვნას ვაპირებ. რაც უფრო სავარაუდოა, მისი საძაგელი მოხუცი დედა რამეს დაინახავს ან გაიგონებს და გადაწყვეტს, რომ მისი უძვირფასესი შვილის ცოლობის ღირსი არა ვარ, არადა, თვითონ ყველაზე დიდი უქნარა და უსაქციელოა მთელ საქრისტიანოში, ნებისმიერი წესიერი ქალიშვილი მასზე მაღლა, გაცილებით მაღლა დგას.<sup>[7]</sup>

## აგნეს გრეი



- ნუთუ ეს სიმართლეა, მის მარეი? და დედათქვენს მართლა უნდა, რომ  
მას მისთხოვდეთ? [SEP]

- მერწმუნეთ, ასეა! მის შესახებ ჩემზე ბევრად მეტი იცის, მაგრამ  
ცდილობს, დამიმალოს, რათა არ ავჭანყდე. კაცმა რომ თქვას, ეს ხომ  
წვრილმანია, - როდესაც დაქორწინდება, ჭკუაში ჩადგებაო, დედა ამბობს.  
ცნობილია, რომ მორჯულებული გიუმაჟები საუკეთესო ქმრები ხდებიან.  
მხოლოდ ის არ მომწონს, რომ მახინჯია - ეს ძალიან მაწუხებს. ამ მივარღნილ  
ადგილას არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა არ გვაქვს, მამას კი არ უნდა,  
რომ ლონდონში წავიდეთ. [SEP]

- ვფიქრობ, მისტერ ჰეთფილდი ყოველმხრივ ჭობს. [SEP]

- დაგეთანხმებოდით, ემბი-პარკს რომ ფლობდეს. მე კი აუცილებლად  
უნდა გავხდე ემბი-პარკის დიასახლისი, მიუხედავად იმისა, ვისთან მომიწევს  
მისი გაყოფა. [SEP]

- მაგრამ მისტერ ჰეთფილდი ფიქრობს, რომ თქვენ ის გამოარჩიეთ. არ  
დაგავიწყდეთ, რომ მნარე იმედგაცრუება დაეუფლება, როდესაც თავის  
შეცდომას მიხვდება. [SEP]

- ძალიანაც კარგი! ეს მისი სასკელი იქნება თავხედობისთვის, როგორ  
ბედავს იმის გაფიქრებას, რომ მე ის მომწონს! სიამოვნებით ავუხელ  
თვალს. [SEP]

- თუ ასეა, ნუდარ გადადებთ. [SEP]

- არც ვაპირებ. უკვე აგიხსენით, რომ მომწონს მასთან თამაში. თანაც, არ  
უნდა მიაჩნდეს, თითქოს სხვებში გამოვარჩიე. ამაზე უკვე ვიზრუნე. ვერც კი  
წარმოიდგენთ, როგორ ჭკვიანურად ვიქცევი. შესაძლოა, თავხედობა  
ჰყოფნის, იფიქროს, რომ გამიტაცებს. სწორედ ამის გამო დავსჭი ისე,  
როგორც იმსახურებს. [SEP]

- შეეცადეთ, ასეთი თავხედობის საბაბი არ მისცეთ, სხვა არაფერია  
საჭირო, - ვთქვი მე. [SEP]

მაგრამ ჩემმა რჩევა-დარიგებამ შედეგი ვერ გამოიღო. პირიქით,  
მხოლოდ უბიძგა, რომ მეტი გულმოდგინებით დაემალა ჩემგან თავისი  
სურვილები და ჩანათქიქრები. მისტერ ჰეთფილდზე ჩემთან აღარ  
ლაპარაკობდა, მაგრამ ვხედავდი, რომ მისი ფიქრები და გული კვლავაც

## ენ ბრონტე

მისკენ ჰქონდა და მომავალშიც აპირებდა მასთან შეხვედრას. მიუხედავად იმისა, რომ დედამისის სურვილს დავემორჩილე და განსაზღვრული დროის განმავლობაში მისი განუყრელი თანამგზავრი გავხდი, სასეირნოდ მაინც მინდვრებსა და სავალი გზის სიახლოვეს მდებარე, მოფარებულ თემშარებს ირჩევდა. როცა მესაუბრებოდა ან თან წაღებულ წიგნს კითხულობდა, გამუდმებით აქეთ-იქით ან წინ იყურებოდა იმ იმედით, რომ ვინმე გამოჩნდებოდა. თუ ცხენზე ამხედრებულ კაცს დაინახავდა, გესლიანად დასცინოდა. ამ უეცრად წარმოშობილ სიძულვილს, ჩემი აზრით, იმიტომ ამჟღავნებდა, რომ ეს ადამიანი მისტერ ჰეთფილდი არ იყო.<sup>[8]</sup>

„არა, - ვფიქრობდი მე, - შეუძლებელია, მისდამი ისე გულგრილი იყოს, როგორც თვითონ სჭერა და სხვებსაც არწმუნებს. არც დედამისი შფოთავს უსაფუძვლოდ, როგორც თვითონ ამტკიცებს“<sup>[9]</sup>.

გავიდა სამი დღე, მაგრამ მისტერ ჰეთფილდი აღარ გამოჩენილა. მეოთხე დღეს, როდესაც ღობის გასწვრივ იმ ღირსსახსოვარი მდელოსკენ მივდიოდით და ხელში ორივეს წიგნები გვეჭირა (ყოველთვის მიმქონდა რამე იმ შემთხვევისთვის, თუ ჩემთან საუბარს არ ისურვებდა), მის მარეიმ მოულოდნელად შეძყვირა და წიგნს მომწყვიტა<sup>[10]</sup>.

- ოჟ, მის გრეი! თუ შეიძლება, მარკ ვუდთან მიდით და მის ცოლს ნახევარი კრონი მიეცით. ერთი კვირის წინ შევპირდი, მოგიტანთ ან გამოგიგზავნით-მეთქი, მაგრამ გადამავიწყდა. აჟა, აიღეთ, - განაგრძო აჩქარებით და საფულე გამომიწოდა, - აქ ნუ ათათურებთ ხელს. წაიღეთ და იმდენი მიეცით, რამდენსაც საჭიროდ მიიჩნევთ. გამოგყვებოდით, მაგრამ ამ ტომის დასრულება მინდა. წავიკითხავ და თქვენთან შესახვედრად წამოვალ. ნუღარ აყოვნებთ... ჰო, მართლა, იქნებ ცოტა მასაც წაუკითხოთ? შინ შეიარეთ და რომელიმე კარგი წიგნი აიღეთ. ნებისმიერი გამოდგება<sup>[11]</sup>.

დავემორჩილე, მაგრამ მისმა აჩქარებამ და მოულოდნელმა თხოვნამ დამაეჭვა, ამიტომ მინდვრის კიდემდე მისულმა მივიხედე და დავინახე, რომ ჭიშკარში, შორეულ კუთხეში, მისტერ ჰეთფილდი შედიოდა. მაშასადამე, მის მარეიმ სახლში წიგნის ასაღებად იმიტომ გამგზავნა, რომ მას გზაზე არ შევხვედროდი<sup>[12]</sup>.

„მერე რა, - გავივლე გულში, - საშინელება არ მოხდება, საბრალო მარკს

## აგნეს გრეი



კი ნახევარი კრონი ძალიან წაადგება, არც კარგი წიგნი აწყენს. თუ ჩვენი მღვდელი მის როზალის გულს დაიპურობს, სიამაყე ცოტათი მაინც დაუცხრება. და თუ დაქორწინდებიან, ეს მას გაცილებით ცუდ ბედს ააცილებს თავიდან. კარგი წყვილი იქნება. ერთმანეთს შეეფერებიან".<sup>[5]</sup>

მარკ ვუდი ის ჭლექიანი მუშა იყო, რომელიც ადრე ვახსენე. დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენოდა. მის მარეი გულუხვობის გამო მომაკვდავმა ლოცვა-კურთხევით დააჭილდოვა. ავადმყოფს ფული, ცხადია, აღარ სჭირდებოდა, მაგრამ ცოლისა და შვილების გამო გაუხარდა, მათ ხომ მალე ქმარი და მამა აღარ ეყოლებოდათ. მასთან რამდენიმე წუთი დავყავი, ცოტა წავუკითხე, რათა სულიერად გამემხნევებინა და მისი დამწუხრებული ცოლი მენუგეშებინა, და წამოვედი. ორმოცდაათიოდე ნაბიჯი მექნებოდა გავლილი, რომ მისტერ უესტონი შემხვდა. როგორც ჩანს, ისიც მათვენ მიემართებოდა. მისთვის ჩვეული, მშვიდი და სერიოზული კილოთი მომესალმა, შეჩერდა და დაინტერესდა, როგორ მივაგენი ავადმყოფსა და მის ოჯახს, შემდეგ, უფროსი ძმასავით წიგნი გამომართვა, რომელსაც ვვითხულობდი, გადაშალა, რამდენიმე მოკლე, მაგრამ საგულისხმო შენიშვნა მომცა, იმ ავადმყოფზე მიამბო, რომელიც ახლახან მოვინახულე, ცოტა ხანს ნენსი ბრაუნზეც მესაუბრა, მოუსვენარ სნეპს მოეფერა, ამინდი შეაქო და წავიდა.<sup>[5]</sup>

მისი სიტყვები სრულად აღარ მოვიყვანე, ვინაიდან მივიჩნიე, რომ მკითხველს ისე არ დააინტერესებდა, როგორც მე, და არა იმიტომ, რომ დამავიწყდა. არა, ისინი მშვენივრად მახსოვდა. მე ხომ დაუსრულებლად ვატრიალებდი მათ თავში მაშინაც და მრავალი დღის შემდეგაც, მახსენდებოდა მისი მუღერი ხმა, ცოცხალი, თაფლისფერი თვალები, ყოველი გაღიმება. ვმიშობ, ეს აღიარება სულელურად მოგეჩვენებათ, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. რაც დაწერილია, დაწერილია, წამკითხველმა კი არ იცის, ვინ წერს.<sup>[5]</sup>

გზა განვაგრძე. უჩვეულოდ ბედნიერად ვგრძნობდი თავს, ყველაფერი სიხარულს მგვრიდა. დავინახე, რომ ჩემვენ მის მარეი მოიჩქაროდა. მსუბუქად მოაბიჯებდა. შეფავლული ლოფები და მოღიმარი, გაბრწყინებული სახე მოწმობდა, რომ თავისებურად ისიც ბედნიერი იყო. ჩემთან მოირბინა, ხელვავი გამომდო და სულმოუთქმელად დაიწყო.<sup>[5]</sup>

## ენ ბრონტე

- დააფასეთ, მის ვრეი, ის უდიდესი პატივი, რომელიც წილად გხვდათ - თქვენ პირველს გატყობინებთ სიახლეს. ჭერ არავისთვის მითქვამს! [SEP]

- აბა, რა მოხდა? [SEP]

- ოჰ, რა სიახლეა! ჭერ ერთი, როგორც კი წახვედით, მისტერ ჰეთფილდი დამენია. ისე შემძინდა, რომ მამას ან დედას არ დაენახა! ალბათ, ხვდებით, რომ თქვენ ვეღარ დაგიძახებდით... ოჰ, რა სამწუხაროა, რომ ახლა დეტალებს ვერ მოგიყვებით - აი, პარკში მატილდაა და სასწრაფოდ უნდა შევატყობინო, რაც მოხდა. მოკლედ, ჰეთფილდი ძალზე თამამად იქცეოდა, ქათინაურებად დაიღვარა. ძალიან ალერსიანი კილო აირჩია, დააპირა, მაგრამ არცთუ წარმატებით, ვინაიდან ეს მას არ ახასიათებს. სხვა დროს მოგიყვებით, რა მითხრა. [SEP]

- თქვენ რა უთხარით? მე ეს უფრო მაინტერესებს. [SEP]

- მოისმენთ, ოღონდ მოგვიანებით. შესანიშნავ ხასიათზე ვიყავი. ძალიან ხათრიანად და თავაზიანად ვიქცეოდი, თუმცა ზღვარს არ გადავსულვარ. იმ თვითვმაყოფილმა ბრიყვმა კი ჩემი კეთილგანწყობა და შემწყნარებლობა ისე თავისებურად აღიქვა, რომ, ბოლოს და ბოლოს... აბა, გამოიცანით!.. ხელი მთხოვა. [SEP]

- და თქვენ? [SEP]

- ამაყად წელში გავიმართე და საშინლად ცივად გამოვხატე გაოცება ასეთი უსაქციელობის გამო. მე ხომ მისთვის საბაბი არ მიმიცია, რომ მსგავსი იმედით ენუგეშებინა თავი. უნდა გენახათ, როგორ დაუგრძელდა სახე. ჩენარივით გაფითრდა. დავარწმუნე, რომ მისდამი ღრმა პატივისცემას ვგრძნობდი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, მაგრამ მის წინადაღებას ვერ მივიღებდი. ისიც ვუთხარი, რომც დაგეთანხმოთ, მამა და დედა ამას არასდროს დაუშვებენ-მეთქი. [SEP]

„რომ დაუშვან, - შესძახა მან, - მაინც უარით გამისტუმრებდით?“ [SEP]

„რა თქმა უნდა, მისტერ ჰეთფილდ“, - მივუგე ცივად და გადაჭრით, რითაც საბოლოოდ გადავუწურე იმედი. ოჰ, რომ გენახათ, როგორ გამოიყურებოდა. იმედგაცრუებისგან განადგურებული ჩანდა. გამოგიტყდებით, კინაღამ შემებრალა. სხვათა შორის, სასოწარკვეთილმა ერთხელ კიდევ სცადა ბედი. ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, რომლის დროსაც ის გონჩე მოსვლას

## აგნეს გრეი



ცდილობდა, მე ვი - სერიოზულობის შენარჩუნებას, ვინაიდან სიცილი მახრიობდა, რაც ყველაფერს გააფუჭებდა, ოდნავი ღიმილით მითხრა.<sup>[SEP]</sup>

„გულწრფელად მიპასუხეთ, მის მარეი, მე რომ სერ ჰი მელთემის სიმდიდრე მქონდეს ან მისი უფროსი ვაჟიშვილის პერსპექტივა, მაინც უარს მეტყოდით? გაფიცებთ, სიმართლე მითხარით!“<sup>[SEP]</sup>

„რასაკვირველია, - ვუთხარი მშვიდად, - განსხვავებას ვერ ვხედავ“<sup>[SEP]</sup>

ბუნებრივია, ეს აღმაშფოთებული ტყუილი იყო, მაგრამ ჭერაც ისე ჭიუტად სკეროდა თავისი მომხიბლაობის, რომ გადავწყვიტე, მისგან ქვა ქვაზე არ დამეტოვებინა. ჭიქურ მომაცქერდა, მაგრამ თავი მშვენივრად მეჭირა და ჩემს სიტყვებში ეჭვს ვერ შეიტანდა.<sup>[SEP]</sup>

„თუ ასეა, ვფიქრობ, ყველაფერი დამთავრდა...“ - ისეთი სახით თქვა მან, თითქოს წყენისა და სასოწარკვეთილების გამო აქვე მეყსეული სიკვდილისთვისაც მზად იყო. გარდა ამისა, თქვენ წარმოიდგინეთ, გაბრაზდა კიდეც. თურმე, უზომოდ იტანჯებოდა, მე ვი, ამ ტანჯვის სასტიკი მიზეზი, სიამაყეს ვინარჩუნებდი! აბა, როგორ არ განრისხებულიყო? და მან სიმწარენარევი მხურვალებით დაიწყო.<sup>[SEP]</sup>

„ამას ნამდვილად არ ველოდი, მის მარეი. შემეძლო, ორიოდე სიტყვა მეთქვა თქვენი ამასწინანდელი ქცევისა და იმედის შესახებ, რომლის გულში ტარების უფლებაც მომეცით, მაგრამ თავს შევიკავებ იმ ჰირობით, რომ...“<sup>[SEP]</sup>

„არანაირი ჰირობა, მისტერ ჰეთფილდ!“ - გავაწყვეტინე მისი თავხედობით აღმფოთებულმა.<sup>[SEP]</sup>

„ასეთ შემთხვევაში, ნება მომეცით, წყალობის სახით გთხოვოთ, - თქვა მან, მაშინვე ხმას დაუწია და შესამჩნევად თვინიერი კილოთი განაგრძო, - ნება მომეცით, შეგვედროთ, რომ არავის უთხრათ მომხდარის შესახებ. თუ დუმილს დაიცავთ, უსიამოვნებას ორივე მხარე ავიცილებთ... ანუ, რამდენადაც ეს შესაძლებელია. თუკი ჩემს გრძნობებს მოვერევი, შესაძლოა, დავმალო ისინი და გაპატიოთ, თუმცა სულიერი ტანჯვის მიზეზს ვერ დავივიწყებ. უფლებას არ მივცემ საკუთარ თავს, დავუშვა, რომ აცნობიერებით, როგორ მტკენდით გულს. მინდა მჭეროდეს, რომ ეს ასე არაა, მაგრამ თუ იმ ჭრილობას, რომელიც უკვე მომაყენეთ, - მაპატიეთ, ნებსით თუ უნებლიერ, თქვენ ის მომაყენეთ, - სხვასაც დაამატებთ და

## ენ ბრონტე

გაასაჭაროებთ ან თუნდაც წამოგცდებათ, ღომ მეც მაქვს სათქმელი. ჩემი სიყვარული კი უარჰყავით, მაგრამ ვერ უარყოფთ ჩემს... [SEP]

გაჩუმდა, მაგრამ ისე გაშმაგებით მოიკვნიტა თითქმის გათეთრებული ტუჩი, რომ შემეშინდა კიდეც. თუმცა სიამაყე დამეხმარა და აგდებულად ვუპასუხე [SEP]

„არ ვიცი, მისტერ ჰეთფილდ, რას შეუძლია, თქვენი აზრით, მაიძულოს რამის გასაჭაროება, მაგრამ თუ ამას საჭიროდ მივიჩნევდი, მუქარით ვერ დამადუმებდით. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ნამდვილი ჯენტლმენები ასე არ იქცევიან“ [PP]

„მაპატიეთ, მის მარეი, მაგრამ კვლავაც მხურვალედ მიყვარხართ... კვლავაც ისე გაღმერთებთ, რომ ყველაზე ნაკლებად თქვენი შეურაცხყოფა მინდა. და თუმცა არავინ მყვარებია - და ვერც მეყვარებოდა - ისე, როგორც თქვენ მიყვარდით, მეორე მხრივ, არავინ მომქცევია თქვენსავით ცუდად. პირიქით, ყოველთვის, ამ წუთამდეც კი, თქვენი სქესი ყველაზე გულვეთილ, ნამდე და თვინიერ ღვთიურ ქმნილებად მიმაჩნდა. (არა, ხომ ხედავთ, რამხელა თვითვმაყოფილებაა!) თუკი უკმეხობა შემამჩნიეთ, ეს უნებურად მოხდა და მისი მიზეზი თქვენი ახალი და სასტიკი გაკვეთილია, აგრეთვე იმედგაცრუება, რამაც ხაზი გადაუსვა იმას, რაზეც ჩემი ბედნიერება იყო დამოკიდებული. თუ ჩემი აქ ყოფნა არ გსიამოვნებთ, მის მარეი... (აქეთ-იქით ვიყურებოდი მისდამი ჩემი გულგრილობის საჩვენებლად, მან კი, ალბათ, იფიქრა, რომ თავი მომაბეზრა) თუ ჩემი აქ ყოფნა არ გსიამოვნებთ, მის მარეი, საკმარისია, იმ წყალობას დამპირდეთ, რასაც გთხოვთ, და დაუყოვნებლივ გაგეცლებით. საკმაოდ ბევრი მოიძებნება ისეთი, - ჩვენს მრევლშიც კი, - ვინც ბედნიერი იქნებოდა იმით, რაც თქვენ ასე ზიზღით გათელეთ. ბუნებრივია, ისინი შეიძულებენ მას, ვისმა შეუდარებელმა სილამაზემაც მათ ჩემი გული წაართვა, მე კი დამაბრმავა, რათა მათი მრავალი ღირსება ვერ დამენახა. რომელიმე მათგანისთვის საქმის ჭეშმარიტ ვითარებაზე მცირედი მინიშნებაც საკმარისი იქნება თქვენზე ჭორების ასაგორებლად, რაც სერიოზულად გავნებთ და მნიშვნელოვნად შეამცირებს თქვენი წარმატების შანსს ნებისმიერ სხვა ჯენტლმენთან, რომლის ბადეში გაბმასაც თქვენ ან დედათქვენი შეეცდებით“ [PP]

## აგნეს გრეი



„რას გულისხმობთ, სერ?“ - შევძახე და გაბრაზებულმა კინაღამ ფეხები დავაძაკუნე<sup>[SEP]</sup>

„იმას, რომ მივხვდი: ყველაფერი თავიდან ბოლომდე, მეტი რომ არ ვთქვა, კეცლუცობა ყოფილა. მრავალი უსიამოვნება დაგატყდებათ თავს, თუკი საზოგადოება ამის შესახებ შეიტყობს - თანაც იმაზე მეტს, ვიდრე რეალურად იყო, ვინაიდან თქვენი მეტოქეები შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებენ და ნამდვილად არ იძუნწებენ, აღფრთოვანებით ისაუბრონ თქვენს სუსტ მხარეებზე, როგორც ვი ამის შესაძლებლობას მივცემ. მაგრამ ჰენტლმენის სიტყვას გაძლევთ, ერთი სიტყვა, უბრალო მინიშნებაც არ წამომცდება, თუ დამპირდებით...“<sup>[SEP]</sup>

„მე ისედაც არ ვაპირებდი რამის თქმას, - გავაწყვეტინე მას, - შეგიძლიათ, ჩემი დუმილის იმედი გქონდეთ, თუ ეს მცირედით მაინც განუგემებთ“<sup>[SEP]</sup>

„მპირდებით?“<sup>[SEP]</sup>

„დიახ“, - მივუგე მე, ვინაიდან მინდოდა, სწრაფად მომეშორებინა თავიდან.<sup>[SEP]</sup>

„თუკი ასეა, მშვიდობით!“ - წარმოთქვა დამწუხრებული, გულგამგმირავი ხმით, უკანასკნელად მომაპყრო მზერა, რომელშიც სიამაყე ამაოდ ებრძოდა სასოწარკვეთას, შეტრიალდა და წავიდა. ცხადია, შინ დაბრუნებას ეშურებოდა, რათა კაბინეტში ჩავეტილს, ტირილით გული მოეოხებინა, თუკი, რასაკვირველია, გზაში თავის შეკავებას შეძლებდა.<sup>[SEP]</sup>

- მაგრამ თქვენ უკვე დაარღვიეთ პირობა! - ვთქვი ასეთი მზაკვრობით შეძრწუნებულმა.<sup>[SEP]</sup>

- ოშ! თქვენთან არ ითვლება. ვიცი, რომ არავის ეტყვით.<sup>[SEP]</sup>

- ცხადია, არ ვეტყვი. მაგრამ აპირებთ, თქვენს დას უამბოთ, ის ძმებს მოუყვება, როდესაც ისინი არდადეგებზე ჩამოვლენ. მანამდე ვი ბრაუნი, თუკი თვითონვე არ ჩაუკავლავთ ყველაფერს, ამას მთელ ქვეყანას მოსდებს - თუ ის არა, ამას, მის მაგივრად, სხვები გააკეთებენ.<sup>[SEP]</sup>

- არაფერიც! თუკი მას ვეტყვით, მხოლოდ იმ პირობით, რომ კრინტს არავისთან დაძრავს.<sup>[SEP]</sup>

- რატომ გვონიათ, რომ პირნათლად დაიცავს პირობას?<sup>[SEP]</sup>

- კარგი, თუ ასეა, მას არ ვეტყვი, - დანანებით თქვა მის მარეიმ.<sup>[SEP]</sup>

## ენ ბრონტე

- მაგრამ დედათქვენს ეტყვით, ის კი მამათქვენს გაუმხელს.[SEP]
- დედას, ცხადია, ვეტყვი - ამიტომაც მიხარია ასე. ახლა კი მიხვდება, რომ ჩემ გამო ტყუილუბრალოდ წუხდა.[SEP]
- აი, თურმე რა ყოფილა! მე კი თქვენი ასეთი აღთრთოვანების მიზეზს ვერ ვხვდებოდი. [SEP]
- აბა, რა. და კიდევ იმიტომ, რომ შესანიშნავად მოვახერხე და მისტერ ჰეთფილდს თავისი ადგილი მივუჩინე. ისიც გაითვალისწინეთ, რომ მეც მაქვს უფლება, ოდნავ მაინც დავიკმაყოფილო ქალური ჰატივოუგარეობა. მე ხომ საკუთარ თავს ისე არ წარმოვაჩენ, თითქოს ჩვენი სქესის უმნიშვნელოვანესი თვისება არ გამაჩინია, ნეტავ გენახათ, როგორი თავდავიწყებით მიმხელდა საბრალო ჰეთფილდი თავის გულისნადებს, და ამით უდიდეს ჰატივს მდებდა, თან სულიერად იტანჯებოდა, როდესაც უარს ვეუბნებოდი. დამეთანხმებით, რომ უდავოდ მაქვს მიზეზი, საკუთარი თავით კმაყოფილი ვიყო.[SEP]
- ვფიქრობ, რაც მეტად იტანჯება იგი, სულ უფრო ნაკლები მიზეზი გაქვთ[SEP]
- ოჟ, რა სისულელეა! - შესძახა ქალიშვილმა და განაწყენებულმა თავი გადააქნია, - ჩემი გაება ან არ შეგიძლიათ, ან სიჭიუტის გამო არ გსურთ. თქვენი სულგრძელობის რომ არ მჯეროდეს, ვიფიქრებდი, რომ გშურთ. იქნებ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზით მაინც აღიაროთ ჩემი უფლება, საკუთარი თავით კმაყოფილი ვიყო: მე თავს კეთილგონიერებისთვის, თავდაჭერისთვის, თუ გნებავთ, უგულობისთვის ვიქებ. ოდნავაც არ დავბნეულვარ, არ შევცდუნებულვარ. არათუ შეცდომა არ დამიშვია, არც შევყოყმანებულვარ. თავი ისე მეჭირა და ისე ვლაპარაკობდი, როგორც საჭირო იყო. არადა, მას მშვენიერი გარეგნობა აქვს, ჭეინ და სიუზან გრინებს იგი მომხიბლავ და ლამაზ კაცად მიაჩნიათ. ალბათ, მათზე მიმანიშნებდა მისტერ ჰეთფილდი, როცა ამბობდა, სხვები სიხარულით მიიღებდნენ ჩემს წინადადებასო. არ გევამათებით: ძალიან ჭკვიანი, საინტერესო და სასიამოვნო მოსაუბრეა. ანუ, ჭკვიანი თქვენი გაგებით კი არა, ზუსტად იმდენად, რომ მისი მოსმენა გსიამოვნებდეთ. ძალზე წარმოსადეგი მამაკაცია - ასეთის გვერდით არსად შეგრცხვებათ გამოჩენა, იგი სწრაფად არ მოგყირჯდებათ. გამოვიტყდებით, ბოლო დროს ჰარი მელთემზე მეტადაც



მომწონდა, თვითონ კი ლამის მაღმერთებდა. და მაინც, როდესაც ანაზღად დამატყდა თავს, თანაც მარტოვას, უარის სათქმელად ჭკუაც მეყო, სიამაყეც და ძალაც, თანაც ეს ზიზღითა და ციფად გავაკეთე. არა, უდავოდ ვამაყობ საკუთარი თავით.<sup>[SEP]</sup>

- იმით ამაყობთ, რომ უთხარით, თითქოს იმავე პასუხს გასცემდით, მას რომ ჰიუ მელთემის ქონება ჰქონოდა, თუმცა ეს მთლად ასე არაა, ხომ? და იმით, რომ დაპჰირდით, თქვენს მძიმე მარცხს არავის გავანდობო, არადა, სიტყვის შესრულებას არც აპირებდით?<sup>[SEP]</sup>

- რა თქმა უნდა! სხვა რა დამრჩენოდა? ხომ არ გინდოდათ, რომ მე... მაგრამ ვხედავ, მის გრეი, ხასიათზე ვერ ხართ. აი, მატილდაც! ვნახოთ, რას იტყვიან ის და დედა!<sup>[SEP]</sup>

და წავიდა განაწყენებული, რომ მისი აღფრთოვანება არ გავიზიარე. შესაძლოა, ფიქრობდა, რომ მისი მშურდა კიდეც. მაგრამ მსგავსი არაფერი მივრძნია... ყოველ შემთხვევაში, ასე მეგონა. მეცოდებოდა. განმაცვითრა და ზიზღით ამავსო მისმა უგულო პატივმოყვარეობამ. საკუთარ თავს ვეკითხებოდი, რატომაა, რომ ამდენი სილამაზე ეძლევა ზოგიერთს, ვისაც მისი წესიერად განვარგვა არ შეუძლია, და არა მას, ვინც ამ სილამაზით საკუთარ თავსაც მიანიჭებს სიხარულს და სხვასაც-მეთქი.<sup>[P]</sup>

ღმერთი უკეთ ხედავს, დავისკვენი ბოლოს. შესაძლოა, მასზე არანაკლებ პატივმოყვარე და ეგოისტი მამაკაცებიც არსებობენ და ასეთი ქალები სწორედ მათ დასასჯელად არიან საჭირო.<sup>[SEP]</sup>

## თავი XV - <sup>[P][P]</sup><sub>[SEP][SEP]</sub>გასეირნება

- ოჟ, ღმერთო ჩემო, ასე რატომ აჩქარდა ჰეთფილდი! - განაცხადა როჩალიმ მომდევნო დღის ოთხ საათზე, როდესაც მთქნარებით გადადო გვერდზე საქარგავი და უხალისოდ გაიხედა ფანჯარაში, - აღარც გასეირნება მინდა და არც რამე სასიამოვნო მელის. როცა წვეულება და მექლისი არ იმართება, დრო საშინლად ნელა გადის. რა მოწყენილობაა! არადა, არც ამ და არც მომდევნო კვირაში არაფერი იგეგმება.<sup>[SEP]</sup>

- სამწუხაროა, რომ ასე მოიცილე თავიდან, - მიუგო მატილდამ, რომელიც

## ენ ბრონტე

წუწუნის ადრესატი იყო, - ამიერიდან ის, ცხადია, სათოფეზე აღარ გაგევარება, არადა, მისი არშიყობის წინააღმდევი არ იყავი. მე კი ვიმედოვნებდი, რომ კავალრად მას აირჩევდი, საყვარელ ჰარის კი მე დამიტოვებდი.<sup>[5]</sup>

- რა სისულელეა! ჩემი კავალერი, მატილდა, ნამდვილი ადონისი უნდა იყოს და ყველა უნდა აღფრთოვანდეს და ყველას შერდეს მისი. აი, მაშინ, შესაძლოა, მხოლოდ მისით დაკვამაყოფილებულიყავი. გამოგიტყდები, ვწუხვარ ჰეთფილდის დაკარგვის გამო, სიხარულით შევეგებები ნებისმიერ, მეტ-ნაკლებად ნორმალურ მამაკაცს, თუნდაც მამაკაცთა მთელ ჰგროს, რომელიც მის შეცვლას შეძლებს. ხვალ კვირაა... საინტერესოა, როგორი სახე ექნება, ანდა საერთოდ თუ მოახერხებს წირვის ჩატარებას! ალბათ, ავადმყოფობას მოიმიჩებებს და ამას მისტერ უესტონს დაავალებს.<sup>[6]</sup>

- აბა, რას ამბობ! - ავდებულად უთხრა მატილდამ, - მართალია, სულელია, მაგრამ ასე არ დაეცემა.<sup>[7]</sup>

რობალი ოდნავ განაწყენდა, მაგრამ მატილდა მართალი აღმოჩნდა: უარყოფილი შეყვარებული თავის მოვალეობას ჩვეულებრივად ასრულებდა. რობალიმ განაცხადა, დაღვრემილი და მკვდარივით გაფითრებული ჩანდაო. თავს ვერ დავდებ, შესაძლოა, ოდნავ ფერმკრთალი იყო კიდეც. რაც შეეხება დაღვრემილობას, სადიაკვნედან, ჩვეულების საწინააღმდეგოდ, მისი სიცილი და მხიარული ხმა აღარ ისმოდა, თუმცა ეკლესიაში მყოფმა ადამიანებმა გაიგონეს, როგორ მრისხანედ საყვედურობდა რაღაცის გამო მნათეს, და ერთმანეთს გაოცებით გადახედეს. კათედრიდან კათედრამდე, ანალოდიიდან ანალოდიამდე დიდი ამბით დააბიჯებდა, არა უპატივცემულოდ, არამედ თვითვმაყოფილებით, უფრო სწორად, ექსტაზამდე მისული თვითაღფრთოვანებით მიღი-მოდიოდა, თითქოს ამბობდა: „ვიცი, რომ ყველანი მოწინებითა და მოკრძალებით მეპყრობით, მაგრამ თუ თქვენ შორის ისეთი მოიძებნება, რომელიც ამ გრძნობებს არ იზიარებს, მე მას უგულებელვყოფ!“ მაგრამ ყველაზე ყურადსაღები ის იყო, რომ ერთხელაც არ გაუხედავს მისტერ მარეის ძელსკამისკენ და ჩვენს წასვლამდე ეკლესიიდან არ გამოსულა.<sup>[8]</sup>

აშკარაა, მისტერ ჰეთფილდმა მძიმე დარტყმა მიიღო, მაგრამ სიამაყე აიძულებდა, ეს უცხო თვალისგან დაემალა. იგი ტკბილად ოცნებობდა, არა

## აგნეს გრეი



მხოლოდ მშვენიერი მზეთუნახავის ქმრობაზე, არამედ იმაზეც, რომ ცოლის საზოგადოებრივი მდგომარეობა და სიმდიდრე გონქსაც კი მომხიბლავს გახდიდა. მაგრამ შეცდა. ამასთან, აშვარად თავმოყვარეობა შეეღავა, ის, თუ როგორ უთხრა უარი მის მარეიმ, როგორ იქცეოდა, სანამ მისი გულის მონადირებას ცდილობდა, - ახლა შეურაცხმყოფლად ეჩვენებოდა. სხვათა შორის, საკმაოდ გაიქარვებდა დარდს, რომ სცოდნოდა, როგორ ეწყინა მის მარეის მისი მოჩვენებითი გულგრილობა: არც პირველი და არც მეორე წირვის დროს მისტერ ჰეთფილდს მისკენ ერთხელაც არ გაუხედავს! ამაზე მის მარეიმ განაცხადა, - ყოველ წამს ჩემზე ფიქრობდა, თორემ ჩვენი სკამისკენ, შემთხვევით, ერთხელ მაინც ხომ გამოიხედავდაო. ასე რომ მომხდარიყო, ცხადია, იმავე დამაჯერებლობით დაიწყებდა მტკიცებას, - კაცს მოთმინებამ უღალატაო. მისტერ ჰეთფილდი ისიამოვნებდა კიდეც, რომ დაენახა, როგორი უხალისო და გაღიზიანებული იყო მის მარეი მთელი მომდევნო კვირის განმავლობაში საყვარელი გასართობის დაკარგვის გამო და როგორ შესძახებდა ხოლმე, - ჩედმეტად სწრაფად გამოვწურე მისგან ყველაფერიო, იმ ბავშვს ჰგავდა, უცებ რომ გადაყლაპავს თავის წილ ჭიშმიშიან კექსს, შემდეგ კი თითებს ილოკავს და ნანობს, ასე რატომ ავჩქარდიო.<sup>[1]</sup>

ბოლოს, ერთ მშვენიერ დილას, გასეირნება გადაწყვიტა და მოისურვა, სოფელში გავყოლოდი: შალის ნართის შერჩევას აპირებდა ადგილობრივ, საკმაოდ კარგ ფარდულში, სადაც ახლომახლო მცხოვრები ქალები დადიოდნენ, სინამდვილეში კი, ჩემი აზრით, - ვფიქრობ, ქრისტიანულ გულმოწყალებას არ გადავუხვევ, - იმედოვნებდა, რომ გზაში მღვდელს ან სხვა რომელიმე თაყვანისმცემელს შეხვდებოდა. ყოველ შემთხვევაში, სანამ მივდიოდით, წამდაუწუმ მევითხებოდა: „ნეტავ, როგორ მოიქცევა ჰეთფილდი, ახლა რომ შეგვხვდეს?“ მისტერ გრინის ჭიშვართან ჩავლისას განაცხადა: „ნუთუ, ეს ბრიყვი სახლში ზის?“ როდესაც ლედი მელთემის ეტლმა ჩაგვიარა, ჩაილაპარავა: „საინტერესოა, რას აკეთებს მისტერ ჰარი ასეთ მშვენიერ დღეს?“, და მისი უფროსი ძმა გათათხა იმისთვის, რომ „იმ იდიოტმა ცოლის შერთვისა და ლონდონში წასვლის მეტი ვერაფერი მოიფიქრა“<sup>[2]</sup>.

- მომეჩვენა, რომ თქვენც გინდოდათ ლონდონში ცხოვრება, - ვთქვი მე<sup>[3]</sup>
- დიახ, ვინაიდან აქ საშინელი მოწყენილობაა, მისი წასვლის შემდეგ კი

## ენ ბრონტე

კიდევ უფრო მოვიწყინეთ. რომ არ დაქორწინებულიყო, შემეძლო, მას გავყოლოდი და არა საზიზღარ სერ თომასს.<sup>[SEP]</sup>

ამ დროს, საკმაოდ ტალახიან გზაზე ცხენის ფლოქვების კვალი შენიშნა და დაინტერესდა, ის რომელიმე კეთილშობილი ჰენტლმენის კეთილშობილ ცხენს ხომ არ ეკუთვნოდა. მაშინვედაასკვნა, რომ ასეც იქნებოდა, ვინაიდან დიდი და მოუხემავი საფორნე ცხენი ასეთ დახვეწილ კვალს ვერ დატოვებდა. ამიტომ საინტერესო იქნებოდა იმის გაგება, თუ ვინ იჭდა ზედ და ხომ არ შევხვდებოდით მას, როდესაც ის უკან დაბრუნდებოდა, ვინაიდან ცოტა ხნის წინათ ჩაევლო. როდესაც, ბოლოს და ბოლოს, სოფელში შევედით და რამდენიმე მორიდებული მცხოვრების გარდა ვერავის მოვკარით თვალი, განაცხადა, საინტერესოა, ეს სულელი ხალხი შინ რატომ არ ჩისო. სულაც არ მსიამოვნებს მათი უგვანი სახეებისა და ჭუქყიანი ვულგარული ტანსაცმლის ყურება, პორტონში ამისთვის კი არ ჩამოვედიო!<sup>[SEP]</sup>

გამოგიტყდებით, გულში მეც ძალიან მაინტერესებდა, სრულიად სხვა ვინმეს ხომ არ შევხვდებოდით. და როდესაც ჰეტფილდის საცხოვრებელ სახლს ჩავუარეთ, ვიგრძენი, რომ იმის გაგება მინდოდა, ახლა ფანჯარასთან ხომ არ იდგა.<sup>[SEP]</sup>

ფარდულში შესვლის წინ მის მარეიმ მიბრძანა, სანამ შალს შეარჩევდა, პარმაღთან მომეცადა და შემეტყობინებინა, თუ ვინმე ჩაივლიდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ერთადერთ გზაზე, აღგილობრივების გარდა, მხოლოდ ჰეინ და სიუზან გრინებს მოვკარი თვალი, რომლებიც, როგორც ჩანს, სეირნობის შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ.<sup>[SEP]</sup>

- იდიოტები! - ჩაილაპარაკა მის როჩალიმ, როდესაც ფარდულში საქმეს მორჩა და გარეთ გამოვიდა, - თავიანთი რეგვენი ძმა რატომ არ წამოიყვანეს? სულ არაფერს, მაინც აჯობებდა.<sup>[SEP]</sup>

თუმცა მათ მხიარული ღიმილით მიესალმა და მათზე არანაკლები სიხარული გამოხატა ბედნიერი შეხვედრის გამო. შემდეგ სამივენი ლაპარაკითა და სიცილით გაუყვნენ გზას, როგორც ქალიშვილებშია მიღებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ერთმანეთს დასანახავად ვერ იტანენ. როჩალი შეაში იდგა, ჰეინი და სიუზანი კი აქეთ-იქიდან. ვინაიდან თავი ზედმეტად ვიგრძენი და არც მათი მხიარულებისთვის მინდოდა ხელის

## აგნეს გრეი



შეშლა, ჩამოვრჩი. აბა, რა სასიამოვნო უნდა ყოფილიყო გრინის ქალიშვილების გვერდით სიარული ყრუ-მუნჯივით, რომელსაც არ ელაპარაკებიან და თვითონაც არ შეუძლია რაიმეს თქმა.<sup>[SEP]</sup>

მაგრამ ამჯერად მარტო დიდხანს არ დავრჩენილვარ. თავდაპირველად ძალგე უცნაურ დამთხვევად მომეჩვენა, რომ მისტერ უესტონი სწორედ მაშინ მომიახლოვდა და მომესალმა, როდესაც მასზე ვფიქრობდი. თუმცა მოგვიანებით, როდესაც ის ეპიზოდი გავიხსენე, დავასკვენი, რომ არაფერი იყო გასაკვირი იმის გარდა, რომ ჩემთან დალაპარაკება სურდა. ასეთ მშვენიერ დილას მისი სახლის სიახლოვეს შეხვედრა ბუნებრივიც კი ჩანდა, მე კი მასზე მთელი სეირნობის დროს ვფიქრობდი და ეს დამთხვევა არც ამ კუთხით უნდა გამკვირვებოდა.<sup>[SEP]</sup>

- კვლავაც მარტო ხართ, მის გრეი! - მითხრა მან.<sup>[SEP]</sup>
- დიახ.<sup>[SEP]</sup>
- ჰო, მართლა, რას წარმოადგენენ მის გრინები?<sup>[SEP]</sup>
- ვერაფერს გეტყვით.<sup>[SEP]</sup>
- უცნაურია! თქვენ ხომ მეზობლები ხართ და ერთმანეთს ხშირად ხვდებით.<sup>[SEP]</sup>

- ჩემი აზრით, ძალგე ხალისიანი, სასიამოვნო ქალიშვილები არიან. ვფიქრობ, მათ ჩემზე უკეთ უნდა იცნობდეთ - მათთან ჯერ არასდროს მიღაპარაკია.<sup>[SEP]</sup>

- ნუთუ? მომეჩვენა, რომ თავშეკავებულობით მაინცდამაინც არ გამოირჩევიან.<sup>[SEP]</sup>

- შესაძლოა, თავის წრეში ასეთები არიან, მაგრამ, მათი აზრით, ისინი ჩემგან განსხვავებულ სოციალურ საფეხურზე დგანან.<sup>[SEP]</sup>

იგი გაჩუმდა, შემდეგ კი მითხრა:<sup>[SEP]</sup>

- ვფიქრობ, მის გრეი, ამიტომაც მიგაჩნიათ, რომ ვერ იცოცხებდით, მშობლიური სახლი რომ არ გქონდეთ, არა?<sup>[SEP]</sup>
- არც მთლად ასეა. საქმე ისაა, რომ ბუნებით გულღია ადამიანი ვარ და უმეგობროდ ძალიან მიჭირს. ჩემი ერთადერთი მეგობრები კი - არა მგონია, ოდესმე სხვა შევიძინო - მშობლიურ სახლში მცხოვრები ჩემი ახლობლები არიან. და თუ ის... უფრო სწორად, თუ ისინი აღარ მეყოლებიან, შესაძლოა,

## ენ ბრონტე

არ მოვკვდე, მაგრამ დაცარიელებულ სამყაროში ცხოვრება ძალიან გამიჭირდება.<sup>[SEP]</sup>

- მაგრამ რატომ მიგაჩნიათ, რომ სხვა მეგობრებს ვერ შეიძენთ? თუ ისეთი უკარება ხართ, რომ ამის გაკეთებას ვერ შეძლებთ?<sup>[SEP]</sup>

- არა, თუმცა აქამდე ამას ვერ ვახერხებდი. ჩემს ახლანდელ მდგომარეობაში ვი უბრალო ნაცნობობის გაბმის იმედიც ვი არა მაქვს. შესაძლოა, ეს ჩემი ბრალიცაა, მაგრამ, ვიმედოვნებ, არა მხოლოდ ჩემი.<sup>[SEP]</sup>

- ბრალი, ნაწილობრივ, საზოგადოებას მიუძღვის, ნაწილობრივ, ასე მგონია, მათ, ვინც თქვენ გარშემოა, ნაწილობრივ ვი - თქვენ. იმ ვითარებაში, რომელშიც აღმოჩნდით, ბევრი ლედი საკუთარ თავს სხვაგვარად წარმოაჩენდა. გარკვეულწილად, თქვენი მოწაფეების დამეგობრებაც შეგეძლოთ. ასაკით ხომ ერთმანეთისგან ბევრით არ განსხვავდებით.<sup>[SEP]</sup>

- ოჰ, დიახ. ზოგჯერ მათთან თავს ძალიან ვარგად ვგრძნობ, მაგრამ ნამდვილ მეგობრებად ვერ მივიჩნევ. თვითონ ვი თავში აზრადაც არასდროს მოუვათ, ასე მიწოდონ, ვინაიდან სხვები ჰყავთ, რომლებიც მათ მოთხოვნებს უკეთ აკმაყოფილებენ.<sup>[SEP]</sup>

- შესაძლოა, მათთვის ზედმეტად ჭკვიანი ხართ. მაგრამ როგორ ერთობით მარტოობაში? ბევრს კითხულობთ?<sup>[SEP]</sup>

- კითხვა ჩემი საყვარელი საქმიანობაა, როცა თავისუფალი დრო და წიგნები მაქვს...<sup>[SEP]</sup>

მისტერ უესტონი წიგნებზე ზოგადი საუბრიდან კონკრეტულზე გადავიდა, ერთ თემას მეორეს უნაცვლებდა, ასე რომ, ნახევარ საათში გემოვნებაზეც ვისაუბრეთ და შეხედულებებზეც. ამასთან, იგი თავშეკავებული და სიტყვაძუნწიიყო, როგორც ჩანს, ჩემი მრწამსისა და მიღრევილებების გაგება ერჩივნა საკუთარის განდობას. იმდენს ვერ ახერხებდა, რომ ჩემთვის ფიქრები და გრძნობები დაეცინცლა, - ამის უნარით თუ ხელოვნებით ვერ დაიკვეხნიდა, - არც მისთვის სასურველ კალაპოტში საუბრის შეუმჩნევლად გადაყვანა შეგეძლო, სამაგიეროდ, შეკითხვებს მიუკიბ-მოუკიბავად, კეთილშობილური პირდაპირობითა და გულწრფელობით მისვამდა, რაც მის ერთგვარ უკმეხობას ყოველგვარი კადნიერებისგან ათავისუფლებდა.<sup>[SEP]</sup>

„ნეტავ, რატომ აინტერესებს, რას ვფიქრობ და ვგრძნობ?“ - დავეკითხე

## აგნეს გრეი



საკუთარ თავს და მღელვარებისგან გული ამიტანცქალდა [SEP]

ამასობაში, ჭეინი და სიუჩანი თავიანთ ჭიშვარს მიუახლოვდნენ და გაჩერდნენ, თან მის მარეი დასასვენებლად შეიპატიჟეს. ძალიან მომინდა, რომ მისტერ უესტონს წასვლა მოესწორო, სანამ ჩემი მოწაფე შემოტრიალდებოდა და ერთად დაგვინახავდა, მაგრამ, საუბედუროდ, იგი საბრალო მარკ ვუდის სანახავად მიდიოდა და პარვამდე ერთი გზა გვქონდა. თუმცა, როცა დაინახა, რომ როზალი თავის ნაცნობებს დაშორდა და მე მელოდებოდა, - სასწრაფოდ დამემშვიდობა და ნაბიჯს მოუჩქარა. ჩემდა გასაოცრად, როდესაც როზალის გაუსწორდა, შლაპის აწევით მიესალმა და მისთვის გვერდის ავლა დააპირა, მის მარეიმ კი, ციფი და მედიდური სალამის ნაცვლად, მისთვის დამახასიათებელი, მომხიბლავი ღიმილი აჩუქა და მასთან ერთად განაგრძო გზა, თან მხიარული და ძალდაუტანებელი საუბარი გაუბა. ასე რომ, ახლა სამივენი ერთად მივდიოდით [SEP].

პირველივე პაუზის დროს მისტერ უესტონმა მე მომმართა და ჩვენთვის ნაცნობი ამასწინანდებლი თემა შემახსენა, მაგრამ როზალიმ დამასწრო და სასწრაფოდ გამოთქვა თავისი აზრი. მისტერ უესტონმა უპასუხა და იმ წუთიდან ქალიშვილის ხელში მოექცა. ეს, შესაძლოა, ნაწილობრივ, ჩემი სისულელის, ტაქტისა და თავდაჭერებულობის უქონლობის ბრალი იყო, - მაგრამ გავნაწყენდი. ცუდი წინათგრძნობა მიღრღნიდა გულს, შურით ვუსმენდი მის მარეის მკვირცხლ ლაპარაკს, შემფოთებით ვაკვირდებოდი მომხიბლავ ღიმილს, რასაც დროდადრო მისტერ უესტონს ჩუქნიდა და რისთვისაც (როგორც მეჩვენებოდა) ნახევარი ნაბიჯით განზრას წინ მიდიოდა, რათა მამაკაცს არა მხოლოდ მისი მოსმენა, არამედ უკეთ დანახვაც შესძლებოდა. მსუბუქად და ბანალურად, მაგრამ შესაქცევად საუბრობდა. ყოველთვის იცოდა, რა ეთქვა და შესაფერისი სიტყვებიც მზად ჰქონდა. სადღა იყო ის გულსწრაფობა და თავქარიანობა, რომელსაც მისტერ ჰეთფილდთან ერთად სეირნობისას ამჟღავნებდა - მხოლოდ სინაზე, კევლუცი სიცხოველე, რაც, ჩემი აზრით, განსაკუთრებით უნდა მოსწონებოდა მისტერ უესტონის ყაიდის ადამიანს [SEP].

როდესაც მან თავის ბილიკზე გადაუხვია, მის მარეიმ გაიცინა და ჩაილაპარაკა [SEP].

## ენ ბრონტე

- ვიცოდი, რომ შევძლებდი! [SEP]
- რას შეძლებდით? - ვკითხე მე [SEP]
- ამ ადამიანის დატყვევებას [SEP]
- ეს როგორ? [SEP]
- როგორ და, სახლში მივა და ჩემზე იოცნებებს. მე მას პირდაპირ გულში მოვარტყო. [SEP]
- რა იცით? [SEP]
- ამას მრავალი ნიშანი ადასტურებს, მაგრამ მთავარი მისი მზერაა, რომელიც დამშვიდობებისას მომაპყრო. არა, თავხედური კი არა, - ამ კუთხით მას ვერაფერს ვუსაყვედურებ, - მოკრძალებითა და მოწინებული აღფრთოვანებით სავსე. ჰა-ჰა! სულაც არ ყოფილა ისეთი მოსაწყენი რეგვენი, როგორიც მეგონა. [SEP]

ვდუმდი, რადგან ყელში ბურთი მომწოლოდა, გული საგულედან ამოხტომას ლამობდა, დალაპარაკების მეშინოდა. „ღმერთო, არ დაუშვა, რომ ეს მოხდეს! - შევძახე გუნებაში, - ჩემი გულისთვის არა, მისი გულისთვის!“ [SEP]

სანამ ჰარვში მივდიოდით, მის მარეიმ რამდენჯერმე რაღაც ბანალური ფრაზებით მომმართა, მაგრამ მე (საკუთარი გრძნობების დამალვის მტკიცე განჩრახვის მიუხედავად) მოკლედ და შეუსაბამოდ ვპასუხობდი. არ ვიცი, ჩემი წვალება უნდოდა თუ გართობა - ეს არ მაინტერესებდა. გამახსენდა, ამბავი ღარიბი კაცის ერთ ცხვარსა და მდიდრის ურიცხვ საქონელზე. მისტერ უესტონის გამო გაუგებარი შიში მაწუხებდა, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა ჩემს დამსხვრეულ ოცნებებთან. [SEP]

როგორ გამიხარდა, როდესაც დავბრუნდით და ჩემს ოთახში მარტო დავრჩი. ყველაზე მეტად სასთუმალთან მდგარ სავარძელში ჩაშვება, ბალიშში თავის ჩარგვა და შვების მოსაპოვებლად ცრემლების გადმოფრქვევა მინდოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, კვლავ ჩემი გრძნობების შეკავება და დათრგუნვა მომიხდა: ზარის, მწვალებელი ზარის ხმა გაისმა, რომელიც საკლასო ოთახში სადილად მიხმობდა. იქ დაწყნარებული უნდა შევსულიყავი, სახეზე ღიმილისა და სიცილის ნიღაბი ამეფარებინა, ათასგვარი სისულელე მელაპარაკა და... დიახ, დიახ, და მეჭამა, თუ პირში ლუკმა მაინც



გადამივიდოდა, თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა და სასიამოვნო სეირნობიდან ახლახან დავბრუნდი.<sup>[P] [SEP]</sup>

## თავი XVI - [P][T][P]<sup>[P]</sup>შეცვლა

მომდევნო კვირადღე აპრილის ყველაზე პირქუში დღე აღმოჩნდა - სქელი, შავი ღრუბლებისა და კოვისპირული წვიმის. ოჭახის წევრებიდან, რომალის გარდა, არავის სურდა ეკლესიაში წასვლა. მან კი განაცხადა, რომ მიდიოდა, და ეტლის მომზადება ბრძანა. მეც თან უნდა გავყოლოდი, რამაც მხოლოდ გამახარა: იქ დაცინვისა და გავიცხვის შიშის გარეშე შემეძლო თამამად მეცქირა სახისთვის, რომელიც ყველაფერზე საუცხოოდ მეჩვენებოდა, რაც კი ღმერთს შეექმნა. იქ შემეძლო, თავისუფლად მომესმინა ხმისთვის, ნებისმიერ მუსიკაზე ტვილად რომ ჩამესმოდა: თითქოს სულს ვეხებოდი, რომელიც ღრმა ინტერესს აღმიძრავდა, ყველაზე წმინდა ზრახვებსა და იმედს აღვივებდა - და ამ ბედნიერებას ვერაფერი ამწარებდა, თუ არ ჩავთვლით სინდისის ფარულ საყვედურს, ხშირად რომ ჩამჩურჩულებდა, საკუთარ თავსაც ატყუებ და ღმერთსაც დასცინი, როდესაც მას გულს სთავაზობ, შემქმნელზე მეტად შექმნილს რომ ეკუთვნისო. ზოგჯერ ასეთი აზრები ძალიან მაცბუნებდა, მაგრამ მათ თავიდან ვიცილებდი და ჩემს თავს ვარწმუნებდი, რომ ადამიანი კი არა, მისი სათნოება მიყვარდა. „რაც კი რამ ჰეშმარიტია და პატიოსანი, რაც მართალია და წმინდა, რაც საყვარელია და საქებარი, სათნო და ქებული, იმაზე იფიქრეთ“ (პავლე, ფილ., 4,8). ჩვენ მცნებად გვიდევს, თაყვანი ვცეთ ღმერთსა და მის ქმნილებებს, მე კი არავის ვიცნობდი უფლის ასეთი სახიერებითა და სათნოებებით, გარდა ღვთის ამ თავმდაბალი მსახურისა, მხოლოდ უგრძნობელი და გონებაჩლუნგი ადამიანი ვერ დააფასებდა მას ჭეროვნად, მაგრამ მე ხომ სხვა ვერაფრით დავაკავებდი ჩემს გულს.<sup>[P] [SEP]</sup>

მის მარეი ეკლესიიდან წირვის დასრულებისთანავე გამოვიდა. კარში გავჩერდით, რადგან წვიმა ძველებურად ასხამდა, ეტლი კი ჭერ არ ჩამოეყენებინათ. გამაოცა მისმა ასეთმა აჩქარებამ: ეკლესიაში არც ახალგაზრდა მელთემი იყო და არც სკვაირი გრინი. მაგრამ მალევე მივხვდი,

## ენ ბრონტე

რომ საუბარი სურდა მისტერ უესტონთან, რომელიც ფეხდაფეხ გამოგვყვა. მან ორივეს თავი დაგვიკრა და გვერდის ავლა დააპირა, მაგრამ მის მარეიმ შეაჩერა - ჯერ ამინდზე დაიწურუნა, შემდეგ კი ჰქითხა, ხომ არ შეეძლო, სიკეთე ექნა და მეორე დღეს პარვის შესასვლელთან მდებარე ჭიხურში მცხოვრები დედაბრის შვილიშვილი მოენახულებინა - გოგონას ძლიერი ციებ-ცხელება ჰქონდა და მისი ნახვა სურდა. მისტერ უესტონი დაპჰირდა, რომ მივიღოდა.<sup>[SEP]</sup>

- რომელი საათისთვის მიხვალთ, მისტერ უესტონ? მოხუცმა მთხოვა, გამეგო. ხომ იცით, რამხელა მნიშვნელობას ანიჭებენ, რომ მათ ქოხმახებში წესრიგი სუფევდეს, როცა უფრო მაღლა მდგომს ელოდებიან, და ეს გულთან უფრო ახლოს მიაქვთ, ვიდრე ამას ჩვენ ვართ მიჩვეული.<sup>[SEP]</sup>

როგორმა გულის ამაჩუყებელმა დელიკატურობამ გაიღვიძა უეცრად ქარაფშუტა მის მარეიში! მისტერ უესტონმა მისთვის ყველაზე ხელსაყრელი დილის საათი დაასახელა. ამასობაში ეტლიც ჩამოდგა და ლაქიამ მის მარეისთვის ქოლგა გაშალა. ის იყო, უკან უნდა გავყოლოდი, რომ მისტერ უესტონმაც გაშალა თავისი ქოლგა და მისთვის თავის შეფარება შემომთავაზა, რადგან წვიმამ იმატა.<sup>[SEP]</sup>

- არა, გმადლობთ. წვიმის არ მეშინია, - მივუგე მე (მოულოდნელობა აზროვნების უნარს მიქვეითებს).<sup>[SEP]</sup>

- მაგრამ, ალბათ, არც წვიმაში დასველება მოგწონთ, არა? რაც უნდა მოხდეს, ქოლგა ვერაფერს გავნებთ, - მიპასუხა ღიმილით და ამით მიმანიშნა, რომ არაფერი მწყენოდა, თუმცა უფრო ფიცხი და ნაკლებად გამჭრიახი ადამიანი თავაზიან დახმარებაზე უარის თქმას შესაძლოა, გაებრაზებინა კიდეც. ბოლო წამს მან ძლივს შესამჩნევი ღიმილით შემომხედა. ეს ძალგე ცოტა ხანს გაგრძელდა, თუმცა მის მზერაში ისეთი რამ წავიკითხე, - ან მომეჩვენა, - რამაც ჩემს გულში იმედი ააგიზგიზა. მსგავსი არასოდეს არაფერი განმეცადა.<sup>[SEP]</sup>

- ერთი წუთი რომ მოგეცადათ, ლაქიას გამოგიგზავნიდით, მის გრეი, რა საჭირო იყო მისტერ უესტონის ქოლგით სარგებლობა, - მითხოვა როზალიმ და მშვენიერ სახეზე უკმაყოფილო გამომეტყველება აღებეჭდა.<sup>[SEP]</sup>

- უქოლგოდაც წამოვიდოდი, მაგრამ მისტერ უესტონმა თავისი შემომთავაზა და უნდა დავთანხმებულიყავი, რომ არ სწყენოდა. უარის

## აგნეს გრეი



გაგონებაც არ სურდა, - მივუგე მე და უშფოთველად გავიღიმე: ბედნიერებამ ჩემს გულში სასაცილოდ აქცია საყვედური, რომელიც სხვა დროს აუცილებლად ტვიკილს მომაყენებდა.<sup>[SEP]</sup>

ცხენები დაიძრნენ. როდესაც მისტერ უესტონს დავეწიეთ, მის მარეი წინ გადაიხარა და ფანჯარაში გაიხედა. მისტერ უესტონს, მოკირნყლული ტროტუარით, გეზი თავისი სახლისკენ აეღო და თავი არ მოუტრიალებია.<sup>[SEP]</sup>

- რეგვენი! - შესძახა რობალიმ და სავარძელზე გადაწვა, - ვერც ვი წარმოუდგენია, რა დავარგა, აქეთ რომ არ გამოიხედა.<sup>[SEP]</sup>

- რა დავარგა?<sup>[SEP]</sup>

- ჩემი თავის დაკვრა, რომლის წყალობითაც სიხარულით ცას ეწეოდა.<sup>[SEP]</sup>

არაფერი მითქვამს. მისი ცედი განწყობა გულში გამიხარდა კიდეც - არა იმიტომ, რომ განაწყენდა, არამედ იმიტომ, რომ ამის მიზეზი ჰქონდა. იქნებ ჩემი იმედი უფრო საფუძვლიანი იყო, ვიდრე ჩემი სურვილები და ოცნებები?<sup>[SEP]</sup>

- ვაპირებ, მისტერ ჰეთფილდი მისტერ უესტონით შევცვალო, - განმიცხადა ხანმოკლე დუმილის შემდეგ ჩემმა თანამგზავრმა და კვლავ გამხიარულდა, - სამშაბათს, როგორც იცით, მექლისჩე მივდივარ ეშბი-ჰარვში და დედა ფიქრობს, თითქმის დარწმუნებულია, რომ მისტერ თომასი ხელს მოხოვს. სამექლისო დარბაზის მოფარებული ადგილები ამას ხელს უწყობს - ჰენტლმენები უფრო ადვილად ტყვევდებიან, ვინაიდან მათი ქალბატონები განსაკუთრებით მომხიბლავად გამოიყურებიან, მაგრამ თუ ასე სწრაფად უნდა გავთხოვდე, დროს ვეღარ დავკარგავ. ხომ გადავწყვიტე, რომ ჰეთფილდი ერთადერთი არ იქნება, ვინც გულს ჩემს ფეხებთან დადებს და ამაოდ შემევედრება, რომ ის უვარვისი საჩუქარი მივიღო.<sup>[SEP]</sup>

- თუ მსხვერპლად მისტერ უესტონი აირჩიეთ, - ვუთხარი მოჩვენებითი გულგრილობით, - მისთვის იმდენი ავანსის გაცემა მოგიწევთ, რომ ძალიან გაგიჭირდებათ მათი დაბრუნება, როდესაც თქვენ მიერ მიცემული იმედის დადასტურებას მოგთხოვთ.<sup>[SEP]</sup>

- არა, არა მგონია, ცოლობა მთხოვოს, თანაც ეს არც მინდა, თავხედობასაც უნდა ჰქონდეს საზღვარი. მხოლოდ ის მწადია, რომ ჩემი ძალაუფლება აღიაროს. ოო, მან ის უკვე იგრძნო, მაგრამ უნდა აღიაროს!

## ენ ბრონტე

ფუჭი იმედი კი თავისთვის შეინახოს. სრულიად საკმარისია, თუკი დარჩენილი დროის განმავლობაში გამართობს.<sup>[SEP]</sup>

„ოჰ, ნეტავ, რომელიმე კეთილმა სულმა ეს სიტყვები მისი ხმით ჩასჩურჩულოს!“ - ისეთი აღშფოთებით შევძახე გულმი, რომ ხმამაღლა პასუხის გაცემა შემეშინდა.<sup>[SEP]</sup>

იმ დღეს მისტერ უესტონი აღარც მე მისსენებია და აღარც სხვას. მაგრამ, როგორც კი გათენდა, მის მარეი საკლასო ოთახში შემოვიდა, დაინახა, რომ მისი და გავვეთილების მოსამზადებლად იჭდა, უფრო სწორად, ამთქნარებდა, და უთხრა.<sup>[SEP]</sup>

- მატილდა, თერთმეტი საათისთვის მე და შენ სასეირნოდ წავალთ.<sup>[SEP]</sup>

- არა, რომალი, არ შემიძლია! ახალი აღვირისა და ასალის თადარიგი უნდა დავიჭირო, ვირთავვების მტერს კი მისი ძაღლების თაობაზე დაველაპარაკო. დაე, მის გრეი წამოვყვეს!<sup>[SEP]</sup>

- მე შენ მჯირდები, - განაცხადა რომალიმ, და ფანჯარასთან გაიხმო, რაღაც ჩასჩურჩულა და მატილდამაც დაუთმო.<sup>[SEP]</sup>

გამახსენდა, რომ თერთმეტი საათისთვის მისტერ უესტონი ჭიხურში აპირებდა მისვლას და რომალის მთელი ჩანაფიქრი ცხადი გახდა. სადილობისას დაწვრილებით მომიყვნენ, როგორ დაეწია მათ სეირნობისას მისტერ უესტონი, როგორ დიდხანს მიდიოდნენ მასთან ერთად და საუბრობდნენ, - ის ძალზე სასიამოვნო მოსაუბრე გამომდგარა, და ალბათ, როგორ აღფრთოვანდა - და აღფრთოვანდა კიდეც! - მათი გარეგნობით, თვისებებით და უჩვეულო შემწყნარებლობით. <sup>[SEP]</sup>

## თავი XVII -<sup>[P][T][P]</sup><sub>[SEP][SEP]</sub> აღიარება

რადგან გულის გადაშლა გადავწიტე, რატომ არ უნდა ვაღიარო, რომ დაახლოებით იმ დროს საკუთარ გარეგნობას სულ უფრო მეტ ყურადღებას ვუთმობდი, რაც ძნელი სულაც არ იყო, ვინაიდან მანამდე ამ საკითხს საკმაოდ აგდებულად ვუდგებოდი. ახლა სარკეში უფრო დიდხანს ვიყურებოდი, თუმცა ეს დიდად არ მანუგეშებდა. სახის მოზრდილი ნაკვთები, ფერმკრთალი და ჩაცვინული ლოყები, ჩვეულებრივი, მუქი წაბლისფერი თმა

## აგნეს გრეი



- მათში სილამაზეს ვერ ვხედავდი. თუკი შუბლი ჭკუაზე მეტყველებს, გრძნობის ნაპერწვალს მოკლებული, მუქი ნაცრისფერი თვალები გაცილებით მეტად ფასობს! სისულელეა იმაზე წუხილი, რომ ულამაზო ხარ. ვონიერი ხალხი თავისთვის სილამაზეს არ ნატრობს, არც სხვაში აქცევს მას განსაკუთრებულ ყურადღებას. მთავარი - განათლებული გონიერი და მკრძნობიარე გულია, გარევნობას ვი არავის თვალში აქვს დიდი მნიშვნელობა. ასე გვარიგებდნენ ჭკუას ბავშვობაში და ასე ვასწავლით ჰატარებს ახლა. ძალზე ღირსეული და ლოგიკური დასკვნაა, მაგრამ როგორ დასტურდება იგი ცხოვრებით?

ჩვენი ბუნება ისეა მოწყობილი, რომ გვიყვარს ის, რაც მოგვწონს. მაგრამ რა შეიძლება მოგვწონდეს ლამაზ სახეზე მეტად? თანაც, თუ არათერი ვიცით მის შესახებ, ვისაც ის ეკუთვნის? აი, გოვონას თავისი ჩიტი უყვარს - რატომ? იმიტომ, რომ ჩიტი ცოცხალია, თვითონ ვი გრძნობს, რომ ის უმწეოა და უწყინარი. მაგრამ გომბეშოც ცოცხალია და გოვონა აქაც გრძნობს, რომ ის უმწეო და უწყინარია. იგი არც გომბეშოს ავნებს რამეს, მაგრამ ჩიტი ეყვარება - ლამაზი, ფაფუკფრთიანი და თვალებმხიარული. თუ ქალი გარეგნულადაც ლამაზია და შინაგანადაც, მას ორივესთვის შეაქებენ, მაგრამ განსაკუთრებით - ჰირველისთვის. თუ არც გარეგნობა უვარვა და არც ხასიათი, მის მთავარ ნაკლად ულამაზობას მიიჩნევენ, რომელიც მაშინვე ცუდად ხვდება ჩვეულებრივ თვალს. თუკი შეუხედავ ქალს შესანიშნავი სულიერი თვისებები აქვს, მათ შესახებ - მით უმეტეს, თუ ის მორიდებულია და განმარტოებით ცხოვრობს - ვერავინ გაიგებს, ყველაზე ახლობელი ხალხის გარდა. დანარჩენები ვი, ჰირიქით, ცუდად იფიქრებენ მის გონებასა და ხასიათზე, თუნდაც ქვეცნობიერად სურდეთ გაამართლონ ბუნებით დაჩაგრული არსებისადმი ინსტინქტურად გაჩენილი უარყოფითი დამოკიდებულება. საწინააღმდეგო რამ ხდება მასთან დავავშირებით, ვისი ანგელოზივით სახეც შავ გულს მალავს ან მაცდურ მიმზიდველობას ანიჭებს ბიწიერებასა და ახირებას, რასაც სხვისგან არ მოითმენდნენ. ის, ვინც ლამაზია, დაე, მადლობელი იყოს და ისევე, როგორც სხვა ნიჭი, სილამაზეც სასარგებლო საქმისთვის გამოიყენოს. მათ ვი, ვისაც ის არ ვააჩნია, ეცადოს, წუმუნის ნაცვლად, უიმისოდ გავიდეს ფონს. მართალია, სილამაზეს განსაკუთრებული

## ენ ბრონტე

მნიშვნელობა ენიჭება, ის ღმერთის საჩუქარია და მისი უგულებელყოფა არ შეიძლება. განა ცოტაა ისეთი, ვინც გრძნობს, რომ სიყვარულის უნარი აქვს, ვისაც გული ეუბნება, რომ სიყვარულის ღირსია, - და მაინც, მხოლოდ იმიტომ, რომ ბუნებამ მსგავსი უმნიშვნელო უპირატესობა არ მისცა, მოკლებულია ბედნიერების სხვისთვის ჩუქების ან სხვისგან მიღების შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ამისთვისაა შექმნილი? ზუსტად ასევე შეეძლო ციცინათელის უფრთო მდედრ მეგობარს, არად ჩაეგდო თავისი რჩეულის ნათების უნარი! ფრთოსანი შეყვარებული ათასჯერ გადაუფრენდა მას და მაინც ვერ აღმოაჩენდა. იგი ყოველი მხრიდან გაიგონებდა მის ბზუილს და საშინლად ენდომებოდა, სანუკვარ არსებასთან შეხვედრა, მაგრამ ვერაფრით მიანიშნებდა საკუთარ არსებობას ვერც ხმით, რათა დაეძახა და ვერც ფრთებით, რათა უკან გაჰყოლოდა. ბოლოს, მამრი სხვა მეგობრის მოსაძებნად გაფრინდებოდა, ის კი მარტო ცხოვრებისა და სიკვდილისთვის იქნებოდა განწირული.<sup>[۲]</sup>

აი, ასეთ ფიქრებში ვიყავი გართული. შემეძლო, გამეგრძელებინა, შემეძლო, უფრო ღრმადაც ჩამეყვინთა და ჩემი ფიქრები გამენდო, შეკითხვები დამესვა, რომლებზეც მკითხველს პასუხის გაცემა გაუჭირდებოდა, ისეთი მოსაზრებები მომეყვანა, რომლებიც მის ცრურზმენას შეარყევდა ან მისი მხრიდან დაცინვას გამოიწვევდა, რადგან ვერაფერს გაიგებდა. მაგრამ თავს შევივავებ.<sup>[۳]</sup>

აჯობებს, მის მარეის დავუბრუნდეთ. სამშაბათს იგი დედასთან ერთად მეჯლისზე წავიდა - ცხადია, ბრწყინვალედ გამოწყობილი და საკუთარი მიმზიდველობითა და იმ მომავლით აღფრთოვანებული, რომელსაც უწინასწარმეტყველებდნენ. ჰორტონ-ლოჯიდან ეშბი-ჰარვამდე თითქმის ათი მილია, ასე რომ, ადრე აპირებდნენ გასვლას, მე კი გადავწყვიტე, ნენსი ბრაუნს ვწვეოდი, რომელიც კარგა ხანია, არ მენახა. თუმცა ჩემმა უგულკეთილესმა მოწაფემ იზრუნა, რომ საღამო საბრალო მოხუცთან ან სადმე სხვაგან კი არ გამეტარებინა, არამედ საკლასო ოთახის კედლებში: დამავალა, სასწრაფოდ გადამეწერა ნოტები, რასაც დაღამებამდე მოვუნდი. დილით, თერთმეტი საათისთვის, ადგა თუ არა, ჩემთან მოვიდა ახალი ამბის შესატყობინებლად. მეჯლისზე სერ თომასს მისთვის ხელი და გული

## აგნეს გრეი



შეეთავაზებინა, რაც მისის მარეის შორსმჭვრეტელობაზე მეტყველებდა, მოხიბვლის უნარზე რომ არაფერი ვთქვათ. ისიც კი ვითიქრე, წინასწარ ხომ არ დაგევგმა ყველაფერი, შემდეგ კი წარმატება იწინასწარმეტყველა-მეთქი. ბუნებრივია, წინადადება მიღებულ იქნა და ახალგამომცხვარი სასიძო მალე უნდა მოსულიყო, რათა მისტერ მარეისთან ზოგიერთი საკითხი მოეგვარებინა.<sup>[5]</sup>

რომალის უხაროდა, რომ ეშბი-პარკის დიასახლისი გახდებოდა. იგი წინასწარ ტკბებოდა საქორწინო ცერემონიის დიდებულებითა და ბრწყინვალებით, საზღვარგარეთ გატარებელი თაფლობის თვითა და დაუსრულებელი გართობითა და სიამოვნებით, რაც ლონდონში, და არა მხოლოდ იქ, ელოდა. სერ თომასიც კი გაცილებით მეტად მოუვიდა თვალში მას შემდეგ, რაც წინადღეს მასთან ცეკვით გული იჭერა და ქათინაურები მოისმინა. მიუხედავად ამისა, ნაჩქარევ ქორწილზე ფიქრი აშინებდა და მისი თუნდაც რამდენიმე თვით გადადება უნდოდა. მის გრძნობას მეც ვიზიარებდი. საშინელებად მეჩვენებოდა, რომ საბრალოს საბოლოო ნაბიჯის გადადგმას აიძულებდნენ და გონჩე მოსვლასა და დაფიქრებას არ აცდიდნენ. არა, „დედობრივი წუხილი, დედობრივი წინასწარმეტყველური წინათვრძნობა“ არ მტანკავდა, მაგრამ მაოცებდა და მზარავდა მისის მარეის გულქვაობა, მისი სრული გულგრილობა ქალიშვილის ნამდვილი ბედნიერებისადმი. ამაოდ ვცდილობდი გარდაუვალი უბედურების აცილებას, გაფრთხილებითა და რჩევა-დარიგებით, რაც უყურადღებოდ რჩებოდა. მის მარეი ჩემს სიტყვებზე მხოლოდ იცინოდა. მალე დავრწმუნდი, რომ გადავადება, ძირითადად, იმიტომ სურდა, რომ, შეძლებისდაგვარად, ბევრი ახალგაზრდა მამაკაცის გული დაეპყრო, სანამ ამგვარ სიცელქეზე უარის თქმა მოუწევდა. ამიტომ, ვიდრე თავისი ნიშნობის ამბავს გამიმხელდა, სიტყვა ჩამომართვა, რომ ამას არავის გავუმხელდი. როდესაც მისი განზრახვა გავიგე, როდესაც დავინახე, რომ უფრო მეტი მგზნებარებით შეუდგა უსულგულო კევლუცობას, გულში მის მიმართ ყოველგვარი სიბრალული გამიქრა. „რაც უნდა მოხდეს, - გავითიქრე მე, - მან ეს დაიმსახურა. სერ თომასი მისი შესაფერისია და რაც უფრო მალე დაკარგავს სხვების მოტყუებისა და მათთვის ტკიფილის მიყენების შესაძლებლობას, მით უკეთესი“<sup>[6]</sup>

## ენ ბრონტე

ქორწილი პირველი ივნისისთვის დანიშნეს. მანამდე ექვს კვირაზე ოდნავ მეტი რჩებოდა, მაგრამ იმ მოკლე პერიოდშიც კი რობალის ხელოვნება და დამბედაობა არაერთ გამარჯვებას პპირდებოდა, მით უმეტეს, რომ სერ თომასი დროის უმეტესი ნაწილის გატარებას ლონდონში აპირებდა, სადაც გაემგზავრა კიდეც, როგორც ამბობდნენ, იმიტომ, რომ თავის რწმუნებულთან ერთად ქორწინების აუცილებელი სავითხები მოეგვარებინა. იგი ცდილობდა, არყოფნა განუწყვეტელი სასიყვარულო გზავნილებით შეემსუბუქებინა, რასაც, მუდმივი სტუმრობისგან განსხვავებით, მეზობლები ვერ დაინახავდნენ და, შესაბამისად, ვერაფერს გაიგებდნენ. ქედმაღლური და მუავე ხასიათი დაქვრივებულ ლედი ეშბის ოჭახურ საქმეებზე საუბრის უფლებას არ აძლევდა, უქეიფობამ კი ხელი შეუშალა, მომავალ რძალს სწვეოდა, ამიტომ ნიშნობა თითქმის საიდუმლოდ რჩებოდა, რაც, ბუნებრივია, საკმაოდ იშვიათად ხდება ხოლმე.<sup>[SEP]</sup>

ზოგჯერ რობალი თავისი საქმროს წერილებს მაჩვენებდა, რათა წაეტრაბახა, როგორი გულვეთილი და მოსიყვარულე ქმარი ეყოლებოდა. მისი ხელის კიდევ ერთი პრეტენდენტის, ბედნავსი მისტერ გრინის ბარათებსაც მიკითხავდა, რომელსაც სიყვარულში ხმამაღლა გამოტყოფილი ვერ გაებედა, შეშინებოდა, - როგორც თვითონ თქვა, სამაგიეროდ, მიღებული უარით არ კმაყოფილდებოდა და წერას განაგრძობდა. ამას, ალბათ, აუცილებლად შეწყვეტდა, რომ დაენახა, როგორი სახით კითხულობდა მის ბარათებს მშვენიერი ღმერთქალი, ან მისი დამცინავი სიცილი და ეპითეტები მოესმინა, გულუხვად რომ ასაჩუქრებდა ასეთი აბეზარობისთვის.<sup>[SEP]</sup>

- რატომ პირდაპირ არ ეტყვით, რომ დანიშნული ხართ?<sup>[SEP]</sup>

- არა, არ მინდა, რომ ეს გაიგოს, - მიპასუხა მან, - მაშინ ამას მისი დებიც გაიგებენ, მთელი ქვეყანა გაიგებს და ვეღარ შევძლებ... ხი-ხი... გარდა ამისა, იფიქრებს, რომ დაბრკოლება მხოლოდ ნიშნობაა, და დანიშნული რომ არ ვიყო, დავთანხმდებოდი. არ მინდა, რომ ერთმა მამაკაცმა მაინც გაბედოს ამის გაფიქრება, მან კი - ყველაზე ნაკლებად. მისი წერილები არ მაინტერესებს, - დაამატა აგდებით, - წეროს, რამდენიც უნდა, და აღტაცებით მიყუროს, როდესაც სადმე ერთმანეთს შევხვდებით. ეს გვარიანად მართობს.<sup>[SEP]</sup>

## აგნეს გრეი



ამასობაში, ახალგაზრდა მელთემი ხშირად მოდიოდა სტუმრად ან სახლს გვერდით ჩაუვლიდა ხოლმე. მატილდას წყევლა-კრულვითა და საყვედურით თუ ვიმსჯელებთ, მისი და მელთებს იმაზე თბილად ხვდებოდა, ვიდრე ამას უბრალო თავაზიანობა მოითხოვს. სხვა სიტყვებით, იმ დოზით ეპევლუცებოდა, რის შესაძლებლობასაც მშობლების იქ ყოფნა აძლევდა. სცადა, იძულებული გაეხადა მისტერ ჰეთფილდი, მის ფერხთით ხელმეორედ გაწოლილიყო, მაგრამ მარცხი იწვნია და სამაგიერო ქედმაღლური გულგრილობითა და მედიდური ზიზღით გადაუხადა, თანაც, მასზე აგდებით და ცხვირაბზუებით ლაპარაკობდა, როგორც ადრე - მის თანაშემწებე. თვითონ მისტერ უესტონს კი წამითაც არ ასვენებდა: შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა, რომ შეხვედროდა, ყველა ხრივს იყენებდა მის მოსახიბლავად, ისე ჭიუტად არ ეშვებოდა, თითქოს თავისი გული სამუდამოდ მისთვის მიეცა და მოკვდებოდა, იგივე რომ არ მიეღო. ასეთი ქცევა ჩემს აღქმას აღემატებოდა. მსგავსი რამ რომანში რომ წამევითხა, სრულიად არაბუნებრივად მომეჩვენებოდა; რომ მომესმინა, ვითიქრებდი, მთხოვობელი ცდება ან ძალჩე აზვიადებს-მეთქი. მაგრამ ამას საკუთარი თვალით ვაკვირდებოდი, ვიტანჯებოდი მის გამო და მხოლოდ იმის თქმა შემეძლო, რომ გადაჭარბებული პატივმოყვარეობა, ლოთობის მსგავსად, გულს ასასტიკებს, გონებას ნისლავს და გრძნობებს აჩლუნგებს; და რომ მხოლოდ ძაღლებს არ ახასიათებს ის, რომ მუცელამოყორილები მრისხანედ იღრინებიან, ოღონდ კი მშიერ თანამოძმეს არ უწილადონ დარჩენილი ულუფა, რომელსაც თვითონ ვეღარ ყლაპავენ.<sup>[5]</sup>

მის მარეი ღარიბების კეთილისმყოფელი გახდა. მან გაათართოა ნაცნობი ღარიბების წრე, უფრო ხშირად სტუმრობდა უბადრუკ ქოხმახებს და დიდხანს რჩებოდა იქ. ამ გზით მათში გულვეთილი და თავმდაბალი ლედის სახელი მოიპოვა და, ცხადია, ისინიც ყოველმხრივ აქებდნენ მას მისტერ უესტონთან, რომელთან შეხვედრის შესაძლებლობაც მის მარეის ახლა უფრო ხშირად ჰქონდა - ხან ერთ ქოხში, ხან მეორეში, ან გზაზე აქეთ-იქით სიარულისას. იმასაც იგებდა, სად აპირებდა წასვლას - ახალშობილის მოსანათლავად, მოხუცების, ავადმყოფების, ობლების თუ მომაკვდავთა სანახავად - და გეგმასაც შესაბამისად ადგენდა. ზოგჯერ დასთან ერთად მიღიოდა,

## ენ ბრონტე

რომელსაც დაიყოლიებდა ან არწმუნებდა, რომ ჩანაფიქრის განხორციელებაში ხელი შეეწყო, ზოგჯერ მარტო გაემართებოდა ხოლმე, მაგრამ მე არასდროს მივყავდი, ასე რომ, მისტერ უესტონის ნახვისა და მისი ხმის მოსმენის - თუნდაც სხვებთან საუბრისას - შესაძლებლობაც მომავლდა, არადა, ეს ჩემთვის ენით აუწერელი სიხარული იყო, იმ ტკიფილის და იარების მიუხედავად, რაც თან ახლდა. ეკლესიაშიც კი ვეღარ ვხედავდი: მის მარეიმ რაღაც უმნიშვნელო საბაბით დაისაკუთრა ოჭახის ძელსკამის ის კუთხე, სადაც ყოველთვის მე ვიჰქექი. ამიტომ, ან კათედრისკენ ზურგით უნდა ვმჯდარიყავი, ან - მისტერ და მისის მარეის შორის, რაც თავისთავად გამოირიცხებოდა.<sup>[SEP]</sup>

ჩემი მოწაფეები ახლა შინაც უჩემოდ მიღიოდნენ. განმიცხადეს, - დედას ურიგო საქციელად მიაჩნია, როდესაც სამნი ფეხით ვბრუნდებით სახლში, კარეტაში კი მხოლოდ ორნი სხედან, თუმცა კარგ ამინდში სეირნობა ისეთი სასიამოვნოა, რომ მშობლების გაცილების უფლებას შენ გაძლევთო.<sup>[SEP]</sup>

- თანაც, - დაამატეს, - ვერ გვეწევით, მუდამ უკან მოდიხართ!<sup>[SEP]</sup>

ვიცოდი, რომ ეს მოგონილი საბაბი იყო, მაგრამ არც შევვამათებივარ და არც უარი მითქვამს, ვინაიდან მშვენივრად ვხვდებოდი, რა ედო სარჩულად.<sup>[SEP]</sup>

იმ ექვსი ღირსსახსოვარი კვირის განმავლობაში ეკლესიაში ერთხელაც არ ვყოფილვარ. როცა გაცივებული ან თუნდაც ოდნავ შეუძლოდ ვიყავი, თანაგრძნობას ამოფარებულები, სახლში დარჩენას მაიძულებდნენ ან მეუბნებოდნენ, რომ მეორედ ეკლესიაში აღარ წავიდოდნენ, ბოლო წუთს კი ისეთ სახეს იღებდნენ, თითქოს გადაიფიქრეს, და ისე ჩუმად მიემგზავრებოდნენ, რომ ვერაფრით ვახერხებდი, დროულად შემეტყო მათი შეცვლილი გეგმის შესახებ.<sup>[SEP]</sup>

ერთხელ, როდესაც ეკლესიაში მორიგი გაპარვის შემდევ შინ დაბრუნდნენ, გაცხოველებით შეუდგნენ მისტერ უესტონთან საუბრის მოყოლას, მისტერ უესტონს ისინი თითქმის პარკის შესასვლელამდე მიეცილებინა.<sup>[SEP]</sup>

- მის გრეი, მან თქვენზე გვკითხა, ავად ხომ არ არისო, - მითხრა მატილდამ, - ავუხსენით, რომ სრულიად ჭანმრთელად ხართ, უბრალოდ, ეკლესიაში წამოსვლა არ მოისურვეთ. ის, ალბათ, იფიქრებს, რომ ცუდად



### იქცევით.<sup>[SEP]</sup>

ყველანაირად ცდილობდნენ, რომ შემთხვევითი შეხვედრა კვირის დანარჩენ დღეებშიც გამოერიცხათ: მის მარეი აუცილებლად გამომიძებნიდა რაიმე დავალებას, რომელიც ერთ თავისუფალ წუთსაც არ მიტოვებდა. საბრალო ნენსი ბრაუნის ან სხვა გაჭირვებულის ნახვასაც ვეღარ ვახერხებდი. ხან ნახატი უნდა დამემთავრებინა, ხან ნოტები გადამეწერა, ხან სხვა საქმე მევეთებინა. პარკში მცირე ხნით გასეირნებას ძლივს ვასწრებდი. ისინი კი შესანიშნავად ატარებდნენ დროს უჩემოდ.<sup>[SEP]</sup>

ერთ დილას მისტერ უესტონს დაუდარაჯდნენ და შინ დაბრუნების შემდეგ, საოცრად გახარებულებმა ჩამიკავლეს მათი საუბრის შინაარსი.<sup>[SEP]</sup>

- მან კვლავ გიკითხათ, - მითხრა მატილდამ, მიუხედავად დის უსიტყვო, მაგრამ მეტყველი მოთხოვნისა, ენაზე კბილი დაეჭირა, - გაუკვირდა, თან რომ არასდროს დაგვყვებით, და ვარაუდი გამოთქვა, რომ სუსტი ჭანმრთელობა გაქვთ, რადგან სახლში გინევთ დარჩენა.<sup>[SEP]</sup>

- მსგავსი არაფერი უთქვამს, მატილდა! რა სისულელეს იგონებ.<sup>[SEP]</sup>

- არა, რომალი, ეს შენ ცრუობ. სწორედ ასე თქვა, შენ კი უთხარი... ოჰ, რომალი... დალახვროს ეშმაკმა!.. ნუ იბწვინები! მის გრეი, რომალიმ მას უპასუხა, რომ ჭანმრთელად ხართ, მაგრამ მუდამ წიგნებში გაქვთ თავი ჩარგული და სხვა სიამოვნებას არ აღიარებთ!<sup>[SEP]</sup>

„რა აზრი ჩამოუყალიბდებოდა ჩემზე!“ - გავითიქრე მე, ხმამაღლა კი ვკითხე.<sup>[SEP]</sup>

- ნენსი თუ მკითხულობს?<sup>[SEP]</sup>

- დიახ. ჩვენ კი ვპასუხობთ, რომ ისე გიყვართ კითხვა და ხატვა, რომ სხვა არაფერი გაინტერესებთ.<sup>[SEP]</sup>

- მაგრამ ეს ხომ ასე არაა. თქვენ რომ გეთქვათ, მთელი დღის განმავლობაში დავავებულია და ამიტომ ვერ გნახულობთო, სიმართლესთან ძალგე ახლოს იქნებოდა.<sup>[SEP]</sup>

- არაფერიც! - გაცხარებით შესძახა მის მარეიმ, - ახლა ძალიან ბევრი თავისუფალი დრო გაქვთ, ვინაიდან გაკვეთილებს თითქმის აღარ გვაძლევთ.<sup>[SEP]</sup>

ასეთ განებივრებულ და ახირებულ ქალიშვილებთან კამათს აზრი არ

## ენ ბრონტე

ჰქონდა, ამიტომ მეტი არაფერი მითქვამს. კარგა ხანია, დუმილს მივეჩვიე, როცა არცთუ სასიამოვნო სიტყვებს მეუბნებოდნენ. სახეზე მშვიდი ღიმილის აფარებაც ვისწავლე, როცა გული სიმწრით მევსებოდა. მხოლოდ მსგავსი გამოცდილების მქონე ადამიანს შეუძლია წარმოიდგინოს, რას ვგრძნობდი, სანამ მოჩვენებითი მხიარული გულგრილობით ვისმენდი მათ მონათხრობს მისტერ უესტონთანმათი შეხვედრებისა და საუბრების შესახებ, რასაც განსაკუთრებული კმაყოფილებით აღმინერდნენ, წვრილმანებსაც ვი მიყვებოდნენ. დარწმუნებული ვიყავი, რომ გამონაგონს თუ არა, გადაჭარბებულ და ღამახინჯებულ სიმართლეს ჰყვებოდნენ - მე ხომ კარგად ვიცოდი მისტერ უესტონის ხასიათი. ყველაფერს მისთვის ღამამცირებლად და თავისთვის, განსაკუთრებით მის მარეისთვის, სასიამოვნო სახით წარმოაჩენდნენ. ოჰ, როგორ მინდოდა, შევკამათებოდი ან თუნდაც ეჭვით შემეხედა მათთვის, მაგრამ ვერ ვბედავდი, მეშინოდა, ჩემი მწველი ინტერესი არ გამეცა. ბევრი რამ, როგორც მეჩვენებოდა და როგორც მეშინოდა, სიმართლე იყო, თუმცა ამ შემთხვევაშიც, მისტერ უესტონის გამო წუხილსა და გოგონების საქციელით აღმფოთებას გულგრილობით ვნიღბავდი. ამას იდუმალი მინიშნებებიც ემატებოდა, რომელთა გამოცნობა საშინლად მინდოდა! SEP

მაგრამ ნებისმიერ შეკითხვას ჩემი საიდუმლოს გაცემა შეეძლო. ასე გადიოდა მოსაწყენი დრო. მე ვი მსგავსი სიტყვებითაც არ შემეძლო თავის დამშვიდება: „არაფერია, მალე მისი ქორწილია, და იმედია...“ SEP

ქორწილიდან მალევე შინ გავემგზავრებოდი, დაბრუნების შემდეგ ვი მისტერ უესტონი აქ, ალბათ, აღარ დამხვდებოდა – როგორც ამბობდნენ, ის და მისტერ ჰეთფილდი ერთმანეთს ვერ უგებდნენ (ცხადია, მისტერ ჰეთფილდის გამო!) და მას სხვა ადგილის მოძებნა უწევდა. SEP

არა! ცხადია, ღმერთის იმედი მქონდა, მაგრამ ჩემი ერთადერთი ნუგეში ის აზრი იყო, რომ მე - დაე, მას ეს არ სცოდნოდა - უფრო მეტად ვიყავი მისი სიყვარულის ღირსი, ვიდრე როზალი მარეი, სილამაზისა და მომხიბლაობის მიუხედავად. მე შემეძლო მისი სულიერი ღირსების დაფასება, მას ვი - არა; მე მთელ ცხოვრებას მივუძღვნიდი იმას, რომ მისთვის ბედნიერება მიმეცა, ის ვი მას სამუდამოდ დაღუპავდა სულელური პატივმოყვარეობის წუთიერი

## აგნეს გრეი



დაკმაყოფილებისთვის. „ოჰ, მას რომ ჩემი გაგება შეეძლოს!“ - შევძახებდი ხოლმე სევდით, - მაგრამ არა, ჩემს გულში ჩახედვის უფლებას ვერ მივცემდი... და მაინც, მას რომ მის მარეის სიცარიელე, მისი უღირსი და უსულგულო თავქარიანობა დაენახა, გადარჩებოდა, მე კი... მე კი თითქმის ბედნიერი ვიქნებოდი, თუნდაც აღარასდროს მენახა! [SEP]

ვშიშობ, საკმაოდ მოვაბეზრე თავი მკითხველს მრავალი სისულელითა და სისუსტით, რაშიც გულწრფელად გამოვუტყდი, მაგრამ მაშინ ისინი არ გამიმხელია და არც იმ შემთხვევაში გავამხელდი, ჩემ გვერდით დედა და მერი რომ ყოფილიყვნენ. მარჯვე და თვალთმაქცი გამოვდექი, თუნდაც მხოლოდ იმაში, რომ ჩემი ლოცვის, ცრემლის, იმედის, შიშისა და ჩივილის შესახებ მხოლოდ მე და ზეცამ ვიცოდით. [SEP]

როდესაც სევდა და წუხილი გვეუფლება ან ისეთი გრძნობები გვტანჯავს, რომელთა დამალვა გვიწევს, ვერც ვეძებთ და ვერც ვპოულობთ ვინმეს თანაგრძნობას და, იმავდროულად, ვერც ვიმარჯვებთ, ხშირად ნუგეშისთვის პოეზიას მივმართავთ ან სხვათა გულისნადებს ვკითხულობთ, რომელიც თითქოს ჩვენი საკუთარი ტანჯვის გამოხატულება იყოს, ან ვცდილობთ, ლექსად ვაქციოთ ფიქრები და გრძნობები. ისინი შესაძლოა, ნაკლებად მუსიკალური იყოს, სამაგიეროდ, უფრო მეტად შეეფერება შემთხვევას, უფრო მეტად ეხმიანება ჩვენს სულიერ მდგომარეობას და, შესაბამისად, უფრო მეტად შეუძლია ტვიცილით სავსე გულის დამშვიდება. ჭერ კიდევ უელფედპაუსში, და აქაც, როდესაც მეტისმეტად მენატრებოდა მშობლიური სახლი, ერთი-ორჯერ მივმართე ამ იდუმალ სამკურნალო წყაროს. ახლა კვლავ დავენაფე მას, ვინაიდან კიდევ უფრო მეტად მჭირდებოდა ტანჯვის გაყუჩება. ჭერაც ვინახავ უწინდელი ტანჯვის მოწმეებს, რომლებიც ამქვეყნიური ჭირ-ვარამის გზაზე საყენებივით აღნიშნავს ღირსშესანიშნავ მოვლენებს. ჩვენი კვალი წაიშალა, გარემომ სახე იცვალა, მაგრამ კვლავაც დგას საყე, რომელიც მისი ყველა გარემოებას მახსენებს. შესაძლოა, მკითხველი დააინტერესოს გულისნადების გამუღავნების ნიმუშებმა, ამიტომ პატარა მაგალითს მოვიყვან. შესაძლოა, სტრიქონები ცივი და დუნე მოგეჩვენოთ, მაგრამ ისინი დიდმა დარდმა გააჩინა. [SEP]

„ოჰ, იმედიც კი წამართვეს. [SEP]

## ენ ბრონტე

ამ სულს მუდამ რომ მითბობდა, [SEP]  
ხმის მოსმენაც ამიკრძალეს, [SEP]  
ყურს საამოდ რომ მიტვიბობდა, [SEP]  
ამიკრძალეს სახის ნახვაც, [SEP]  
ვეღარც ღიმილს ვნახავ შენსას, [SEP]  
სიყვარულის მოპარვაც სურთ, [SEP]  
მიჰყვებიან ბოროტ ნებას, [SEP]  
დე, წაიღონ, ერთი განძი - [SEP]  
გული - მაინც ჩემთან რჩება, [SEP]  
შენზე ფიქრით ანთებული [SEP]  
არასოდეს არ ჩაქრება". [SEP]

დიახ, მათ ეს ვერ წამართვეს - შემეძლო, მასზე დღედაღამ მეფიქრა, შემეძლო, მეგრძნო, რომ ის ღირსი იყო, მასზე ეფიქრათ. ჩემსავით არავინ იცნობდა მას, ჩემსავით ვერავინ აფასებდა, არავის შეეძლო, ჰყვარებოდა იგი ისე, როგორც მე... მეყვარებოდა, ამის უფლება რომ მქონოდა. სწორედ ამაში იყო ჩამარხული მთელი უბედურება. რატომ ვფიქრობ მასზე, ვინც ჩემზე არასდროს ფიქრობს? ეს სულელური საქციელი ხომ არ არის? ეს არასწორი საქციელი ხომ არაა? მაგრამ თუ მასზე ფიქრი ასეთ საოცარ ნეტარებას მჩუქნის, მე კი მას არავის ვუმხელ, არავის ვაბეზრებ თავს - რა არის ამაში ცუდი? აი, როგორ შევითხვებს ვუსვამდი საკუთარ თავს. და მსგავსი მსჯელობა ბორკილებისგან გათავისუფლებაში ხელს მიშლიდა. [SEP]

მართალია, ამ ფიქრებს ნეტარება მოპქონდა, ისინი მტკიცნეული დაშემაწუხებელი, თითქმის მტანჯველი იყო და იმაზე მეტად მვნებდა, ვიდრე მეგონა. კეთილგონიერება და გამოცდილება ასეთ სისუსტეს არ დაუშვებდა. მაგრამ როდესაც ლამპარს აღარ ვუყურებდი და მჩერას ირგვლივ არსებულ დაღვრემილ, ნაცრისფერ, უსიცოცხლო გარემოს, ჩემ წინ მდებარე უღიმდამო, უიმედო ვიწრო ბილიკს მივაპყრობდი, საოცარი სევდა მეუფლებოდა. სასოწარკვეთასა და უიმედობას კარგი არაფერი მოაქვს. საყრდენი ღმერთში უნდა მეძებნა, მისი ნება საკუთარ სურვილად და ცხოვრების აზრად მექცია, მაგრამ რჩმენა სუსტი იყო, ვნება კი - ძლიერი. [SEP]

ამ მძიმე დროს კიდევ ორი უბედურება მეწვია. პირველი, შესაძლოა,

## აგნეს გრეი



წვრილმანად მიმეჩნია, თუმცა მან საკმაო ცრემლი მაღვრევინა: სნეპი, ჩემი ოთხფეხა, ნათელთვალება და საყვარელი მეგობარი, წამართვეს და სოფლის ვირთაგვების მულებს გადასცეს, რომელიც სასტიკად ეპყრობოდა მის ხელში მოხვედრილ ძაღლებს. მეორე უბედურებამ კი სერიოზულად დამამწუხარა. სახლიდან გამოგზავნილ წერილებში სულ უფრო ხშირად მითვლიდნენ, რომ მამას ჯანმრთელობა გაუარესდა. არა, განსაკუთრებულ საფრთხეებები არ წერდნენ, მაგრამ შეშინებული და დათრგუნვილი ვიყავი და რაღაც საშინელის მოახლოებას ვგრძნობდი. მეჩვენებოდა, რომ მშობლიური ბორცვების თავზე შავი ღრუბლები იყრიდა თავს, მრისხანე ქარიშხლის ბუტბუტი მესმოდა, რომელიც, საცაა, თავს დაგვატყდებოდა და ჩვენს კერიას დააცარიელებდა.<sup>[SEP]</sup>

## თავი XVIII -<sup>[P][T][P]</sup> <sub>[SEP][SEP]</sub> მურტი და გლოვა

როგორც იქნა, პირველი ივნისიც მოვიდა და როჩალი მარეი ლედი ეშბი გახდა. საქორწილო კაბაში საოცრად ლამაზი ჩანდა. როდესაც რიტუალის შემდეგ ეკლესიიდან დაბრუნდა, აღელვებისგან განითლებული, საკლასო ოთახში შემოვარდა და, როგორც მომეჩვენა, ნახევრად მხიარულად და ნახევრად უგუნურებამდე მისული სასოწარკვეთილებით გაიცინა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- აჰა, მის გრეი! ახლა ლედი ეშბი ვარ! - შესძახა მან, - ყველაფერი დასრულდა. ჩემი ბედი გადაწყვეტილია, ვეღარათერი შეიცვლება. თქვენი მოლოცვის მისაღებად და გამოსამშვიდობებლად მოვედი. წინ პარიზი, რომი, ნეაპოლი, შვეიცარია და ლონდონი მელოდება. ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენ რამეს ვნახავ და ვავიგებ, სანამ დავბრუნდები! მაგრამ არ დამივიწყოთ. მე მემახსოვრებით, თუმცა საძაგელი გიუმაჟი ვიყავი. რატომ არ მიღოცავთ?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- მოლოცვას მხოლოდ მაშინ შევძლებ, როდესაც მეცოდინება, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალა, მანამდე კი ნამდვილ ბედნიერებასა და ყველანაირ სიკეთეს გისურვებთ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

- აბა, მშვიდობით. ეტლი მელოდება, უკვე მეძახიან.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მან ნაჩქარევად მაკოცა და ვარისკენ გაემართა, მაგრამ უეცრად დაბრუნდა, ისეთი გრძნობით მომეხვია, როგორსაც მისგან არ ვეღოდი, და

## ენ ბრონტე

აცრემლებული გაიქცა. საბრალო! იმ წეთში ვიკრძენი, რომ მიყვარდა, და მთელი გულით შევუნდე ყველა ბოროტება, რომელიც კი მოეყენებინა ჩემთვის... და სხვებისთვის. „მან ხომ არც იცოდა, რას აკეთებდა“ - გავითიქრე და ლოცვა წარმოვთქვი, რათა უფალსაც შეენდო მისთვის.<sup>[5]</sup>

იმ სევდანარევი საზეიმო დღის ბოლომდე აღარავის შევუწუხებივარ. აფორიაქებული, საქმეს გულს ვეღარ ვედებდი და რამდენიმე საათის განმავლობაში წიგნით ხელში დავხეტიალებდი, იმდენს არ ვკითხულობდი, რამდენსაც ვფიქრობდი. საფიქრალი კი ბევრი მქონდა. საღამოს მოპოვებული თავისუფლებით ვისარგებლე და ჩემი ძელი მეგობარი, ნენსი მოვინახულე, რათა ბოდიში მომეხადა იმისთვის, რომ დიდხანს ვერ მოვიკითხე (რაც თითქოს უგულებელყოფასა და გულქვაობაზე მეტყველებდა), ამეხსნა, რომ ამ ხნის განმავლობაში ძალიან დაკავებული ვიყავი, გავსაუბრებოდი, წამევითხა და მუშაობაში დავხმარებოდი - როგორც თვითონ მოისურვებდა, და სანაცვლოდ, იქნებ მისტერ უესტონის სავარაუდო გამგზავრებაზეც გამეგო რამე. თუმცა მან ამის შესახებ არაფერი იცოდა. დავეთანხმე, რომ ეს, შესაძლოა, მხოლოდ ჭორი იყო. მოხუცს ჩემი ნახვა ძალიან გაუხარდა. თვალები, საბედნიეროდ, თითქმის მოურჩა და ჩემი დახმარება ნაკლებად სჭირდებოდა. შევითხვები დამაყარა ქორწილის შესახებ, მაგრამ, სანამ თხოვნას ვუსრულებდი და ღირსშესანიშნავი დღის დეტალებს ვუყვებოდი, ბრწყინვალე მიღებისა და დედოფლის სილამაზის ჩათვლით, იგი შიგადაშიგ ოხრავდა და ამბობდა, ღმერთმა ქნას, ყველაფერი კარგად დასრულდესო. იმ ქორწილში, ჩემსავით, სევდის მიზეზს უფრო ხედავდა, ვიდრე მხიარულებისას. დიდხანს ვიჰქი მასთან და რაზე არ ველაპარაკე, მაგრამ არავინ მოსულა.<sup>[6]</sup>

გამოგიტყდეთ და გითხრათ, რომ დროდადრო კარისკენ გამირბოდა თვალი იმ იმედით, რომ მისტერ უესტონი შემოვიდოდა, როგორც იმ დღეს? და რომ უკან დაბრუნებისას ხშირად ვჩერდებოდი ხან გზაზე, ხანაც მდელოზე და უკან ვიყურებოდი? და რომ იმაზე ნელა მივდიოდი, ვიდრე მმართებდა? და რომ მოწმენდილი ცის მიუხედავად, ცივი საღამო იდგა და როდესაც სახლამდე ისე მივაღწიე, რომ ვერავინ დავინახე, მინდვრებიდან მომავალი მშრომელების გარდა, მწარე იმედგაცრუება და სულიერი სიცარიელე



## ვიგრძენი?

მაგრამ კვირა ახლოვდებოდა. მაშინ ხომ მაინც ვნახავდი მას - მის მარები ჩვენთან აღარ იყო და ჩემს ძველ კუთხეში დაბრუნება შემეძლო. შევხედავდი და მისი სახის გამომეტყველებით დაფასკვნიდი, ძალიან განიცდიდა მის გათხოვებას თუ არა. უდიდესი სიხარული დამეუფლა, როდესაც საეჭვო ვერაფერი აღმოვაჩინე: ზუსტად ისევე გამოიყერებოდა, როგორც ორი თვის წინათ - ძველებური ხმა, სახე და მანერები პქონდა, მის ქადაგებაში კვლავაც უდერდა ღრმა, აუმღვრეველი გულწრფელობა, ძალა, ყოველი სიტყვისა და ჟესტის გულში ჩამნვდომი უბრალოება, რაც მრევლის თვალისა და ყურისკენ კი არა, გულისკენ იყო მიმართული.

მე და მატილდა შინისკენ ფეხით გავემართეთ, მაგრამ ის არ შემოგვიერთდა. ახლა მატილდას გულის გამაწვრილებელი მოწყენილობა და სევდიანი მარტოობა ელოდა: ძმები სკოლაში იყვნენ, და გათხოვდა და სახლიდან წავიდა, საზოგადოებაში გასვლის დრო ჭერ არ დასდგომოდა, თუმცა რომალის მაგალითმა მისი გემო აგრძნობინა, ყოველ შემთხვევაში, განსაზღვრული კლასის ჭენტლენებთან ურთიერთობის გემო. წელიწადის იმ მოსაწყენ დროს აღარც ნადირობდნენ, აღარც ისროდნენ. მართალია, მათში მონაწილეობის მიღება ეკრძალებოდა, მაგრამ ტყის მცველებისა და მწევრებით მიმავალი მამის გაცილება მაინც შეეძლო, მათი დაბრუნების შემდეგ კი იმაზე საუბარი, თუ რომელი და რამდენი ფრინველის მოკვლა მოახერხეს. მატილდას აღარც ის გასართობი შერჩა, რასაც მეტობის, მეჭინიბების, ცხენების, მწევრებისა და სეტერების გარემოცვაში ყოფნა ერქვა. დედამისმა, რომელმაც სოფლური ცხოვრების სირთულეთა მიუხედავად, ხელსაყრელად გაათხოვა უფროსი ქალიშვილი, მისი გულის სიამაყე, გადაწყვიტა, სერიოზული ყურადღება მიექცია უმცროსისთვის. იგი შეაძრუნა მისმა უხეშმა მანერებმა და გემოვნებამ, დაასკვნა, რომ მისი გამოსწორების დრო დადგა, ძალაუფლება გამოიყენა და შვილს მკაცრად აუკრძალა ეზოში, საჭინიბოში, ძაღლების სადგომსა და ეტლების ფარდულში ყოფნა. რასაკვირველია, მატილდას დედის მოთხოვნის შესრულება არც უფიქრია, მაგრამ მისის მარეიმ, რომელიც ადრე შემწყნარებლურად იქცეოდა, საშინელი განრისხება იცოდა, და არ აპირებდა, დაუსჯელად

## ენ ბრონტე

დაეტოვებინა მისი ნება-სურვილის უგულებელყოფა. დედა-შვილს შორის ბევრი ჩხუბის, კამათისა და მძაფრი სცენების შემდეგ, რაც დიდ უხერხულობაში მაგდებდა, დასახმარებლად მოდიოდა მამა, რომელიც დედის აკრძალვის დარღვევას ადასტურებდა, ისიც კი ხედავდა, რომ „ქალიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ მისგან ყოჩაღი ბიჭი დადგებოდა, ისე არ იქცეოდა, როგორც კეთილშობილ ქალიშვილს ევადრება. მატილდა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ უფრო გონივრული იქნებოდა აკრძალული ადგილებისგან თავი შორს დაეჭირა და ფარულად ევლო იქ, ოღონდ ისე, რომ ყურადღებიან დედას არ გაეგო.<sup>[SEP]</sup>“

არ იფიქროთ, რომ ეს მე არ შემეხო და საყვედურსა და გავიცხვას გადავურჩი. გადაკვრით ნათქვამი საყვედური უფრო ღრმა იარებს მიტოვებდა, ვიდრე პირდაპირ ნათქვამი, ვინაიდან თავის გასამართლებლად სიტყვის თქმის უფლებას არ მაძლევდა. ხშირად მიბრძანებდნენ ხოლმე, მის მატილდა სხვა რამით გამერთო და მისთვის დედამისის მოთხოვნები და აკრძალვები შემეხსენებინა. ძალისხმევას არ ვაკლებდი, მაგრამ როგორ შეიძლებოდა გართობა სურვილის საწინააღმდეგოდ და ისეთი საქმიანობის შეთავაზება, რომელიც გულს საერთოდ არ აინტერესებდა? და თუმცა მხოლოდ შეხსენებით არ ვვმაყოფილდებოდი, ჩემი მოკლე შეგონებები შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა.<sup>[SEP]</sup>“

- ღმერთო ჩემო, მის გრეი! განსაცვითრებელია! ვფიქრობ, იმას ვერ მოგთხოვთ, რაც ბუნებამ არ მოგცათ, და მაინც მიკვირს, რომ ვერ ახერხებთ გოგონას ნდობის მოპოვებას ისე, რომ თქვენთან ყოფნა ისევე სიამოვნებდეს, როგორც რობერტის ან ჯოზეფის გვერდით!<sup>[SEP]</sup>“

- მაგრამ ისინი უკეთ ერკვევიან იმაში, რაც მის მატილდას აინტერესებს, - მიუუგე მე.<sup>[SEP]</sup>“

- კარგი, კარგი! დამეთანხმეთ, რომ ცოტა უცნაურია ასეთი აღიარების მოსმენა გუვერნანტის ბაგეთაგან! მაინტერესებს, ვინ უნდა გამოუმუშაოს გემოვნება გოგონას, თუ გუვერნანტი ამას ყურადღებას არ აქცევს? მე ისეთი გუვერნანტები მინახავს, რომელიც მათ მეურვეობაში მყოფი ქალიშვილების დახვეწილ მანერებსა და ზრდილობას თითქოს თავისად მიიჩნევდნენ, და თუ რომელიმე ქალიშვილს უსაყვედურებდნენ, სირცხვილისგან ისინიც

## აგნეს გრეი



წითლდებოდნენ. მოწაფეების მიმართ გამოთქმული უმნიშვნელო შენიშვნაც კი უფრო ამწესრებდათ, ვიდრე თვითონ მათი მისამართით გამოთქმული. და ეს მე სრულიად ბუნებრივად მეჩვენებოდა.<sup>[1]</sup>

- ასე გვონიათ ქალბატონო?<sup>[2]</sup>

- რა თქმა უნდა! გუვერნანტისთვის ახალგაზრდა ლედის მანერები და მოხდენილობა საკუთარზე უფრო მნიშვნელოვანია. ასევე - საზოგადოებისთვის. თუ მას არჩეულ გზაზე წარმატების მიღწევა სურს, მოვალეობის შესრულებას ძალისხმევა არ უნდა დაავლოს. მისი ყველა ფიქრი და აზრი მხოლოდ ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს! როდესაც გუვერნანტის ღირსებებს ვაფასებთ, ბუნებრივია, მის მიერ აღზრდილ ქალიშვილებს ვუყურებთ და მასზე ამის მიხედვით ვმსჯელობთ. კეთილგონიერი გუვერნანტი ამას ხვდება. მან იცის, რომ თვითონ, მართალია, ჩრდილშია, მისი მოწაფეების ღირსებები და ნაკლოვანებები სამზეოზეა გამოტანილი, და რომ წარმატებას მხოლოდ მაშინ მიაღწევს, თუ მათი გონების, მანერებისა და გემოვნების ჩამოყალიბებისას საკუთარ თავს დაივიწყებს. უნდა გითხრათ, მის გრეი, რომ ეს ნებისმიერი პროფესიის წესია: ვისაც სურს, წარმატებას მიაღწიოს, თავის საქმიანობაში მთელი სული და ძალა უნდა ჩააქსოვოს, მაგრამ თუ სიზარმაცესა და ახირებებს აჟყვება, უფრო შრომისმოყვარე მეტოქეები მალე მნიშვნელოვნად გაუსწრებენ. თუკი ერთი მოწაფეს დაუდევრობით ღუპავს, მეორე კი საკუთარი მაგალითით რყვნის, მათ შორის განსხვავება არ არსებობს! მაპატიეთ, ჭკუას რომ გარიგებთ, მაგრამ ხომ ხვდებით, რომ ამას თქვენთვისვე ვამბობ. სხვა ლედი გაცილებით მკაცრად გაგესაუბრებოდათ, ბევრი კი თავსაც არ შეიწუხებდა ლაპარაკით და უსიტყვოდ მოძებნიდა თქვენს შემცვლელს. ეს, ცხადია, ყველზე იოლი გზა იქნებოდა, მაგრამ ვხვდები, რა უპირატესობა აქვს ამ ადგილს თქვენს მდგომარეობაში მყოფი პიროვნებისთვის და არ მინდა თქვენთან განშორება, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ სასაყვედურო არაფერი მექნებოდა, ამ ყველაფერზე რომ დაფიქრებულიყავით და ოდნავ მეტი გულმოდვინება გამოვეჩინათ! მაშინ, ეჭვი არ მეპარება, უმცირეს დროში შეიძენდით იმ დახვენილ ტაქტს, რომელიც ჰარ გავლიათ, რათა სათანადო გავლენა იქონიოთ თქვენს მოწაფეზე.<sup>[3]</sup>

## ენ ბრონტე

მინდოდა, ამ დიდებული ლედისთვის მის მსჯელობაში გაუღერებულ ჩოგიერთ შეუსაბამობაზე მიმენიშნებინა, მაგრამ სიტყვის დამთავრებისთანავე წავიდა. ყველაფერი თქვა, რაც საჭიროდ მიაჩნდა, ჩემი პასუხის მოსმენა კი მის გეგმაში არ შედიოდა. მე უნდა მომესმინა და არ შევვამათებოდი.<sup>[SEP]</sup>

უკვე აღვნიშნე, რომ მატილდა, ბოლოს და ბოლოს, ნაწილობრივ, დამორჩილდა დედის მოთხოვნას (დასანანია, რომ მისის მარეიმ თავისი ძალაუფლება ცოტა ადრე არ გამოიყენა!). მან თითქმის ყველა საყვარელი გასართობი მიატოვა და იძულებული იყო, ან ცხენით ესეირნა გრუმის (ცხენოსანი მხლებელი) თანხლებით, ან ფეხით - გუვერნანტთან ერთად, ან მამის მუშებისა და მოიჭარეების საცხოვრებლებს სწვეოდა, სადაც შეეძლო, თავი შეეცია ბერივაცებთან და დედაბრებთან საუბრით, რომლებიც შინ რჩებოდნენ, სანამდანარჩენები მინდორში მუშაობდნენ. ერთ-ერთი ასეთი გასეირნების დროს მისტერ უესტონს გადავეყარეთ. დიდი ხანია, მასთან შეხვედრაზე ვოცნებობდი, მაგრამ ახლა მომინდა, რომ ის ან მე სადმე სხვაგან ვყოფილიყვავით. გული ისე გამალებით მიცემდა, შემეშინდა, ჩემი გრძნობები არ გამეცა. მაგრამ მან, როგორც მომეჩვენა, არც კი შემომხედა და მაღლე დავმშვიდდი. იგი მოკლედ მოგვესალმა და მატილდას ჰქითხა, დისგან რამე ხომ არ ისმისო.<sup>[SEP]</sup>

- დიახ, - მიუგო მან, - რომალიმ პარიზიდან მოგვწერა, რომ თავს შესანიშნავად გრძნობს და ძალიან ბედნიერია.<sup>[SEP]</sup>

ბოლო სიტყვა მის მატილდამ ხაზგასმით წარმოთქვა და მისტერ უესტონს მოურიდებულად შეხედა, მაგრამ ამ უკანასკნელმა თითქოს ვერაფერი შეამჩნია და სერიოზულად და ასევე ხაზგასმით განაცხადა.<sup>[SEP]</sup>

- ვიმედოვნებ, მომავალშიც ასე გაგრძელდება.<sup>[P]</sup>

- გჯერათ, რომ ასე იქნება? - გავძელე შევითხვის დასმა, ვინაიდან მატილდა თავის ძაღლს გაევიდა, რომელმაც კურდღელი დაათროთხო.<sup>[P]</sup>

- ვერაფერს ვიტყვი, - მიპასუხა მან, - შესაძლოა, სერ თომასი იმაზე უკეთესი აღმოჩნდეს, ვიდრე ვფიქრობდი, მაგრამ იმის მიხედვით, რაც მოვისმინე და დავინახე, მხოლოდ გული თუ დაგვეწყდება, რომ ასეთი ნორჩი, მხიარული და... ერთი სიტყვით, მომხიბლავი არსება, რომლის ყველაზე დიდი და, შესაძლოა, ერთადერთი ნაკლი, როგორც ჩანს, ქარაფშეტობა იყო...

## აგნეს გრეი



დიახ, ეს, ცხადია, სერიოზული ნაკლია, ვინაიდან გზას უხსნის ყველა დანარჩენს და მას, ვისაც ის აქვს, საცდურის წინაშე დაუცველს ხდის... შეგვიძლია, მხოლოდ გული დაგვწყდეს, რომ იგი ასეთ ადამიანს გააყოლეს. ეს, ალბათ, დედამისმა მოინდომა, არა? [SEP]

- დიახ. მაგრამ, ვფიქრობ, თვითონაც. ყოველთვის იცინოდა, როდესაც ვცდილობდი, გადაწყვეტილება შეეცვალა. [SEP]

- ცდილობდით? ასეთ შემთხვევაში, თუ ეს ცუდად დამთავრდა, თავს იმით ინუგეშებთ, რომ ამაში ბრალი არ მიგიძლვით, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, როგორ გაამართლებს თავის საქციელს მისის მარები. მას რომ უფრო ახლოს ვიცნობდე, ალბათ, თავს ვერ შევიგავებდი და მოურიდებლად ვკითხავდი. [SEP]

- დიახ, ეს არაბუნებრივად ჩანს, მაგრამ ზოგიერთს ტიტული და სიმდიდრე ცხოვრებაში უმთავრესად მიაჩნია და ფიქრობს, რომ მოვალეობა პირნათლად მოიხადა, თუ თავისი შვილებისთვის ერთიც მოიპოვა და მეორეც. [SEP]

- მართალს ბრძანებთ. მაგრამ უცნაური არ არის, რომ გამოცდილი, გათხოვილი ქალები ასე არასწორად მსჯელობენ? [SEP]

ამ დროს აქოშინებული მატილდა დაბრუნდა, რომელსაც დაგლეჭილი კურდღლისთვის ხელი ყურებში ჩაევლო. [SEP]

- ამ კურდღლის გადარჩენას აპირებდით თუ მოკვლას? - ჰკითხა მისტერ უესტონმა, რომელიც, როგორც ჩანს, დააბნია ქალიშვილის სიხარულით გაბრწყინებულმა სახემ. [SEP]

- თავი მოვივატუნე, თითქოს გადარჩენა მინდოდა, - გულწრფელად აღიარა მან, - ნადირობის სეზონი ხომ ძალგე შორსაა! მაგრამ გაცილებით საინტერესო იმის ნახვა იყო, თუ როგორ მოუღო მას ბოლო პრინცმა. ორივენი ხედავდით, რომ ვერაფერს გავაწყობდი: პრინცი დაეწია და ზურგი წამში გადაუკვნიტა! საუცხოო სანახაობა იყო, არა? [SEP]

- ძალიან! ლედი ბაჭიას მისდევს! [SEP]

მატილდამ მის პასუხში მსუბუქი სარკაზმი შეამჩნია, მხრები აიჩეჩა, მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა „პმ!“, ჩემკენ მოტრიალდა და მკითხა, ნადირობა თუ მოგეწონათო. მივუგე, რომ ჩემი აზრით, მოსაწონი არაფერი იყო, თუმცა არცთუ ყურადღებით ვაკვირდებოდი. [SEP]

## ენ ბრონტე

- ნუთუ ვერ დაინახეთ, როგორ ხლართავდა გზას მოზრდილი კურდღელივით? ვერც მისი ჭყივილი გაიგონეთ?<sup>P</sup>
- ვერა, თუმცა ეს მიხარია კიდეც.<sup>P</sup>
- ბავშვივით ატირდა.<sup>P</sup>
- საბრალო! ახლა რას უჩამთ?<sup>P</sup>
- სწრაფად ვიაროთ! პირველივე ქოში დავტოვებ. შინ რომ წავიღო, მამა გამიბრაზდება, ძაღლი რომ არ გამოვიხმე.<sup>P</sup>

მისტერ უესტონი უკვე წასულიყო, ჩვენც ჩვენს გზას გავუყევით, მაგრამ როდესაც კურდღელი პირველივე ფერმაში დავტოვეთ და მის სანაცვლოდ შემოთავაზებული კვლიავის ბისკვიტი და მოცხარის ღვინო მივირთვით, კვლავ შევხვდით მას: როგორც ჩანს, თავისი საქმე დაემთავრებინა და უკან ბრუნდებოდა. ხელში მაჩიტების მშვენიერი თაიგული ეჭირა, რომელიც მე გამომიწოდა, თან ღიმილით დაამატა, - მართალია, ბოლო ორი თვის განმავლობაში აღარ ჩანდით, არ დამვიწყებია, რომ მაჩიტები თქვენს საყვარელ ყვავილებს შორის დაასახელეთო. თაიგული ძალგე თავაზიანად გადმომცა, ოღონდ ქათინაურისა და დახვენილი გალანტურობის გარეშე, არც „მოკრძალებისა და მოწინებული თაყვანისცემის“ (იხ. რობალი მარეი) გამომხატველი მჩერა მოუპყრია, მაგრამ მთავარია, რომ ჩემი ნათქვამი უმნიშვნელო სიტყვები არ დავიწყებოდა! ზუსტად ახსოვდა, როდიდან აღარ გვენახა ერთმანეთი!<sup>P</sup>

- როგორც მითხრეს, მის გრეი, - განაგრძო მან, - კითხვის ტრფიალი ყოფილხართ, თანაც ამ საქმიანობაში ისეთი ჩართული, რომ სხვა სიამოვნებას არ სცნობთ.<sup>P</sup>
- დიახ, ასეა! - განაცხადა მის მატილდამ.<sup>P</sup>
- არა, მისტერ უესტონ, არ დაიჭეროთ ეს აღმაშფოთებელი ცილისწამება! ჩვენს ქალიშვილებს გაზვიადება და უსაფუძვლო დასკვნის გამოტანა ახასიათებთ, თუნდაც თავიანთი მეგობრების საზიანოდ. ასე რომ, მათთან წინდახედულება გმართებთ.<sup>P</sup>
- ყოველ შემთხვევაში, ვიმედოვნებ, რომ ეს დასკვნა უსაფუძვლოა.<sup>P</sup>
- რატომ? თუ ქალების განათლების წინააღმდეგიხართ?<sup>P</sup>
- სულაც არა. მაგრამ ვენინააღმდეგები მშვენიერი სქესის იმგვარ



ერთგულებას საქმისადმი, რომელიც სხვა ყველაფერს დაავიწყებთ. ვფიქრობ, განსაკუთრებული გარემოებების გარდა, ზედმეტად გულმოდგინე და უწყვეტი საქმიანობა მხოლოდ დროის უაზრო კარგვაა, რაც, როგორც ხორციელ, ისე სულიერ ჯანმრთელობას ვნებს.<sup>[SEP]</sup>

- ამ ზედმეტობისთვის არც დრო მაქვს და არც მიღრევილება.<sup>[SEP]</sup>

ჩვენ კვლავ დავშორდით ერთმანეთს.<sup>[SEP]</sup>

აბა, რა არის აქ ღირშესანიშნავი? რატომ მოგიყევით ამის შესახებ? იმიტომ, ძვირფასო მკითხველო, რომ ეს შეხვედრა საკმარისი აღმოჩნდა, რათა ჩემთვის სულის სიმხნევით აღვსილი საღამო, ტკბილი ოცნებებით მდიდარი ლამე და იმედიანი დილა ეჩუქებინა. უგუნური სიმხნევე, სულელური ოცნებები, უმიზებო იმედი - იტყვით თქვენ და შევამათებას ვერ გავბედავ, ასეთი ეჭვი ძალზე ხშირად მეც გამჩენია. მაგრამ ჩვენი სურვილები აბედს ჰგავს: გარემოებათა ვაჟი და რვინა ზოგჯერ ისეთ ნაპერწვალს აჩენს, მაშინვე რომ ქრება, ხოლო თუ ჩვენი სურვილების აბედზე მოხვდა, იმედის ცეცხლად იქცევა.<sup>[SEP]</sup>

რა სამწუხაროა, რომ ჩემი იმედის მოციმციმე ალი იმავე დილას ჩაქრა - დედისგან ისეთი წერილი მივიღე, რომ მაშინვე მივხვდი: მამას ავადმყოფობა ისე გაურთულდა, რომ ფეხზე ვეღარ დადგებოდა. თუმცა ჩემი შვებულების დრო შორს აღარ იყო, შემეშინდა, რომ ამქვეყნად მას ვეღარ ვნახავდი. ორი დღის შემდეგ მერიმ მაცნობა, რომ იმედი გადაეწურათ და მისი აღსასრული ახლოვდებოდა. მაშინვე ვთხოვე მისის მარეის, დაუყოვნებლივ წასვლის ნება მოეცა. დაჟინებული თხოვნითა და სითამამით გაოცებულმა მითხრა, რომ ასეთი აჩქარების საბაბი არ მქონდა. ბოლოს, ნებართვა მაინც მომცა, თუმცა დაამატა, რომ აღელვების განსაკუთრებულ მიზეზს ვერ ხედავდა და ეს ყველაფერი ცრუ განგაში აღმოჩნდებოდა, თუ არადა, ასეთი იყო ბუნების კანონი, ოდესღაც ყველანი მოვკვდებოდით და ისე არ უნდა წარმომედგინა, თითქოს მხოლოდ მე დამატებდა თავს უბედურება. შემდეგ დასძინა, რომ მისი განვარგულების თანახმად, ო.-ში ფაეტონით მიმიყვანდნენ. „მწუხარების ნაცვლად, მის გრეი, იმ კეთილდღეობის მადლიერი იყავით, რომლითაც სარგებლობთ. ვინ მოთვლის, რამდენი ღარიბი მღვდელი ცხოვრობდა ამქვეყნად, რომლის სიკვდილმაც მათი ოჯახები მათხოვრობისთვის განირა,

## ენ ბრონტე

თქვენ კი გავლენიანი მეგობრები გყავთ, რომლებიც მზად არიან, კვლავაც მფარველობა გავინიონ და ყურადღება არ მოგაკლონ".<sup>[SEP]</sup>

„ყურადღებისთვის" მადლობა გადავუხადე და ჩემი ოთახისკენ გავიქეცი, რათა სასწრაფოდ მოვმზადებულიყავი. ყველა აუცილებელი ნივთი ჩემს ყველაზე დიდ სკივრში ჩავაწყვე და ქვევით ჩავიტანე. მაგრამ შემეძლო, არც ავჩქარებულიყავი, ჩემ გარდა არავინ ჩქარობდა, დიდხანს ველოდი ფაეტონს. ბოლოს, როგორც იქნა, ჩამოდგა და გჩას გავუდექი, მაგრამ ოჯ, როგორ არ ჰგავდა ეს მშობლიურ სახლში ჩემს წინა დაბრუნებას! ბოლო დილიჟანსს ვერ მივუსწარი და ამიტომ ეტლი ვიქირავე, რომელიც ათი მილის შემდეგ ოთხთვალათი შევცვალე, რადგან მეეტლეს ციცაბო ფერდობებზე გადაადგილება არ სურდა. შინ მხოლოდ საღამოს ათის ნახევრისთვის მივედი, მაგრამ ჩემიანები ჭერ არ დაწოლილიყვნენ.<sup>[SEP]</sup>

დედა და და ჩლურბლზე შემეგებნენ - ნაღვლიანები, მდუმარენი, ფერმკრთალნი... ისეთი დაბნეული და დამფრთხალი ვიყავი, რომ შეკითხვის დასმას ვერ ვბედავდი, რადგან პასუხის მეშინოდა.<sup>[SEP]</sup>

- აგნეს! - როგორც იქნა, წარმოთქვა დედამ. ვხედავდი, როგორ ცდილობდა რაღაც ძლიერ გრძნობას მორეოდა.<sup>[SEP]</sup>

- ოჯ, აგნეს! - შესძახა მერიმ და ატირდა.<sup>[SEP]</sup>

- როგორ არის? - ამოვღერღე.<sup>[SEP]</sup>

- გარდაიცვალა.<sup>[SEP]</sup>

ველოდი ამ პასუხს, მაგრამ მაინც თავზარი დამეცა.<sup>[SEP]</sup>

## თავი XIX - [P][T][P]<sup>[SEP]</sup>წერილი

მამაჩემის ცხედარი აკლდამაში ესვენა, ჩვენ კი, მუქ ტანსაცმელში გამოწყობილები, დაღვრემილი სახით ვისხედით მაგიდასთან, რომელზეც მწირი საუზმე იდო, და ჩვენს მომავალ ცხოვრებას ვგეგმავდით. დედის ძლიერმა ხასიათმა ამ უბედურებასაც გაუძლო. ძლიერი დარტყმა კი მიიღო, მაგრამ წელში არ გადატეხილა. მერის აზრით, მე პორტონ-ლოქში უნდა დავბრუნებულიყავი, დედა კი მასთან გადასულიყო საცხოვრებლად - ამტკიცებდა, რომ ეს მასზე ნაკლებად არც მისტერ რიჩარდსონს უნდოდა. და

## აგნეს გრეი



რომ მშვენივრად მოეწყობოდნენ: დედის საზოგადოება, მისი გამოცდილება მათ ცხოვრებას დაამშვენებდა, თვითონ კი ყველანაირად შეეცდებოდნენ, რომ მას თავი ბედნიერად ეგრძნო. ამაოდ ცდილობდა მის დაყოლიებას. დედას მტკიცედ გადაეწყვიტა, რომ შვილსა და სიძეს ტვირთად არ დასწოლოდა. ოჯ, ცხადია, იცოდა, რომ სიხარულით ეპატიუებოდნენ, მაგრამ ჭანმრთელობასა და ჭანს ჭერ არ უჩიოდა და თავის გატანას თვითონაც მოახერხებდა, რათა არავისგან ყოფილიყო დავალებული, მათგანაც კი, ვინც გულწრფელად ცდილობდა, გვერდში ამოსდგომოდა. მას რომ ფულის გადამხდელი სტუმარივით ეცხოვრა მათ სახლში... ცხადია, დათანხმდებოდა, მაგრამ რადგან ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა, მხოლოდ მცირე ხნით ეწვეოდა ხოლმე. დიდხანს კი მაშინ დარჩებოდა, თუ ავადმყოფობა ან სხვა გასაჭირი მოერეოდა, ყოველ შემთხვევაში, სანამ უძლურება საკუთარი თავის რჩენის შესაძლებლობას არ წაართმევდა.<sup>[5]</sup>

- არა, მერი, - თქვა მან, - თუ შენ და რიჩარდსონს ჩედმეტი ფული გაქვთ, ის თქვენი მომავალი შვილებისთვის უნდა გადაინახოთ, მე და აგნესმა კი საკუთარი თავისთვის თვითონ უნდა შევაგროვოთ თაფლი. იმის წყალობით, რომ სხვის დაუხმარებლად აღვგარდე ჩემი ქალიშვილები, არ დამვიწყებია ის, რაც ვისწავლე. თუ ღვთის ნება იქნება, უსარგებლო მწუხარებასაც გაფუმკლავდები, - აქ დედა გაჩუმდა და ცრემლები მოიწმინდა, რომელიც, მისი მცდელობის მიუხედავად, ლოყებზე მაინც ჩამოსდიოდა, შემდეგ კი თავი მტკიცედ დააქნია, - ძალისხმევას არ დავაკლებ, მჭიდროდ დასახლებულ, ჭანსაღ ადგილას ნორმალური პატარა სახლი მოვძებნო. მასში კეთილშობილ ქალიშვილთა პანსიონს გავხსნით, - თუ ასეთებს მოვიძიებთ, - ასევე, მომსვლელ მოწაფეებსაც ავიყვანთ: რამდენსაც მოგვანდობენ ან რამდენსაც გავწვდებით. ეჭვი არ მეპარება, მამათქვენის ახლობლები და ჩვენი ძველი მეგობრები შეძლებენ და მოწაფეებს გამოგვიგზავნიან ან რეკომენდაციებით დაგვეხმარებიან. ჩემს ახლობლებს კი არ მივმართავ. რას იტყვი, აგნეს? მზად ხარ, შენს ახლანდელ ადგილზე უარი თქვა და დამესმარო?<sup>[6]</sup>

- დიდი სიხარულით, დედა, ჩემ მიერ დაგროვილ ფულს კი ოთახების მოსაწყობად გამოვიყენებთ. დაუყოვნებლივ გამოვიტან ბანკიდან.<sup>[7]</sup>

- დავიცადოთ, სანამ დაგვჭირვებია. ჭერ სახლი უნდა მოვძებნოთ და

## ენ ბრონტე

### ყველაფერი მოვამზადოთ [SEP]

მერიმ შემოგვთავაზა, რომ თავის ფულსაც გვასესხებდა - მთელ თანხას, რაც ჰქონდა, მაგრამ დედამ ეს წინადადება უარყო: თქვა, რომ მხოლოდ საკუთარ სახსრებს უნდა დაფურდნობოდით. მისი გაანგარიშებით, ჩემი ფული ან მისი ნაწილიც ვი, იმასთან ერთად, რის აღებასაც ავეჭის სანაცვლოდ შევძლებდით, აგრეთვე, იმ მცირე თანხის დამატებით, რომლის გადადებაც ჩვენს ძვირფას მამას ვალის დაფარვის შემდეგ მოეხერხებინა, თავისუფლად უნდა გვყოფნოდა აღდგომამდე, იმ დროისთვის ვი, ღვთის შეწევნით, ჩვენი დაუღალავი შრომაც მოიტანდა შემოსავალს. საბოლოოდ, გადავწყვიტეთ მზადებასა და ცნობების მოკრებას დედა დაუყოვნებლივ შესდგომოდა. მე ვი, შვებულების ოთხი კვირის გასვლის შემდეგ, ჰორტონ-ლოქში დავბრუნდებოდი და ჩემი წასვლის შესახებ მაშინ შევატყობინებდი, როცა ჩვენი პანსიონის გახსნისთვის მზადება დასრულდებოდა. [SEP]

ეს საუბარი მამის გარდაცვალებიდან დაახლოებით ორი კვირის თავზე შედგა. ჭერ კვლავაც მაგიდას ვუსხედით, როდესაც დედას წერილი მოუტანეს. დახედა თუ არა, მომაკვდავის საწოლთან გათენებული ღამეებისა და განუქარვებელი დარდისგან ფერდავარგულ სახეზე სისხლი მოაწვა. [SEP]

- მამაჩემისგანაა, - ჩაილაპარავა და კონვერტი აჩქარებით გახსნა. [SEP]

ახლობლები მას მრავალი წლის განმავლობაში არ შეხმიანებიან. ბუნებრივი ცნობისმოყვარეობით ვაკვირდებოდი მის სახეს, სანამ წერილს ვითხულობდა. ჩემდა გასაოცრად, დავინახე, რომ დედამ ტუჩი მოიკვნიტა და გაბრაზებულივით, შუბლი შეიკრა. შემდეგ, ფურცელი მაგიდაზე დააგდო და დამცინავი ღიმილით გვითხრა. [SEP]

- ბაბუათქვენმა თავაზიანობა გამოიჩინა და წერილი მომწერა. ეჭვი არ ეპარება, რომ დიდი ხანია, ვნანობ ჩემს „ბედნავს გათხოვებას“, და თუ ამას დავადასტურებ და ვაღიარებ, რომ ცუდად მოვიქეცი, როდესაც მისი რჩევა ყურად არ ვიღე და ამის გამო დამსახურებულად დავისაჭე, შესაძლებლობას მომცემს, კეთილშობილი ლედი გავხდე - თუ უიმედოდ არ დავეშვი ფსვერზე - და თავის ანდერძში ჩემს ქალიშვილებსაც მოიხსენიებს. მერი, თუ შეიძლება, ბიუვარი (საქადალდე ან რვეული წერილების, კონვერტებისა და მისთანების შესანახად) მომაწოდე და უბრძანე, მაგიდა აალაგონ, დაუყოვნებლივ უნდა

## აგნეს გრეი



ვუპასუხო. მაგრამ ჯერ თქვენ აგიხსნით, რის დაწერას ვაპირებ, ვინაიდან, ამის გამო, შესაძლოა, შეპირებული მემკვიდრეობა ორივემ დაკარგოთ. მივწერ, რომ ცდება, როცა ჰგონია, თითქოს ვნანობ ჩემი ქალიშვილების გაჩენას (ისინი ჩემი ცხოვრების სიამაყე და სიბერეში საიმედო დასაყრდენია!) და იმ ოცდაათ წელიწადს, რომელიც ჩემი ძვირფასი და დაუვიწყარი მეგობრის გვერდით გავატარე. ჩვენი გასაჭირი სამჯერ მძიმე რომ ყოფილიყო (ოღონდ ჩემ გამო არა!), სამჯერ უფრო გამიხარდებოდა, რომ მას მამათქვენთან ერთად ვიზიარებდი და ისე ვანუგეშებდი, როგორც შემეძლო. ბოლო ავადმყოფობას ათქერ მეტად რომ გაეტანჯა, ისევე თავდაუზოგავად მოვუკლიდი და ერთხელაც არ დავიწუნებდი. უფრო მდიდარი ქალი რომ შეერთო, უბედურება და გასაჭირი გვერდს მაინც არ აუკლიდა, მაგრამ ეგოისტურად მჯერა, რომ ჩემზე უკეთ ვერავინ შეუნარჩუნებდა სულის სიმხნევეს. იმიტომ ვი არა, რომ სხვებზე უკეთესი ვარ. არა, მე მისთვის ვიყავი შექმნილი, ის ვი - ჩემთვის. ვერაფრით ვინანებ მასთან ერთად გატარებულ იმ ბედნიერ დღეებს, თვეებსა და წლებს, რომლის მსგავსიც ვერავისთან გვექნებოდა, ვერც იმას ვინანებ, რომ უდიდესი პატივი მერვო, მისთვის ავადმყოფობის დროს მომევლო და გატირვების დროს გვერდში ვყოლოდი. მეთანხმებით, გოგონებო? თუ მივწერო, რომ ძალიან ვწუხვართ ამ ოცდაათი წლის გამო, ჩემს შვილებს ერჩივნათ, სულაც არ გაჩენილიყვნენ ამქვეყნად-მეთქი? მაგრამ რახან ასეთი უბედურება ეწვიათ, ნებისმიერ ნამცეცს მადლიერებით მიიღებენ, რომელსაც ბაბუა უწილადებს-მეთქი? [SEP]

ცხადია, ორივემ დედის გადაწყვეტილებას დავუჭირეთ მხარი. მერიმ თვითონ აალაგა მაგიდა, მე ბიუვარი მივუტანე. წერილი მაშინვე დაიწერა და გაიგზავნა და იმ დღიდან მოყოლებული, ბაბუას შესახებ არაფერი გვსმენია, სანამ მრავალი წლის შემდეგ გაზეთში მისი გარდაცვალების მაუწყებელ განცხადებას არ წავაწყდით - მთელი მისი ქონება, უეჭველია, ჩვენს მდიდარ ბიძაშვილებს ერგო, რომლებიც ცხოვრებაში არასდროს გვინახავს. [SEP]

## თავი XX - [P T P] [SEP] გამომშვიდობება

პანსიონისთვის სახლი ა-ში, მოდურ საზღვაო კურორტზე ვიქირავეთ.

## ენ ბრონტე

ორ-სამ პანსიონერსაც დაგვპირდნენ. მე ჰორტონ-ლოჯში ივლისის შუა რიცხვებში დავბრუნდი, დედა კი ქირავნობის ხელშეკრულების ბოლომდე მისაყვანად, ახალი მოწაფეების მოსაძებნად, ძველი ავეჯის გასაყიდად და ახალი საცხოვრებლის მოსაწყობად დავტოვე.<sup>[5]</sup>

ხშირად გვებრალება ღარიბები, ვინაიდან თავისუფალი დრო არა აქვთ ცხოვრებიდან წასული ძვირთასი ხალხის დასატირებლად - თავს დატეხილი უბედურების სიმძიმის მიუხედავად, გასაჭირი მუშაობას აიძულებს, მაგრამ განა სასარგებლო საქმიანობა საუკეთესო წამალი არაა დარდის გასაქარვებლად და სასოწარკვეთილების დასაძლევად? დიახ, შრომა სასტიკი მანუგეშებელია. როდესაც სიცოცხლის სიხარული ჩვენთვის თავის მომხიბლაობას კარგავს, განა სისასტიკე არაა, ათასი საზრუნავით თავის დამძიმება? და - მუშაობის იძულება, როდესაც აფორიაქებულ სულს მხოლოდ სიმშვიდე და მდუმარებაში ტირილი სურს? მაგრამ განა შრომა არ ჭობია იმ სიმშვიდეს, რომელსაც ვეძებთ? ნუთუ ყოველდღიური საზრუნავი აუნაზღაურებელ დანაკლისზე ფიქრსა და ტირილზე უფრო სამძიმოა? ამასთან, არ შეიძლება ფუსფუსი და წუხილი უიმედოდ, თუნდაც ის იმედი მოსაწყენი სამუშაოს დასრულებას, აუცილებელი საქმის კეთებას ან ახალი უბედურების თავიდან აცილებას უკავშირდებოდეს. მიხაროდა, რომ ბუნებით ენერგიულ დედას ამდენი საქმე გამოუჩნდა. ჩვენი გულკეთილი მეზობლები მას მხურვალედ თანაუგრძნობდნენ - ის, რომელსაც ოდესლაც სიმდიდრეც ეგემა და მაღალ საზოგადოებაში ყოფნაც, ახლა, გაჭირვების ჟამს, ასეთ უკიდურესობამდე მისულიყო! მაგრამ დარწმუნებული ვარ, სამკერ მეტად დაიტანჯებოდა, სიმდიდრე რომ ჰქონოდა და იმ სახლში დარჩენა შესძლებოდა, სადაც ყველაფერი წარსულ ბედნიერებასა და ამასწინანდელ დანაკარგს გაახსენებდა. ფიქრით, კვლავ და კვლავ დაუბრუნებოდა თავს დატეხილ უბედურებას და სასოწარკვეთილებას მიეცემოდა.<sup>[6]</sup>

აღარ აღვწერ, როგორი გრძნობით დავტოვე ძველი სახლი, საყვარელი ბაღი, სოფლის პატარა ეკლესია, რომელიც ახლა ორმაგად ეძვირთასებოდა ჩემს გულს, ვინაიდან მამაჩემი ოცდაათი წლის განმავლობაში ქადაგებდა და ლოცულობდა მის კედლებში, ამჟამად კი მის ფილებქვეშ ეძინა საუკუნო ძილით, და პირქეში, მოშიშვლებული, მკაცრი და, იმავდროულად, მშვენიერი

## აგნეს გრეი



გორაკები ვიწრო ხეობებით, მწვანე კორომებითა და მოჩუხჩუხე წმინდა ნაკადულებით, - სახლი, სადაც დავიბადე, ადგილები, სადაც ბავშვობა გავატარე, სადაც ადრეული წლებიდან მოეყარა თავი ყველაფერს, რაც მიყვარდა... და, აპა, დავტოვე ისინი, რათა იქ აღარასოდეს დავბრუნებულიყავი! მართალია, ჰორტონ-ლოჯში მივდიოდი, სადაც მრავალ უკეთურებას შორის სიხარულის ერთადერთი წყარო მეგულებოდა, მაგრამ ამ სიხარულს მტანჯველი ტვიფილი ერთოდა, ჩემი იქ ყოფნის ვადა კი ექვს თვეში იწურებოდა! თუმცა უძვირთასესი დღეებიც ერთიმეორის მიყოლებით ქრებოდა, მას მხოლოდ ეკლესიაში ვხედავდი! ორი კვირა გავიდა ჩემი დაბრუნებიდან, ჩვენ კი ერთმანეთს ჭერ არ შევხვედროდით. ისინი ჩემთვის უსაშველოდ გაიწელა და ვინაიდან ჩემს დაუდეგარ მოწაფეს გამუდმებით დავყავდი სასეირნოდ, კვლავ და კვლავ მიჩნდებოდა იმედი, რომელსაც მყისვე ენაცვლებოდა სასტივი იმედგაცრუება. „ეს ხომ უდავო მტკიცებულებაა, - ვფიქრობდი მე, - შენ რომ ჭაუა გქონდეს, გვერდიდან შეხედავდი მას და გულწრფელად აღიარებდი, რომ ის შენდამი გულგრილია. ის რომ იმის ნახევარს მაინც ფიქრობდეს შენზე, რამდენსაც შენ ფიქრობ მასზე, აქამდე არაერთხელ გნახავდა - ჰკითხე შენს გულს და ის დაგიდასტურებს! მაშ, დაივიწყე ეს სისულელე! იმედი ნუდარ გექნება! დაუყოვნებლივ ამოიგდე თავიდან მტანჯველი ფიქრები და სულელური სურვილები, მხოლოდ შენს მოვალეობასა და ერთთეროვან, დაცარიელებულ ცხოვრებაზე იფიქრე, რომელიც წინ გელოდება. ნუთუ აქამდე ვერ მიხვდი, რომ ასეთი ბედნიერება საშენო არაა?“<sup>[5]</sup>

მაგრამ ჩვენ მაინც შევხვდით, მოულოდნელად დამეწია, მინდორ-მინდორ ვბრუნდებოდი ნენსი ბრაუნისგან, რომელიც სასწრაფოდ ვინახულე, სანამ მის მატილდა თავის უბადლო ფაშატს დააჭენებდა. მას უკვე სმენოდა ჩემი მძიმე დანაკარგის შესახებ, თუმცა თანაგრძნობა არ გამოუხატავს, არ მოუსამძიმრებია. ჰირდაპირ მკითხა<sup>[6]</sup>:

- დედათქვენი როგორაა?<sup>[7]</sup>

ეს არ იყო თავისთავად ცხადი შეკითხვა, ვინაიდან მასთან არასდროს მიხსენებია, რომ დედა მყავდა. მაშასადამე, ამის შესახებ სხვებისგან გაეგო, და მის შეკითხვაში, ისევე, როგორც კილოში, კეთილმოსურნეობა და ღრმა,

## ენ ბრონტე

გულწრფელი თანაგრძნობა ჟღერდა! თავაზიანობის ყველა წესის დაცვით, მადლობა გადავუხადე და მივუგე, რომ იგი თავს იმდენად კარგად გრძნობდა, რამდენადაც ეს მსგავს ვითარებაში იყო შესაძლებელი.<sup>[P]</sup>

- რის გავეთებას აპირებს მომავალში? - დამისვა მეორე შეკითხვა.<sup>[SEP]</sup>

ბევრს ეს უწესობად მოეჩვენებოდა და ორჭოფულად უპასუხებდა, მაგრამ მსგავსი რამ თავში აზრადაც არ მომსვლია და მოკლედ ვუამბე დედაჩემის გეგმებისა და იმედიანი განწყობის შესახებ.<sup>[SEP]</sup>

- გამოდის, რომ აქედან მალე გაემგზავრებით? - მკითხა მან.<sup>[P]</sup>

- დიახ, ერთი თვის შემდეგ.<sup>[P]</sup>

იგი გაჩუმდა, თითქოს რაღაცაზე ჩაფიქრდა. როდესაც ლაპარავი განაგრძო, მეგონა იტყოდა, რომ ჩემი წასვლა გულს დასწყვეტდა, მან კი თქვა.<sup>[P]</sup>

- ვფიქრობ, აქაურობას ხალისით დატოვებთ, არა?<sup>[P]</sup>

- დიახ, თუმცა მთლად ასეც არაა.<sup>[P]</sup>

- მთლად ასეც არაა? მერედა, რამ შეიძლება, გული დაგწყვიტოთ?<sup>[P]</sup>

შეცდუნებისგან გავძრაზდი კიდეც- აქ დასარჩენად მხოლოდ ერთი მიზეზი არსებობდა, მაგრამ მას ამ საიდუმლოსთან შეხების უფლება არ ჰქონდა.<sup>[P]</sup>

- რატომ ფიქრობთ, რომ აქ ასე ძალიან არ მომწონს?<sup>[P]</sup>

- ეს თვითონ მითხარით, - მიპასუხა პირდაპირ, - უფრო სწორად, თქვით, რომ უმეგობროდ ცხოვრება გიმძიმთ, აქ კი მეგობრები არ გყავთ და არც მათი პოვნის იმედი გაქვთ. თვითონაც ვიცი, რომ შეუძლებელია, აქ ყოფნა მოგეწონოთ.<sup>[P]</sup>

- მე ვთქვი, რომ ვერ ვიცხოვრებდი, ამქვეყნად ერთი მეგობარიც რომ არ მყავდეს-მეთქი. მაგრამ მესმის, რაოდენ არაგონივრული იქნებოდა იმის მოთხოვნა, რომ მეგობარი მუდამ გვერდით მყავდეს. ვფიქრობ, მტრებით სავსე სახლშიც ბედნიერი ვიქნებოდი, თუ... (არა, არა, ამ ფრაზას ვერ გავაგრძელებდი!) თანაც იმ ადგილს, სადაც ცხოვრების ორი-სამი წელიწადი გაატარე, დაუნანებლად ვერ დატოვებ.<sup>[P]</sup>

- მის მატილდასთან, თქვენს ახლანდელ ერთადერთ მოწაფესა და თანამოსაუბრესთან განშორება გულს დაგწყვეტთ?<sup>[P]</sup>

- შესაძლოა. მე მის დასაც სევდიანად დავემშვიდობე.<sup>[P]</sup>

## აგნეს გრეი



- ოქ, ამის გაგება კი შემიძლია.<sup>P</sup>
- მის მატილდა არაფრითაა მასზე ცუდი, ერთ რამეში ჭობს კიდეც.<sup>P</sup>
- მაინც, რაში?<sup>P</sup>
- პირდაპირია.<sup>P</sup>
- ის კი - არა?<sup>P</sup>

- ოქ, ორპირს არ ვუწოდებდი, მაგრამ ზოგჯერ თვალთმაქცობდა.<sup>P</sup>  
- თვალთმაქცობდა? მართლა? შევატყვე, რომ თავნება და პატივმოყვარე  
იყო... ახლა კი, - დაამატა მან ჟაუბის შემდეგ, - მის თვალთმაქცობასაც  
დავიკერებ, თანაც იმდენად დახვეწილს, რომ გულუბრყვილო და  
გულწრფელად მიმნდობი ქალიშვილის შთაბეჭდილებას ტოვებდა, დიახ, -  
განაგრძო ჩაფიქრებული სახით, - აი, რით აიხსნება ზოგიერთი წვრილმანი,  
რომელსაც ადრე ჩიხში შევყავდი.<sup>P</sup>

შემდეგ მან საუბარი ზოგად თემებზე გადაიტანა და თითქმის პარკის  
ჭიშკართან დამემშვიდობა - აშკარად, შორი გზით შემოუარა, რადგან უკან  
გაბრუნდა და მწვანე ღობის მიღმა მიიმალა, რომელსაც აქეთობას ჩავუარეთ.  
ამას სულაც არ ვნანობდი: მხოლოდ ის მწყინდა, რომ მაინც წავიდა, რომ მის  
ხმას ვეღარ გავიგონებდი, რომ ჩვენი ხანმოკლე და საუცხოო საუბარი  
დასრულდა. მას სიტყვაც არ დაუძრავს სიყვარულზე, ალერსსა და მეგობრულ  
სიმპათიაზეც არ მიუნიშნებია, მე კი სიხარულით მაინც ცაში დავთრინავდი. მის  
გვერდით სიარული, მისი ნათქვამის მოსმენა, იმის შეგრძნება, რომ ღირსეულ  
თანამოსაუბრედ მივაჩნდი, რომელსაც მისი აზრების გაგება და შეფასება  
შეეძლო - ესეც საკმარისი იყო.<sup>P</sup>

„დიახ, ედვარდ უესტონ, მე მართლა შემეძლო ბედნიერი ვყოფილიყავი  
მტრებით სავსე სახლში, თუკი ერთადერთი მეგობარი მეყოლებოდა,  
რომელსაც გულწრფელად, ღრმად და ერთგულად ვეყვარებოდი. და თუ ეს  
მეგობარი შენ იქნებოდი, დაე, შორიშორს ვყოფილიყავით, დაე, იშვიათად  
მიგვეღო ერთმანეთისგან ბარათები და კიდევ უფრო იშვიათად  
შევხვედროდით, დაე, მძიმე ჭაფისგან, საზრუნავისა და გაჭირვებისგან მოცლა  
არ მქონოდა - ეს მაინც ისეთი ბედნიერება იქნებოდა, რომელზე ოცნებისაც კი  
მეშინია! და მაინც, ვინ იცის, - განვაგრძე საკუთარ თავთან საუბარი პარკის  
გავლისას, - ვინ იცის, რას მოიტანს თუნდაც ეს ბოლო თვე? ამქვეყნად

## ენ ბრონტე

თითქმის ოცდასამი წელი ვიცხოვრე, ბევრი ვიტანჯე, სიხარული კი იშვიათად განმიცდია. ნუთუ ბოლომდე ასეთი მოღრუბლული ცის ქვეშ უნდა ვიარო? ნუთუ არ შეიძლება, ღმერთმა ჩემი ლოცვა გაიგონოს, ღრუბლები გაფანტოს და მზის სხივებით დამასაჩუქროს? ნუთუ ის უარს მეტყვის ყველა სიკეთებე, რომლებიც ასე უხვად ეძლევა მას, ვინც არ ითხოვს და ვერც კი ამჩნევს, ისე იღებს? რატომ მე არ შემიძლია იმედი ვიქონიო?<sup>[SEP]</sup>

და რაღაც დროის განმავლობაში იმედს არ ვვარგავდი, მაგრამ, სამწესაროდ, დრო იწურებოდა, კვირა კვირას მისდევდა, ის კი მხოლოდ ერთხელ შევამჩნიე შორიდან და მივესალმე, როდესაც მის მატილდასთან ერთად ვსეიორნობდი. სხვაგან არსად მინახავს, ცხადია, ეკლესიის გარდა.<sup>[SEP]</sup>

აი, ბოლო კვირადღეც დადგა და უკანასკნელად დავჭექი ძელსკამზე ჩემს კუთხეში. ქადაგების დროს რამდენჯერმე ლამის ვიტირე - მისი ბოლო ქადაგება, რომელსაც მოვისმენდი, საუკეთესო იქნებოდა მათ შორის, რაც ოდესმე ჩემს ყურს მისწვდებოდა, ამაში ეჭვი არ მეპარებოდა. წირვა დამთავრდა, მრევლი დაიშალა. მეც კარისკენ გავემართე. უკანასკნელად ვხედავდი მას, უკანასკნელად მესმოდა მისი ხმა. დიახ, ალბათ, უკანასკნელად.<sup>[SEP]</sup>

ეკლესიის ეზოში მატილდას მის გრინები მისცვივდნენ. შეკითხვები დააყარეს დისა და არ ვიცი, ვიდევ რის შესახებ. ერთი სული მქონდა, როდის დაამთავრებდნენ ლაპარაკს, რათა სწრაფად დავბრუნებულიყავით ჰორტონ-ლოჯში. იქ კი, ჩემს ოთახში ან ბაღის მოფარებულ კუთხეში, გულს მოვიოხებდი - გამოვიტირებდი ჩვენს განშორებას, ჩემს ცრუ იმედებსა და ტყუილ ოცნებებს. ამ ერთხელაც. შემდეგ კი სამუდამოდ ვიტყოდი უარს ამ სულელურ ოცნებებზე და მხოლოდ ნაცრისფერ, გადაულახავ, სევდიან სინამდვილებზე ვიფიქრებდი. ამ დროს ხმადაბლა ნათქვამი მომესმა.<sup>[SEP]</sup>

- ამ კვირას მიემგზავრებით, მის გრეი?<sup>[SEP]</sup>
- დიახ, - მივუგე მოულოდნელობისგან დაბნეულმა და ალბათ, თავს ვერ შევიკავებდი, ისტერიკისადმიმცირე მიღრევილება მაინც რომ მქონოდა.<sup>[SEP]</sup>
- რა გაეწყობა, - განაგრძო მისტერ უესტონმა, - მინდოდა, დაგმვიდობებოდით, ჩვენ ხომ თქვენს გამგზავრებამდე, სავარაუდოდ, აღარ შევხვდებით.<sup>[SEP]</sup>



- მშვიდობით, მისტერ უესტონ, - ვთქვი მე (ოჰ, რამხელა ძალისხმევა დამჭირდა, რათა ხმა არ ამკანვალებოდა!) და ხელი გავუწოდე. მან ის თავისაში რამდენიმე წამი გააჩერა.<sup>[SEP]</sup>

- ვინ იცის, იქნებ შევხვდეთ კიდეც ერთმანეთს. ეს თქვენთვის სულერთი არ იქნება?<sup>[SEP]</sup>

- ცხადია, არა. ყოველთვის გამიხარდება თქვენი დანახვა.<sup>[SEP]</sup>

უფრო ციფი პასუხის გასაცემად ძალა არ მეყო. მან ალერსიანად მომიჯირა ხელზე ხელი და ერთმანეთს დაფშორდით. მაგრამ კვლავ ბედნიერად ვიგრძენი თავი, თუმცა ცრემლებს ძლივს ვიკავებდი. იმწუთას რამის თქმა რომ დამჭირვებოდა, აუცილებლად ავტირდებოდი. თუმცა, თვალები მაინც სველი მქონდა და მათი შემმრალება დამჭირდა. მის მარეის გვერდით მივდიოდი, თავი ოდნავ გვერდზე მივაბრუნე და შეკითხვებზე არ ვპასუხობდი, სანამ გაბრაზებულმა არ მიყვირა, დაყრუცდით თუ გამოშტერდითო. ფიქრებიდან გამოვერკვიე, მისკენ შევტრიალდი (მოვერიე საკუთარ თავს) და ვკითხე, მგონი რაღაც თქვით-მეთქი.<sup>[SEP]</sup>

## თავი XXI - <sup>[P][T][P]</sup><sub>[SEP][SEP]</sub>პანსიონი

პორტონ-ლოჭიდან პირდაპირ ა-ში გავემგზავრე, სადაც დედა უკვე ჩვენს ახალ სახლში მელოდებოდა. იგი ჭანმრთელად იყო, ბედს შემგუებოდა, ოდნავ გამხიარულებულიც ვი მომეჩვენა, თუმცა მისთვის უჩვეულო სევდიანი თავშეკავებაც შევამჩნიე. ჭერ მხოლოდ სამი პანსიონერი გვყავდა და ექვსი მომსვლელი მოწაფე, მაგრამ იმედი გვქონდა, გულმოლგინებითა და მონდომებით, კარგ სახელს დავიგდებით და მათი რიცხვი გაიზრდებოდა.<sup>[SEP]</sup>

ბეჭითად შევუდექი ახალი მოვალეობების შესრულებას. ახალი-მეთქი, იმიტომ ვუწოდე, რომ დედის ხელმძღვანელობით სწავლება და აღმზრდა სულ სხვა იყო, ვიდრე ამის მცდელობა საცოდავი დაქირავებულის როლში უცხო ადამიანებს შორის, როცა მოხუცი თუ ახალგაზრდა ზიზღით და დამცინავად მოგმართავს. პირველ თვეებში თავს უბედურად სულაც არ ვგრძნობდი. ყურში კვლავ ჩამესმოდა ფრაზები - „ვინ იცის, იქნებ შევხვდეთ კიდეც“ და „ეს თქვენთვის სულერთი არ იქნება?“ - რომლებიც გულს მითბობდა, ფარულად

## ენ ბრონტე

მანუგეშებდა და მეხმარებოდა. „მე მას ვნახავ! ის ჩამოვა ან მომწერს!“ - აი, ასეთ და კიდევ უფრო თავხედურ ფრაზებს ჩამჩურჩულებდა იმედი. იმის ნახევარიც არ მჯეროდა, რასაც მეუბნებოდა, უბრალოდ, თავს ვიკატუნებდი, მაგრამ, როგორც ჩანს, იმედი იმაზე ძლიერ იყო ფესვგადგმული, ვიდრე მეგონა. სხვაგვარად, რატომ ჩამწყდა გულში რაღაც, როდესაც ვარჩე დაავაკუნეს და მოახლემ დედას მოახსენა, რომ მას ვიღაც ჰენტლმენი კითხულობდა? და რატომ გამიფუჭდა ხასიათი დღის ბოლომდე, როცა გაირკვა, რომ შორიახლო მცხოვრები მუსიკის მასწავლებელი მოვიდა და სამსახური შემოგვთავაზა? რატომ შემეკრა სუნთქვა, როდესაც ფოსტალიონმა ორი წერილი მოიტანა და დედამ სიტყვებით, - ავნეს, ეს შენთვისააო, - ერთი მე გამომიწოდა? და რატომ ამივარდა ცხელი სისხლი თავში, როცა ჰენტლმენის ხელით დაწერილ მისამართს მოვკარი თვალი? და რატომ... ოპ, რატომ დამეუფლა საშინელი სასოწარკვეთილება, როდესაც კონვერტი გავხსენი და დავინახე, რომ ეს მხოლოდ მერის წერილი იყო, რომლის გამოგზავნაც რატომდაც ქმრისთვის დაევალებინა?<sup>SEP</sup>

ნუთუ ყველაფერი აქამდე მივიდა? იმედი გამიცრუვდა, როდესაც ჩემი ერთადერთი დისგან წერილი მივიღე, იმიტომ, რომ ის იმ თითქმის უცნობი ადამიანისგან არ იყო? ძვირფასი მერი! ალბათ, როგორი სიყვარულით მჩერდა და ფიქრობდა, რომ გამახარებდა! არა, იმ წერილის წავითხვის ღირსი არ ვიყავი! საკუთარი თავით აღმფოთებული გადავდებდი ვიდეც მას, რათა კეთილგონიერებისთვის მომებმო და მისი ნახვის უფლება მომეპოვებინა, მაგრამ დედა მიყურებდა და აინტერესებდა, შიგ რა ეწერა, ამიტომ მაინც წავიკითხე ბარათი, დედას გადავეცი და საკლასო ოთახში წავედი ჩემს მოწაფეებთან. ვკარნახობდი, მაგალითებს ვამოწმებდი, შეცდომებს ვესწორებდი, სიცელებისთვის ვსაყვედურობდი, გულში კი საკუთარ თავს გაცილებით მკაცრად ვამუნათებდი. „რა სულელი ხარ! როგორ გაძედე, თუნდაც გეოცნება, რომ წერილს მოგწერდა? ასეთი იმედის საფუძველს რა გაძლევს? ან - რომ გნახავდა, შენთვის გაწვალდებოდა? ან საერთოდ გაგიხსენებდა?“ „საფუძველი“ - და აქ იმედმა კვლავ გააცოცხლა ჩვენი ბოლო ხანძოკლე შეხვედრა და ის სიტყვები გაიმეორა, რომლებსაც ასე სათუთად ინახავდა ჩემი გული: „მერე რა, განა ეს რამეს ნიშნავს? განა ოდესმე ვინმე



ასეთ სუსტ ტოტს დაყრდნობია? რა არის მასში ისეთი, რასაც ჩვეულებრივი ნაცნობი არ იტყოდა? სრულიად შესაძლებელია, კვლავ შეხვდეთ ერთმანეთს. თუნდაც ახალ ზელანდიაში გაემგზავრო. ეს არ ნიშნავს, რომ შენთან შეხვედრა განიზრახა. შევითხვის დასმაც ნებისმიერს შეეძლო. შენ კი რით უპასუხე? სულელური, საყოველთაოდ მიღებული ფრაზით, ისე, როგორც, ვთქვათ, მისტერ მარეის ან ვინმე სხვას უპასუხებდი, ვის მიმართაც თავაზიანი მიმართვის ვალდებულება გექნებოდა!“ „მაგრამ, - არ ცხრებოდა იმედი, - მისი კილო? მისი მანერა?“ „სისულელეა! ის ყოველთვის ძალზე მეტყველად ლაპარაკობდა. წინ გრინები და მის მატილდა მარეი იდგნენ, ხალხი მიდი-მოდიოდა, ამიტომ შენთან ახლოს უნდა დამდგარიყო და ხმადაბლა ელაპარაკა, თუ არ უნდოდა, მისი ნათქვამი გაეგონათ. ეს კი არ ენდომებოდა, თუნდაც ისეთი არაფერი ეთქვა!“ „მაგრამ ყველაზე მთავარი - მრავალმნიშვნელოვანი და ალერსიანი ხელის მოჭერა, რომელიც თითქოს ამბობდა: „გჯეროდეთ ჩემი!“ და კიდევ მრავალი, მრავალი სხვა, ისეთი საუცხოო და სასიამოვნო, რომ შენც კი ვერ გაგიმეორებ!“ „ცარიელი, თვითვამაყოფილი გამონაგონი, იმდენად უაზრო, რომ უარყოფაც კი სისულელეა. წარმოსახვის თამაში, რომლისაც უნდა გრცხვენოდეს! შენ რომ საკუთარი შეუხედაობა, მსუსხავი თავშეკავებულობა და სულელური მორცხვობა გაგხსენებოდა, რის გამოც ცივი, მოუხერხებელი, მოსაწყენი და, შესაძლოა, ჭირვეულიც ჩანხარ, ეს ყველაფერი რომ გაგეხსენებინა და აგენონ-დაგენონა, ვერასდროს გაძედავდი ასე თავხედურად გეოცნება. ახლა კი კმარა ამდენი სისულელე! ილოცე სინანულისა და მორჩილებისთვის და მსგავსი რამ არასდროს გაიმეორო!“<sup>17</sup>

დრო გადიოდა, მისტერ უესტონისგან არაფერი ისმოდა და მსგავსი დიალოგები სულ უფრო ხშირად იმართებოდა, სანამ, ბოლოს და ბოლოს, უკანასკნელი იმედიც არ განვდევნე, ვინაიდან ჩემმა გულმაც კი აღიარა, რომ თავს ვიტყუებდი. და მაინც ვფიქრობდი მასზე, გულში მის სახეს ველოლიავებოდი და სათუთად ვინახავდი მეხსიერებაში ყოველ გამოხედვას, ყოველ სიტყვას, ყოველ ჟესტს, რომლებიც მან აღბეჭდა, და ფიქრებში განუწყვეტლივ ვუბრუნდებოდი მის ღირსებას, განსაკუთრებულობას, მოკლედ, ყველაფერს, რითაც მას ჩემი თვალები, სმენა და ფანტაზია

## ენ ბრონტე

ამკობდა. [P]

- აგნეს, მეჩვენება, რომ ზღვის პაერი და გარემოს შეცვლა არ მოგიხდა! ასე დანაღვლიანებული არასდროს მინახავხარ. ზედმეტად დიდხანს ზიხარ ოთხ კედელს შორის და ძალიან ახლოს მიგაქვს გულთან პანსიონის წვრილმანი უსიამოვნებები. უფრო თავისუფლად შეხედე მათ, მეტი სიმხევე და ენერგიულობა გმართებს. ხშირად ისეირნე, ყველაზე მოსაწყენი მოვალეობები კი მე დამიტოვე. ჩემთვის სასარგებლოც კი იქნება საკუთარი მოთმინების გამოცდა და ცოტაოდენი გაბრაზება. [P]

ეს მითხრა დედამ, როდესაც ერთ დიღას, აღდგომის არდადეგებზე ხელსაქმით ვისხედით. მიუგე, რომ მოვალეობები სულაც არ მღლიდა და ჭანმრთელი ვიყავი. და თუ რამე ისე არ იყო, როგორც კი გაზაფხულის მძიმე თვეები ჩაიფლიდა, ყველაფერი უკვალოდ გაქრებოდა და ზაფხულში კვლავაც მხიარულსა და მომაგრებულს მნახავდა. მაგრამ მისმა სიტყვებმა ძალიან შემაშფოთა. ვგრძნობდი, რომ ნელ-ნელა ვსუსტდებოდი, მადა დავკარგე, დაღვრემილობა და მოთენთილობა მომეძალა. რადგან მას არ ვაინტერესებდი და ვეღარასდროს ვნახავდი, რადგან მეკრძალებოდა მის ბედნიერებაზე ზრუნვა, სიყვარულით ტკბობა, მისი დალოცვა და მისგან დალოცვილი ყოფნა, ცხოვრება ტანჯვად მექცა და თუ უფალი თავისთან მიხმობდა, მადლიერებით მოვიპოვებდი სამუდამო სიმშვიდეს. მაგრამ მოვმკვდარიყავი და დედა დამწუხრებული დამეტოვებინა? უგულო და უღირსო შვილო, როგორ შეგეძლო წამითაც კი დაგვიწყებოდა ეს? განა შენ არ გევალება მის სულიერ სიმშვიდეზე ზრუნვა? და ჩვენს ნორჩ მოწაფეებზე ზრუნვა? ნუთუ იმიტომ უგულებელვყოფ ღმერთის მიერ მონიჭებულ მოვალეობებს, რომ სხვა რამ უფრო მიზიდავს? მასზე უკეთ ხომ არავინ იცის, რა უნდა ვაკეთო და სად ვიშრომო? როგორ ვძედავ ოცნებას, რომ ღვთისადმი სამსახური მანამ შევწყვიტო, სანამ დავალებული საქმე არ შემისრულებია; როგორ ვძედავ ოცნებას იმაზე, რომ მისი სასუფეველი დავიმკვიდრო - მანამ, სანამ შრომით არ მომიპოვებია ამის უფლება? „არა! მისი დახმარებით გავმხნევდები და მთელ ძალას მოვალეობის შესრულებას მოვახმარ. თუ ამქვეყნად ბედნიერება არ მიწერია, შევეცდები, ჩემი ახლობლების კეთილდღეობას შევუწყო ხელი და საზღაური იმქვეყნად

## აგნეს გრეი



მივიღო!“ - აი, რა გადავწყვიტე გულში და იმ წუთიდან საკუთარ თავს ედვარდ უესტონზე ფიქრის უფლებას - უფრო სწორად, მისთვის თვალის შევლებას - მხოლოდ ხანდახან ვაძლევდი, განსაკუთრებული ჭილდოს სახით. არ ვიცი, რამ ითამაშა გადამწყვეტი როლი, ზაფხულის დადგომამ, ჩემი გადაწყვეტილების კეთილმა გავლენამ, ყველაფრის მკურნალმა დრომ თუ ყველაფერმა ერთად, მაგრამ სულიერი წონასწორობა მალე აღმიღვა, ფიზიკური ჭანმრთელობაც და საქმიანი სულიც თანდათან, მაგრამ განუხრელად მიძრუნდებოდა.<sup>[5]</sup>

ივნისის პირველ რიცხვებში წერილი მივიღე ლედი ეშბისგან, ქალიშვილობაში მის მარეის სახელით ცნობილისგან. მან ორ-სამჯერ მომწერა საქორწილო მოგზაურობიდან - საუცხოო ხასიათზე მყოფი მამცნობდა, რომ ძალიან ბედნიერი იყო. მივვირდა, სიამოვნებისა და ახალი შთაბეჭდილებების მორევში ჩემი არსებობა რამ გაახსენა-მეთქი, მაგრამ შემდეგ ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა და თითქოს დავავინებდი, რადგან დაახლოებით შვიდი თვის განმავლობაში მისგან სტრიქონიც არ მიმიღია. ცხადია, ამას ჩემთვის გული არ უტკენია, თუმცა საკმაოდ ხშირად ვცდილობდი წარმომედგინა, როგორ ცხოვრობდა. ამიტომ მოულოდნელმა წერილმა გამახარა კიდეც. ეშბი-პარკიდან გამოეგზავნა, სადაც ევროპაში მოგზაურობისა და დედაქალაქში გართობის შემდეგ დაბრუნებულიყო. მრავალჯერ მობოლიშებას - მას ყოველთვის ვახსოვდი, მოწერასაც აპირებდა და ასე შემდეგ, მაგრამ სულ რაღაც უშლიდა ხელს - იმის აღიარება მოჰყვა, რომ ძალგე უშინაარსოდ ცხოვრობდა და მე მას, ცხადია, თავქარიან და ცუდ პიროვნებად მივიჩნევდი, მაგრამ ბევრი ეფიქრა და დაესკვნა, რომ ძალიან უნდოდა ჩემი ნახვა. „უკვე რამდენიმე დღეა, რაც აქ ვცხოვრობთ, - განაგრძობდა ის, - სტუმრები არ გვყავს, საშინელი მოწყენილობაა. ხომ იცით, არასდროს მხიბლავდა ოჯახურ ბუდეში ქმართან ერთად ღუღუნის იდეა, თუნდაც ის ყველაზე საუკეთესო არსება ყოფილიყო მათ შორის, ვისაც კი ოდესმე ფრავი სცმია, ამიტომ შემიბრალეთ და მინახულეთ. თქვენი ზაფხულის არდადეგები, სხვების მსგავსად, სავარაუდოდ, ივნისში დაიწყება და გავვეთილებს ვერ მოიმიჩებეთ. აუცილებლად, უთუოდ უნდა მეწვიოთ, თორემ მოვკვდები. მინდა, მეგობრულად მესტუმროთ და დიდხანს დარჩეთ.

## ენ ბრონტე

როგორც გითხარით, აქ არავინაა, სერ თომასისა და მოხუცი ლედი ეშბის გარდა, მაგრამ მათზე ნუ იფიქრებთ - ისინი თავს არ მოგაბეზრებენ. მშვენიერი ოთახი გექნებათ, სადაც, სურვილის შემთხვევაში, განმარტოებას შეძლებთ. უამრავი წიგნიცაა, თუ ჩემი საზოგადოება მოგწყინდებათ. არ მახსოვს, გიყვართ თუ არა პატარები. თუ - კი, შეგიძლიათ, ჩემი შვილით, ამქვეყნად უმშვენიერესი ბავშვით დატვებთ, მით უმეტეს, რომ ძუძუს არ ვაწოვებ - თავიდანვე მტკიცედ გადავწყვიტე, რომ ამით თავს არ შევიწუხებდი. მხოლოდ ერთი უბედურება გვჭირს: გოგონა გავაჩინე და სერ თომასს ჩემთვის ეს ჭერ არ უპატიებია, მაგრამ თუ მოხვალთ, სიტყვას გაძლევთ, რომ, როგორც კი ენას ამოიდგამს, მისი გუვერნანტი გახდებით და მას ისე აღზრდით, როგორც საჭიროა, რათა დედამისჩე კარგი ქალი გამოვიდეს. პარიზიდან ჩამოყვანილ ჩემს საუცხოო ჰუდელსაც ნახავთ და ორ საუცხოო, ძალიან ძვირად ღირებულ იტალიურ ტილოსაც, ოღონდ ავტორს ვერ ვიხსენებ. ეჭვი არ მეპარება, მათში უდიდეს სილამაზეს აღმოაჩენთ, რომელსაც შემდეგ მე გამანდობთ, რადგან აღფრთოვანება მხოლოდ სხვისი ნათქვამის მიხედვით შემიძლია. კიდევ ათასგვარი საკვირველება და ბრწყინვალე სამშვენისი გვაქვს - ისინი რომსა და სხვა ქალაქებში შევიძინე [SEP]

დაბოლოს, ჩემს ახალ საცხოვრებელსაც ნახავთ - შესანიშნავ სახლსა და პარკს, რომლებზეც ასე ვოცნებობდი! სამწუხაროდ, როგორ აღემატება მოლოდინის ნეტარება ფლობის სიხარულს! რა ჭკუის სასწავლებელი დასკვნაა! გარწმუნებთ, სერიოზულ და დარბაისლურ მატრონად გადავიქცი - გთხოვთ, მეწვიეთ, თუნდაც ამ სასწაულებრივი გარდაქმნის სანახავად. უახლოესი ფოსტით მომწერეთ, როდის იწყება თქვენი არდადეგები და შემატყობინეთ, რომ მომდევნო დღესვე მოემგზავრებით და ბოლომდე აქ გაატარებთ მას, რათა შეიძრალოთ [SEP]

თქვენი მოსიყვარულე, [SEP]

რობზალი ეშბი" [SEP]

ეს უცნაური გზავნილი დედას ვანახვე და ვვითხე, როგორ მოვქცეულიყავი. გამგზავრება მირჩია და ასეც მოვიქცი. მინდოდა, მენახა ლედი ეშბი - და მისი გოგონა - და, შეძლებისდაგვარად, ნუგეშისცემითა და რჩევით დავხმარებოდი, რადგან ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ძალზე უბედური



იყო: სხვაგვარად, მე არ მომწერდა, მით უმეტეს, ასეთი ტონით. იმავდროულად, ადვილი მისახვედრია, ვგრძნობდი, რომ მიწვევაზე დათანხმებით მნიშვნელოვან მსხვერპლს ვიღებდი მისთვის, მრავალი კუთხით ვძალადობდი საკუთარ თავზე და სულაც არ ვიყავი აღფრთოვანებული, რომ ასეთმა მნიშვნელოვანმა პიროვნებამ, ბარონების მეუღლემ, პატივი დამდო და შესაძლებლობა მომცა, მეგობრულად ვწვეოდი. გადავწყვიტე, მასთან მხოლოდ რამდენიმე დღე გამეტარებინა. არ დავმალავ - მანუგემებდა აჩრი, რომ ეშბი-პარვი პორტონთან ახლოს მდებარეობდა და შესაძლოა, მისტერ უესტონი მენახა ან რაიმე შემეტყო მასზე. [SEP]

## თავი XXII -<sup>[P T P] [SEP; SEP]</sup> სტუმრობა

ეშბი-პარვი, უდავოდ, საუკეთესო შთაბეჭდილებას ახდენდა. სახლი კოხტად იყო გარედან და ელეგანტური - შიგნიდან, პარვი ლამაზი და დიდი ჰქონდათ, თუმცა დაბლობზე მდებარეობდა. დიდებული ხეები, ირმების ჭოვი, განიერი ტბა და ხშირი ტყე კი მრავალგზის გამოისყიდვა იმ ბორცვიანობას, პარვის ლანდშაფტს განსაკუთრებულ მომხიბლაობას რომ ანიჭებს. აი, თურმე, როგორი მამულისთვის სურდა როჩალი მარეის „საკუთარი“ ეწოდებინა, თანაც ისე ძალიან სურდა, რომ ნებისმიერ პირობას დათანხმდებოდა, ნებისმიერ ფასს გადაიხდიდა, ოღონდაც მისი თანამფლობელი გამხდარიყო და მისი დიასახლისის ტიტული მიეღო, მიუხედავად იმისა, თუ ვისთან გაიყოფდა ამ უფლების პატივსა და ნეტარებას. არა, ახლა სულაც არ გავიცხავდი ამის გამო. [SEP]

თუმცა ღარიბი მღვდლის შვილი, გუვერნანტი და პანსიონის მასწავლებელი ვიყავი, მან ძალზე თავაზიანად, გულწრფელი სიხარულით მიმიღო და შეეცადა, მის ჭერქვეშ ყოფნას ჩემთვის სიამოვნება მოენიჭებინა, რამაც ოდნავ გამავვირვა კიდეც. მაშინვე შევამჩნიე, რომ ჩემგან ამ დიდებულებისადმი უსაზღვრო აღფრთოვანებასა და მოკრძალებულ მოწინებას ელოდა. გამოგიტყდებით, ცოტა ზიზღს მგვრიდა მისი თვალში საცემი ძალისხმევა, გავემხევებინე, ძალიან არ დავეფრთხე ასეთ ფუფუნებას, ჩედმეტი რიდი და შიში არ მეგრძნო მის მეუღლესა და

## ენ ბრონტე

დედამთილთან შეხვედრის წინ და ჩემი თვინიერი გარეგნობის გამო არ დამერცხვინა. არადა, სულაც არ მიმაჩნდა, რომ რამე სასირცხვილო მქონდა, არ ვცდილობდი, მიმზიდველად წარმომეჩინა თავი, მაგრამ იმაზე კი ვიზრუნე, რომ საკმარისად კარგად ჩამეცვა და ღირსეულად მოვქცეულიყავი. თავს გაცილებით ბუნებრივად ვიგრძნობდი, თუ დიასახლისი მომხიბლავი შემწყნარებლობით არ დაიჟინებდა ჩემში არარსებული სიმორცხვის გაფანტვას. რაც შეეხება მის ირგვლივ არსებულ ბრწყინვალებას, ამან მასში მომხდარ ცვლილებაზე გაცილებით ნაკლებად გამავირვა. არ ვიცი, მიზეზი მაღალი საზოგადოების ცხოვრების სტილი იყო თუ სხვა რამ, მაგრამ ამ თორმეტ თვეს მასზე თორმეტი წელიწადივით ემოქმედა. ფიგურას უწინდელი უმწივლობა დაპარგოდა, სახის ფერს - სინორჩე, მოძრაობას - სიმკვირცხლე, სულს კი - უშრეტი მხიარულება.<sup>სე</sup>

ვითიქრე, ალბათ, უბედური არის-მეთქი, მაგრამ საკუთარ თავს შეკითხვის დასმის უფლებას არ ვაძლევდი. თუ ცოლქმრული გასაჭირის ჩემგან დამალვას ამჯობინებდა, მომაბეზრებელი შეკითხვების დასმის ნაცვლად, ნდობა უნდა მომეპოვებინა. ამიტომ მხოლოდ მისი ჭანმრთელობის მდგომარეობით დავინტერესდი და ქება არ დაგაველი პარკსა და ნამცეცა გოგონას, რომელიც, რატომღაც, ბიჭად არ გაჩნდა. ამ პატარა, შვიდი-რვა თვის ბავშვს დედამისი თითქოს განსაკუთრებული ინტერესისა და სინაზის გარეშე ეპყრობოდა, მაგრამ ზუსტად ისე, როგორც მისგან ველოდი.<sup>სე</sup>

რამდენიმე წუთის შემდეგ მოახლეს დაავალა, ჩემთვის განკუთვნილ საძინებელში წავეყვანე და თვალი მიედევნებინა, რომ არაფერი მომკლებოდა. ეს იყო პატარა, მოკრძალებულად გაწყობილი, მაგრამ საკმაოდ კომფორტული ოთახი. როდესაც ტანსაცმელი გამოვიცვალე, საკუთარ ტუალეტს ის ელეგანტურობა შევძინე, რასაც ჩემი ტიტულოვანი დიასახლისი უნდა დაეკმაყოფილებინა, და ქვევით ჩავედი, მან თვითონ მიჩვენა ის ოთახი, სადაც შესვლა შემეძლო, როცა განმარტოება მომინდებოდა, ან როცა სტუმარი უნდა მიეღო, ან დედამთილთან ერთად მჯდარიყო, ან თუ სხვა მიზეზი გაჩნდებოდა, რაც, მისი თქმით, ჩემთან ყოფნის სიამოვნებას მოაკლებდა. მომეწონა მომცრო, გემოვნებით მოწყობილი სასტუმრო ოთახი და მიხაროდა, რომ ასეთი წყნარი თავშესაფარი



### მექნებოდა<sup>[P]</sup>

- მოგვიანებით ბიბლიოთეკას გაჩვენებთ: ჭერ ერთხელაც არ მინახავს, თაროებზე რა აწყვია, მაგრამ, ცხადია, ტკვიანური წიგნები იქნება და შეგიძლიათ, იმდენი იქექოთ, რამდენიც თქვენს სულს გაუხარდება. ახლა ვი ჩაის მოგართმევენ. მართალია, მალე სადილიც იქნება, მაგრამ გამახსენდა, რომ პირველ საათზე სადილობას მიეჩვით და ფინჯანი ჩაი გესიამოვნებოდათ, ჩვენი ლანჩის დროს ვი ისადილებთ - ასეთ შემთხვევაში, ჩაის ამ ოთახში დალევთ და თავიდან აიცილებთ სერ თომასთან და ლედი ეშბისთან ერთად მაგიდასთან ჭდომას, რაც ცოტა უხერხული იქნებოდა... ანუ, უხერხული ვი არა... ოჰ, ხომ ხვდებით, რისი თქმა მსურს: ვიფიქრე, რომ თავს უხერხულად იგრძნობდით, მით უმეტეს, რომ ჩვენთან ზოგჯერ ნაცნობები სადილობენ...<sup>[SEP]</sup>

- რა თქმა უნდა, - მივუგე მე, - შესანიშნავი გეგმაა. და თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, ვამჯობინებდი, აქვე მესაუზმა და მესადილა.<sup>[P]</sup>

- რატომ?<sup>[SEP]</sup>

- ვფიქრობ, ლედი ეშბისა და სერ თომასს ასე უფრო ესიამოვნებათ.<sup>[P]</sup>

- არა, რას ამბობთ!<sup>[P]</sup>

- ყოველ შემთხვევაში, მე ასე მირჩევნია.<sup>[SEP]</sup>

მან შეპასუხება სცადა, მაგრამ მალევე დამითმო და, როგორც შევატყვე, შვებაც იგრძნო.<sup>[P]</sup>

- ვარგი, ახლა ვი მთავარ სასტუმრო ოთახში წავიდეთ, - თქვა ლედი ეშბიმ, - ხომ გესმით, რომ რევავენ? სადილობისთვის ტანსაცმლის გამოცვლის დროა, მაგრამ რა აზრი აქვს ამის გავეთებას, თუ ვერავინ გნახავს, მე ვი თქვენთან ლაპარაკი მინდა.<sup>[SEP]</sup>

სასტუმრო, უდავოდ, დიდებული და გემოვნებით მოწყობილი იყო, მაგრამ სახლის ახალგაზრდა დიასახლისის მზერა დავიწირე, რომელიც აშვარად აღფრთოვანების გამოხატვას ელოდებოდა, ამიტომ გადავწყვიტე, გულგრილი გამომეტყველება შემენარჩუნებინა, თითქოს განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავდი. მაგრამ მაშინვე სინდისის ქენჭნა ვიგრძენი: „რატომ უნდა გავუცრუო იმედი სულელური სიამაყის გამო? არა, აქობებს, სიამაყე დავივიწყო და სიხარული მივანიჭო“. იქაურობა გულწრფელი

## ენ ბრონტე

აღფრთოვანებით შევათვალიერე და ვუთხარი, რომ უაღრესად ელეგანტური და კეთილშობილური პროპორციების ოთახი იყო. არაფერი უთქვამს, მაგრამ შევამჩნიე, რომ ჩემი სიტყვები გულზე მოეფონა.<sup>SEP</sup>

აბრეშუმის ბალიშზე მოკუნტული მსუქანი ფრანგული პუდელი მაჩვენა და - ორი იტალიური სურათი, რომლის წესიერად დათვალიერების შესაძლებლობა, სხვათა შორის, არ მომცა - განმიცხადა, რომ ამისთვის ვიდევ მექნებოდა დრო. მანამდე კი ჟენევაში ნაყიდი, ძვირფასი ქვებით მოოჭვილი საათი წარმომიდგინა. შემდეგ ოთახი მომატარა და იტალიიდან ჩამოტანილი უამრავი ძვირფასი ნაკეთობა მანახვა: მაგიდის კოხტა საათი, რამდენიმე ბიუსტი, საუცხოო სტატუეტები და ლარნაკები - ყველაფერი თოვლივით თეთრი მარმარილოსგან გამოქანდაკებული. მათზე ლაპარაკისას გამოცოცხლდა და მაგრამ ღიმილი, სხვათა შორის, მალე გაუქრა და სევდიანმა ამოოხვრამ თითქოს თქვა, თუ რაოდენ ცოტას აძლევდა ადამიანის გულს ამგვარი სამშვენისი და რამდენად არ შეეძლო სამკაულს, ხარბი გული ესაზრდოებინა. <sup>P</sup><sup>SEP</sup>

შემდეგ დივანზე დაჭდა და მოსასვენებელ სავარძელზე მიმითითა - არა ბუხრის წინ, არამედ დიდ, ღია ფანჯარასთან, რადგან ზაფხული, არ დაგავიწყდეთ, მხოლოდ ახლა იწყებოდა და ივნისის მიწურულს თბილი და სურნელოვანი საღამო იდგა. ორიოდე წუთი ვდემდი და სუფთა ჰაერითა და მშვენიერი ხედით ვტკბებოდი: მდიდრული მწვანე პარკი მზის ოქროსფერ სხივებში ბანაობდა, თუმცა მიწაზე უკვე მოიწევდა საღამოს გრძელი ჩრდილი. გადავწყვიტე, წუთით მესარგებლა და რამდენიმე შეკითხვა დამესვა, ყველაზე მთავარი კი, როგორც ქალების პოსტკრიპტუმებშია, ბოლოსთვის შემომენახა. თავდაპირველად, მისტერ და მისის მარეის, მის მატილდასა და ახალგაზრდა ჰენტლმენების შესახებ ვკითხე.<sup>SEP</sup>

პასუხად მოვისმინე, რომ მამამისისთვის ნიკრისის ქარს შემოეტია, რის გამოც უფრო მეტად გამძვინვარებულიყო, თუმცა ძვირფას ღვინოებზე და მსუყე სადილ-ვახშამზე უარის თქმას არ აპირებდა და თავის ექიმსაც ეჩხება, რომელმაც გაბედა და უთხრა, რომ, სანამ ამგვარ ცხოვრებას აგრძელებდა, წამლები ვერაფერს უშველიდა, დედა და დანარჩენები ჭანმრთელობას არ უჩიოდნენ. მატილდა ძველებურად დაუდევარი იყო, მაგრამ მისთვის ძალზე

## აგნეს გრეი



დახვეწილი გუვერნანტი დაექირავებინათ, ამიტომ მანერები შედარებით გამოესწორებინა და მალე საზოგადოებაშიც გაიყვანდნენ. ჭონი და ჩარლზი (რომლებიც არდადეგებზე შინ დაბრუნდნენ), როგორც ჩანს, „ჯანმრთელი, თავხედი და ურჩები“ იყვნენ.<sup>[5]</sup>

- სხვები? - ვკითხე მე, - მაგალითად, გრინები?<sup>[5]</sup>

- ამ! მისტერ გრინს გული მოუკლეს, - მომიგო მინაზებული ღიმილით, - მან ჰერაც ვერ დაივიწყა იმედგაცრუება და მგონი, ვერასდროს დაივიწყებს. ალბათ, სიცოცხლის ბოლომდე უცოლშვილოდ დარჩება. მისი დები კი ძალიან ცდილობენ გათხოვებას.<sup>[5]</sup>

- მელთემები?<sup>[5]</sup>

- ვფიქრობ, წყნარად და მშვიდად ცხოვრობენ. მათ შესახებ ცოტა რამ ვიცი, ცხადია, ჰარის გარდა, - მას ვარდისფერმა გადაპირა და კვლავ გაედიმა, - ხშირად ვხედავდი, სანამ ლონდონში ვცხოვრობდით. როგორც კი გაიგო, იქ ვიყავით, მაშინვე მოვარდა ძმის ნახვის საბაბით, ჩრდილივით უკან დამდევდა და ანარეკლივით წინ მხვდებოდა, თუკი სადმე წავიდოდი. ასეთ განცვიფრებულ სახეს ნუ მიიღებთ, მის გრეი. გარწმუნებთ, ძალგე დარბაისლურად ვიქცეოდი, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ შეუძლებელია ხელის შეშლა, როდესაც შენ მიმართ აღფრთოვანებას გამოხატავენ. საბრალო! ჩემი ერთადერთი თაყვანისმცემელი არ ყოფილა, მაგრამ ყველგან მყოფი და, ვფიქრობ, ყველაზე ერთგული კი იყო. ის საზიზღარი... ხი-ხი!.. სერ თომასი კი გაბრაზდა მასზე... თუ ჩემს მფლანგველობაზე... თუ არ ვიცი, რაზე და გაუფრთხილებლად წამომიყვანა სოფელში, სადაც, როგორც ვატყობ, განდეგილად მომინევს ცხოვრების დასრულება.<sup>[5]</sup>

ტუჩი მოიკვნიტა და სახემოღუშულმა მოავლო თვალი იმ სამფლობელოს, რომლის დაპატრონებასაც ასე წინდაუხედავად და მხურვალედ ესწრაფოდა.<sup>[5]</sup>

- მისტერ ჰეთფილდი? - დავინტერესდი მე, - მას რა დაემართა?<sup>[5]</sup>

ლედი ეშბიმ კვლავ გამოიდარა და სიცილით მიპასუხა.<sup>[5]</sup>

- ომ! იგი ერთ შინაბერას მიუჩოჩდა და ცოტა ხნის წინ იქორწინა კიდეც-ქალის მძიმე ქისამ მისი მიმჯვნარი სილამაზე გადასწონა და ახლა ოქროში აპირებს იმ სიამოვნების პოვნას, რომელიც სიყვარულით ვერ მიიღო!

## ენ ბრონტე

ჰა-ჰა-ჰა! [SEP]

- მაშ, ასე, მგონი, ყველა გავიხსენეთ... თუმცა, არა! კიდევ მისტერ უქსტონი დარჩა. ის რას საქმიანობს? [SEP]

- რომ არ დაგიმალოთ, არ ვიცი. იგი პორტონიდან გაემგზავრა. [SEP]

- დიდი ხანია? სად? [SEP]

- მის შესახებ არაფერი მსმენია, - თქვა ლედი ეშბიძ და დაამთქნარა, - მხოლოდ ის ვიცი, რომ ერთი თვის წინათ გაემგზავრა, მაგრამ სად, არ დავინტერესებულვარ (კინაღამ ვკითხე, სხვა ადგილი იშოვა თუ მრევლი მიიღო-მეთქი, მაგრამ დროულად შევიკავე თავი). ყველას ძალიან ენყინა, - განავრძო მან, - რამაც საშინლად აღაშფოთა მისტერ ჰეთფილდი, რომელიც მას ვერ იტანდა, რადგან ღარიბებზე გავლენა ჰქონდა, მას ვი არ ეპირფერებოდა და საკუთარი აზრისდაცვა იცოდა. იყო კიდევ ჩემთვის უცნობი რაღაც უპატიებელი ცოდვები. ახლა ვი ტანსაცმელი უნდა გამოვიცვალო, თორემ ზარს მეორედ დარევავენ და სასაღილო ოთახში ასე რომ გამოვცხადდე, ლედი ეშბი ნოტაციას წამიკითხავს. საშინელებაა, როცა საკუთარ სახლში ვერ დიასახლისობ. დარევეთ და ჩემს მოახლეს დავუძახებ, მათ ვი ვეტყვი, რომ ჩაი მოგართვან. ოჰ, რა აუტანელი ქალია! [SEP]

- ვინ? თქვენი მოახლე? [SEP]

- არა, ჩემი დედამთილი. რომ იცოდეთ, რა საბედისწერო შეცდომა დავუშვი! ქორწილის წინ მან მითხვა, საცხოვრებლად სადმე სხვაგან გადავალო, მე სულელმა ვი, ნაცვლად იმისა, რომ სიტყვაზე დამეჭირა, დარჩენა და მეურნეობის გაძლოლა ვთხოვე. ჟერ ერთი, ვფიქრობდი, რომ აქ დიდხანს არ დავრჩებოდით, მეორეც - ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის გამო შემეშინდა, ბრძანებები რომ უნდა გამეცა, სადილები შემეცვეთა, წვეულებები გამემართა, და ვიფიქრე, გამოცდილია და ამას უკეთ მოახერხებს-მეთქი. რას წარმოვიდგენდი, თუ უზურპატორი, ტირანი, ალქაჭი და ჭამუში გახდებოდა - ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ვი ამქვეყნად საძაგელია! ოჰ, როგორ მინდოდა, რომ მომკვდარიყო! [SEP]

ამ დროს ის ლაქიისკენ შეტრიალდა, რომელიც სარგადაყლაპულივით იდგა ზღურბლზე და უკვე ნახევარი წუთის განმავლობაში ისმენდა მის მხილებას და, ბუნებრივია, შესაბამის დასკვნასაც გამოიტანდა, თუმცა სახეზე

## აგნეს გრეი



ერთი ნაკვთიც არ უტოვავდა, როგორც ბატონების თანდასწრებითაა მიღებული. როდესაც განვარგულება მიიღო და წავიდა, შევნიშნე, ალბათ, ყველაფერი გაიგონა-მეტქი.<sup>[5]</sup>

- ოჟ, ეს არაფერია! - მიპასუხა ლედი ეშბიმ, - ლაქიებს ვერც ვამჩნევ. მოსამართი თოჯინებივით არიან და მეტი არაფერი. რა მათი საქმეა, რას ამბობენ ან აკეთებენ ბატონები. გამეორებას ვერ გაბედავენ და თუ რამეს გაიფიქრებენ, - ცხადია, თუ თავხედობა ეყოფათ, რომ ითიქრონ, - ამას მნიშვნელობა არა აქვს. რა კარგი იქნებოდა, ჩვენი მსახურების გამო პირზე ბოქლომი დაგვედო!<sup>[6]</sup>

ეს თქვა და გაიცა, რათა ტანსაცმელი სახელდახელოდ გამოეცვალა, მე კი თვითონ გავიკვლიე გზა ჩემთვის გამოყოფილი სასტუმრო ოთახისკენ, სადაც დათქმულ დროს ფინჯანი ჩაი მომართვეს. დავლიე და ლედი ეშბის წარსულ და ახლანდელ მდგომარეობასა და მისტერ უესტონის შესახებ მიღებულ მნირ ცნობებზე დავფიქრდი, აგრეთვე იმაზე, რომ, ალბათ, ვერასდროს შევხვდებოდი მას და ვერაფერს შევიტყობდი მასზე ჩემი წყნარი და უღიმდამო ცხოვრების ბოლომდე, რომელიც არჩევანს არ მთავაზობდა, ან თუ მთავაზობდა, მხოლოდ წვიმიან და ღრუბლიან ამინდებს. ბოლოს ფიქრებმა შემაწუხა და ვინანე, რომ დიასახლისის ნახსენები ბიბლიოთეკისკენ მიმავალი გზა არ ვიცოდი. გარდა ამისა, ვერც ის გამერკვია, დაძინებამდე აქ უნდა ვყოფილიყავი თუ არა.<sup>[7]</sup>

იმდენი შეძლება არ მქონდა, რომ საათი მქონოდა, და იმის გაგება, თუ რა დრო გავიდა, მხოლოდ გვერდით ფასადზე მდებარე ფანჯრის მიღმა, ჩრდილების აუჩქარებელი დაგრძელების მიხედვით შემეძლო. აქედან პარკის ერთი ნაწილი ჩანდა: შეჯგუფებული მაღალი ხეები, რომელთა ტოტები ურიცხვ ხმაურიან ჭილყვავს თავშესაფრად გადაექცია, აგურის მაღალი გალავანი და მასიური ხის ჭიშვარი - იქით, როგორც ჩანს, საჭინიბოები იყო, რაღვან პარკიდან მათვენ განიერი გზა მიემართებოდა. გალავნის ჩრდილმა მალე მთელი სივრცე შეავსო, რასაც კი ვხედავდი, მზე უკან იხევდა და მხოლოდ ხის კენწეროებს ავარაყებდა. მალე მათაც დაანვა შორეული გორავების თუ მინის ჩრდილი. შემეცოდა იქ მოფუსფუსე თეთრნისკარტა მობინადრენი, რომელთა თავშესაფარი სულ ცოტა ხნის წინათ საოცარ შუქს

## ენ ბრონტე

გაენათებინა, ახლა კი სამყაროს ყოველდღიურობისთვის დამახასიათებელი პირქუშობა და უღიმდამობა შეეძინა - ანუ, ჩემი სულიერი სამყაროსი. რამდენიმე წამის განმავლობაში სხვებზე მაღლა მოტრიალე ჩიტებს კვლავაც დაპკრავდა შავ ფრთებზე მენამული ელფერი, შემდეგ კი ისიც ჩაქრა. ბნელდებოდა, ჭილყვავები დაშოშმინდნენ, უკვე ვნანობდი, ხვალვე რომ არ მივემგზავრებოდი. როგორც იქნა, წყვდიადმა პირი შეკრა და დარევა დავაპირე, რათა სანთელი მოეტანათ და დასაძინებლად წავსულიყავი, მაგრამ ამ დროს ჩემი დიასახლისი შემოვიდა და ათასჯერ მომიბოდიშა, რომ ამდენ ხანს მარტო დამტოვა, რაც „იმ საძაგელი მოხუცის“ ბრალი იყო.<sup>[SEP]</sup>

- მასთან ერთად სასტუმრო ოთახში რომ არ დავრჩენილიყავი, სანამ სერ თომასი ღვინოს სვამდა, ამას არასდროს მაპატიებდა. თუ ქმრის შემოსვლისთანავე წამოვიდოდი, როგორც ორჯერ უკვე გავაკეთე, კიდევ ერთ სასტიკ საყვედურს დავიმსახურებდი მისი უძვირფასესი თომასის უგულებელყოფის გამო. თვითონ, თურმე, ქმართან ასე უპატივცემულოდ მოპყრობის უფლებას საკუთარ თავს არასდროს აძლევდა. რაც შეეხება სიყვარულს, ახლანდელმა ცოლებმა, არც იციან, ეს რა არისო. თუმცა, ბუნებრივია, მის დროს ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. თითქოს რამე აჩრი ჰქონდეს იქ ჭდომასა და მისი ბუზღუნისა და ჭუკდუნის მოსმენას. კარგ ხასიათზე კი ათასგვარ სისულელეს ამბობს. ზოგჯერ დივანზე ხვრინავს, თუ თავისი გუნება-განწყობილების ღვინოში ჩახრჩობა მოასწრო, რაც ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ხდება. მას ხომ ბოთლთან ერთად ჭდომის გარდა სხვა საქმე არააქვს.<sup>[SEP]</sup>

- ნუთუ არ შეგიძლიათ, ამ ცუდ ჩვეულებას გადააჩვიოთ? უფრო ღირსეული საქმიანობა შესთავაზოთ? დარწმუნებული ვარ, მოხიბვლისა და გართობის თქვენეული უნარისა ბევრ ქალს შეშურდებოდა.<sup>[SEP]</sup>

- და თქვენ ფიქრობთ, რომ ის მე უნდა გავართო? არა, მე ცოლის უფლებებს ასე არ ვუყურებ. ქმარია ვალდებული, ცოლი გაართოს და არა პირიქით. და თუ უკმაყოფილოა მისით და ღმერთს მადლობას არ სწირავს, რომ მისი ხელი მიიღო, მაშასადამე, ცოლის ღირსი არ ყოფილა. ქმრის მოხიბვლას არ ვაპირებ. ჩემთვის ისიც საკმარისია, რასაც მისგან ვიტან, და მისი ხასიათის შეცვლას არ ვცდილობ! მაგრამ ძალიან ვწუხვარ, რომ მარტო



მიგატოვეთ, მის გრეი. როგორ გაატარეთ დრო? [P]

- ძირითადად, ჭილუვავებს ვაკვირდებოდი. [P]
- ოქ, როგორ მოგიწყენიათ! არა, აუცილებლად უნდა განახვოთ ბიბლიოთეკა, და აუცილებლად დარევეთ, როცა რამე დაგჭირდებათ - არაფრის მოგერიდოთ, წარმოიდგინეთ, რომ სასტუმროში გაჩერდით. მინდა, თავი ვარგად იგრძნოთ, თანაც ეგოისტური მიზეზების გამო - რათა აქ უფრო დიდხანს დარჩეთ და დაივიწყოთ ორ-სამ დღეში აბარგების თქვენი საძაგელი განზრახვა. [P]
- თუკი ასეა, სასტუმრო ოთახში დაბრუნებაში ხელს აღარ შეგიშლით, რადგან დავიღალე და დაძინება მინდა. [P]

## თავი XXIII - [P][P] პარკი

მომდევნო დილას სასტუმრო ოთახში რვა საათისთვის ჩავედი, როგორც ეს შორეულ ოთახში საათის რეკვით განვსაზღვრე. საუზმებე არაფერი მიანიშნებდა. ის მხოლოდ ცხრა საათისთვის მოიტანეს. მანამდე კი არაერთხელ ვინატრე, ნეტა ვიცოდე, ბიბლიოთეკა სად არის-მეთქი. მარტოვამ ვისაუზმე, შემდეგ კი გაოცებულმა და გაღიზიანებულმა, საათ-ნახევარი კვლავ უაზროდ გავატარე. როგორც იქნა, ლედი ეშბი გამოჩნდა და მითხრა, რომ საუზმობის დამთავრებისთანავე ჩემთან ერთად პარკში აპირებდა სეირნობას. როდესაც შეიტყო, რომ ადრე ავმდგარიყავი, შეწუხდა და კვლავ დამპირდა ბიბლიოთეკის ჩვენებას. შევნიშნე, რომ ჭობდა ეს ახლავე გაგვევეთებინა, რათა იგივე არ განმეორებულიყო. მაშინ მან იქ წამიყვანა, ოღონდ იმ პირობით, რომ ახლა წიგნებს არც წავიკითხავდი და არც დავათვალიერებდი, ვინაიდან ბაღების ჩვენება და პარკში სეირნობა უნდოდა, სანამ ამის გაკეთება ჭერ კიდევ შეიძლებოდა - ცხელ საათებამდე ბევრი აღარ რჩებოდა. ცხადია, სიამოვნებით დავეთანხმე. [P]

აუჩქარებლად მივუყვებოდით ხეივანს, ჩემი თანამგზავრი მოგზაურობის დროს ნანახსა და გაგონილს მიყვებოდა. უეცრად ცხენოსანი ვაცი დაგვენია, რომელიც შემოტრიალდა და სახეში შემომხედა, ასე რომ, ჩემი მხრივ, მოვასწარი და ვარგად შევათვალიერე: მაღალი, გამხდარი,

## ენ ბრონტე

გაძვალტყავებულიც კი იყო, ოდნავ მხრებში მოხრილი, ფერმკრთალი, ავადმყოფური ლაქებით, უსიამოვნოდ წითელი ქუთუთოებით, შეუხედავი ნაკვთებით, დუნე და მოწყენილი გამომეტყველებით, ოღონდ ბოროტად მოკუმული ტუჩებითა და მქრქალი, არაფრის მთქმელი თვალებით.<sup>[SEP]</sup>

- ოჰ, როგორ მძულს ეს კაცი! - ჩამჩურჩულა ლედი ეშბიმ ხაზგასმით გაბრაზებულმა, როდესაც მხედარი ჩორთით დაგვცილდა.<sup>[P][SEP]</sup>

- ვინ არის ის? - ვკითხე მე. არ მინდოდა მეფიქრა, რომ ასე თავის ქმარზე ლაპარაკობდა.<sup>[SEP]</sup>

- სერ თომას ეშბი! - მიპასუხა უხალისოდ და გულგრილად.<sup>[P][SEP]</sup>

- და თქვენ იგი გძულთ, მის მარეი? - ჩავეკითხე და დაბნეულობისგან ქალიშვილობის გვარით მივმართე.<sup>[P][SEP]</sup>

- დიახ, ვერ ვიტან, მის გრეი, მეზიზლება. მას რომ იცნობდეთ, აღარ დამძრახავდით.<sup>[SEP]</sup>

- მაგრამ თქვენ ხომ იცნობდით მას, სანამ მისთხოვდებოდით.<sup>[P][SEP]</sup>

- არა, მხოლოდ მეჩვენებოდა, რომ ვიცნობდი. რა ვიცოდი, რა იმალებოდა მასში. დიახ, დიახ, თქვენ მაფრთხილებდით, და ვნანობ, რომ არ დაგიჭერეთ. ახლა გვიანაა. დედამ კი თქვენსა და ჩემზე გაცილებით მეტი იცოდა, მაგრამ საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს. პირიქით. მეგონა, რომ მაღმერთებდა და ყველაფრის უფლებას მომცემდა. თავდაპირველად თავს იკატუნებდა, თითქოს მართლა ასე იყო, ახლა კი სულ არ ვაინტერესებ. გამიხარდებოდა, ის რომ ჩაედინა, რაც მოეპრიანებოდა, ოღონდ მეც ჩემს გემოზე მეტარებინა დრო, ლონდონში მეცხოვრა, აქ კი ჩემი მეგობრები დამეპატიურებინა. მაგრამ არა! თვითონ იმას აკეთებს, რაც მოსწონს, მე კი ტყვესა და მონასავით უნდა ვიცხოვო აქ. როგორც კი შეამჩნია, რომ უიმისოდაც ვმხიარულობდი, რომ სხვებმა ჩემი ფასი მასზე უკეთ იცოდნენ, თავკერძა არამზადასავით, კევლუცობასა და მფლანგველობაში დამადანაშაულა და ყოველმხრივ ლანძღავდა ჰარი მელთემს, თუმცა იმის ღირსია, რომ ფეხსაცმელს უწმენდდეს. შემდეგ ძალით წამომიყვანა სოფელში, რათა მონაზვნის ცხოვრებით მეცხოვრა, თითქოს მის შერცხვენას ან გაკოტრებას ვაპირებდი! თითქოს თვითონ ასჯერ უარესად არ იქცეოდეს თავისი ნაძლევებით, დიდ ფულზე თამაშით, ოპერის მომდერლებთან

## აგნეს გრეი



გართობით - ლედი ეს, მისის ის, ღვინის ბოთლებსა და წყალნარევი ბრენდის ჭიქებზე არაფერს ვამბობ! ოჟ, ათი ათას სამეფოს მივცემდი, ოღონდაც კვლავ მის მარეი გავხდე! რა მწარეა შეგრძნება, რომ ცხოვრება, ახალგაზრდობა და სილამაზე ფუჭად იკარგება და ასეთი პირუტვის გამო აღარც ბედნიერებაა და აღარც სიხარული! - შესძახა მან და უძლურებისა და ჭავრისგან ვინაღამ ატირდა.<sup>[SEP]</sup>

ცხადია, ძალიან მებრალებოდა - ვინაიდან ადამიანი, რომელსაც სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ცხოვრება, ასეთი უღირსი აღმოჩნდა, და - იმიტომაც, რომ დიდი ხნის განმავლობაში მცდარი შეხედულება ჰქონდა ბედნიერებასა და საკუთარ მოვალეობაზე. შევეცადე, შეძლებისდაგვარად, მენუგეშებინა და ისეთი რჩევები მიმეცა, რომლებიც, ჩემი აზრით, სარგებლობას მოუტანდა. ჭერ ერთი, მშვიდი მსჯელობით, ალერსით, საკუთარი მაგალითითა და დაყოლიებით უნდა ეცადა ქმრის გულის მოლბობა, შემდეგ კი, როცა ყველაფერს გააკეთებდა, რაც შეეძლო, და დარწმუნდებოდა, რომ მისმა მცდელობამ სასურველი შედეგი ვერ მოიტანა, მისგან თავშესაფარი საკუთარ უმწიველობაში უნდა მოეძებნა და ქმართან დაკავშირებით გულთან ახლოს არაფერი მიეტანა. ვარწმუნებდი, რომ ნუგეში ღვთისა და ხალხის წინაშე მოვალეობის შესრულებაში ეძებნა, ღმერთის იმედი ჰქონდა და საკუთარი თავი ქალიშვილზე ზრუნვისთვის მიეძღვნა. ამისთვის მას ერთიასად მიეზღვებოდა, როდესაც სიხარულს იპოვიდა მის ბავშვურ სიყვარულსა და იმაზე დაკვირვებაში, თუ როგორ იზრდებოდა გოგონა და როგორ უყალიბდებოდა გონება და სული.<sup>[SEP]</sup>

- მაგრამ არ შემიძლია, ჩემი თავი მთლიანად პატარა ბავშვს მივუძღვნა! - შემევამათა ლედი ეშბი, - ის შესაძლოა, მოკვდეს, ეს მოსალოდნელიცაა.<sup>[SEP]</sup>

- სუსტი ახალშობილებისგან ჭანმრთელი ბავშვები იზრდებიან, ამისთვის მხოლოდ სიყვარულით აღვსილი მზრუნველობაა საჭირო, - მივუგე მე.<sup>[SEP]</sup>

- მამამისის მსგავსი რომ გაიზარდოს, მე მას შევიძულებ!<sup>[SEP]</sup>

- არა მგონია. ის ხომ გოგონაა და უკვე ძალიან ჰგავს დედას.<sup>[SEP]</sup>

- ოჟ, სულერთია! ჭობდა, ბიჭი ყოფილიყო, თუმცა, სანამ წამოიზრდებოდა, მამამისი მთელ მემკვიდრეობას გაფლანგავდა. რა არის სასიხარულო, როცა ხედავ, როგორ იზრდება გოგონა, რათა დედა

## ენ ბრონტე

დამჩრდილოს და იმ სიამოვნებით დატვირთვის, რომელიც მე წამართვეს? მაგრამ დავუშვათ, ისეთი სულგრძელი აღმოვჩნდი, რომ მართლა ვიპოვე მასში სიხარული, ის ხომ მხოლოდ ბავშვია, მე კი არ შემიძლია, ბავშვზე დავამყარო მთელი ჩემი იმედი - ეს ხომ მხოლოდ ოდნავ იმაზე უკეთესია, რომ ცხოვრება ძაღლს მიუძღვნა? კეთილგონიერება და სათნოება, რომელთა გაღვიძება ასე გსურდათ ჩემში, გეთანხმებით, ძალზე სანაქებო თვისებებია, და ოცი წლით უფროსი რომ ვიყო, თქვენი რჩევები, ალბათ, ძალიან გამომადგებოდა, მაგრამ ახალგაზრდობა სიამოვნებისთვის გვეძლევა და როგორ არ მძულდეს ისინი, ვინც ჩვენ მას გვართმევს? [۲]

- უდიდესი სიამოვნებაა საკუთარი მოვალეობის შესრულება და ის, რომ არავინ გძულდეთ. რელიგიის მიზანი ის კი არ არის, რომ სიკვდილი გვასწავლოს, არამედ - სიცოცხლე. და რაც უფრო ადრე გახდებით კეთილგონიერი და სათნოებას შეიყვარებთ, მით მეტ ბედნიერებას მოიპოვებთ. ახლა კი, ლედი ეშბი, მინდა, ბოლო რჩევა მოგცეთ: შეეცადეთ, თქვენს დედამთილს ისე არ უყუროთ, როგორც მტერს. ნუ დაეჩვევით მისგან თავის შორს დაჭერას და ნუ გაქვთ მისდამი უნდობლობა. მე ის არასდროს მინახავს, მაგრამ მის შესახებ ცუდის გარდა, კარგიც მსმენია. თუმცა თავი ცივად, ქედმაღლურად უჭირავს და შარიანი ქალია, ასე მგონია, რომ შეუძლია გულწრფელად დაუახლოვდეს და უერთგულოს მათ, ვინც ასეთ დაახლოებასა და ერთგულებას ეძებს. დიახ, ბრმად უყვარს შვილი, მაგრამ, ჩემი აზრით, მტკიცე პრინციპები აქვს და მოსაზრებათა მოსმენაც შეუძლია. თუ ცდით და მის შესახვედრად ნაბიჯს გადადგამთ, მასთან რბილი და გულდია იქნებით და საკუთარ წუხილსაც კი გაანდობთ - ოღონდ ნამდვილს, რომელზეც უფლება გაქვთ, დაიწუნუნოთ, - დარწმუნებული ვარ, მალე იგი თქვენი ჭეშმარიტი მეგობარი, ნუგეშისმცემელი და დასაყრდენი გახდება, თქვენ მიერ აღწერილი კუდიანი დედაბრისგან აღარაფერი დარჩება. [۳]

ვშიშობ, ჩემმა რჩევებმა საბრალო ახალგაზრდა ლედიზე ვერ იმოქმედა. როდესაც მივხვდი, რომ მას სარგებლობას ვერ მოვუტანდი, ეშბი-პარვში ყოფნა ჩემთვის ორმაგად სამძიმო გახდა. დაპირებისამებრ, ის და მომდევნო დღეები იქ დავრჩი, მაგრამ ჩემი ვიზიტის გახანგრძლივება ვერც დარწმუნებამ შეძლო და ვერც მაცდუნებელმა დაპირებამ, და მეოთხე დღეს, დილით,



გამოვემგზავრე. მიზეზად მოვიტანე, რომ დედა მოუთმენლად ელოდა ჩემს დაბრუნებას და არ მინდოდა, კვლავაც მარტო ყოფილიყო. როდესაც საბრალო ლედი ეშბის დავემშვიდობე და იგი თავის მდიდრულ სახლში დავტოვე, გულზე თითქოს ლოდი მედო. სხვა რა მტკიცება სჭირდებოდა იმას, თუ რა უბედური იყო საბრალო, თუ მას ჩემთან სიახლოვე ანუგეშებდა, თუ იმ ადამიანთან ურთიერთობას ებღაუჭებოდა, ვინც არ ახსოვდა მაშინ, როცა თავს ბედნიერად გრძნობდა, ვისი გემოვნება და აზრები მისთვის არაფერს ნიშნავდა და ვისი ყოფნაც დაბრკოლება უფრო იქნებოდა, ვიდრე სიამოვნება, მას რომ თავისი სურვილების ნაწილი მაინც აესრულებინა.<sup>[P]</sup>

## თავი XXIV - [P T P] ქვიშიანი პლაჟი

ჩვენი პანსიონი ა-ს ცენტრში კი არ მდებარეობდა, არამედ მის ჩრდილო-დასავლეთ შესასვლელთან, სადაც განიერი გზის ორივე მხარეს რესპექტაბელური სახლები იყო ჩამწკრივებული, ვიწრო ბაღჩებით, ფანჯრებზე ჟალუზებით, ათიოდე საფეხურითა და სპილენძისსახელურიანი კოხტა კარებით. ერთ-ერთ ასეთში, ყველაზე დიდში, მე და დედა ვცხოვრობდით, აგრეთვე ის ქალიშვილები, რომლებიც მეგობრებმა ან უცხო ადამიანებმა აღსაბრდელად მოგვანდეს. ზღვისგან ქუჩისა და სახლისგან შემდგარი ბევრი ლაბირინთი გვაშორებდა, მაგრამ მიყვარდა ზღვა და ხშირად სიხარულით გავივლიდი ხოლმე მთელ ქალაქს, რათა მის სიახლოვეს მესეირნა მოწაფეებთან ან არდადეგების დროს - დედასთან ერთად. ზღვა წელიწადის ნებისმიერ დროს, ნებისმიერ საათს აღმაფრთოვანებდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ტალღები ზაფხულის მზიან დილას ძლიერ ბრიზში ცეკვავდნენ.<sup>[P]</sup>

ეშბი-პარკიდან დაბრუნების მესამე დღეს ალიონზე გამეღვიძა, როგორც კი მზის პირველმა სხივებმა ჟალუზებიდან ოთახში შემოაღწია და გავითიქრე, რომ სასიამოვნო იქნებოდა წყნარი ქუჩების გავლა და ნაპირზე გასეირნება, სანამ მთელ სამყაროს ეძინა. გავითიქრე და გადავწყიტე, ასეც მოვქცეულიყავი. ცხადია, დედის გაღვიძება არ მინდოდა, ამიტომ უჩუმრად, თითის წვერებზე ჩავედი ქვევით და ურდეული ფრთხილად გავწიე. როდესაც

## ენ ბრონტე

გარეთ გავედი, ეკლესიის საათმა რეკვით მამცნო, რომ ექვსი საათის დადგომას თხუთმეტი წუთი აკლდა. ქუჩებშიც კი იგრძნობოდა მაცოცხლებელი სივრილე, მაგრამ როდესაც ქუჩები უკან მოვიტოვე, ფეხი ქვიშაზე დავდგი და თვალშინ გაბრნყინებული ზღვის უბე გადაიშალა... არა, სიტყვები არ მეყოფა, აღვნერო ლაჟვარდოვანი ცა და ზღვა, დილის მზის სხივებში მობანავე ციცაბო ფლატები და მათ ზემოთ მწვანე ბეჭობების მწვრივი, მოსწორებული თეთრი ქვიშა, ბალახით დაფარული კუნძულების დარად, წყალმცენარეებითა და ხავსით მორთული დაბალი კლდეები და, რაც მთავარია - ნაპერწკლებით დაწინწკლული მოელვარე ტალღები! ენით აუწერელი, სუფთა და გამჭვირვალე ჰაერი! მზე ზუსტად იმ ძალით ათბობდა, რომ ბრიზი სასიამოვნო გაეხადა, ის კი, თავის მხრივ, იმ ძალით უბერავდა, რომ ზღვას ეცეკვა და აქაფებული, თითქოსდა აღფრთოვანებული ტალღები ქვიშასთან სათამაშოდ გამოეგორებინა. ჩემ გარდა, სულიერი არსად ჭაჭანებდა. მხოლოდ ჩემი კვალი მოჩანდა ღამის მოქცევით მოსწორებულ და მოტკეპნილ ქვიშაზე, რომელსაც ალაგ-ალაგ აჭავლებული გუბეები და ნაღვარევი დაეტოვებინა.<sup>[5]</sup>

მივდიოდი და სიხარულით აღტყინებულს ყველა საზრუნავი დამვიწყებოდა - მეჩვენებოდა, რომ ფეხებზე ფრთხები გამომჩრდოდა და თუნდაც ორმოც მიღს გავივლიდი დაუღლელად, შორეული ბავშვობის დღეების შემდეგ აღარ განმიცდია ასეთი მაცხონებელი სიმხნევე. მაგრამ შვიდის ნახევრისთვის მეჯინიბები გამოჩნდნენ სასეირნოდ გამოყვანილ ცხენებთან ერთად და მალე ექვსი მხედარი დავთვალე. თუმცა ეს არ მანაღვლებდა, რადგან უკვე მივაღწიე ქვებს, სადაც ცხენებს არაფერი ესაქმებოდათ.<sup>[6]</sup>

თავდაპირველად, სველ, სრიალა წყალმცენარეებზე მივაბიჯებდი. ფეხი რომ ამსხლტომოდა, გამჭვირვალე მარილიან ჰატარა ტბაში მოვადენდი ზღართანს, შემდეგ ხავსით დაფარულ კონცხზე გავედი. იქეთ-იქიდან ჰატარა ტალღები ტლაშუნობდა. უკან მივიხედე, რათა მენახა, ვიდევ ხომ არ შემოემატა ვინმე ნაპირს, მაგრამ იმავე ექვსი მხედრის გარდა, შორს მხოლოდ მამაკაცის ფიგურა მოჩანდა, რომლის წინაც ძაღლი მირბოდა თუ გორგალი მიგორავდა, და ვიდევ, წყლის დამტარებელი ეშვებოდა

## აგნეს გრეი



გვერდობზე თავისი კასრით, რათა აბაზანისთვის წყალი აეღო. კიდევ რამდენიმე წუთი და ბორბლებზე შემდგარი საბანაო კაბინები ამოძრავდებოდა, სასეირნოდ ხანდაზმული დარბაისელი ჰენტლმენები და მეტისმეტად თავდაჭერილი კვაკერი (კვაკერი - ინგლისსა და აშშ-ში გავრცელებული ერთ-ერთი ქრისტიანული სექტის წევრი) ქალები გამოვიდოდნენ. მაგრამ როგორი თავშესაქცევიც უნდა ყოფილიყო სანახაობა, მზისა და ტალღების ელვარებამ ისე დამაბრმავა, რომ მხოლოდ ერთადერთხელ გავიხედე იქით, შემდეგ კი შევტრიალდი და ზღვას ვუყურებდი და ვუსმენდი. ის კი ჩემი კონცხისკენ მოგორავდა, წყალქვეშა რიფებსა და წყალმცენარეთა გროვებზე სუსტდებოდა, თორემ შეფებისგან უკვე სველი ვიქნებოდი. ამასობაში მოქცევაც დაიწყო, წყალი წინ მოიწევდა, პატარ-პატარა ტბები და გუბეები კვლავ ივსებოდა, ნაღვრევები ფართოვდებოდა და დრო იყო, უფრო უსაფრთხო ადგილას გადავსულიყავი. სრიალითა და ბორძივით მყარ, მოსწორებულ ქვიშაზე გადავედი, მაგრამ გადავწყვიტე, ჰერ ფლატემდე მიმეღწია და უკან მერე გამოვბრუნებულიყავი! [SEP]

უეცრად უკნიდან ქშენა შემომესმა და ფეხებში რაღაც არსება გამებლანდა, რომელიც მთელი სხეულით იკლავნებოდა... სნეპი! ჩემი პატარა, მუქი, უხეშეწვიანი ტერიერი! სახელით მივმართე და წკმუტუნით სცადა, ჩემთვის სახე აელოვა. მასზე არანაკლებ გახარებულმა ხელში ავიყვანე და ვაკოცე. მაგრამ აქ როგორ გაჩნდა? ციდან ხომ არ ჩამოვარდებოდა ან ჰორტონიდან აქამდე მარტო ხომ ვერ ჩამოვიდოდა! აქ, ალბათ, თავის პატრონთან, ვირთავვების მულეტთან ან სხვა ვინმესთან ერთად იქნებოდა. ამიტომ ჩვენი ორმხრივი აღფრთოვანება შევწყვიტე, სნეპი მიწაზე დავსვი, მივიხედე და... მისტერ უესტონი დავინახე! [SEP]

- თქვენს ძალლს არ დავიწყებიხართ, მის გრეი, - მითხრა მან და მაგრად ჩამომართვა ხელი, რომელიც გავუწოდე ისე, რომ არც ვიცოდი, რა ვაკეთებდი, - ადრიანად გყვარებიათ ადგომა! [SEP]

- მხოლოდ იშვიათად, - მივუგე საოცარი თავდაჭერილობით, თუ ყველა გარემოების გათვალისწინებით! [SEP]

- მაგრამ ჰერ ხომ არ ბრუნდებით უკან? [SEP]

## ენ ბრონტე

- სწორედ ახლა ვაპირებდი შეტრიალებას... ალბათ, უკვე გვიანაა.  
მისტერ უესტონმა საათი ამოიღო.
- ახლა უკვე ოქროსი! - და მითხრა, რომ რვის ხუთი წუთი იყო.
- თუმცა, - განაგრძო მან, - დაიღლებოდით, - იგი გვერდით გამომყვა, რადგან ნელა გავემართე ქალაქის ქუჩების მხარეს, - რომელ ნაწილში ცხოვრობთ? ეს ვერაფრით გავიგე.

ვერაფრით გაიგო! მაშასადამე, ცდილობდა? ავუხსენი, სად მდებარეობდა ჩვენი სახლი. დაინტერესდა, როგორ მიღიოდა ჩვენი საქმე. ვუპასუხე, ძალიან კარგად-მეთქი: შობის შემდეგ ბევრი ახალი პანსიონერი მოგვივიდა და ზაფხულის არდადეგების შემდეგ მათი რიცხვი, საფარაუდოდ, კიდევ გაიზრდებოდა.

- ალბათ, საუცხოო მასწავლებელი ხართ.
- არა, არა, ეს სულ დედის დამსახურებაა, - ვთქვი მე, - იგი განათლებული, ენერგიული და ჭკვიანია და იცის, როგორ მოაწყოს ყველაფერი საუკეთესოდ.
- ძალიან მინდა დედათქვენის გაცნობა. წარმადგენთ მის წინაშე, თუ გესტურებით?
- სიამოვნებით.
- ნებას მომცემთ, რომ როგორც ძველი მეგობარი, ზოგჯერ გენვიოთ ხოლმე?
- დიახ. თუ... ვფიქრობ, რომ...

საშინლად სულელური პასუხი გამოვიდა, მაგრამ მიმაჩნდა, რომ დედის უკითხავად სახლში ვინმეს მიწვევის უფლება არ მქონდა. თუმცა, რომ მეთქვა, - დიახ, თუ დედას საწინააღმდეგო არაფერი ექნება-მეთქი, - გამოდიოდა, რომ ამ სიტყვებს განსაკუთრებულ დატვირთვას ვანიჭებდი. ამიტომაც დავამატე, - ვფიქრობ-მეთქი, - იმ აზრით, რომ მის თანხმობაში ეჭვი არ მეპარებოდა. ცხადია, შემეძლო, უფრო გასაგებად და თავაზიანად მეპასუხა, ასე განცვითორებული რომ არ ვყოფილიყავი. ერთი წუთის განმავლობაში სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც მისტერ უესტონმა დაარღვია (რამაც დიდი შვება მომგვარა) და დილის მომხიბლაობაზე, კონცხის სილამაზესა და სხვა კურორტებთან შედარებით ა-ს უპირატესობაზე ალაპარაკდა.

## აგნეს გრეი



- მაგრამ თქვენ არ გივითხავთ, ა-ში როგორ აღმოვჩნდი, - განაგრძო მან,  
- არა მგონია, ფიქრობდეთ, რომ აյ სიამოვნების მისაღებად ჩამოსვლის  
შესაძლებლობა მაქვს.<sup>[SEP]</sup>

- გავიგე, პორტონიდან წასულხართ.<sup>[SEP]</sup>

- და, მაშასადამე, არ გაგიგიათ, რომ მრევლი მივიღე ფ-ში.<sup>[SEP]</sup>

ფ-ში! ა-დან სულ რაღაც ორი მილით დაშორებულ სოფელში<sup>[SEP]</sup>

- არა, - მივუგე მე, - ჩვენ აქაც განმარტოებით ვცხოვრობთ და ახალ ამბებს  
იშვიათად ვიგებთ... მხოლოდ ადგილობრივი გაზეთის საშუალებით... მაგრამ,  
ვიმედოვნებ, თქვენი მრევლით კმაყოფილი ხართ და შემიძლია, გულით  
მოგილოცოთ, არა?<sup>[SEP]</sup>

- ვფიქრობ, ჩემი მრევლი ერთი-ორი წლის შემდეგ უფრო მოგეწონებათ,  
როდესაც ჩაფიქრებულ რეფორმებს განვახორციელებ ან დავიწყებ მაინც.  
მაგრამ მოლოცვა ახლავე შეიძლება, ვინაიდან, ყოველ შემთხვევაში,  
მშვენიერია, როცა მრევლს დამოუკიდებლად ვხელმძღვანელობ, როცა  
არავინ ცდილობს, ჩემს გეგმებს ბოლო მოუღოს ან გაწეული შრომა წყალში  
ჩამიყაროს. გარდა ამისა, მაქვს კარგი სახლი, სასიამოვნო სამეზობლო და  
სამასი გირვანქა წლიური შემოსავალი. გულწრფელად გეტყვით, ვერაფერზე  
დავიწუნებულებ, ეგაა, რომ მარტო ვარ და მხოლოდ ცხოვრების მეგობარზე  
ვოცნებობ.<sup>[SEP]</sup>

ეს თქვა და მჩერა მომაპყრო. მისი მუქი თვალებიდან გამოტყორცნილმა  
ელვამ სახე ამინვა და გამანითლა, რამაც ძალიან დამწყვიტა გული, რადგან  
ასეთ წუთს საკუთარი შეცბუნების გაცემა საშინლად არ მინდოდა. ამიტომ,  
ვითარების განსამუხტავად ძალა მოვიკრიბე, თავი მოვიკატუნე, თითქოს მის  
ნათქვამში პირადული ვერაფერი აღმოვაჩინე და ნაჩქარევად და არეულად  
შევნიშნე, რომ, როგორც კი უკეთ გაიცნობდნენ, ფ-სა და მის შემოგარენში  
მცხოვრებთა შორის ცხოვრების მეგობრის პოვნას შეძლებდა, და თუ  
არჩევანი არ დააკმაყოფილებდა, ა-ც ხომ აქვე იყო!.. ვერც კი გავიაზრე, რომ  
ეს ფრაზა ორაზროვან ქათინაურს შეიცავდა, სანამ არ მითხრა.<sup>[SEP]</sup>

- ოჰ, არც ისე თვითკმაყოფილი ადამიანი ვარ, რომ ეს დავიჭრო -  
თუნდაც თქვენს ბაგეთაგან წარმოთქმული! მაგრამ ეს რომ სიმართლე იყოს,  
ჩემი წარმოდგენა მაქვს იმაზე, ვისთან ერთადაც მინდა ცხოვრების გზაზე

## ენ ბრონტე

სიარული, და შესაძლოა, ის თქვენ მიერ დასახელებულ ქალიშვილებს შორის არ აღმოჩნდეს.<sup>[SEP]</sup>

- თუ სრულყოფილებას ეძებთ, მას ვერასდროს მიაგნებთ.<sup>[P]</sup>
- სულაც არა. რა უფლება მაქვს, სრულყოფილება მოვითხოვო, როდესაც თვითონ ასე შორსა ვარ მისგან?<sup>[SEP]</sup>

საუბარი წყლის საზიდმა კასრმა გაგვაწყვეტინა, რომელმაც გრუხუნით ჩაგვიარა. ნაპირის განმარტოებული ნაწილი უკან დარჩა და ათიოდე წეთი ოთხთვალებს, ცხენებს, ვირებსა და ფეხით მოსიარულეებს შორის უსიტყვოდ მივიკვლევდით გზას. ბოლოს ზღვისკენ ზურგით აღმოვჩნდით და ქალაქში მიმავალ აღმართს დავადექით. ჩემმა თანამგზავრმა ხელი გამომიწოდა და მას დავეყრდენი, თუმცა, სიმართლე გითხრათ, საყრდენი სულ არ მჯირდებოდა.<sup>[P]</sup>

- აქ, როგორც ჩანს, იშვიათად ხართ, - თქვა მან, - ჩემი ჩამოსვლის შემდეგ არაერთხელ მისეირნია ნაპირზე დილა-საღამოს, მაგრამ მხოლოდ დღეს შეგხვდით. როდესაც ქალაქში დავდიოდი, თქვენი სკოლის პოვნას ვცდილობდი. მაგრამ ამ გზაზე მოძებნა არც მიფიქრია... ცნობების შეკრებამაც ვერაფერი შემმატა.<sup>[SEP]</sup>

როდესაც გვერდობიმოვიტოვეთ, ხელის გამორთმევა დავაპირე, მაგრამ იდაყვი ოდნავ მიაჭირა და მაგრძნობინა, რომ ამის გაკეთება არ სურდა. დავემორჩილე. ლაპარაკ-ლაპარაკით ქალაქში შევედით და რამდენიმე გზაჭვარედინს გავცდით. მივხვდი, რომ ჩემი გაცილება სურდა, თუმცა ფ-მდე გრძელი გზა უნდა გაევლო. ვიფიქრე, თავაზიანობის გამო საქმეს ირთულებს-მეთქი, და ვუთხარი.<sup>[SEP]</sup>

- ვშიშობ, მისტერ უესტონ, ჩემ გამო შორი გზით მოგიწევთ შინ დაბრუნება. ფ. ხომ სხვა მხარესაა.<sup>[SEP]</sup>

- მომდევნო ქუჩის ბოლოში დაგემშვიდობებით.<sup>[P]</sup>
- დედაჩემის გასაცნობად როდის მოხვალთ?<sup>[SEP]</sup>
- ხვალ... თუ ღმერთი ინებებს.<sup>[P]</sup>

მისტერ უესტონი ვუთხეში გაჩერდა - ჩემს სახლამდე რამდენიმე ათეული ნაბიჭილა რჩებოდა, მაგრამ მან დამშვიდობება არჩია და სწეპს დაუძახა, რომელმაც თითქოს არ იცოდა, უწინდელ პატრონს გაჰყოლოდა თუ ახალს,

## აგნეს გრეი



თუმცა მის ძახილს მაშინვე გამოეხმაურა.<sup>[P]</sup>

- მის დაბრუნებას არ გთავაზობთ, მის გრეი, - ღიმილით მითხრა მისტერ უესტონმა, - რადგან ძალიან მივეჩვიი.<sup>[P]</sup>

- სულაც არ ვაპირებ მის წართმევას, - მივუგე მე, - ჩემთვის ისიც საკმარისია, რომ ახლა კარგი პატრონი ჰყავს.<sup>[P]</sup>

- მაშასადამე, ეჭვი არ გეპარებათ, რომ კარგი ვარ?<sup>[P]</sup>

ისინი წავიდნენ, მე კი შინ დავბრუნდი. ასეთი ბედნიერებისთვის ღმერთს მადლობას ვწირავდი და მხურვალედ ვლოცულობდი, რომ იმედი კვლავ არ დამმსხვრეოდა.<sup>[P]</sup>

## თავი XXV -<sup>[P T P]</sup> <sup>[SEP; SEP]</sup> დასასრული

- აგნეს, საუზმის წინ ასე შორს არ უნდა გაისეირნო, - მითხრა დედამ, როცა შეამჩნია, რომ კიდევ ერთი ფინჯანი ყავა დავლიე, სიცხე და დაღლილობა მოვიმიჩებე და არაფერი ვჭამე. არადა, მართლა ვგრძნობდი დაღლილობასა და რაღაც ციებ-ცხელების მსგავსს.<sup>[P]</sup>

- ზომიერება არ ვიყვარს. დილაობით ხანმოკლე, მაგრამ ყოველდღიური სეირნობა ძალიან მოვიხდებოდა.<sup>[P]</sup>

- კარგი, დედა.<sup>[P]</sup>

- რომ იცოდე, ეს უარესია, ვიდრე ლოგინში წოლა ან მოხრილი ვითხვა. დაავადმყოფდები!<sup>[P]</sup>

- მეტს აღარ ვიზამ, - მივუგე მე, თან თავს ვიმტვრევდი, როგორ მეთქვა მისტერ უესტონის შესახებ. ის ხომ ხვალ მოვიდოდა! დაველოდე, სანამ მაგიდა არ აალაგეს, თვითონ კი ცოტა დავმშვიდდი, ალბომი ავიღე, ფუნქი მოვიმარჯვე და დავიწყე.<sup>[P]</sup>

- დედა, დღეს ნაპირზე ძველ ნაცნობს შევხვდი.<sup>[P]</sup>

- ძველ ნაცნობს? ვის?<sup>[P]</sup>

- უფრო ზუსტად, ორ ძველ ნაცნობს. ერთი ტერიერი იყო... - სნეპის შესახებ გავახსენე, რომლის ამბავიც იცოდა, შემდეგ კი ავუწერე, როგორ მოირბინა და მაშინვე მიცნო, - მეორე კი, - განვაგრძე მე, - მისტერ უესტონი, ჰორტონელი მღვდლის თანაშემწე.<sup>[P]</sup>

## ენ ბრონტე

- მისტერ უესტონი? რატომღაც მგონია, რომ მასზე არაფერი მსმენია.<sup>[P]</sup>
- როგორ არა! მე ის რამდენჯერმე ვახსენე. უბრალოდ, დაგავიწყდათ.<sup>[SEP]</sup>
- შენ მისტერ ჰეთფილდის შესახებ მიყვებოდი.<sup>[P]</sup>
- მისტერ ჰეთფილდი მრევლის მღვდელია, მისტერ უესტონი კი მისი თანაშემნე იყო. მის შესახებ მიამბნია, ის არაფრით ჰგავდა მისტერ ჰეთფილდს და თავის მოვალეობებს გაცილებით სერიოზულად უდგებოდა. ასეა თუ ისე, ნაპირზე მას და სნეპს შევხვდი, რომელიც, როგორც ჩანს, ვირთაგვების მულეტისგან იყიდა. მაშინვე მიცნო... ალბათ, სნეპის წყალობით. ჩვენ ცოტა ვიღაპარავეთ. ჩვენი სკოლის შესახებ მკითხა. როდესაც მოვუყევი, როგორ მშვენივრად მოაწყვეთ ყველაფერი, მითხრა, რომ ძალიან უნდოდა თქვენი გაცნობა, და დაინტერესდა, ხომ არ შეიძლება, უფლება მომცეთ, ხვალვე გეწვიოთ და მის წინაშე წარმადვინოთო. ვუპასუხე, რომ შეიძლებოდა. სწორად მოვიქეცი?<sup>[SEP]</sup>
- რასაკვირველია. როგორი ადამიანია?<sup>[P]</sup>
- ჩემი აზრით, ძალიან წესიერი. თუმცა ხვალ თვითონ ნახავთ. მან ცოტა ხნის წინათ მრევლი მიიღო ფ-ში, ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში ნაცნობები ვერ გაიჩინა და თავს მარტოსულად გრძნობს.<sup>[P]</sup>
- როგორც იქნა, მომდევნო დღეც დადგა. საუბრიდან შუადღემდე, სანამ მოვიდოდა, არც ციებ-ცხელება დამკლებია და არც შფოთვა, თუმცა იმედიც არ მტოვებდა! დედაჩემს წარვუდგინე, ალბომით ხელში ფანჯარასთან დავკექი და დაფელოდე. ძალიან გამიხარდა, როცა მალე ერთმანეთს ძველი ნაცნობებივით ელაპარავებოდნენ - მე ხომ ძალიან მაწუხებდა, როგორ მიიღებდა მას დედა. დიდხანს არ დარჩენილა. დამშვიდობებისას დედამ უთხრა, რომ მოხარული იქნებოდა, თუ კვლავ გვინახულებდა, მისთვის ხელსაყრელ ნებისმიერ დროს, მისი წასვლის შემდეგ კი აღტაცებაში მომიყვანა, როდესაც თქვა.<sup>[P]</sup>
- ვფიქრობ, ძალზე ღირსეული ადამიანია. მაგრამ, აგნეს, რატომ დაკექი ასე შორს და რატომ არაფერს ამბობდი?<sup>[SEP]</sup>
- იმიტომ, რომ თქვენ ძალიან კარგად საუბრობთ, დედა, და ვიფიქრე, ჩემი დახმარება არ გჭირდებოდათ. თანაც, სტუმრად თქვენთან მოვიდა და არა ჩემთან.<sup>[P]</sup>

## აგნეს გრეი

ამის შემდეგ იგი საკმაოდ ხშირად მოდიოდა ჩვენთან - კვირაში რამდენჯერმე. ჩვეულებრივ, დედას ელაპარაკებოდა, რაც სულაც არ მიკვირდა - მას ხომ მშვენივრად ეხერხებოდა საუბარი. თითქმის მშურდა, როგორ თავისუფლად, მსუბუქად, მნიშვნელოვნად და ღრმად აყალიბებდა აზრებს. და მაინც, ეს ხასიათს ოდნავაც არ მიფუჭებდა, რადგან, მართალია, ზოგჯერ ვწუხდი ჩემი ენაბრგვილობის გამო, მსიამოვნებდა, რომ ამქვეყნად ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ორი ადამიანი რაღაცაზე მეგობრულად, ჯვიანურად და საინტერესოდ მსჯელობდა! თუმცა ყოველთვის არ ვდემდი და თავს მივიწყებულად არ ვგრძნობდი. არა, მე ხშირად მომმართავდნენ, მრავალ შესანიშნავ სიტყვას მეუბნებოდნენ, არანაკლებ საუცხოო გამოხედვის თანხლებით, ყურადღებას არ მაკლებდნენ - და ეს ისე დელიკატურად და დახვეწილად კეთდებოდა, რომ მისი სიტყვებით გამოხატვა და, შესაბამისად, აღწერა შეუძლებელია. სამაგიეროდ, ისინი პირდაპირ გულში მწვდებოდა.<sup>[5]</sup>

მალე ცერემონიებს თავი დავანებეთ. მისტერ უესტონი ჰერ სასურველ სტუმრად, შემდეგ კი თითქმის შინაურად იქცა. იგი უკვე „აგნესს“ მეძახდა - თავდაპირველად მორიცებით, მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ ამან არავინ აღაშფოთა, ამჯობინა, ოფიციალურად - „მის გრეი“ - აღარ მოემართა, რამაც ძალიან გამახარა! ღმერთო ჩემო, როგორი მოსაწყენი და პირქუში იყო ჩემთვის ის დღეები, როცა მისტერ უესტონი არ მოდიოდა. მაგრამ სევდა არ მეუფლებოდა, ვინაიდან მის წარსულ ვიზიტთან დაკავშირებული ფიქრები და მომავალთან დაკავშირებული ოცნებები მამხნევებდა. ოღონდ თუ ზედიზედ ორი-სამი დღის განმავლობაში ვერ ვხედავდი, შიში მიპყრობდა - ცხადია, სრულიად უსაფუძვლო: მას ხომ უამრავი საქმე ჰქონდა მრევლში. შეძრწუნებული ვფიქრობდი არდადეგების დასრულებაზე, როდესაც მეც გაკვეთილებით დავიტვირთებოდი და მასთან გამოსვლას ვერ მოვახერხებდი, ან, პირიქით, დედა საკლასო ოთახში იქნებოდა, მე კი მასთან პირისპირ დავრჩებოდი, რაც სულ არ მინდოდა, აი, ქუჩაში შემთხვევით შეხვედრა და მის გვერდით გავლა კი ძალიან მსიამოვნებდა.<sup>[6]</sup>

ერთხელ, არდადეგების დამთავრებამდე ერთი კვირით ადრე, საღამოს მოვიდა, როდესაც თითქმის არ ვეღოდი, რადგან დღისით კოკისპირულად წვიმდა. თუმცა, ახლა ღრუბლები აღარ ჩანდა და მზე ანათებდა.<sup>[7]</sup>

## ენ ბრონტე

- საუცხოო საღამოა, მისის გრეი, - თქვა მისტერ უესტონმა შემოსვლისთანავე, - აგნეს, ჩემთან ერთად ხომ არ გაისეირნებდით ...მდე, - მან ციცაბო ბორცვი დაასახელა, რომელიც პირდაპირ ზღვაში იყო შექრილი. მისი მწვერვალიდან ბრწყინვალე ხედი იშლებოდა, - წვიმამ მტვერი დალექა და ჰაერი განმინდა, პორიზონტიც საოცრად მკაფიოდ მოჩანს. თანახმა ხართ?<sup>[SEP]</sup>

- დედა, შეიძლება?<sup>[SEP]</sup>

- რა თქმა უნდა.<sup>[SEP]</sup>

ტანსაცმლის გამოსაცვლელად წავედი, რამდენიმე წუთის შემდეგ კი ქვევით ჩავედი, თუმცა, ცხადია, სარკის წინ იმაზე დიდხანს გავჩერდი, ვიდრე ამას საყიდლებზე წასვლამდე გავაკეთებდი. კოკისპირულ წვიმას, უდავოდ, კეთილისმყოფელი გავლენა მოეხდინა და საუცხოო საღამო იდგა. მისტერ უესტონმა დაიჟინა, რომ მას ხელზე დავყრდნობოდი, მაგრამ სანამ ხალხმრავალ ქუჩებს მივუყვებოდით, თითქმის არაფერი უთქვამს, ძალიან სწრაფად მიაბიჯებდა და ჩაფიქრებული და გონებაგაფანტული ჩანდა. ვცდილობდი, გამომეცნო, რა მოხდა, და წინათგრძნობა მტანჭავდა, რომ მძიმე ფიქრები არ ასვენებდა. თუმცა ეს მოგონილი შიში მაშინვე გაქრა, როგორც კი წყნარ გარეუბანში გავედით და წინ ძველებური ეკლესია და ბორცვი, მის მიღმა კი ზღვის სილურჭე დავინახეთ, ვინაიდან ჩემმა თანამგზავრმა მხიარული კილოთი წარმოთქვა.<sup>[SEP]</sup>

- ვშიშობ, გაიძულეთ, ლამის გერბინათ, აგნეს. მაგრამ ქალაქიდან გასვლას ვეშურებოდი და იმაზე აღარ დავთიქრებულვარ, რომ ჩემი დაწევა გავიჭირდებოდათ. ახლა კი აუჩქარებლად ვივლით და დაისვენებთ. აი, ის ღია ფერის ღრუბლები, დასავლეთით რომ მოჩანს, მშვენიერ დაისს გვპირდება, და სწორედ რომ დროზე მივალთ, რათა ზღვაზე მისი სილამაზით დავტკბეთ.<sup>[SEP]</sup>

შუა აღმართში ჩვენ შორის კვლავ დუმილი ჩამოვარდა, რომელიც, ჩვეულებისამებრ, პირველმა მან დაარღვია.<sup>[SEP]</sup>

- მის გრეი, ჩემი სახლი უწინდებურად ცარიელი და დაღვრემილია, - მითხრა ღიმილით, - ახლა ჩემს მრევლში ყველა ქალიშვილს ვიცნობ, ქალაქშიც მყავს გაუთხოვარი ნაცნობები, ზოგისთვის ქუჩაში მომიკრავს

## აგნეს გრეი



თვალი, ზოგის შესახებ მსმენია, მაგრამ ერთსაც არა აქვს ის, რასაც ცხოვრების თანამგზავრში ვეძებ. რომ არ დაგიმაღლოთ, ამქვეყნად მხოლოდ ერთი ქალია ჩემთვის შექმნილი და ეს თქვენ ხართ. მინდა, თქვენი გადაწყვეტილება გავიგო.<sup>[SEP]</sup>

- ამას სერიოზულად ამბობთ, მისტერ უესტონ?<sup>[SEP]</sup>

- სერიოზულად? ნუთუ გვონიათ, რომ ახლა ხუმრობა შემიძლია?<sup>[SEP]</sup>

მან ხელისგული დააფარა ჩემს ხელს, რომელიც მისი იდაყვის ნაკეცზე მედო და, ალბათ, იგრძნო, როგორ ამიცახცახდა ის. მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.<sup>[SEP]</sup>

- ვიმედოვნებ, ძალიან არ ავჩქარებულვარ, - თქვა მან სერიოზული კილოთი, - მაგრამ ხომ იცით, არ მეხერხება ქათინაურების თქმა, ალერსიანი აბდაუბდის ჩურჩული და იმ აღფრთოვანების გამოხატვაც კი, რომლითაც აღვსილი ვარ. და რომ ჩემი ერთი სიტყვა ან გამოხედვა იმაზე მეტს ნიშნავს, ვიდრე სხვა მამაკაცების დათაფლული ფრაზები და მხურვალე ფიცი.<sup>[SEP]</sup>

რაღაც ჩავილაპარაკე იმის შესახებ, რომ დედასთან განშორება არ მინდოდა, და რომ მისი თანხმობის გარეშე ვერაფერს გადაწყვეტდი.<sup>[SEP]</sup>

- სანამ შლაპას იხურავდით, მისის გრეის ველაპარაკე, - მიპასუხა მან, - მითხრა, რომ თავის თანხმობას მომცემს, თუ თქვენსას მივიღებ, მე კი ვთხოვე, რომ თუ მსგავს ბედნიერებას ვეღირსებოდი, ჩვენთან ერთად ეცხოვრა, რადგან ვხვდებოდი, რომ თქვენ ასე ისურვებდით. მაგრამ უარი განაცხადა - ამისსნა, რომ უკვე შეუძლია დამხმარეს აყვანა და უნდა, რომ პანსიონიც ჰქონდეს, სანამ რენტას არ მიიღებს, რათა მისი საშუალებით მოსახერხებელ სახლში იცხოვროს, მანამდე კი არდადეგებჩი რიგრივობით ხან ჩვენ გვესტუმრება, ხანაც თქვენს დას, რადგან თქვენი ბედნიერების გარდა, არაფერი სჭირდება. დედათქვენთან დაკავშირებით, პასუხი სრულად გაგეცით. კიდევ გაქვთ რამე შეკითხვა?<sup>[SEP]</sup>

- არა.<sup>[SEP]</sup>

- მაშასადამე, გიყვარვართ? - შესძახა მან და მგზნებარედ მომიჭირა ხელზე ხელი.<sup>[SEP]</sup>

- დიახ.<sup>[SEP]</sup>

თხრობას აქ შევწყვეტ. ჩემს დღიურში, რომელიც მას საფუძვლად დაედო,

## ენ ბრონტე

მეტი თითქმის არაფერი წერია. შემძლო, წერა დაუსრულებლად გამეგრძელებინა, მაგრამ მხოლოდ იმას დავძენ, რომ არასდროს დამავიწყდება ზაფხულის ის საოცარი საღამო და ყოველთვის აღფრთოვანებით გავიხსენებ ციცაბოკალთებიან ბორცვს და ფლატეს, რომლის თავზეც ხელიხელჩავიდებული ვიდექით და ვუყურებდით, როგორ ირეკლებოდა ბრწყინვალე დაისი ჩვენს ფეხებთან მოცეკვავე ტალღებში, ჩვენი გულები კი სავსე იყო ღვთისადმი მადლიერებით, ბედნიერებითა და სიყვარულით, ისეთი სავსე, რომ მათ გამოსახატავად სიტყვებს ვერ ვპოულობდით.<sup>[SEP]</sup>

რამდენიმე კვირის შემდეგ, როდესაც დედამ დამხმარე იპოვა, მე ედვარდ უესტონის ცოლი გავხდი და მას შემდეგ არასდროს მინანია, და არც არასდროს ვინანებ. ჩვენ გვქონდა მძიმე წუთები და ვიცით, რომ მომავალშიც არაერთიგვექნება, მაგრამ ერთად უფრო ადვილად გადავიტანთ მათ. ვცდილობთ, ერთმანეთი სულიერად გავამხნეოთ და უვანასკნელი განშორებისთვის მოვემზადოთ - უდიდესი მწუხარებისთვის, რომელიც ცოცხლად დარჩენილებს ელოდებათ. მაგრამ როდესაც ღვთის სასუფეველს ვიხსენებთ, სადაც არც ცოდვაა და არც სევდა, და სადაც განშორებულები კვლავ ხვდებიან ერთმანეთს, ამის გადატანაც შეიძლება. მანამდე კი ვცდილობთ, მისი მცნებებით ვიცხოვროთ, ვინც ამდენი წყალობა გვაჩუქა.<sup>[SEP]</sup>

ედვარდმა ძალ-ღონე არ დაზოგა და გასაოცრად, უკეთესობისკენ შეცვალა თავისი მრევლი, რომლის ყოველი წევრი მას პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობა, როგორც ამას იმსახურებს - ვინაიდან, როგორც ადამიანს, შესაძლოა, ნაკლი პქონდეს (მას ის არა აქვს!), მაგრამ როგორც მღვდელს, ქმარსა და მამას, მას ერთ საყვედურსაც ვერავინ ეტყვის, ამაში მტკიცედ ვარ დარწმუნებული.<sup>[SEP]</sup>

ჩვენი შვილები, ედვარდი, აგნესი და პატარა მერი, კარგ მონაცემებს ამჟღავნებენ. ჰერცერობით, მათ აღზრდასა და განათლებას, ძირითადად, მე ვუძღვები და არასდროს მოვაკლებ ყველა იმ სიკეთეს, რასაც დედობრივი მზრუნველობა იძლევა. ჩვენი მოკრძალებული შემოსავალი საკმარისჩე მეტია ჩვენი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ხელმომწირნეობის წყალობით, რომელიც გაჭირვების დროს ვისწავლეთ, აგრეთვე იმით, რომ უფრო მდიდარ

## აგნეს გრეი



მეზობლებთან გაჯიბრებას არ ვცდილობთ, არა მხოლოდ შეძლება და  
დოვლათი არ გვაკლია, არამედ ყოველწლიურადაც ვახერხებთ ცოტაოდენის  
გადადებას ჩვენი შვილებისთვისაც და უქონელთა დასახმარებლადაც. SEP  
ვფიქრობ, საკმაოდ ბევრი გიამბეთ.